


გიორგი გურჯიევძე



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



ცხოვრება რეალურია  
მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

გიორგი გურჯიანი



# ცხოვრება რეალურია

მხოლოდ მაშინ,  
როცა „მე ვარ“



თბილისი  
2009



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გიორგი გურჯიევი

ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“.

Giorgi Gurdjieff

Life is Real Only, Then When I Am

ქართული თარგმანი შესრულებულია მზია ქურცაძეს მიერ რედაქტორი, წინასიტყვაობა, კომენტარები - ლევან ხეთაგურისა თარგმანი შესრულდა ალექსანდრე ჩერქეზიშვილის ინიციატივით.

წიგნის შესახებ:

წინამდებარე წიგნი გიორგი გურჯიევის შემკვიდრების ერთ-ერთი წიგნის პირველი სრულყოფილი ქართულენოვანი გამოცემაა. გურჯიევის სწავლებამ - მეთხე ვზა, მისმა ეზოთურულმა გამოცდილებამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის მსოფლიო კულტურისა და ინტელექტუალთა განვითარებაზე.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში მკითხველთა ფართო წრეში დიდ ინტერესს გამოიწვევს გურჯიევის ბოლო წიგნის ეს პირველი თარგმანი მის ათწიგნიან სერიაში.

განსაკუთრებული მადლობა:

წიგნი გამოიცა ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდ „კაკასიის“ და შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მიერ ბატონ დავით საყვარელიძის ფინანსური თანადგომით.

დამკაბადონებელი: ეკატერინე ოქროპირიძე

კორექტორი: მანანა გომაძე

© SCF

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი


ISBN 978-9941-9004-8-8

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

K 267, 291

გიორგი გუგუიძე

  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ცხოვრება  
რედაქურია

მხოლოდ მაშინ,  
როცა „მე ვარ“



**პირველი სერია:** სამი წიგნი საერთო სათაურით: „ყველა და ყველაფერი, ანუ, ბელზებელის საუბრები შვილიშვილთან“.

**მეორე სერია:** სამი წიგნი საერთო სათაურით: „შეხვედრები განსაკუთრებულ ადამიანებთან“.

**მესამე სერია:** ოთხი წიგნი საერთო სათაურით: „ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „შე ვარ“.

ყველაფერი ლოგიკური დასაბუთების სრულიად ახალ პრინციპებზეა დაწერილი და მიმართულია უშუალოდ სამი კარდინალური პრობლემის გადაწყვეტისკენ:

**პირველი სერია:** მკითხველის აზროვნებასა და გრძნობებში მრავალი 100-წლეულის განმავლობაში ყოველივე ამქვეყნად არსებულის შესახებ ფესვგადგმული შეხედულებების და რწმენის უმოწყალოდ დასანგრევად და ყოველგვარი კომპრომისის გარეშე გადასაწყვეტად.

**მეორე სერია:** მკითხველის იმ მასალასთან გასაცნობად, რომელიც საჭიროა ახლის ქმნისთვის და აგრეთვე მისთვის გონიერებისა და კეთილხარისხოვნების ჩვენება.

**მესამე სერია:** მკითხველის აზროვნებასა და გრძნობებში ჭეშმარიტი, რეალურად არსებული სამყაროს, არაფანტასტიკური წარმოდგენების შექმნის ხელშეწყობისკენ და არა იმ სამყაროსი, რომელსაც ახლა აღიქვამს.

„მიუპართავ ყველას, ვინც ჩემი ნაწერებით დაინტერესდება: არასდროს არავინ არ უნდა ცაღოს მათი წაკითხვა ზევით მითითებული რიგითობის დარღვევით; სხვა სიტყვებით რომ ვითხრათ, მან არასდროს არაფერი არ უნდა წაიკითხოს ჩემი გვიანდელი თხზულებებიდან, ვიდრე უფრო აღრინდელ ნაწერებს არ გაეცნობა“.

## შესავალი შენიშვნა

თუმცა ეს ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა ფრაგმენტული და წინასწარი მონახაზი იმისა, რის დაწერასაც აპირებდა გ. ი. გურჯიველი თავისი შესაბამე სერიისთვის: „ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“, ჩვენი ოჯახი თავს მოვალედ თვლის, შეასრულოს ჩვენი ბიძის სურვილი, რომლის შესახებაც თავად აღნიშნავს საზგასპით ამ წიგნის პროლოგში: „მინდა, ჩემსავე მსგავს ქმნილებებს გაეუზიარო ადამიანის შინაგანი სამყაროს მანამდე თითქმის უცნობი ყველა საიდუმლო, რომელიც შემთხვევით შევიტყუო“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წიგნის გამოქვეყნებით შევასრულებთ მის განზრახვას, რომელიც პროლოგშია აღნიშნული და თანაც დავაკმაყოფილებთ მისი სწავლებით დაინტერესებული ბევრი ადამიანის ინტერესს.

ოჯახის სახელით

ვალენტინ ანასტასიევი

*„ჩემს ბოლო წიგნში მინდა ჩვენი ზეციური მამის მიერ შექმნილ სხვა, ზემსავე მსგავს არსებებს ვაუზიარო ადამიანის შინაგანი სამყაროს მანამდე თითქმის უცნობი ყველა საიდუმლო, რომელიც შემთხვევით შევიტყე“.*

გურჯიევმა ეს სიტყვები 1934 წლის 6 ნოემბერს დაწერა და მაშინვე შეუდგა მუშაობას. შემდგომი რამდენიმე თვე მთლიანად ამ წიგნის იდეის დამუშავებას მონადობა.

შემდეგ, მოულოდნელად, 1935 წლის 2 აპრილს, საერთოდ დაანება თავი წერას.

თითოეულს შეუძლია იკითხოს: მაინცდამაინც ამ ეტაპზე რატომ თქვა უარი ამ წამოწყებაზე და რატომ არასდროს აღარ დაბრუნებია მას?

რატომ დატოვა შესაძენ სერია დაუსრულებელი და, როგორც ჩანს, მისი გამოქვეყნებაც გადაიფიქრა?

ამ კითხვებზე შეუძლებელია პასუხის ვაცემა იმისთვის, ვინც თავად არ იღებდა მონაწილეობას იმ დამაბულ მუშაობაში, რომელსაც თავისი სიცოცხლის ბოლო 15 წლის განმავლობაში ეწეოდა გურჯიევი მოწაფეების ერთ ჯგუფთან ერთად, რომლისთვისაც ყოველდღიურად ქმნიდა ისეთ პირობებს, რომელიც აუცილებელი იყო ამ იდეის უშუალო და პრაქტიკული შესწავლისთვის.

ის „ბელზებელის მიერ შეილიშვილისთვის მოთხრობილი ამბების“ ბოლო გვერდზე ვარკვევით ამბობს, რომ შესაძენ სერია მხოლოდ მათთვის იქნება ხელმისაწვდომი, ვინც შერჩეულ იქნება „ამ სერიაში გაშუქებული, უტყუარი, ობიექტური“ ჭეშმარიტებების ვაცების უნარით.

გურჯიევი მიმართავს თანამედროვე ადამიანს, ანუ, ადამიანს, რომელსაც აღარ ძალუქს ჭეშმარიტების წვდომა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით მიეწოდება მას; ადამიანს, რომელიც სრულიად დაუკმაყოფილებელია, თავს იზოლირებულად გრძნობს და უაზრო ცხოვრებას ეწევა.

ამრიგად, თუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი ადამიანი არსებობს, როგორ უნდა გამოვაფხიზლოთ მისი გონება, რომელიც შეძლებს რეალურის ილუზორულისგან გარჩევას?



გურჯიევის თანახმად, მხოლოდ მაშინ შეეძლოა ქვეყნარსებობის მიახლოება, როცა ადამიანის არსების შემადგენელი ყველა ნაწილი აზროვნება, ემოციები და სხეული – მოქმედებაში მოყვანილია ერთი და იმავე ძალითა და ხერხით, რომელიც თითოეულ მათგანს შეესატყვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარება ცალმხრივი იქნება და ადრე თუ გვიან ჩიხში შევა.

ამ პრინციპის სიღრმისეული წვდომის გარეშე საკუთარ თავზე მუშაობა აუცილებლად აცდება მიზანს. ყველაზე არსებითი პირობები მცდარად იქნება გაგებული და ადამიანი მიიღებს ძალისხმევას ფორმების მხოლოდ მექანიკურ გამეორებას, რომელიც ვერასოდეს გადალახავს ორდინალურ დონეს.

გურჯიევი იცოდა, როგორ გამოვეყენებინა ცხოვრების თითოეული გარემოება, რომ ადამიანებისთვის მიეცა ქვეყნარსებობის წვდომის საშუალება.

მე ის მინახავს მუშაობის დროს, როცა ყურადღებით სწავლობდა თითოეული მოწაფის გაგების უნარსა და სუბიექტურ სირთულეებს. მინახავს, განზრახ როგორ აკეთებდა აქცენტს ცოდნის ხან ერთ, ხან მეორე ასპექტზე, მისდევდა რა სრულიად განსაზღვრულ გვემას, მუშაობდა ხან იმ აზრზე, რომელიც ინტელექტის სტიმულირებას ახდენდა და სრულიად ახალ თვალსაწიერს ხსნიდა, ხან – გრძნობაზე, რაც ყოველგვარ ხელოვნურობაზე უარის თქმას მოითხოვდა ყოველივე ბუნებრივისა და სრული გულწრფელობის სასარგებლოდ, დროდადრო კი – სხეულის მოძრაობაში მოყვანაზე, რომელსაც თავისუფლად უნდა შეძლებოდა ყველაფრის შესრულება, რაც მას მოეთხოვებოდა.

მამ ასე, რა იყო ამ შესაძლებლობის დაწერის მიზანი?

შეუძლებელია მთელი მისი სწავლების მეთოდიდან იმ როლის გამოყოფა, რომელსაც ის ანიჭებდა ამას. რაღაც განსაზღვრულ მომენტში, როცა აუცილებლად მაინცდა ეს, ითხოვდა, მისი თანდასწრებით ხმამაღლა წაკითხათ ცალკეული თავი ან ადგილი, ამასთან, მოწაფეებს მინიშნებებს ან ნიმუშებს აძლევდა, რაც საკუთარ თავსა და საკუთარ შინაგან წინააღმდეგობებზე თვალის ახელის მომენტალური საშუალება იყო.

ხდებოდა ადამიანის მიყვანა რაღაც ზღურბლზე, რომლის გადავლაც ვეალებოდა მას და ამ დროს ის გრძნობდა, რომ მას, პირველ რიგში, გულწრფელობა მოეთხოვებოდა. ამ ნაბიჯის გადადგმა, შესაძლოა, რთული იყო, მაგრამ ყველაფერი, რაც უკან რჩებოდა, სრულიად კარგავდა



თავის უწინდელ მიმზიდველობას. აღმოცენებული მერყეობის ფონზე თავად გურჯიევის სახე იყო საზომი იმისა, რისი მიცემა აუცილებელია და რაზეა აუცილებელი უარის თქმა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ არასწორი მიმართულება.

და ეს უკვე იყო არა დოქტრინის სწავლება, არამედ ცოდნის მოქმედების განსახიერება.

მესამე სერია ამ სახით, როგორც არის, არასრული და დაუმთავრებელი, ხსნის ოსტატის მოქმედების მეთოდს, ოსტატისა, რომელიც მხოლოდ თავისი ყოფნით გავალდებულებთ, რაღაც საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიხვიდეთ, გავალდებულებთ იცოდეთ, რა ვინდათ.

გურჯიევმა სიკვდილის წინ დამიბარა, რათა ეთქვა, თუ როგორ ხედავდა საქმის ვითარებას და გარკვეული ინსტრუქციები მოეცა:

„გამოეცი მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული იქნები, რომ ამისი დრო მოვიდა. გამოეცი პირველი და მეორე სერიები. მაგრამ, რაც მთავარია, პირველ რიგში, მოამზადე ადამიანების ბირთვი, რომელთაც ექნებათ უნარი, არსებულ მოთხოვნებს პასუხობდნენ.“

ვიდრე არ გეყოლება ასეთი ბირთვი, იდეის მოქმედება განსაზღვრულ ზღვარს იქით ვერ წავა. ამას დრო დასჭირდება. . . საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

მესამე სერიის გამოცემის აუცილებლობა არ არსებობს. ის სხვა მიზნით დაიწერა. მიუხედავად ამისა, ოდესმე იმ აზრამდე თუ მიხვალ, რომ ეს უნდა გააკეთო, გააკეთე“.

ამოცანა სრულიად ნათელი იყო ჩემთვის: როგორც კი გამოიცა პირველი სერია, აუცილებელი იყო შესვენების გარეშე გაგრძელებულიყო მუშაობა ბირთვის შესაქმნელად, რომელიც შეძლებდა, თავისი ობიექტურობის დონის, ერთგულებისა და საკუთარი თავისადმი წაყენებული მოთხოვნების წყალობით მხარი დაეჭირა იმ მოძრაობისთვის, რომელსაც უკვე ჩაყვარა საფუძველი.

ცხოვრება  
რეალურია

მხოლოდ მაშინ,  
როცა „მე ვარ“

## პროლოგი

მე ვარ? მაგრამ სად ვაქვს საკუთარი თავის სრულად აღქმის ის შეგონება, რომელიც მანამდე მუდამ ჩემთან იყო თვითგახსენების პროცესში, თვითკვლევის სწორედ ასეთივე მომენტებში. . .

ნუთუ ეს შინაგანი უნარი, რომელიც თვითუარყოფის ყველა სახეობის და ხშირი სტიმულირების ხარჯზე შევიძინე, მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, რომ ახლა, როცა მისი ჩემს ყოფაზე ზემოქმედება ჰაერივით აუცილებელია, უკვალოდ უნდა გაქრეს?

არა! ეს შეუძლებელია!

აქ რაღაც არასწორია!

ეს თუ მართალია, მაშინ ვინების სფეროში ყველაფერი ალოგიკურია!

მაგრამ ჩემში ვერ კიდევ არ არის ატროფირებული შეგნებული მუშაობისა და გამიზნული ტანჯვის უნარი!

წარსულის მოვლენების ვათვალისწინებით, მე ვერ კიდევ უნდა ვიყო!

მე მინდა ყოფნა! და მე ვიქნები!

ვარდა ამისა, ჩემი ყოფნა საჭიროა არა მხოლოდ ჩემი პირადი ევოიზმისთვის, არამედ კაცობრიობის საერთო კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის!

მე მინდა, რომ ვერ კიდევ ვიყო. . . და მე ვარ!





საქართველოში  
ზინბურგის

ადამიანთა აზრების ასოციაციის ამოუცნობ კანონთა მიხედვით, ახლა, ვიდრე შეუდგებოდეს ამ წიგნის წერას, რომელიც იქნება რიგით მესამე – ანუ ჩემი საინსტრუქციო – სერია ნაწერებისა და, საერთოდაც, ჩემი ბოლო წიგნი, რომელშიც მინდა ჩვენი ზეციური მამის მიერ შექმნილ სხვა, ჩემსაკვე მსგავს არსებებს გავუზიარო ადამიანის შინაგანი სამყაროს მანამდე თითქმის უცნობი ყველა საიდუმლო, რომელიც შემთხვევით შევიტყვე, თავში კვლავ მომივიდა ზემოთ უკვე ციტირებული აზრი, თვითდაჯერება, რომელიც მამინ დაიბადა ჩემში, როცა თითქმის ბოდვის მდგომარეობაში ვიყავი ზუსტად შეიდი წლის წინ და, მე მგონი, ზუსტად ამ დროს.

ეს ფანტასტიკური მონოლოგი მიდიოდა ჩემში 1927 წლის 6 ნოემბერს, დილით ადრე, პარიზში, მონმარტრის ერთ-ერთ ლამის კაფეში, როცა უკვე საშინლად დამღალა და ბოლომდე გამომაცალა ძალა ჩემმა „შაჰმა“ ფიქრებმა და გადავწყვიტე, სახლში წავსულიყავი და იქ კიდევ ერთხელ მეცადა ცოტა ხნით დაძინება.

თუმცა ჯანმრთელობა მაშინაც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ცუდი მქონდა, იმ დილით მაინც განსაკუთრებით საშინლად ვგრძნობდი თავს.

ჩემს საცოდავ მდგომარეობას იმ დილით ის ფაქტიც ამძიმებდა, რომ ბოლო ორი თუ სამი კვირა დღეში ერთ-ორ საათზე მეტ ხანს ვერ ვიძინებდი, წინა ღამეს კი საერთოდ არ მძინებია.

მიზეზი ასეთი უძილობისა და სერთო მოშლილობისა, რამაც იმ დღეებში უფრო მწვავე სახე მიიღო და რაც ჩემი ორგანიზმის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფაქტორზე აისახა, იყო ჩემს ცნობიერებაში „მძიმე“ აზრთა დინება, იმ, როგორც ჩანს, გადაუჭრელ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც სრულიად მოულოდნელად შემექმნა.

იმისათვის, დაახლოებით მაინც რომ ავიხსნათ, თუ რა გადაუჭრელი სიტუაცია იყო ეს, ჯერ სხვა რამის შესახებ უნდა მოვახსენოთ:

მანამდე, სამ წელზე მეტ ხანს, განუწყვეტლივ ეწერდი, დღე და ღამე გამუდმებით ვაჩქარებდი საკუთარ თავს, ეწერდი წიგნებს, რომელთა გამოქვეყნებაც გადავწყვიტე.





ზემოთ ვთქვი, „გამუდმებით ვაჩქარებდი - მეთქი საკუთარ ფაქტს“. იმიტომ რომ იმ საავტომობილო კატასტროფის შემდეგ აღორძინებულ სწორედ მანამდე შემეშინება, ვიდრე ამ წიგნების დაწერას გადავწყვეტილი. ძალიან ცუდად და სუსტად ვიყავი და სწორედ ამის გამო, რა თქმა უნდა, არანაირი აქტიური მოქმედების უნარი არ გამაჩნდა.

მიუხედავად ამისა, თავს არ ვზოგავდი და ასეთ მდგომარეობაშიც კი ვაგრძელებდი მძიმე დატვირთვით მუშაობას, უმთავრესად იმ ფაქტორების წყალობით, რომლებმაც ცნობიერებაში თავიდანვე ჩამომიყალიბა რწმენა, რამაც idee fixe\*-ის ხასიათი მიიღო:

ვინაიდან, სანამ ძალ-ღონით ხავსე და ჯანმრთელი ვიყავი, ვერ მოვახერხე პრაქტიკულად განმეხორციელებინა ადამიანთა ცხოვრებაში ის კეთილისმყოფელი ტრეშმარიტები, რომლებიც მათთვის გავაცხადებდნენისმიერ საფასურად ის მაინც უნდა მომეხერხებინა, რომ სიკვდილამდე თეორიის სახით მაინც მომესწრო ამის ჩამოყალიბება.

მონაზაზღვრე, პუბლიკაციებისთვის განკუთვნილ ფრაგმენტებზე მუშაობისას, ვერ კადვე პირველსავე წელს გადავწყვეტე, რომ წიგნების სამი სერია დამეწერა.

გადავწყვეტე, პირველი სერიის წიგნების შინაარსით დამეზრია ადამიანთა ცნობიერებასა და გრძნობებში ღრმად ფესვგადგმული შეხედულებები, რომლებიც, ჩემი აზრით, ყალბია და სრულიად ეწინააღმდეგებიან რეალობას.

მეორე სერიის წიგნების შინაარსით მინდოდა დამემტკიცებინა, რომ არსებობს რეალობის აღქმის სხვა ხერხებიც და მათეკნ მიმავალი გზა მეჩვენებინა.

მესამე სერიის წიგნების შინაარსით მინდოდა გამეზიარებინა რეალობასთან შეხების და დიდი მონდომების შემთხვევაში მასთან შერწყმის შესაძლებლობები, რომლებიც მე აღმოვაჩინე.

ასეთი განზრახვით დავიწყე უკვე მეორე წელს წერილობით ამ მასალისთვის ცალკეული წიგნების ფორმის მიცემა, რომელიც გასაგები იქნებოდა ჩვეულებრივი მკითხველისთვის.

სწორედ იმ მოვლენების წინ, რომლებსაც ახლა ავიწერთ, დავასრულე პირველი სერიის ყველა წიგნი და მეორე სერიის წიგნებზე მუშაობა დავიწყე.

\* აკვიატებული იდეა (რედ.)



რადგან ვაპირებდი, ჩემი ნაწერების პირველი სერია მომდევნო წელს გამოქვეყნდეს, გადავწყვიტე, პარალელურად მეორე სერიის წიგნებზეც მემუშავა და პირველი სერიის წიგნების ხშირი საჯარო კითხვაც მომეწყო.

ამის გაკეთება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ვიდრე მასალას დასაბეჭდად გადავცემდი, კიდევ ერთხელ ვადამეხედა, მხოლოდ ამჯერად უკვე იმ კუთხით, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა სხვადასხვა ფრაგმენტი განსხვავებული ტიპისა და ვონებრივი განვითარების განსხვავებულ საფეხურზე მყოფ ადამიანებზე.

ამ მიზნის გათვალისწინებით ჩემი ქალაქის ბინაში დავიწვეე განსხვავებული ტიპის ადამიანების, შესაბამისი ინდივიდუალობის მქონე ნაცნობების მოწვევა ამა თუ იმ თავის მოსასმენად, რომელის შესწორებასაც ვაპირებდი და რომელსაც რომელიმე მათგანის თანდასწრებით ხმამაღლა ვკითხულობდი.

იმ დროს როგორც მთელი ჩემი ოჯახისთვის, ასევე ჩემთვის ძირითადი საცხოვრებელი ფონტებლო იყო, მაგრამ პარიზში ხშირი მიმოსვლის გამო, იძულებული ვიყავი, იქაც მქონოდა ბინა.

ამ საჯარო კითხვის დროს, რომელსაც ბევრი სხვადასხვა ტიპის მსმენელი ესწრებოდა, ვაკვირდებოდი რა აუდიტორიას და თან უუსმენდი ჩემს დაწერილ ტექსტს, რომელიც გამოსაცემად მზადდებოდა, პირველად დავასკვნეი ძალიან გარკვევით და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ნათლად მივხვდი შემდეგს:

ამ ნაწერებში ჩემი აზრების გადმოცემის ფორმა შეიძლება ვასაგები ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ იმ მკითხველთათვის რომელნიც ამა თუ იმ გზით უკვე იცნობდნენ ჩემი აზროვნების განსაკუთრებულ სტილს.

მაგრამ სხვა მკითხველნი, რომელთათვისაც, პირდაპირ ვიტყვი, დღე და ღამე თავდაუზოგავად ვმუშაობდი, თითქმის ვერაფერს გაიგებდნენ.

სხვათა შორის, ამ საჯარო კითხვის პროცესში პირველად მივხვდი ნათლად, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ფორმა, რომლითაც უნდა მეწერა, რათა ის ნებისმიერი მკითხველისთვის სწორხაზოვნად ვასაგები ყოფილიყო.



ამრიგად, როცა ეს ყველაფერი გავაცნობიერე, მხრებზე მამინ დადგა ჩემ წინ მთელი ბრწყინვალეობითა და სიღნაღით ჩემი ჯანმრთელობის საკითხი.

გარდა ამისა, გონებაში განუწყვეტლივ მიტრიალებდა ეს აზრები: თუ ეს ყველაფერი, რაც სამი თუ ოთხი წლის განუწყვეტელი შრომის შედეგად დაიწერა, თავიდან იქნებოდა გადასაწერი სხვა ფორმით, რომელიც უფრო მისაღები იქნებოდა ნებისმიერი მკითხველის აღქმისთვის, ამას დასჭირდებოდა დროის დაახლოებით იგივე მონაკვეთი... დრო მჭირდებოდა მეორე და მესამე სერიის დასაწერადაც; დრო მჭირდებოდა აგრეთვე ჩემი ნაწერების არსის პრაქტიკულ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად, მაგრამ საიდან უნდა მომეტანა ამდენი დრო?

ჩემი დრო მხოლოდ ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მე, რა თქმა უნდა, შემძღო თავიდან გადამეწერა ეს ყველაფერი.

უფრო მეტიც, გადაწერის დაწყებისთანავე მექნებოდა რწმენა ბედნიერი დასასრულისა, იმიტომ რომ ახლა, როცა უკვე ვიცოდი, როგორ უნდა მეწერა, თავისუფლად შემძღო, იმედი მქონოდა, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ცხოვრების ძირითადი მიზნები უთუოდ განხორციელდებოდა.

მაგრამ განვლილი ცხოვრების გზაზე დაგროვილი სხვადასხვა სახის გამოცდილების გამო, ისე გამოვიდა, რომ სწორედ ახლა ჩემი დრო ჩემზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „თავნება“ მთავარანგელოზ გაბრიელზე; დიახ, სინამდვილეში მე ერთი ან ორი, ან, ყველაზე მეტი, სამი წლის სიცოცხლეა დამრჩა.

ახლა იმის დადასტურება, რომ ძალე უნდა მოვკვდე, შეუძლია ასობით ექიმ-სპეციალისტს, რომელიც მე მიცნობს.

გარდა ამისა, თავად მე ჩემი ცხოვრების წინა პერიოდში ტყუილად არ ვიყავი ცნობილი კარგ, საშუალოზე მაღალი დონის დიაგნოსტად. მთელი ცხოვრების მანძილზე ტყუილად ხომ არ მქონია საუბარი საიქიოში სწრაფად გამგზავრების ათასობით კანდიდატთან.

პირდაპირ გეტყვით, ეს არაბუნებრივიც კი იქნებოდა, სხვაგვარად რომ ყოფილიყო. . . იმიტომ რომ ჩემი ჯანმრთელობის ინვოლუციის პროცესი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში გაცილებით უფრო სწრაფად მიდიოდა, ვიდრე ევოლუციისა.





ფაქტობრივად, ყველა ფუნქცია ჩემი ორგანიზმისა, რომელიც ადრე, როგორც ჩემი მეგობრები იტყვოდნენ, „ფოლადისგან იყო ჩამოსხმული“, თანდათან მოიშალა; ასე რომ, ამჟამად მუდმივი გადაღლილობის გამო არც ერთი მათგანი მახლოებით საჭირო დონეზეც კი არ ფუნქციონირებს.

და ეს სულაც არ არის გასაკვირი. . . მხედველობაში რომ არ მივიღო ბევრი სხვა მოუღვნა, რომელიც ადამიანის გამოცდილებისთვის ჩვეულებრივად ვერ ჩაითვლება და რომელსაც ჩემს განვლილ ცხოვრებაში საოცარი, თავისებური ფორმით ქქონდა ადგილი, საკმარისია გავიხსენო მხოლოდ ის უცნაური და აუხსნელი ბედისწერა, რომელიც თან მღვედა და იმაში მდგომარეობდა, რომ სამჯერ ვიყავი დაჭრილი სრულიად განსხვავებულ გარემოებებში, სამჯერვე სასიკვდილოდ და სამჯერვე ბრმა ტყვიით.

მხოლოდ ამ სამი ინციდენტის სრულად გააზრებს შემთხვევაში, რომელმაც, რა თქმა უნდა, წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს სხეულზე, ადვილად შეიძლება იმის ვაგება, რომ თითოეული მათგანი შეიძლებოდა, უკვე დიდი ხნის წინ ჩემი აღსასრულისთვის საკმარის მიზეზად ქცეულიყო.

ამ სამიდან პირველი სრულიად გაუგებარი ფატალური შემთხვევა 1896 წელს მოხდა კუნძულ კრეტაზე საბერძნეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე.

იქიდან არ ვიცი, რატომ, ვილაც უცნობმა ბერძნებმა უგონო მდგომარეობაში მყოფი იერუსალიმში გადამიყვანეს.

ძალე უკვე გონს მოხული, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან დასუსტებული, მეგობრებთან ერთად, რომლებიც ჩემსავით „ნეხვში მარგალიტის მაძიებლები“ იყვნენ, იერუსალიმიდან რუსეთში გავემგზავრე, მაგრამ არა ზღვით, როგორც ნორმალური ადამიანები იქცევიან ხოლმე, არამედ ხმელეთით, ფეხით.

ამ მოგზაურობის შედეგად, რომელიც დაახლოებით ოთხ თვეს გრძელდებოდა, ჩვეულებრივ, თითქმის გაუვალ ადგილებში ჩემი ჯერ კიდევ საეჭვო ჯანმრთელობით, რასაკვირველია, ჩემს ორგანიზმში სამუდამოდ უნდა დაღუპილიყო ჩემს ჯანმრთელობაზე „ქრონიკულად გამოიმტკიცებადი“ მავნე ზემოქმედების ფაქტორები.

ყველაფერთან ერთად ამ სულელური მოგზაურობის დროს მეწვია და საკმაოდ დიდი ხნითაც დარჩა ჩემთან, იპოვა რა ჩემს ორგანიზმში



სასიამოვნო თავშესაფარი, ადგილობრივი ხასიათის, ჩუქურფაფი განსაკუთრებული „დელიკატესი“, რომელთა შორის მხოლოდ ერთი კეთილშობილური და ცნობილი „ქართული სურავანი“, არანაკლებ ცნობილი „ამერიკული დინტერია“ და, რა თქმა უნდა, საყოველთაოდ ცნობილი, ყველასთვის საყვარელი ავადმყოფობა, რომელიც ყველგან გვხვდება და რომელსაც უამრავი სახელი აქვს: la grippe, ანუ ინფლუენცა.

ამის შემდეგ მინდოდა თუ არა, იძულებული ვიყავი, რამდენიმე თვე ფეხმოუცვლელად გამეტარებინა სახლში, ამიერკავკასიაში, მერე კი, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ბიჭვი კვლავ ჩემი შინაგანი სამყაროს idee fixe-მა მომცა და კვლავ დაეიწყე მოგზაურობა უდაბნოსა, ყამირ მიწებზე თუ ჯუნგლებში.

ამ დროს ისევ სტუმართმოყვარე მასპინძლის როლს ვთამაშობდი ადგილობრივი ხასიათის ბევრი სხვა „დელიკატესისთვის“ ჩემს უბედურ ფიზიკურ სხეულში მათი დიდხნაინი ვიზიტების დროს.

ასეთ ახალ სტუმართა შორის იყვნენ „აშხაბადის ბედნიკა“, „ბუქარის მალარია“, „ტიბეტური წყალმანიკი“ და სხვა მრავალი, რომლებმაც სტუმრობის შემდეგ ცხოვრების ბოლომდე დამიტოვეს საკუთარი სავიზიტო ბარათები.

შემდგომი წლების განმავლობაში ჩემმა ორგანიზმმა თუმცა გამოიმუშავა იმუნიტეტი ასეთი ადგილობრივი წერილმანების მიმართ, მოუხდავად ამისა, რა თქმა უნდა, მუდმივი მზარდი დამაბულობის გამო ვერ შეძლო წინა „დელიკატესების“ შედეგების აღმოფხვრა.

ასეთი დამაბულობის პირობებში გადიოდა წლები; მერე ჩემი საწყალი ფიზიკური სხეულისთვის კიდევ ერთი საბედისწერო წელი დადგა. ლაპარაკია 1902-ზე, როცა მეორედ დაეიჭერი ბრმა ტყვიით.

ეს მოხდა ტიბეტის დიდებულ მთებში ინგლის-ტიბეტის ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე.

ჩემმა საბრალო ფიზიკურმა სხეულმა მეორე ჯერზეც შეძლო საბედისწერო შედეგისთვის თავის დაღწევა იმის წყალობით, რომ ჩემ გვერდით ხუთი კარგი ექიმი აღმოჩნდა – მათგან სამი ევროპული განათლებით, ორი ტიბეტური მედიცინის სპეციალისტი; ხუთივე ჩემთვის ნამდვილად თავდადებული ადამიანი იყო.

სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში უკონო მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ ჩემთვის კვლავ დაიწყო მუდმივი ფიზიკური დამაბულობისა და



უჩვეულო ფსიქიკური ძიებისა და სიახლეების წელი, რასაც მოჰყვა ჩემი მესამე საბედისწერო წელი.

ეს 1904 წლის ბოლოს მოხდა ამიერკავკასიაში, ქიათურის გვირაბთან ახლოს.


მესამე ბრმა ტყვიაზე საუბრისას არ შემოიძლია, არ ვისარგებლო შემთხვევით და, ჩემს ამჟამინდელ ნაცნობთაგან, ზოგის კმაყოფილებისა და ზოგის უკმაყოფილების მიუხედავად, ღიად არ განვაცხადო ამ მესამე ბრმა ტყვიის შესახებ, რომ ის, რა თქმა უნდა, შეუგნებლად გაისროლა ჩემი მიმართულებით ვიღაც „მომხიბვლელმა ადამიანმა“ იმ ორი დაჯგუფებიდან – რომელთაგან ერთი რევოლუციური ფსიქოზის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, მეორე კი – დესპოტი უფროსების, ვიღაც მეტინჩრების ძალაუფლების ქვეშ – რომლებმაც ერთად ჩაუყარეს საფუძველი, რა თქმა უნდა, აგრეთვე შეუგნებლად, მართლაც რომ „დიდი რუსეთის“, ყოველ შემთხვევაში დღეისთვის ასეა, საძირკველს.

მაშინ იქ საბრძოლო მოქმედებები მიდიოდა, ვერეთ წოდებულ, რუსეთის, ძირითადად კახეთა, არმასა და, ვერეთ წოდებულ, გურულების დაჯგუფებებს შორის.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩემი ცხოვრების რომელიღაც კონკრეტულ მოვლენებს, დაწყებული ამ მესამე, თითქმის ფატალური ჭრილობით, ბოლო დროის მოვლენების ჩათვლით, ერთმანეთთან, როგორც ცოტა ხნის წინ დავასკვნი, ერთი ფიზიკური კანონის თვალსაზრისით, ძალიან უცნაური და იმაღდროულად კონკრეტულად განსაზღვრული კავშირი პქონდათ, ამიტომ ამ მოვლენათაგან ზოგიერთს რაც შეიძლება დაწვრილებით აღვწერ.

ვიღრე თხრობას განვაგრძობ, აუცილებელია, აქვე აღვნიშნო, რომ 1927 წლის 6 ნოემბრის საღამოს, როცა კარგად გამოძინებულმა ჩემს ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე დავიწყე ფიქრი, სხვა მრავალ იდეათა შორის ერთი იდეა გამიჩნდა, რომელიც მაშინ სრულიად აბსურდულად მომეჩვენა; მაგრამ ახლა, როცა მოულოდნელად დაეადგინე და ბოლო შეიდი წლის განმავლობაში შევძელი საკუთარი თავისთვის ამეხსნა რაღაც ფაქტები, რომლებიც ადრე უცნობი იყო ჩემთვის, უტყუარად დავრწმუნდი, რომ ის ჭეშმარიტება იყო.

მოკლედ, როცა მესამედ დავიჭერი ბრმა ტყვიით, ჩემ გვერდით მხოლოდ ერთი ადამიანი იყო, თანაც ძალიან სუსტი. როგორც მერე





შევიტყე, მან, იფიქრა რა, რომ შესაძლებელი იყო არსებობდა ინსტრუქციისა და გარემო პირობებს ჩემთვის სრულიად არასასურველი შედეგები გამოეწვიათ, სადღაც სასწრაფოდ იშოვა ვირი, გონდაკარგული ზედ შემსვა და მაშინვე გამარიდა იმ მთას.

გზად რაღაც გამოქვაბული იპოვა, იქ დამაწვინა და თვითონ დახმარების საბუნებლად წავიდა.

სახვევები იშოვა, ვიღაც „მკურნალი-დალაქიც“ იპოვა და გვიან საღამოს დაბრუნდა მასთან ერთად.

გამოქვაბულში არავინ აღარ დახვდათ, რაც ძალიან გაუკვირდათ, რადგან იცოდნენ, მარტო წასვლას ვერ შევძლებდი, ვერც სხვა ვინმე შეძლებდა იქ შემოსვლას; რაც შეეხება მტაცებელ ცხოველებს, მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ამ მხარეში ირმების, თხებისა და ცხვრების გარდა კერაფერს ნახავდა კაცი.

სისხლის კვალი შენიშნეს, მაგრამ ამ კვალს ვერ გამოყენენ, რადგან უკვე ღამე იყო.

მხოლოდ მეორე დღეს, როცა ინათა, გაატარეს რა მთელი ღამე ნერვიულობასა და ტყე-ტყე ჩემს უშედეგო ძებნაში, ძლივს მომაგნეს: ლოდებს შორის ვიწექი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი და, როგორც ჩანს, ღრმად შეძინა.

დალაქმა მაშინვე მოძებნა რაღაც მცენარეების ფესვები, დროებითი სახვევი დამადო და, მისცა რა ინსტრუქციები ჩემს სუსტ მეგობარს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გვექნა, სასწრაფოდ სადღაც გაუჩინარდა.

გვიან საღამოს ორ ხვესურ მეგობართან ერთად დაბრუნდა ორივეგლად ურმით, რომელშიც ორი ჯორი იყო შებმული.

იმ საღამოს კიდევ უფრო მალლა წამიფვანეს მთაში და კვლავ სადღაც გამოქვაბულში დამაწვინეს, მაგრამ ამჯერად უფრო დიდში, რომელიც კიდევ ერთ უზარმაზარ გამოქვაბულს ესაზღვრებოდა, რომელშიც, როგორც მერე გაირკვა, მჯდომარე ან ნახევრადმწოლიარე მღვდომარეობაში მყოფ, შესაძლოა, წარსული და მომავალი ეპოქების აღამიანთა ცხოვრებაზე დაფიქრებულ, ამ მალაღმთიანი გაუხსომებული პერის წყალობით, უკვე „მუმიფიცირებულ“ ათობით მკვდარ ხვესურს დაედო ბინა.



ამ გამოქვაბულში, სადაც მათ დამაწვინეს, ზემოთ ხსენებული სუსტი კაცის, ექიმამისა და ახალგაზრდა ხვესურის თანდასწრებით ჩემს სხეულში ორი კვირის

განმავლობაში მიდიოდა ბრძოლა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის.

მერე უცებ ისე სწრაფად დავიწყე გამოჯანმრთელება, რომ ერთ კვირაში სრულიად საღ გონებაზე ვიყავი, ჯოხის დახმარებით გადაადგილებასაც ვახერხებდი და ერთი-ორჯერ ჩემს „უკვდავ მეზობლებს“ „საიდუმლო სერობაზეც“ კი ვწვივებ.

ამ დროისთვის სამოქალაქო ომის მსვლელობისას უკვე ცნობილი გახდა, რომ, როგორც იტყვიან, გამარჯვება რუსეთის არმიამ მოიპოვა და კახაკები უკვე ყველგან ეძებდნენ და აპატიმრებდნენ ყველა „საექვო“ პირს, რომელიც იქაური არ იყო.

ვინაიდან მე იქაური არ ვიყავი და თან კარგად ვიცნობდი „რევოლუციური ფსიქოზის“ გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანთა აზროვნების ფორმებს, გადავწყვიტე, სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას.

მოლიანად ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარებისა და ჩემი შემდგომი გვეგების გათვალისწინებით, ვარჩიე, იმიერკასპიისპირეთისკენ ამელო გეზი.

მიუხედავად აუტანელი ფიზიკური ტანჯვისა, მაინც განვაგრძე გზა ზემოთ ხსენებული სუსტი კაცის კომპანიაში.

ასეთი წარმოუდგენელი ფიზიკური ტანჯვის მიზეზი უმთავრესად ის გახლდათ, რომ გზაში ისე უნდა მევლო, ეჭვი არავის განხეწოდა.

ეჭვს რომ არ გამოიწვევდა, ისეთი იერით საარული აუცილებელი იყო იმისთვის, რომ არსებული „პოლიტიკური ფსიქოზის“ მსხვერპლი არ ვაეშხდარიყავი.

საქმე ის გახლდათ, რომ იმ ადგილებში, სადაც რკინიგზის ხაზი გადიოდა, სულ ცოტა ხნის წინ „ნაციონალურმა ფსიქოზმა“ ამ შემთხვევაში სომხებსა და თათრებს შორის, ასე ვთქვათ, დამაბულობის „უმაღლეს გრადუსს“ მიაღწია და ადამიანური უბედურების ზოგი განსაკუთრებული შედეგი ინერციით კვლავ ვლინდებოდა ხოლმე.

ჩემი უბედურება ამ შემთხვევაში ის გახლდათ, რომ „უნივერსალური გარეგნობის“ გამო, სომხებისთვის ნამდვილ თათარს ვგავდი, თათრებისთვის კი — წმინდა სისხლის სომეხს.

თხრობა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, მოგახსენებთ, რომ, ასე იყო თუ ისე, ჩემი სუსტი მეგობრის კომპანიაში ტუჩის გარმონის



მარტინ სულნი  
2021 წლის ოქტომბერი





დახმარებით ბოლოს და ბოლოს როგორც იქნა ჩავალწიე იმიერკასპისპირეთში.

ტუნის გარმონმა, რომელიც პალტოს ჯიბეში ვიპოვე, კარგი სამსახური გაგვიწია.

ამ ორიგინალურ ინსტრუმენტზე მაშინ, გამოგიტყდებით, არც თუ ისე ცუდად ვუკრავდი, თუმცა მხოლოდ ორ შელოდიას ვასრულებდი: „მანჯურიის სოპებს“ და ვალსს სახელწოდებით „მოლოდინი“.

იმიერკასპისპირეთში ჩასვლისთანავე გადავწყვიტე, ცოტა ხანს ქალაქ აშხაბადში ვაჩერებულყავი.

ორი კარგი ოთახი ვიქირავეთ კერძო სახლში, რომელსაც არაჩვეულებრივი ბალი ჰქონდა და როგორც იქნა, დასვენების საშუალება მომეტა.

თუმცა მეორე დილას ჩემი ერთადერთი ამხანაგი, რომელიც აფთიაქში წავიდა ჩემთვის საჭირო მედიკამენტების საშოვნელად, დიდ ხანს არ გამოჩნდა.

დაღამდა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლო. . . პოდა, მის საძებნელად ვავეშურე.

შემთხვევით ყური მოკრა რა ჩემს შეკითხვებს, მეაფთიაქის შვილმა მითხრა, რომ დაინახა ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მათთან იყო დიღით, როგორ დააპატიმრეს პოლიციელებმა იქვე ახლოს, მეზობელ ქუჩაზე და როგორ წაიყვანეს სადღაც.

რა უნდა მექნა? სად უნდა მომეძებნა? იქ არავის არ ვიცნობდი. თან მოძრაობაც მიჭირდა, რადგან ბოლო რამდენიმე დღის მგზავრობამ სულ მთლად დამასუსტა.

აფთიაქიდან გამოვდივარ, თითქმის ბნელა.

მოულოდნელად თავისუფალი ეკიპაჟი გამოჩნდა გზაზე. მეეტლეს ვთხოვ, ქალაქის ცენტრში წამიყვანოს, სადმე ბაზართან ახლოს, სადაც მალაზიები როცა იკეტება, მერეც გრძელდება ცხოვრება.

იქ იმ იმდენი მივდივარ, რომ იქნებ რომელიმე კაფეში ან ჩაიხანაში ვინმე ნაცნობს წავაწყდე.

ვაჭირვებით მივიკვლევ გზას ვიწრო ქუჩებში, სადაც პატარა ამხანაგების გარდა, რომლებშიც მხოლოდ ტყეინულები სხედან, არაფერი ჩანს.

სულ უფრო მეტად ვსუსტდები და უკვე მიჩნდება აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება გონება დავკარგო.



პირველივე ჩაიხანის ტერასაზე ვეღები და ვთხოვ, ცოტა მწვანე ჩაი მომიტანონ.

რამდენიმე ყლუპს ვსვამ; მადლობა ღმერთს, გონს მოვდივარ! – და გავეცქერი ქუჩის ფარნებით მკრთალად განათებულ სივრცეს.

ესეღავ, ვილაც ვეროპულ ყაიდაზე ჩაცმული მაღალი, გრძელწვერიანი კაცი მოდის ჩაიხანასთან.

სახეზე შეცნობა, ვუყურებ; მიახლოვდება, ისიც ძალიან დაკვირვებით მიყურებს, მაგრამ თავის გზაზე მიდის.

გზას აგრძელებს, რამდენჯერმე ტრიალდება და კვლავ მიყურებს. რისკზე მივდივარ და სომხურად ვეძახი: „ან შე გიცნობთ, ან თქვენ მიცნობთ - მეთქი!“

ჩერდება, მამტერდება და ყვირის: „ა! შავო ეშმაკო!“ და ჩემკენ მოდის.

საკმარისი იყო, მისი ხმა გამეგონა და მაშინვე მივხვდი, ვინც იყო. ეს გახლდათ ჩემი შორეული ნათესავი, პოლიციის სამმართველოს ყოფილი თარჯიმანი.

ისიც ვეცოდი, რომ მისი გადასახლების მიზეზი პოლიციის უფროსის საყვარელთან საიდუმლო ფლირტის გაბმა გახდა.

შევიძლიათ, წარმოიდგინოთ ის შინაგანი სიხარული, რომელიც მისი დანახვისას განვიცადე?

არ დავიწყებ იმის პლწერას, როგორ და რაზე ვლაპარაკობდით, როცა ჩაიხანის ტერასაზე ვისხედით და მწვანე ჩაის სმას განვაგრძობდით.

მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მეორე დღეს, დილით, ჩემი შორეული ნათესავი, ყოფილი პოლიციის ჩინოვნიკი თავის მეგობართან, პოლიციის ლეიტენანტთან ერთად მეწვია.

მათგან შევიტყვე, ჯერ ერთი, ის, რომ ჩემს ამხანაგს სერიოზული არაფერი სჭირდა.

ის მხოლოდ იმის გამო დაუპატიმრებიათ, რომ იქ პირველად იყო და მანამდე არავის უნახა იმ მხარეში.

და რადგან ირგვლივ ბევრი საშიში რევოლუციონერი დადიოდა, ის ერთადერთი მიზნით, ვინაობის დასადგენად დააპატიმრეს.

ეს, მათი თქმით, რთული არ იყო. ისინი იქ, სადაც მისი პასპორტი იყო გაცემული, გაგზავნიდნენ წერილს მისი პოლიტიკური საიმედოობის დადასტურების მოთხოვნით; და პასუხის მოსვლამდე თუ რწყილებისა





და ტილების კომპანიაში მოუწევდა დროის გატარება, ამით განა რა დაშავდებოდა? ასეთი გამოცდილების მიღება კარგია, რადგან მძევლობა ცხოვრებისთვის მოსაშხადებელ ცოდნად ითვლება.

მეორეც დაამატა ჩემმა შორეულმა ნათესავმა და ხმას დაუწია, - შენი სახელი „მონმარტრის“ ფრეიოლური გართობის ადგილების სტუმრების სიმშვიდის დამრღვევთა შორის გამოჩნდაო.

ამის გათვალისწინებით, აგრეთვე, სხვა მოსახრებების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცუდად ვიყავი, გადაწყვიტე იმ ადგილს ვაკვლოდი, თან რაც შეიძლება სწრაფად; მით უმეტეს, რომ ჩემს მგობარს მაინც ვერაფრით ვეხმარებოდი.

ახლა უკვე სრულიად მარტო თანაც ძალიან მცირე თანხით ცენტრალური აზიის მიმართულებით დავიძარი.

წარმოდგენელი გაჭირვებით გადავლახე ათასგვარი დიდი თუ პატარა წინააღმდეგობა და ასე ჩავედი ქალაქ იანგიხისარში, ყოფილ ჩინეთის თურქისტანში, სადაც ჩემი ძველი მეგობრების დახმარებით, ფული მოვიძარავე და ამის შემდეგ აღმოვჩნდი სწორედ იმ ადგილას, სადაც რამდენიმე წლის წინ ვცხოვრობდი, როცა მეორე ბრმა ტყვიის გამო შერყეულ ჯამრთელობას ვმკურნალობდი.

ეს ადგილი გობის უდაბნოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და ჩემს წარმოდგენაში ერთ-ერთი ყველაზე ბარაქიანი და აყვავებული მხარეა მთელს დედაამიწაზე.

რაც შეეხება ამ მხარის ჰაერს და მის სამკურნალო გავლენას, ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც კი ამ ჰაერს სუნთქავს, ის ნამდვილად განმწმენდია.

თუ სამოთხე და ჯოჯოხეთი რეალურად არსებობს და თუ ორივე რაღაცას მაინც ასხივებს, მაშინ ამ ორ წყაროს შორის არსებულ სივრცეში ჰაერი სწორედ ასეთი იქნება.

რადგან ერთ მხარეს ნაიდაგია, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით



უხედავ აფრქვევს ფლორის, ფაუნისა და ფოსკალიის სიმდიდრეს, იქვე ამ მდიდარი მიწის გვერდით კი მრავალ ათას კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმულია სივრცე, რომელიც აგრეთვე პირდაპირი მნიშვნელობით ჯოჯოხეთია, სადაც არა თუ არაფერი არ ხარობს, არამედ ისიც კი, რამაც სხვა ადგილას გაიხარა და შემთხვევით აქ მოხვდა, ძალიან მოკლე დროში ბოლომდე ნადგურდება ისე, რომ მისგან კვალიც არ რჩება.



სწორედ აქ, დედამიწის ამ თავისებურად განუქორბელებელი მიწის მცირე მონაკვეთზე, რომლის ჰაერიც, ანუ ჩვენი მეორე საკვები, სათავეს იღებს და ტრანსფორმირდება სამოთხისა და ჯოჯოხეთის ძალებს შორის, ამ მხარეში სტუმრობის ბოლო პერიოდში და აგრეთვე მეორედაც, როცა უგონო მღვდომარეობაში მოვხვდი აქ, ჩემში ხდებოდა სწორედ ისეთი თვითდარწმუნება, რომელთან დაკავშირებითაც ჩემს ცნობიერში ზემოთ ხსენებული ნ ნოემბრის საღამოს გაიღუვა აზრმა, რომელიც მაშინ სრულიად აბსურდულად მომეჩვენა.

პირველად ჩემმა მეგობრებმა მიმიყვანეს იქ უგონო მღვდომარეობაში, როცა მეორედ დავიჭერი ბრმა ტყვიით.

თავიდან ჩემ გვერდით ბევრი მეგობარი ტრიალებდა, რომელთა შორისაც იყო ზემოთ ხსენებული ის ხუთი ექიმიც.

როცა გონს მოვედი და ნელ-ნელა მომჯობინება დაიწყო, თანდათან ისინიც წავიდ-წამოვიდნენ და ერთ ტიბეტელსა და ერთ ძალიან ახალგაზრდა ყარაყირგიზთან ერთად დავრჩი.

ვეზურობდი რა იქ, ვველა ტიპისა და ჯიშის ადამიანისგან მოშორებით, ამ ორი სიმპათიური ადამიანის კომპანიაში, რომელიც ლამის დედობრივ მზრუნველობას იჩენდა ჩემს მიმართ და თან უსაზრდლოდ ზემოთ ხსენებული „განმწმენდი ჰაერით“, ნ კვირაში ისე გამოკვეთდი, რომ უკვე მინდოდა და შემეძლო კიდევ ნებისმიერ მომენტში დამეტოვებინა ეს განმგურნავი ადგილი.

ველაფერი უკვე ჩალაგებული და შეკრული გვექონდა და მოგზაურობის გასაგრძელებლად მხოლოდ ახალგაზრდა ყარაყირგიზელის მამის მოსვლასდა ველოდებოდით, რომელსაც თან სამი აქლუმი უნდა მოეყვანა.

ვინაიდან შევიტყვეე, რომ ერთ-ერთი მთის, რომელსაც მაშინ „ლექსანდრე მესამის პიკს“ უწოდებდნენ, ხეობაში იმხანად იმყოფებოდა რამდენიმე რუსი ოფიცერი, თურქისტანის ტოპოგრაფიის სამმართველოს ტოპოგრაფი, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ჩემი ძალიან კარგი მეგობარი იყო, დავიუბნე, რომ ჯერ მათთან შეგვეველო და იქიდან შევეუერთებოდით რომელიმე დიდ ქარავანს და ჩავიდოდით ჯერ ანდიჯანში, შემდეგ კი – ამიურკაკასიაში, სადაც ჩემს მშობლებს მოვიხანხლებდი.

იმ დროისთვის, თუმცა, როგორც იტყვიან, მთლად „მყარად ვერ ვიდექი ფეხზე“, მაინც უკვე საკმაოდ კარგად ვგრძობობდი თავს.



დალამდა. სავესე მთვარე ამოვიდა. მივეყვებოდი რა, შემთხვევითი ასოციაციების დინებას, ჩემი აზრები კვლავ იქცა შეგუფხვადიროვნად იმ დროისთვის საბოლოოდ ჩემი შინაგანი სამყაროს idee fixe-ად ჩამოყალიბდა.

ვიყავი რა მოცული ამაზე ფიქრითა და, ერთი მხრივ, შორეული ყრუ გუგუნის ხმით, რომელსაც ათასგვარი ფორმის მილიარდობით სიცოცხლე ქმნიდა, მეორე მხრივ კი – შიშისმომგვრელი სინუმით, ჩემში საკუთარი თავისადმი თვითკრიტიკულობის განცდა განუზომლად გაიზარდა.

ჯერ ჩემს უწინდელ ძიებებში დაშვებული ყველა შეცდომს გამახსენდა.

იმ დროს, როცა, ერთი მხრივ, განვავრძობდი საკუთარი შეცდომების კონსტატირებას, მეორე მხრივ, ჩემთვის ნათელი ხდებოდა, როგორ უნდა მოექცეულიყავი ამა თუ იმ შემთხვევაში.

ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მეცლებოდა ძალა ამ დამაბული ფიქრის დროს და სანამ ეს პროცესი გრძელდებოდა, ჩემი რომელიღაც სხვა ნაწილი კვლავ მაქეზებდა ადვოკატისა და გამოფხიზლებისკენ, რათა ფიქრის ეს ნაკადი შემქერებინა, მაგრამ ამის გაკეთება არ შემეძლო, იმდენად ძლიერად ვიყავი მოცული თავად ამ ფიქრებით.

არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, სწორედ იმ მომენტში, როცა ინსტინქტურად ვიგრძენი, რომ ვინებას ვკარგავდი, ჩემ გვერდით იმ სამ აქლემს რომ არ ჩაემუხლა.

ამის დანახვაზე გამოფხიზლდი და ფეხზე წამოვდექი.

იმ დროისთვის ინათა კიდევ. არც ჩემს ახალგაზრდა კომპანიონებს ეძინათ. ისინი უკვე ეშხადებოდნენ უდაბნოში დილის ცხოვრებისთვის.

მოხუცთან გასაუბრების შემდეგ გადაეწყვიტეთ, მთვარის შუქი გამოგვეყენებინა და მხოლოდ დამე გვევლო. თანაც დღისით აქლემებიც კარგად დაისვენებდნენ.

ნაცვლად იმისა, რომ დავწოლილიყავი და ცოტა ხანს დამეძინა, ავიღე შაშხანა და ბრეზენტისგან დამზადებული კედრო და გავეშურე უახლოესი ძალიან ცივი წყაროსკენ, რომელიც უდაბნოს სულ მთლად განაპირას იყო.

გაეხიხადე და ნელ-ნელა დავიწყე ცივი წყლის გადავლება.





ABSOLUTE	1	99
ALL WORLDS	2	98
ALL STARS	3	97
SUN	12	88
ALL PLANETS	24	76
EARTH	48	52
NOON	96	4
ABSOLUTE	▼	00

პროლეტი  
გინგინოსე

ამის შემდეგ, თუმცა გონებრივად ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, ფიზიკურად იმდენად დაესუსტდი, რომ, როცა ჩავიცვი, იძულებული გავეხდი, იქვე წყაროსთან მიწაზე დავწოლილიყავი.

მაშინ, როცა ფიზიკურად ასე სუსტად ვგრძნობდი თავს, გონება კი ასე განათებული მქონდა, ჩემში კვლავ გაგრძელდა თვითდარწმუნების პროცესი, რომლის არსიც ჩემს ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა და რომელთან დაკავშირებითაც 6 ნოემბრის საღამოს ზემოთ ხსენებულმა იღვამ გამოიღვა გონებაში.

ეს საკმაოდ დიდი ხნის წინ იყო და ამიტომ არ მახსოვს ზუსტად რა სიტყვებით ხდებოდა ეს თვითდარწმუნება, რომელიც ასე არ ჰგავდა ჩემს ჩვეულ საერთო მდგომარეობას.

მაგრამ შევინახე რა ჩემში, ასე ვთქვათ, მისი „გემო“, შემიძლია ადვილად აღვიდგინო ის, მხოლოდ ახრი სხვა სიტყვებით ვადმოგვცეთ. ეს ახრი შემდეგში მდგომარეობდა:

*ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩემი განმართულობის გაუმჯობესების მიზნით თუ ვიმსჯელებთ, ასე მქონია, რომ კვლავ დაუბრუნდი ცხოვრებას და ძალაუნებურად უნდა განეგრძო ჩემი უბედურე არსებობა და კვლავაც ვირივით უნდა ვიშროძო, როგორც აქამდე ვაკეთებდი ამას.*

*ღმერთო ჩემო! ნუთუ შესაძლებელია, კვლავ მომიწიოს იმის თავიდან გამოცდა, რაც უკვე გაუარე აქტიურ მდგომარეობაში ყოფნის ყველა პერიოდში ამ ჩემს უბედურებადუ ნახევარი წლით ადრე?*

*გამოვცადო არა მხოლოდ სირცხვილის გრძნობა, რომელიც მუუფლება ხოლმე ჩვეულ ფიზიკურ მდგომარეობაში ამ თუ იმ შინაგანი თუ გარეგანი გამოვლინებების გამო, რომლებიც თითქმის რეგულარულად ენაცვლებიან ერთმანეთს, არამედ უნდა გამოვცადო მარტოობა, იმედგაცრუება, მეტისმეტი სიმაძღრე, ავრთვე, სხვა შეგრძნებები და, რაც მთავარია, ყველგან თან უნდა მღვედეს შიში „შინაგანი სიკარგილისა“?*

*რა არ ვქენი, რა რესურსები არ ავამოქმედე და ამოვწურე კიდევ იმისათვის, რომ სისრულეში მომეყვანა ჩემი*



გაღწვეტილება, მიძღვნია იმ მღვდმარეობისთვის, რომ ჩვეულებრივ ფხიზლად ყოფნისას უუნქციონირება წარმართულიყო ჩემი აქტიური მღვდმარეობის წინასწარი მითითების შესაბამისად, მაგრამ ამოვ!

ჩემს უწინდელ ცხოვრებაში, ვიყავი რა ბუდამ უმოწყალო ჩემი ბუნებრივი სისუსტეებისადმი და თითქმის ბუდმივად ვწეოდი თვითდაკვირვებას, მოვახერხე, მიძღვნია თითქმის ყველაფრისთვის, რაც კი ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებშია; ზოგიერთ სფეროში კი ისეთი ხარისხის ძალა გამოვთქმევე, როგორც, შესაძლოა, წინა ეპოქებშიც არავის არ ჰქონია.

მაგალითად, ჩემი აზრების ძალა იმ დონეზე განვავითარე, რომ სულ რამდენიმე საათი მჭირდებოდა საკუთარი თავის შესაზადებლად, იმისათვის, რომ 10-ობით მილიონ მანძილზე აკი მოძეკლა ან შეხეკო, 24 საათში ისეთი ინტენსივობის სასიცოცხლო ძალები მოძეკრება, რომ ხუთ წუთში საჯლო დამუძინებინა.

ამავე დროს, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა და მკდელობისა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ვერაფრით ვერ მივალწიე „თვითგახსენებაში“ წარმატებას: ვერ მოვახერხე, შემძლებოდა თავის გამოვლენა არა ჩემი ბუნების, არამედ ჩემი „კონცენტრირებული ვონების“ წინასწარი მითითების შესაბამისად.



ვერაფრით მივალწიე „თვითგახსენების“ მღვდმარეობას, რომელიც საკმარისი იქნებოდა თუნდაც ასოციაციების ნაკადის შესაჩერებლად. რომელიც ავტომატურად მივდინებოდა ჩემს ცნობიერებაში, როგორც ჩემი ბუნების ზოგიერთი არასასურველი შემკვიდრეობითი ფაქტორის შედეგი.

როგორც კი ჩემში დაგროვილი ენერჯია, რომელიც აქტიურ ძველმარეობაში ყოფნის საშუალებას მაძლევდა, გამოშვება, მაშინვე დაიწყო ასოციაციური აზრებისა და გრძნობების დინება იმ ობიექტების მიმართულებით, რომლებიც ჩემი ცნობიერების იდეალებისაგან დაამეტრალურად განსხვავდებოდნენ.



როცა არ მქონდა დაკმაყოფილების გრძნობა საკვებითა და სექსით, ჩემი ასოციაციების წამყვანი ფაქტორებით, მჩვენებოდა, რომ სამკვივარს მიხდიდნენ ხოლო სრული დაკმაყოფილების ძველმარეობაში ასოციაციები საკვებითა და სექსით მომავალში საიმპონების ძღვების ან საკუთარი თავით ტკობის, ამპარტაუნების, სიამაყის, ეჭვიანობისა და სხვა ტიპის ვნებების თემებისკენ მიემართებოდნენ.

ბევრს ვფიქრობდი და უკვდილობდი, სხვებთანაც გამერკვია ჩემს შინაგან სამყაროში ასეთი საშინელი სიტუაციის შექმნის მიზეზები, მაგრამ აბსოლუტურად ვერაფერი ვაკარგვი.

ერთი მხრივ, ნათელია, რომ აუცილებელია „ვახსოვდეს საკუთარი თავი“ ფოველდლიური ცხოვრების პროცესში; მეორე მხრივ კი, აშკარად საჭიროა გამოიჩინო ვერადლება, რომელიც სხვა ადამიანებთან კონტაქტის საშუალებას მოგცემს.

თუმცა ცხოვრების განვლილ ვაზზე ყველაფერი უკადუ, კატარბდი ათასჯარ ნიშანს, როგორც ფაქტორს, რომელიც მუდმივად ვამახსენებდა ამას, მაგრამ არაფერი მშველოდა. შესაძლოა, ცოტათი მშველოდა კიდევ, ვიდრე ამა თუ იმ ნიშანს ვატარებდი, მაგრამ როგორც კი მის ტარებას ვწყვეტდი ან ვუჩვეოდი მას, იმავე წამს ყველაფერი უწინდელ ძველმარეობას უბრუნდებოდა.





არანაირი გამოსავალი არ არსებობს. . . არა, მიუხედავად ამისა, ის მაინც არსებობს. უნდა ერთადერთი გამოსავალი - სადღაც ჩემს "განცხრობას" უნდა მქონდეს, ასე ვთქვათ, „მმართველი ფაქტორი“, რომელსაც არასოდეს სძინავს.

უფრო ზუსტად კი, ფაქტორი, რომელიც ნებისმიერ ჩემთვის ჩვეულ მდგომარეობაში ყოველთვის შემახსენებს ამას, რომ „საკუთარი თავი უნდა მახსოვდეს“.

მაგრამ რა არის ეს!!! შესაძლებელია კი ასეთი რამ?!!!

ეს ახალი აზრია!!!

რატომ აქამდე არ მომივიდა თავში ასეთი მარტივი აზრი?

ნუთუ აუცილებელი იყო, აძენ ხანს ასე დავტანჯულიყავი ფიზიკურადაც, მორალურადაც მხოლოდ იმისთვის, რომ ახლა მომეკებოდა ასეთ შესაძლებლობაზე ფიქრის საშუალება?

თუნდაც ამ შემთხვევაში რატომ არ შემეძლო „უნივერსალური ანალოგიის“ პოვნა?

აქაც ღმერთია!!! ისევ ღმერთი!!!

მხოლოდ ის არის ყველგან და მასთანაა ყველაფერი დაკავშირებული.

მე აღამაანი ვარ და ასეთად სწორედ მან შემქმნა, სხვა დანარჩენი ცოცხალი ორგანიზმების გარეგნული ფორმებისგან განსხვავებით, სახედ თვისად შემქმნა!



ის ღმერთია! მაშინ გამოდის, რომ მეც ვარ ყველა იმ შესაძლებლობისა თუ შეუძლებლობის მატარებელი, რომლებიც მას გააჩნია. ჩემსა და

მას შორის განსხვავება  
მხოლოდ მასშტაბებში  
უნდა იყოს.

რადგან ის ღმერთია

ყოველივესი, რაც სამყაროში არსებობს, მას შესაბამისად,  
რადაც არსებულის ღმერთი მეც უნდა ვიყო ჩემს შკალაზე.



ის ღმერთია! და მეც ღმერთი ვარ! რა შესაძლებლობებიც  
მას გააჩნია ყოველივე არსებულისადმი მთელს სამყაროში,  
ისეთივე შესაძლებლობები და შეუძლებლობები უნდა  
მქონდეს მეც იმ სამყაროსთან მიმართებაში, რომელიც  
ჩემს დაქვემდებარებაშია.

ის მთელი სამყაროს ღმერთია, მე კი - ჩემი შინაგანი  
სამყაროსი.

მეც ღმერთი ვარ, მხოლოდ ჩემი შინაგანი სამყაროსი.

ის ღმერთია! და მეც ღმერთი ვარ!

ყველაფერში და ყველაფრისთვის ერთნაირი  
შესაძლებლობები და შეუძლებლობები გვაქვს!

რაც შესაძლებელია ან შეუძლებელია მისი დიდი სამყაროს  
სფეროში, შესაძლებელი ან შეუძლებელი უნდა იყოს  
ჩემი პატარა სამყაროს სფეროშიც.

ეს ისევე ნათელია, როგორც ის, რომ ღამეს აუცილებლად  
ღლე უნდა მოხვედეს. კი მაგრამ, აქამდე როგორ ვერ  
შევნიშნე ასეთი ვასაოცარი ანალოგია?

ყოველთვის ძლიან ბევრს ვფიქრობდი სამყაროს შექმნასა  
და სიცოცხლის არსებობის შენარჩუნებაზე; საერთოდ,  
ღმერთზე, მის საქმეებზე; ბევრ ადამიანს ველაპარაკებოდი  
ამ მატერიალებზე, მაგრამ არასოდეს მომსვლია თავში ასეთი  
მარტივი აზრი.



მიუხედავად ამისა, ეს სხვაგვარად მანც ვერ იქნება. ყველაფერი, გამონაკლისის გარეშე, მიუღწეველია გურჯიანის ყველა ისტორიული მონაცემი იქამდე მიღის, იმას ადასტურებს, რომ ღმერთი აბსოლუტურ სიკეთეს წარმოადგენს; ის ყოვლისმოყვარე და ყველაფრის მიმტკეპელია, ის სამართლიანი სიმშვიდისმოყვარეა ყოველივესთვის, რაც არსებობს.

ამვე დროს, ჩნდება კითხვა: მან, არის რა ის, ვინც არის, რატომ უნდა მოიკეთოს თავისგან ერთ-ერთი უახლოესი არსება, მის მიერვე შექმნილი უსაყვარლესი ძე, მხოლოდ „ამპარტავენების ვზაზე“ შედგომის გამო, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი ახალგაზრდისთვის – ინდივიდისთვის, რომლის ფორმირებაც ვერ არ დასრულებულა – და რატომ უნდა მანიჭოს მას თავისივე თანაბარი, მხოლოდ საწინააღმდეგო თვისებების მატარებელი ძალა?

მხედველობაში მყავს „ემსაკი“.

ამ აზრმა მზესავით განათა მთელი ჩემი შინაგანი სამყარო და ამჟამად ფაქტად აქცია ის, რომ ამ უზარმაზარ სამყაროში პარმონიული წყობის შესანარჩუნებლად აუცილებელია რაღაც ტიპის გამახსენებელი ფაქტორის მუდმივად შენარჩუნება.

სწორედ ამ მიზეზით, ანუ, ყოველივეს შესანარჩუნებლად, რაც შექმნა, თავად ჩვენი შემოქმედი იძულებული იყო, თავის ძეთაგან ერთ-ერთი უსაყვარლესი ასეთ, ობიექტური თვალსაზრისით, დამამცილებელ მღვდომარეობაში ჩავეყენებინა.

ამიტომ ახლა მეც საკუთარი პატარა შინაგანი სამყაროსთვის ჩემ გარეთ რომელიმე საყვარელი ფაქტორისგან უნდა შევქმნა მსგავსი უშრეტი წყარო.





ჩნდება კითხვა:

რა არის ჩემს ჩვეულებრივ არსებობაში ისეთი, რაც, თუ კი მას მოვიშორებ, ვოველთვის შემახსენებს ჩემი სხვადასხვაგვარი ძველმართობის შესახებ?

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, იმ დასკვნამდე მივდი, რომ საერთოდ უნდა შემეწყვიტა იმ განსაკუთრებული ძალის გამოყენება, რომელიც მქონდა, რომელიც შევნებულად განვაჯივთარე ჩემში და, აღბათ, სწორედ მაშინ მოხდებოდა ჩემგან ასეთი მუდმივშემხსენებელი წყაროს გამოდევნა.

კერძოდ, ლაპარაკია ძალაუფლებაზე, რომელიც დაძვარებულა „ხან-ბლედ ზოინის“ არეში კონცენტრირებულ ძალაზე, ან, როგორც სხვები უწოდებენ, ტელეპატიისა და აქპროზის ძალაზე.

უმთავრესად ამ ჩემი უნარის წყალობით, რომელიც თავად გამოვიმოშავე ჩვეულებრივი ცხოვრების პროცესში, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, სიღრმისეულად გავეფუჭდი და გავირყვენი, რის გამოც დიდია აღბათობა იმისა, რომ ეს უნარი ცხოვრების ბოლომდე დარჩება ჩემში.

ამიტომ, თუ შევნებულად მოვაკლებ ჩემს თავს ამ სიკეთეს, რომელიც ჩემი არსების ნაწილია, ვეჭვარეშა, ყოველთვის და ყველაფერში ვეგრძნობ, რომ ის მაკლია.

ვიფიქვ, მუდამ მახსოვდეს, რომ არასოდეს გამოვიყენო ჩემი ეს ნიჭი და ამით საკუთარ თავს მოვაკლო მანკიერებათა დაკმაყოფილების საშუალება. სხვა აღამანებთან ერთად ცხოვრების პროცესში ეს საყვარელი უნარი ჩემთვის საკუთარი თავის მუდმივად გახსენების ფაქტორად იქცევა.



არასოდეს, რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცხოვრო, არ დამაფიცვდები ჩემი განცდა, რომელიც მაშინ გამოჩნდა, როცა იქ ყველგან ერთდროულად ღღეს ზემოთ ხსენებული თვითდარწმუნება მოხდა ჩემში; ამას მოჰყვა დასკვნა, რომელიც, აგრეთვე, უკვე მოგახსენეთ ზემოთ.

როგორც კი ბოლომდე გავიაზრე ამ იდეის არსი, თითქოს ხელახლა დავიბადე; წამოვხტი და წყაროს გარშემო დავიწვეე სირბილი, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, პატარა ხბოსავით დაკკუნტრუშებული.

ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გადავწყვიტე, მთელი ჩემი არსებით ფიცი დამეღო საკუთარ თავთან იმ დროს, როცა გონება ჩემთვის კარგად ნაცნობ მდგომარეობაში იყო, არასოდეს აღარ გამომეყენებინა ჩემი ეს ნიჭი.

აგრეთვე უნდა აღენიშნო, რომ, როცა ფიცს ედებდი, ცხოვრებაში არასდროს აღარ გამომეყენებინა ჩემი ეს თვისება, იქვე ერთი შენიშვნა გაეკეთე: ჩემი ფიცი არ ვრცელდებოდა ამ ნიჭის სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევებზე.

მაგალითად, მაშინ ძალიან მაინტერესებდა და ეს ინტერესი ბოლომდე ახლაც არ გამწვანდება, მედიუმის გამოყენების გზით შორეული კოსმოსური ობიექტების ხილვადობის რამდენიმე ათასჯერ გაუმჯობესების, აგრეთვე, შთაგონების ძალით კბობს მკურნალობის საკითხები.

ეს ყველაფერი იქ ჩემს მეორედ ჩასვლამდე დაახლოებით ორი წლით ადრე ხდებოდა.

მეორე ვიზიტის ბოლოს მთელი ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი ორ ნაწილად გაიყო, ამჯერადაც ჩემი თავისუფალი აზროვნების წყალობით, ანუ აზროვნებისა, რომელიც არ ექვემდებარება სხვა ადამიანების ავტომატურ ზეგავლენას.

უბედურება ისაა, რომ ამ დრომდე ჩემი შინაგანი სამყაროს მიზანი კონცენტრირებული იყო მხოლოდ ერთ დაუოკებელ სურვილში, ყველა მხრიდან გამომეკვლია და ჩაეწვდომოდი ადამიანის ცხოვრების ზუსტ აზრსა და მიზანს.



დღემდე ჩემი თითოეული საქმიანობა, რომელსაც ვიწყებდი, ყველა შეცდომა ან წარმატება ჩემი შინაგანი სამყაროს ამ ერთადერთ მიზანთან იყო დაკავშირებული.

იმ დროს ჩემი მუდმივი მოგზაურობებისადმი მიდრეკილებაც და მისწრაფებაც, ხელი შეშენყო ადამიანთა თანაცხოვრების მოწყობისათვის

პროცესისთვის იმ ადგილებში, სადაც ისეთი მკვეთრი ენერგული მოვლენები ხდებოდა, როგორებიცაა: სამოქალაქო ომი, რევოლუციები და ასე შემდეგ, აგრეთვე, ამ ერთადერთი მიზნიდან გამომდინარეობდა.

პირველ რიგში, ამ მოვლენების დროს იმ საკითხების გასარკვევად, რომლებიც ჩემს ძირითად მიზანთან იყო დაკავშირებული, შევკრიბე მასალა, რომელიც უფრო კონცენტრირებული და, ამდენად, უფრო პროდუქტიული იყო.

მეორეც, როგორც მეხსიერების შედეგი ჩემს ავტობიოგრაფიულ აზროვნებაში ყველა იმ საშინელებაზე, რაც დამახასიათებელია ძვალადობრივი მოვლენებისთვის, რომელთა მომსწრე ვავხლდი, და ბოლოს, იმ დაგროვილი შთაბეჭდილებებიდან, რაც რევოლუციონერებთან საუბრების დროს მივიღე წინა წლებში ჯერ იტალიაში, შემდეგ – შვეიცარიაში დაბოლოს, სულ ცოტა ხნის წინ – ამიერკავკასიაში, ჩემში ნელ-ნელა ჩამოყალიბდა, გარდა უწინდელი ერთადერთი მიზნისა, კიდევ ერთი დაუოკებელი მიზანი.

ჩემი შინაგანი სამყაროს ახლად გაჩენილი მეორე მიზანი ზოგადად შემდეგში მდგომარეობდა: რაღაც არ უნდა დამეჯღოძოდა, უნდა მეპოვნა რაღაც გზა ან საშუალება, რომ დამეწერია ადამიანებში შთაგონებისკენ მიდრეკილება, რომელიც მათ აიძულებს, ადვილად მოექცნენ „მასობრივი პიპროზის“ გავლენის ქვეშ.

ამიტომაც, ამ ჩემი შინაგანი სამყაროს მიზნის ზემოთ აღნიშნული „აღორძინების“ შემდეგ, როცა პარალელურად ჩემი ჯანმრთელობის აღდგენის პროცესიც მიდიოდა, გონებაში ჩემი მომავალი მოქმედებების წინასწარი გეგმა შევადგინე.

მაშ ასე, იდეა, რომელმაც 6 ნოემბრის საღამოს უცებ იფეთქა ჩემში, შემდეგში მდგომარეობდა:

როგორც ჩანს, ბოლო დღეებში ჩემ მიერ განცდილი საშინელი უიმედობა და შინაგანი ძალების უჩვეულოდ დამაბული ბრძოლა, რომელიც იმ დილას თითქმის ბოდვისმგვარ თავდაჯერებაში გამოიხატა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა პირდაპირი შედეგი იმ თავდაჯერებისა, რომელიც დაახლოებით 30 წლის წინ ხდებოდა გობის უდაბნოს განაპირას, როცა თითქმის იმავე მდგომარეობაში ვიყავი, როგორშიც ახლა ვარ.





ამიტომ ოდნავ მოეშობინდი თუ არა, მაშინვე განვაგრძე ჩემი კვლევა, მაგრამ ამჯერად - ერთის ნაცვლად უკვე ორი განსხვავებული მიზნით.

აქ აღარ ვილაპარაკებ იმაზე, ამის შემდეგ რა მოვიმოქმედე, არც იმის შესახებ ვიამბობთ, როგორ ვიკმაყოფილებდი ჩემს შინაგან „ორთავიან ცნობისმოყვარობის ჭიას“, რადგან ეს უკვე აღწერე დაწვრილებით ჩემი ნაწერების შესამე სერიის ერთ-ერთ წიგნში.

მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აუცილებლად მივიჩნიე, სადმე შექმნა „დამხმარე ინსტრუქტორების მოსამზადებელი“ დაწესებულება იმ მიზნით, რომ ადამიანების ცხოვრებაში შეშეტანა ის ცოდნა, რომელსაც უკვე დავუფულე.

როცა ეს აუცილებლობა გაჩნდა, მაშინ „შედარებითი ანალიზის“ შედეგად ამ მიზნისთვის ყველაზე შესაფერის ქვეყნად რუსეთი ჩავთვალე.

ამ მიზნით 1912 წელს რუსეთის გულში, ქალაქ მოსკოვში, აღმოჩნდი, სადაც დავიწყე ასეთი დაწესებულების შექმნა და მას „ადამიანის პარმანიული განვითარების ინსტიტუტი“ დავარქვი.

ორწლიანი მუდმივი ფსიქო-ფიზიკური დამატული მუშაობის შედეგად საქმე სწრაფად მიიწვედა წინ და უკვე უნდა დასრულებულიყო კიდევ, მაგრამ მოულოდნელად ომი დაიწყო; ომი, რომელზეც არაეინ ფიქრობდა, რომ ამდენ ხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ რომელმაც ნელ-ნელა ქრონიკული სახე მიიღო და ახლა უკვე მსოფლიო ომის სახელითაა ცნობილი.

ნელა გადიოდა წლები; ეს წლები ჩემი საწყალი ფიზიკური სხეულისგან უკვე განუწყვეტლივ მოითხოვდა არა მარტო დამატულ შრომას, არამედ დღეში რამდენჯერმე წოვდა მისგან ყოველგვარ სასიცოცხლო ძალას, რომელიც ნებისყოფისა და მოთმინებისთვის იყო დავროვილი.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მე უკვე ვიწყებდი შევუებას იმ პირობებთან, რომელიც კაცობრიობის ამ საერთო ბოროტების მიერ იყო შექმნილი, როცა მოულოდნელად, ძალიან ნ-ე-ლ-ა და ძალიან ა-რ-ა-მ-ო-მ-ა-ბ-ე-ზ-რ-ე-ბ-ლ-ა-დ გამოჩნდა მადამ რუსეთის რევოლუცია.

ამ პატივცემულმა ლედიმ, თუმცა ჯერ არც თუ ისე მყარად იდგა მიწაზე, ჩემს საბრალო ფიზიკურ სხეულს მაშინვე ისეთი იარები და დაზიანებები მიაყენა, რომ სულ მალე მისი ყოველი ატომი





შეიკუმმა შიშისგან და ვერც ერთი წუთით ველარ პოულობდა სიმშვიდეს.

წელა გადიოდა თვეები, მე კი ისეთი გრძობა მქონდა, რომ საუკუნეები გაეიდა; ჩემი გარეგანი სამყარო უპაერობისგან კონკულსიებში ჩავარდა, მაგრამ მაინც მიდიოდა გამოცოცხლების პროცესი, რომელსაც მუდმივად ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორები იწვევდა ჩემს შინაგან სამყაროში; ამ გამოცოცხლებამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია.

ამ შინაგანი გამოცოცხლების მდგომარეობაში ისე დავიწყე მოქმედება, რომ საერთოდ არ ვფიქრობდი მომავლის პერსპექტივებზე.

აქ ჩემი ფიზიკური სხეულისთვის კიდევ ერთხელ დაიწყო „ფოკუსების“ წყება, რომლებიც უჩვეულო ადამიანის ფსიქიკისთვის.

მაშინვე გავაგრძელე ჩემი მოგზაურობა ისევ გაუვალი გზებით, ამჯერად - კავკასიის მთებში. რა თქმა უნდა, მას, როგორც ასეთი მოგზაურობების დროს ხდება ხოლმე, ხშირი შიმშილი და სიცივე ახლდა თან; ეს ემატებოდა იმ მუდმივ ღელვას ჩემს ახლობელ ადამიანებზე, როგორც მათზე, ვინც ამ ქაოსში უკან დამრჩნენ, ისევე მათზე, ვინც ჩემ გვერდით იყვნენ. მერე, გარდა იმისა, რომ მძიე ფორმის დიზინტერია დაშემართა, გამიხსენა „ანგინამაც“ (ანგინა პეტტორის), ძველმა ავადმყოფობამ, რომლისგანაც სრულიად განკურნებული მეგონა თავი.

ამის მერე იყო რამდენიმე თვე უშკაცრეს პირობებში ცხვრებისა და ერთი ადგილიდან მეორეზე მოგზაურობისა, რომელსაც სხვა დანარჩენთან ერთად თან სდევდა გარდაუვალი აუცილებლობა მუდმივად „დადარაჯებულად“ ყოფნისა, რათა ან მე და ან ჩემი ახალგაზრდა თანამგზავრები, რომლებსაც ვერ არ გაეხინჯათ ადამიანის ცხოვრების „დელიკატესების“ გემო, იმ დროისთვის საერთო ვეროპული „პოლიტიკური ფსიქოზის“ მსხვერპლად არ კეცეულიყავით.

მერე - ორწლიანი განუწყვეტელი ფსიქოფიზიკური მუშაობა ინსტიტუტის ორგანიზებისთვის, ამჯერად უკვე საფრანგეთში.

ჩემი ხანგრძლივი და უცნაური ცხოვრების სწორედ ამ მომენტში კაპრიზულმა და თავნება ბედმა ახალი სიურპრიზი მომიმზადა, ეს იყო მისი მთავარი ხუმრობა.

იმ დროისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ, ერთი მხრივ, მთელი ის მატერიალური რესურსები, რაც ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე მქონდა, სამუდამოდ დაკვარვე და, მეორე მხრივ, სამ თვეში თუ სულ





ცოტა ერთი მილიონი ფრანკი მაინც არ შექნება, ნამდვილად სრული ბანკროტი ვიქნები, თანაც სამუდამოდ.

ჩემს უბედურ ფიზიკურ სხეულში, რომელიც, მთლად ძალაგამოცლილი, უკიდურეს ზღვარზე იყო მისული განსაკუთრებით ბოლო ორი წლის დამძებული მუშაობით, ამ ორი სიურპრიზის გამო ჩემი აზროვნება ისეთი პროპორციებით გაიზარდა, რომ ტვინი თავის ქალაში ვეღარ ეტეოდა.

მაგრამ მოხდა სასწაული და თავი არ გამისკდა, ამიტომ გადავწყვიტე, სარიისკო მოგზაურობა მომეწყო ამერიკაში; იქ ბევრ ხალხთან ერთად გავემგზავრე, რომელთაგან უძრავლესობამ ჩემსავით არც ერთი სიტყვა არ იცოდა ადგილობრივ ენაზე და არც ერთს გროშიც კი არ ედო ჯიბეში.

და აი, მაშინ ამ ყველაფრის დამაგვირგვინებელ ფინალურ აკორდად ჩემი დაუმღურებელი სხეული, რომელსაც უკვე აჩნდა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების კვალი, რომლებიც განვლილი ცხოვრების გზაზე ჰქონდა მიღებული, 90 კილომეტრი საათში სიჩქარით მიმავალი ავტომობილით ყველაზე უმსხვილეს ხეს შეასკდა. ეს ამერიკიდან ევროპაში დაბრუნებიდან ერთ თვეში მოხდა.

როგორც გაირკვა, ასეთი „პრომენადის“ შემდეგაც ვერ გავნადგურდი საბოლოოდ და რამდენიმე თვის შემდეგ, ჩემდა საუბედუროდ, ჩემს სრულიად დასახიჩრებულ სხეულში კვლავ დამიბრუნდა გონება სრული ძალითა და მთელი თავისი უწინდელი ატრიბუტებით.

ამის შემდეგ ძალიან მალე ჩემ წინაშე წამოიჭრა და სრულიად აშკარა გახდა ორი ფაქტი:

პირველი ფაქტი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველაფერს, რაც მეტ-ნაკლებად მაინც მოვაშხადე ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩემი მონაგანი სამყაროს მეორე მთავარი მიზნის მისაღწევად, ხანგრძლივი პაუზის გამო, ვკულისხმობ ჩემს უშუალო მონაწილეობას, უსათუო დაღუპვა ემუქრებოდა.

მეორე იმაში მდგომარეობდა, რომ ის ზიანი, რომელიც საავტომობილო ავარიის გამო მიაღვა ჩემს ფიზიკურ სხეულს, თუკი ოდესმე ანაზღაურდება და ჩემი ჯანმრთელობა აღდგება, ეს მალე ნამდვილად არ მოხდება.

როცა ეს ორი უტყუარი ფაქტი სრულად გავაცნობიერე, ჩემში დაიწყო ამ ორი ფაქტის



როგორც ფიზიკური, ასევე მორალური სფეროების მომკვლელი შინაგანი ტანჯვა.

იმ დროისთვის უკვე შექმნილი სახლში გადაადგილება და ავტომობილით მოძრაობაც კი, მხოლოდ ამას, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვინმეს დახმარებით ვაკეთებდი.

ვცდილობდი რა, გარეგნულად მუდამ მშვიდი იერი შექმნარჩუნებინა, რათა ჩემი ახლობლებისთვის დამატებითი საზრუნავი არ გამეჩინა ამ შინაგანი ორი სახის ტანჯვის აკომპანიმენტის თანხლებით სულ ვფიქრობდი, ვფიქრობდი, განუწვევებელი ვფიქრობდი ჩემს მღვდმარეობაზე.

სწორედ ამ ფიქრის პარალელურად ჩემში აგორდა მორალური სატანჯველის მეორე ტალღა.

უფრო ზუსტად რომ ვითხრათ: მე მიეხვდი და რამდენიმე დღის შეუმჩნეველი დაკვირვების შემდეგ გარკვევით დავადგინე ის ფაქტი, რომ ჩემი გულით საყვარელი ცოლის ავადმყოფობა იმ საპეციალური მკურნალობის შეწყვეტის მიზეზით, რომელსაც მე უტარებდი, აგრეთვე, იმის გამო, რომ ჩემი ავადმყოფობის დროს ჩემი მოვლის პროცესში მან სრულიად დაივიწყა საკუთარი თავი, ისე იყო მიშვებული, რომ იმ დროისთვის უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი განკურნების შესაძლებლობა.

ამას ისიც დაემატა, რომ ექიმები, რომლებიც დედაჩემს მკურნალობდნენ და რომლებიც ისე მოდიოდნენ ჩემთან, როგორც ძველი მეგობრები, ხშირად მიმანიშნებდნენ, რომ სულ უფრო სწრაფად ხდებოდა მისი ქრონიკული ავადმყოფობის პროგრესირება.

მე შეგნებულად მოვიშორე თავიდან ამ მეორე ტალღის მორალური სატანჯველის მიზეზებზე ფიქრი, რადგან ამკარად ვკრძობდი საკუთარ უსუსურობას.

მთელი ყურადღება შეგნებულად გადავიტანე პირველი ტალღის მორალური ტანჯვის მიზეზებსა და მათი შედეგების გააზრებაზე, რათა ტანჯვის მეორე ტალღისთვის ამერიდებინა თავი.

მხოლოდ მაშინ, მრავალი დღის ძალიან აქტიური და სერიოზული ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე საკუთარი მიზნებისთვის გამომეყენებინა ის ერთადერთი საშუალება, რომელიც ჩემს იმჟამინდელ მღვდმარეობაში იყო ჩემთვის ხელმისაწვდომი.

გადავწყვიტე, ჩემი შინაგანი სამყაროს ვველა ფუნქცია ერთი მიზნისკენ მიმემართა – როგორმე უნდა მომეხერხებინა, გადმომეცა



თავად არსი იმ მასალისა, რომელსაც შუქი მოკვდინე მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ და სულ ერთი, რელიგიური აღწერილობითი ფორმით გავაკეთებდი ამას.

ამ გადაწყვეტილებით იმავე დღეს დავიწყე კარნახი. ეს მოხდა 1925 წლის 1 იანვარს.

ზემოთ ეთქვი, კარნახი დავიწყე - მეთქი, რადგან იმდენად დასუსტებული ვიყავი, რომ წერა არ შემეძლო. მხოლოდ კარნახს ვახერხებდი.

იმ მომენტიდან ფიზიკური ტანჯვით, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდებოდა და რომელსაც ხშირად თან ახლდა მეორე ტალღის მორალური ტანჯვა, ვწერდი, განუწყვეტლივ ვწერდი, ცვლილებები შემქონდა და კვლავ ვწერდი.

სულ თავიდან, ჩემთვის უფრო ნათელი რომ გამეხადა ჩემი იდეის თხრობის ლოგიკური კავშირი და თანმიმდევრული განვითარება, წესად შემოვიღე როგორც სახლში, ასევე მოგზაურობისას ხმაძალა კითხვის საღამოები, რომლის დროსაც სხვა ადამიანების თანდასწრებით უესმენდი ამა თუ იმ ნაწყვეტს, რომელზეც იმ დროს ვმუშაობდი.

ეს ადამიანები ყოველთვის იყვნენ ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც კვლავ ჩემ გვერდით რჩებოდნენ. ან ჩემი იდეების ძველი მიმდევრები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც შემთხვევით გადავეყარე მოგზაურობების დროს ანდა ისინი, ვინც, ძველი ჩვეულების თანახმად, პერიოდულად განაგრძობდნენ ჩემთან სტუმრობას.

იმ დროისთვის ჩემს მდგომარეობას, როგორც ზემოთ ავიწერეთ, უკვე ვაკონტროლებდი და, როცა სექტემბერში ზუსტად გავარკვიერასთან მქონდა საქმე, მას შემდეგ ხშირად ვფიქრობდი ამაზე, ეს ფიქრი კი იმ შედეგით დასრულდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ნოემბერს კატეგორიულ გადაწყვეტილებაზე მივედი, რომლის შესახებაც ქვემოთ ვაიმბობთ.

ამიტომ ახლა, ყველა ამ ახსნა-განმარტების შემდეგ, ვფიქრობ. ნებისმიერ მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, როგორი დილემა იდგა ჩემ წინაშე, როცა თითქმის სამი წელი წარმოუდგენელი სირთულეების პირობებში ვიმუშავე და უკვე მშვიდად სიკვდილს ვაპირებდი, გარკვევით და ნათლად მივხვდი, და ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ადამიანები, რომლებიც არ მიცნობდნენ, ჩემი



ნაწერებიდან აბსოლუტურად ვერაფერს გაიგებდნენ. ჩემი კატეგორიული გადაწყვეტილება, რომლამდეც 1927 წლის 6 ნოემბერს მივედი, შემდეგში მდგომარეობდა:

უნდა მომეხდინა მთელი ჩემი არსების როგორც შეძენილი, ასევე მემკვიდრეობითი უნარებისა და შესაძლებლობების მობილიზება და დამღვევი ახალი წლის მოსვლამდე, ეს სწორედ ის დროა, როცა ლბრთის მიერ შექმნილ ქვეყანას მოვევლინე, მომეძებნა ამ სიტუაციიდან დამაკმაყოფილებლად გამოსვლის რამე საშუალება.

თუ ასეთი საშუალების მოძებნას ვერ მოვახერხებდი, იმ შემთხვევაში ძველი წლის ბოლო საღამოს უნდა დამეწყო ჩემი ჩანაწერების განადგურება და დრო ისე უნდა განმესაზღვრა, რომ ზუსტად ღამის 12 საათზე ჩანაწერების ბოლო გვერდთან ერთად საკუთარი თავიც უნდა გაქმნადგურებინა.

ამ დღიდან მოყოლებული ვცდილობდი რა, გარეგნულად კვლავაც ისე მეჩუშავა, როგორც მანამდე, ისე რომ ჩემი უჩვეულო მდგომარეობა გარშემომყოფთათვის შესაძინევი არ ყოფილიყო, ჩემი აზრები ამ ერთადერთი კითხვისკენ მივმართე: როგორ გამოვსულიყავი ამ სასოწარკვეთილი მდგომარეობიდან.

ვინაიდან ჩემს საკითხზე განზრახ ძალიან დამახულად ვფიქრობდი, ერთ-ორ დღეში ყველა აზრი, რომელიც ავტომატურად ჩნდებოდა ჩემში, აგრეთვე ავტომატურად მხოლოდ ამ საკითხთან მიმართებაში ვითარდებოდა.

დრო მიდიოდა. საშობაო არდადეგები ახლოვდებოდა.

ვიყავი რა შინაგანად სულ ამ ფიქრებით მოცული, საგრძნობლად გაუხლი და დავხუსტდი; თან, რაც ყველაზე ცუდი იყო, ამას იხივ დავმატა, რომ რატომღაც კვლავ იჩინა თავი ჩემი წარსულის აუადმყოფობებმა, რომლებიც წლების წინ მქონდა გადატანილი.

კარგად მახსოვს, სწორედ ამ პერიოდში, ერთხელ, როცა ფიზიკურად სრულიად ძალაგამოცლილმა და დაქანცულმა ავტომობილით როგორც იქნა ვადმოვიარე პირინეის უღელტეხილის ყველაზე სახიფათო მოყინული დაღმართი და ერთ პროვინციულ უსახურ კაფეში ვიჯექი, საყვედურით ვკითხე საკუთარ თავს:

აი, ახლა, კონკრეტულად რისი ვაკეთებაა აუცილებელი იმისათვის, რომ, პირველ რიგში, ბოლომდე კმაყოფილი ვიყო იმით, რასაც ვწერ;





მეორეც, იმისათვის, რომ შესაფერისი პირობები შექმნა მათი ვაგრცელებისთვის?

მას შემდეგ, რაც ადგილობრივი „შშენების“, „არმაზის“, ბევრი ჭიქა გამოვცალე და საკმაოდ დიდხანს და სერიოზულად ვიფიქრე ამ კონკრეტულ კითხვაზე, პასუხს ასეთი ფორმულირება მივეცი:

ჩემი ეს ორი სურვილი, რომელიც აბსოლუტურად მაკმაყოფილებდა, შესრულებოდა სამი სრულიად განსაზღვრული პირობის შემთხვევაში.

პირველი – თავიდან უნდა გადამეწერა ჩემი ჩანაწერები, მხოლოდ ახალი ფორმით; ფორმით, რომელსაც ახლა მივხვდი.

მეორე – ამის პარალელურად უნდა შემესწავლა და ყოველ მხრივ უნდა გამეჩვეა დეტალები ადამიანის ზოგადი ფსიქიკის ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი და ძალიან სიღრმისეული ზოგიერთი საკითხის შესახებ და ეს ინფორმაცია ჩემს ნაწერებში უნდა გამოემყვებინა.

და მესამე – ამ პერიოდში, ვიდრე წიგნებზე მუშაობას დავასრულებდი, უნდა მქონოდა საშუალება, ჩემი ფიზიკური სხეული და სული იმ დონემდე განმეახლებინა, რომ იმ დროისთვის, როცა ყველაფერს დავასრულებდი, თავად შემძლებოდა მათი ვაგრცელების პროცესის მართვა, თანაც იმ ენერგიულობითა და დაჟინებით, ახალგაზრდობაში რომ მივეოდა.

იმავე დღეს გზაში, როცა ამ ფანტასტიკური აზრებით ვიყავი მოცული, გამოვითვალე, სხვათა შორის, რომ ზემოთ ნახსენები ადამიანის ფსიქიკის უცნობი მონაცემების შესასწავლად და ჩემი ჩანაწერების ახალი ფორმით გადმოსაცემად დაახლოებით 7 წელი მაინც დამჭირდებოდა.

სხვათა შორის, აქვე მოგახსენებთ, რომ ამ შეიძლიანი პერიოდის გამოთვლასთან დაკავშირებით საკუთარი თავისადში ირონიული გრძნობაც კი გამოჩნდა და სწორედ მაშინ ვიფიქრე:

განა საინტერესო არ იქნება, მართლა ასე რომ მოხდეს, 7 წელი კიდევ რომ ვიცოცხლო და ამ პერიოდში ყველაფერი დავამთავრო, რაც განვიზრახე?

თუ მართლა ასე მოხდება, მაშინ, იმ ყველაფერთან ერთად, რაც დასრულდება, ეს სულ მცირე ერთი შესანიშნავი და ექსტრაორდინარული მაგალითი მაინც იქნება დეტალური პრაქტიკული მტკიცებულებისთვის შედეგის მიღების კანონზომიერებისა, რომელიც კოსმიური „შვიდგზისობის“ კანონიდან





კამომდინარეობს და რომელიც ჩემს ნაწერებში  
საკმაოდ დეტალურადაა თეორიულად ახსნილი.

შობის წინა დღეს, უკვე უკიდურესად დაღლილი  
და ძალაგამოცლილი როგორც მუდმივი აქტიური  
ფიქრით, ასევე ავტომობილით გადაბმული  
მგზავრობით, ჩემს სახლში, ფონტენებლოში,  
დაებრუნდი.

ავტომობილიდან რომ გადმოვედი, მაშინვე  
საწოლისკენ არ წავსულვარ, რომ დავწოლილიყავი, როგორც უკვე  
მიჩვეული ვიყავი; ამის ნაცვლად ბალისკენ გავემართე იმ იმედით,  
რომ იქ სიჩუმეში, ნაცნობ და მყუდრო გარემოში დაძაბულობას  
მოვიხსნიდი და ცოტა დავისვენებდი.

მცირე მანძილი ბორძიკით გავიარე და ვინაიდან ძალიან დაღლილი  
ვიყავი, პირველივე სკამზე ჩამოვჯექი, რომლამდეც ძლივს მივაღწიე.

ისე მოხდა, რომ სწორედ იმ სკამზე დავჯექი, რომელზეც ჩემი  
შწერლობის დაწვების პირველ წელს ჩვევად მქონდა ჯდომა და  
მუშაობა.

იმ დროს იქ ხშირად მოდიოდა ჩემი ორი უახლოესი ადამიანი. ეს  
ის ორადორი ადამიანი იყო, რომელთანაც ნამდვილ სულიერ ნათესაობას  
კვრძნობდი. ისინი ჩემ გვერდით აქეთ-იქით სხდებოდნენ.

ერთი ჩემი უსაყვარლესი მოხუცი დედა იყო, მეორე კი - ჩემი  
ერთადერთი და გულით საყვარელი ცოლი.

ამჟამად ორივე ეს ადამიანი, ჩემი შინაგანი სამყაროს ორადორი  
უახლოესი ადამიანი გვერდიგვერდ მშვიდად განისვენებს სასაფლაოზე,  
რომელიც ორივესთვის, ისევე როგორც ჩემთვის, სრულიად უცხო  
ქვეყანაშია.

ჯერ დედანჩემი გარდაიცვალა ღვიძლის დაავადებით ხანგრძლივი  
ავადყოფობის შემდეგ; რამდენიმე თვეში, ჩვენი დროის ყველაზე  
სამწინელი დაავადებით, კიბოთი, გარდაიცვალა ჩემი ცოლი.

ეს ქვეყანა, საფრანგეთი, სხვათა შორის, ამ ჩემი ორადორი უახლოესი  
ადამიანისთვის საბუდამო ნავსაყუდელად რომ იქცა, მაგრამ რომელიც  
ჩემი ბუნებისთვის მართლა სრულიად უცხო იყო, ჩემს განცდებში,  
მხოლოდ ამ მიზეზით, ჩემს მშობლიურ მიწად დარჩება მუდამ.

და აი, როცა ამ სკამზე ვიჯექი და თითქმის მექანიკურად  
პაკვირდებოდი ნაცნობ გარემოს, ჩემში იდეების ასოციაციით  
ამოტივტივება დაიწყო ემოციებმა, რომლებიც ამ ადგილზე მქონდა  
განცდილი.



უცებ გამახსენდა და ცხადად წარმოვიდგინე სურათი, რომელსაც აქტიური ფიქრისგან დასვენების ხანმოკლე პერიოდებში ვხედავდვარ ხოლმე.

სახელდობრ, ვხედავდი, ჩემგან ხელმარცხნივ ბილიკს ორი ფარშევანგის, კატისა და ძაღლის თანხლებით ნელი ნაბიჯით როგორ მოუყვებოდა მოზუცი დედა, რომელიც მუდამ მესხსომება.

აქ არ შემიძლია, არ ვიამბოთ დედაჩემისა და ზემოთ ხსენებული ცხოველების ურთიერთობის შესახებ, ვინაიდან ეს, მართლაც, უჩვეულო ამბავი იყო თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში.

ამ ოთხმა, ხასიათით სრულიად განსხვავებულმა ცხოველმა წინასწარ იცოდა, როდის გამოვიდოდა დედაჩემი სახლიდან. კართან იყრიდნენ თავს და მის გამოჩენას ელოდებოდნენ. ამის შემდეგ, სადაც არ უნდა წასულიყო ის, ისინიც მწყობრი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ თან.

კატა ყოველთვის წინ მიდიოდა, ფარშევანგები აქეთ-იქით გვერდზე მიჰყვებოდნენ, ძაღლი კი უკან მისდევდა.

ჩვეულებრივ, სწორედ იმ დროს, როცა დედაჩემი გამოდიოდა სახლიდან, რომელსაც „Le Paradou“ ერქვა და ჩემი მიმართულებით მიდიოდა თავისი სახლიდან, რომელსაც „La Prière“ ერქვა, გამოდიოდა ჩემი ცოლი, რომელიც აგრეთვე ჩემკენ მოემართებოდა.

ორივე ტროსტით და ორივე წელში მოხრილი დადიოდა.

გამოვიტყდებით, პირველის წელში მოხრილი ფიგურა ისე ძალიან არ მაფიქრებდა, რადგან ეს ნორმალ მიმანდა ნებისმიერი მის ასაკში მყოფი ადამიანისთვის.

რაც შეეხება მეორის მოხრილ პოზას, ვერაფრით ვეგუებოდი; ყოველ ჯერზე, როცა ამას ვხედავდი, ჩემში პროტესტის გრძნობა იღვიძებდა და გული ისე მიძგერდა, როგორც სირბილის დროს უცებ გაჩერებულ ცხენს.

ამის მიზეზი ის იყო, რომ სულ რაღაც 18 წლის წინ ამ, ახლა წელში მოხრილი და სახეგაყვიითღებული ქალის გამო, რომელიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა სანკტ-პეტერბურგში გამართულ



სიღამაზის კონკურსზე, იმ დროს გაფურჩქვნის ხანაში მყოფმა ცნობილმა ლენა კავალერიმ თავისი პირველი პრიზი დაკარგა.

ვიჯექი რა მშვიდად და არანაირად არ ვუშლიდი ხელს ამ ორ უძვირფასეს ქალზე ფიქრთა ავტომატურ დინებას, რომელიც ამ



ადგილთან იყო დაკავშირებული, გამახსენდა და თავიდან განვიცადე ის ძალზედ გულის ამაჩუყებელი გრძნობა, რომელსაც არც თუ იშვიათად განვიცდიდი, როცა ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ხოლმე.

გამახსენდა, რა ხშირად ხდებოდა, როცა ისინი ჩემ გვერდით ისხდნენ, ერთი – მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ, თან ისე ახლოს, რომ შეხებას ვგრძნობდი, ზოგჯერ, როცა წინ ვიხრებოდი ჩემს სამუშაოზე კონცენტრირებული, შეეძლოთ ჩემს ზურგს უკან ქურჩულათ, მხოლოდ ჩემად, ძალიან ჩემად, ისე, რომ ჩემთვის ხელი არ შეეშალათ.

მათი ეს ჩურჩული და ასეთი ურთიერთგაგება ყოველთვის ძალიან მიჩუქებდა გულს.

საქმე ისაა, რომ დედაჩემმა არც ერთი სიტყვა არ იცოდა ჩემი ცოლის ენაზე, ჩემს ცოლს კი სიტყვა არ ესმოდა იმ ენაზე, რომელზეც დედაჩემი ლაპარაკობდა.

მიუხედავად ამისა, ისინი არა მარტო ძალიან თავისუფლად ახერხებდნენ აზრების გაცვლა-გამოცვლას, არამედ ძალიან მოკლე დროში შეძლეს ერთმანეთისთვის ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მთელი თავიანთი ცხოვრების ისტორიის გაზიარება.

ამ ცენტრისკენული სიყვარულის საერთო ობიექტის გამო ძალიან მალე შექმნეს თავისებური დამოუკიდებელი დიალექტი, რომელიც რამდენიმე ენის ნაკრები იყო.

რადგან ჯერ კიდევ გრძელდებოდა ზემოთ ხსენებული განცდები, ჩემი ფიქრი შეუშინებლად კვლავ დაუბრუნდა თემას, რომელიც თვითდაკვირვების დროს მტანჯავდა.

ამ ფიქრში წამოვდექი და სახლში წასვლა დავაპირე, რადგან უკვე საგრძნობლად გრილოდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მოულოდნელად გამიჩნდა აზრი, რომელიც მცირე ხნის დაკვირვების შემდეგ აბსოლუტურად ნათელი გახდა ჩემთვის:

ამ ხნის განმავლობაში, როცა უაღრესად დაკავებული ვიყავი წერითი საქმიანობით, ჩემი შრომისუნარიანობის ხარისხი და პროდუქტიულობა იყო შედეგი და მას განაპირობებდა ის, თუ რამდენად ხანგრძლივად და მძიმედ ახდენდა ჩემი აქტიური აზროვნება ამ ორ უახლოეს ქალთან დაკავშირებით ჩემში მიმდინარე ტანჯვის ავტომატური, ანუ პასიური, განცდის კონსტატაციას.





რადგან თავიდანვე, როცა ფიზიკურად ვერ კიდევ სრულყოფილ დაუძღვრებულმა ჩემს ნაწერებზე მუშაობა დაიწყო, ადრევე შეხვედრულ ვიყავი და ამაში არც ერთი წამით არ შეპარებოდა ვცქვი მათი ჯანმრთელობის უიმელო მდგომარეობასა და მოახლოებულ სიკვდილში.

ამის შემდეგ კი, აი, რა ხდებოდა: თუ ოდნავ მაინც სუსტდებოდა ჩემი აქტიური ფიქრი წერის საკითხებთან დაკავშირებით, ჩემი არსების ყველა სულიერი ნაწილი ასოციაციურად დაუყოვნებლივ მათ გარშემო იწყებდა ტრიალს.

და ვინაიდან ნებისმიერ ასოციაციას, რომელიც მათთან იყო დაკავშირებული, თან სდევდა მტანჯველი პროცესი, ამ არასასიამოვნო პროცესისთვის თავი რომ ამერიდებინა, დაუყოვნებლივ ყველობრივ წერის საკითხებში.

აქვე აუცილებლად უნდა ვაღიარო ისიც, რომ ჩემი ტანჯვის ძირითადი მიზეზი ჩემი ცოლი იყო.

ამაში, როგორც ახლა ვხედავ, დიდ როლს თამაშობდა ჩემი, ასე ვთქვათ, „შეურიგებელი პროტესტი“ შემთხვევითი და თავნება ბედისწერის უსამართლობის წინააღმდეგ.

უბედურება ის იყო, რომ, როგორც ბევრი ადამიანი მიიჩნევდა იმ დროს (და არ ვიცი, იქნებ ბევრი ახლაც ასე მიიჩნევს), დედამიწაზე ერთადერთი ადამიანი, ვისაც მისი ამ ავადმყოფობისგან სრულად განკურნება შეეძლო, მე ვიყავი, მაგრამ იმ დროს, ჩემი საკუთარი ავადმყოფობის გამო ამის გაკეთება ვერ შეეძელი.

თავდაჯერებულობა, რომლითაც ამას ვაცხადებ, შესაძლოა, სურვილის შემთხვევაში გამართლებულად და ადეკვატურად გაიგოს თითოეულმა მკითხველმა, რომელიც ჩემი თხზულებებიდან მხოლოდ ერთ თავს მაინც წაიკითხავს „ვიბრაციის კანონის“ თემაზე.

მოკლედ, მძაფრი გრძობებითა და საშინელი ფიქრებით შეპყრობილი გამოვედი ბაღიდან, გაღებული მთვრალივით ბარბაცით გავუყვები ბილიკს და ძლივს მიეღწიე ჩემს ოთახამდე.

არ გამიხდია, ისე დავწეკი და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ არ მხვეოდა, მაშინვე ჩამეძინა და მთელი ღამე მეძინა.

მეორე დილას, გავიღვიძე თუ არა, მაშინვე გამახსენდა ის აღმოჩენა, რომლის კონსტატირებაც წინა საღამოს მოვახდინე.

კიდევ ერთხელ ვცადე ამ ყველაფრის გახსენება და შედარება.



ამჯერადაც ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე კვლავ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ავტორობის პირველი სამი წლის განმავლობაში ჩემი შრომისუნარიანობა ისევე, როგორც პროდუქტიულობა, მართლაც პირდაპირპროპორციული იყო ამ, ასე ვთქვათ, ჩემი ცნობიერებისა და ჩემი ტანჯვის „კონტაქტის“ ხანგრძლივობისა და სიღრმისა, რომელსაც დადამეხმისა და ჩემი ცოლის გამო განვიცდიდი.



არა და, ჩემი შრომისუნარიანობა იმ დროს, მართლაც, ფენომენალური ვახლდით, რადგან სულ ცოტა 10 000 კილოგრამი ქალღლი მაინც გაევაზე ჩემი ნაწერებით და შევეხე თითქმის ყველა საკითხს, რომელიც კი შეიძლება ადამიანის გონებაში გაჩნდეს.

ახლა უკვე ფხიზელ გონებაზე ამ ფაქტის დადასტურებამ სერიოზულად შემამუფოთა.

დაახ, სერიოზულად შემამუფოთა, რადგან ჩემი მრავალმხრივი გამოცდილების წყალობით, უკვე ვიცოდი და ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მართალია, ყველაფრის მიღწევა შეიძლება, რასაც მიზნად დაისახავ, მაგრამ ეს მხოლოდ გაცნობიერებული ტანჯვის შედეგად ხდება.

თუმცა, ჩემი შემთხვევის ობიექტური შესაძლებლობებით ახსნა სრულიად შეუძლებელი იყო.

ამის ახსნა შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ ამ კერძო შემთხვევაში შეგნებულად არ ვიტანჯებოდი, როცა ეს პროცესი ავტომატურად მიდიოდა ჩემი ტიპისა და მასში შესაბამისი ფსიქოლოგიური ფაქტორების შემთხვევითი კრისტალიზაციის შესატყვისად.

ინტერესი, რომელიც იმ დილას გაჩნდა ჩემში, ისეთი ძლიერი იყო, რომ „ყოფნის წყურვილი“, რომლითაც მანამდე ვიყავი შეპყრობილი – რაღაც არ უნდა დამედომოდა, გამოსავალი მეპოვა ამ უმძიმესი მღვდომარეობიდან – მთლიანად გაქრა, მისი ადვილი კი ამ ფაქტის მიზეზის გარკვევის დაუოკებელმა სურვილმა დაიკავა.

კერძოდ, მსურდა გამეგო, რატომ და როგორ შეძლო ჩემს ტანჯვას ამ შემთხვევაში ხელი შეეწყო ჩემი შრომისუნარიანობის გაზრდაში.

ჩემში მომხდარი ამ „შინაგანი სამყაროს რევოლუციის“ სასიკეთო რეზულტატი ის იყო, რომ ამ მომენტიდან შემეძლო თავისუფლად, აკვატებული გრძნობების აყოლის გარეშე, კვლავ ჩვეული ფორმით მეფიქრა.

ჩემი აზროვნების ასეთმა ერთობლიობამ იქამდე მიმიყვანა, რომ იმავე საღამოს, როცა საშობაო ნაძვის ხის გარშემო შეკრებილ ბავშვებს



და მათ თავშეუკავებელ მხიარულებას უყუარებდი, უკვე თვითონ თავისთავად გამიჩნდა რწმენა იმისა, რომ სრულიად უმნიშვნელო იყო იმ სამივე ამოცანის შესრულება, რომელიც ასეთი აუცილებელი იყო ჩემთვის; და ეს შესაძლებელი იყო იმ ძალების საშუალებით, რომლებიც შინაგან სამყაროში მიმდინარე ბრძოლის შედეგად ჩნდება კერძოდ, იმ ძალებისა, რომლებიც თითოეულ ადამიანში ჩნდება მის ცნობიერსა და ბუნებრივ ავტომატურ განცდებს შორის მიმდინარე კიბილის შედეგად.

ძალიან კარგად მახსოვს, რომ ამ რწმენის გაჩენისთანავე მთელი არსებით რაღაც ერთიანი სიხარულის გრძნობით განვიმსჭვალე რომელიც მანამდე არასოდეს განმეცადა.

ამასთან, ჩემი მხრიდან ყოველგვარი მანიპულაციის გარეშე შინაგანად გამიჩნდა ისეთი ძალის, ასე ვთქვათ, „თვითგახსენების“ გრძნობა, რომლის მსგავსიც მანამდე არასოდეს მქონია.

ბავშვების ზეიმი დასრულდა თუ არა, მაშინვე ჩემს ოთახში დავბრუნდი და ჩაეიკეტე; რა თქმა უნდა, წინასწარ მოვიმარაგე ყავა და დაეიწყე იმაზე ფიქრი, ამის შემდეგ რა უნდა მექნა.

სწორედ იმ ღამეს, აზრების ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე:

1-ლი იანვრიდან თავიდან უნდა დამეწყო იმაზე მუშაობა, რისი გადმოცემაც მქონდა ჩაფიქრებული და ამისთვის ჩემი ფხიზლად ყოფნის მხოლოდ ერთი ნახევარი უნდა დამეთმო, ჩემი სიფხიზლის დროის მეორე ნახევარი კი 23 აპრილამდე, ჩემს დღეობამდე – მხოლოდ მუშაობის შესაძლო ხერხების კვლევისა და შემდგომი თანმიმდევრული შესრულების მიახლოებითი გეგმის ფორმულირებისთვის.

1-ლი იანვრიდან მოყოლებული, უკვე მთელ დღეს კი არ ვუშაობდი, როგორც ადრე, არამედ დილას და საღამოს, განსაზღვრულ საათებში.



დანარჩენ დროს კი ვუთმობდი ამა თუ იმ მგლობრისთვის, ჩემთვის პატივსაცემი ადამიანებისთვის მოთხოვნების წერას ან ჩემ მიერ მოკვლეულ, აგრეთვე ჩემთვის ცნობილი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური კანონების ცნებებზე დაყრდნობით, საერთო პროგრამის ცალკეულ დეტალებზე ფიქრსა და მის შემუშავებას.

შემდგომი ორი კვირის განმავლობაში ფიქრის დროს გაკეთებულმა დასკვნებმა იმ აზრამდე მიმიყვანა,



რომ გადაწყვიტე, აღარ შემდგინა დეტალური პროგრამა მთელი შემდგომი მომავალი ცხოვრებისთვის, არამედ გამკეთებინა პროგრამა, რომელიც ყოველ სამ თვეზე იქნებოდა გათვლილი.

სამ თვეში ერთხელ საკუთარი თავი უნდა ჩამეყენებინა, ვგრეთ წოდებული, „ყველა ცენტრის წონასწორობის“ მდგომარეობაში და ამ მდგომარეობაში, შესაბამისად ცხოვრების უკვე არსებული გარემო პირობებისა ანდა იმ პირობებისა, რომელთა აღმოცენებაც შესაძლებელი იყო აღბათობის თეორიის შესაბამისად, შემდგინა დეტალური პროგრამა მომდევნო სამი თვისთვის.

ჩემი დღეობის წინა დღეს დასკვნის შესაბამისად, რომელიც ამ დროის განმავლობაში გავაკეთე, აგრეთვე, ერთი ბრძნული რჩევის წყალობით, რომელიც ჩემმა ძველმა მეგობარმა, ძალზედ პატივცემულმა ადამიანმა მომცა, ბოლოს და ბოლოს, ასეთი გადაწყვეტილება მივიღე:

დეტალური პროგრამის დასრულების პარალელურად, რომელიც პირველი სამი თვისთვის უნდა შევადგინო, ჩემი დღეობიდან მოყოლებული ცხოვრებაში განუხრელად საბოლოო შესრულებამდე გავატარო სამი ამოცანა.

პირველი: მუშაობის დასაწყისშივე, აგრეთვე, პროცესის განმავლობაში რამდენჯერმე საკუთარ თავში ხელოვნურად უნდა მოვახდინო სამი იმპულსის სტიმულირება:

პირველი მიზნისთვის, ანუ წერისთვის, გამოვიმუშაო „დაფინებულობის“ იმპულსი; მეორე მიზნისთვის, ანუ, ადამიანის ზოგად ფსიქიკაში ღრმად ფესვგადგმული წერილმანების შესწავლისთვის – „მოთმინების“ იმპულსი; ხოლო მესამისათვის, ანუ, ჩემი ორგანიზმის განახლებისათვის – „ტანჯვის“ იმპულსი, რომელიც ავტომატური განცდებით წარმოიშობა.

მეორე: ვისაც არ უნდა შეეხვედროდი, კომერციულ საქმეებზე ან სხვა ნებისმიერი მიზნით, დიდი ხნის თუ ახალ ნაცნობს, რა სოციალური სტატუსისაც არ უნდა ფოფილიყო ის, დაუყონებლივ უნდა აღმოჩენინა მისი ყველაზე „მგრძობიარე წერტილი“ და საკმაოდ ძლიერად დაშეჭირა მასზე.

და მესამე: ჩემი ფიზიკური სხეულისთვის უარი არ მეთქვა არაფერზე, განსაკუთრებით საკვებთან მიმართებაში, და, იმავედროულად, მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და შემდეგ, უკვე მონელების პროცესში, მინიმუმ 15



წუთით მაინც ჩემ შიგნით მოძებნინა სიბრალულესი, ცერქსობის სტიმულირება იმ ხალხზე ფიქრით, რომელსაც არა აქვს იმის განხილვა, რომ ასეთი საკვები ჰქონდეს.

ზემოთ ჩამოთვლილი ეს სამი „ნებელობითი ამოცანა“, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემ მიერ განზრახული მოქმედების წარმართველ საწყისს ემსახურებოდა, ჩემ მიერვე გაერთიანებულ იქნა ერთდროულად რამდენიმე აბსოლუტურად სხვადასხვა მიზნის მისაღწევად.

თუმცაღა, ეს სამი მიზანი სხვა მიზნებთან ერთად განმარტებული იქნება ამ წიგნის შემდგომ ტექსტში, მინდოდა აქვე მეთქვა, რომ მათ გაერთიანებაში დიდი როლი ითამაშა ერთი პატარა ფაქტის კონსტატაციამ.

სახელდობრ, ერთი ადამიანის ნერვული სისტემის ფუნქციონირებისა და აგებულების შესახებ ფიქრისას, სხვათა შორის, გამახსენდა და შემდგომი გააზრებისას ძალიან ნათლად დავადგინე შემდეგი:

საავტომობილო კატასტროფის შემდეგ ჩემი, ასე ვთქვათ, „დიდი ავადმყოფობის“ მთელი მეორე პერიოდის განმავლობაში, როცა ცნობიერება დამბრუნდა, სხეული კი ჯერ ისევ უსუსურ მდგომარეობაში იყო და როცა მეგობრები მოდიოდნენ სანახავად, იმისდა მოუხედავად, მელაპარაკებოდნენ თუ უბრალოდ ჩემ გვერდით იყვნენ, მათი წასვლიდან რამდენიმე საათის განმავლობაში თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი.

მათი გულწრფელი თანაგრძნობა ყოველ ჯერზე, მართლაც, ბადებდა ჩემში აზრს, რომელიც შეიძლება ამგვარად გამოიხატოს: „მოვიდნენ, გამოძწოვენ, როგორც ვამპირებმა და წავიდნენ“.

ამიტომ გადავწყვიტე რა, ვაეყოლოდი ჩემს პროგრამას, ჩემი ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელების დაწყებამდე და მისი აუცილებელი შესრულებისთვის ფიცი დავდე საკუთარ თავთან:

ეს მოხდა 1928 წლის 6 მაისს, ახალი კალენდრით.

ჩემი სახლისთვის ჩვეულ, ასე ვთქვათ, „პრაგმატიკულ“ პარაზიტთა ერთდროულად დაწყნარების“ შემდეგ, როცა კვლავ ჩავიკეტე ოთახში და თავი საჭირო მდგომარეობაში მოვიყვანე, პირველი საზეიმო ფიცი დავდე:

გონივრული იქნებოდა, კვლავ აღმენიშნა, სხვათა შორის, ჩემ დღეობაზე მყოფი ერთ-ერთი ადამიანის მხრიდან ჩემს მიმართ ზოგიერთი ქმედების გამო ასეთი რამ გადავწყვიტე:





სამომავლოდ სხვადასხვა სერიოზული საბაბით ჩემი თვალთახედვიდან მომეშორებინა ყველა ადამიანი, ვინც ამა თუ იმ სახით ზედმეტად კომფორტულს ხდიდა ჩემს ცხოვრებას.

რათა ამ შვიდი წლის განმავლობაში შესაძლებელი გამეხადა მაშინ ჩემ წინაშე დასახული მიზნების მიღწევა, ჩემი შინაგანი და გარეგანი სამყაროს სფეროში განუზრელად ვასრულებდი სხვადასხვა ხანგრძლივობის განსაკუთრებულ „ნებელობით ამოცანებს“.

საკუთარ თავს ვუყენებდი ამ ამოცანებს, მერე ვცვლიდი, კვლავ ვცვლიდი ან საერთოდ თავს ვანებებდი, ერთი მხრივ, ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების უკვე არსებული ან მოსალოდნელი გარემოებების და, მეორე მხრივ, წერასთან დაკავშირებით აღმოცენებული სამომავლო ახალი იდეებისა და სურვილების შესაბამისად.

დღეს 1935 წლის 2 აპრილია, ახალი კალენდრით; ჩემ მიერ დასახული მიზნების ცხოვრებაში შეგნებულად დანერგვისა და ზემოთ აღნიშნული სამი ფუნდამენტური მიზნის მიღწევის შესაძლებლობისთვის „ნებელობითი ამოცანების“ ბოლო ვადა კი დადგება ამავე წლის 23 აპრილს, ძველი კალენდრით.

ამ პერიოდში „ჩემი თავქარიანი ტრიუკის“ წყალობით, რაც, მართლა, უჩვეულო იყო ადამიანების ცხოვრებაში, დამკამფოფილებელზე უკეთესი ხარისხით შევასრულე შემდეგი:

პირველი: სამი პატარა ბროშურა 10 სქელტანიან ბროშურად „ფაბერე“.

მეორე: არა მარტო მრავალმხრივ გამოვიკვლიე და გავიგე ადამიანის ჩვეულებრივ ფსიქიკაში ღრმად ჩანერგილი სხვადასხვა წვრილმანი, რაზეც ეჭვი მქონდა და რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მაინტრიგებდა, არამედ მოულოდნელად დავადგინე ბევრი ისეთი „ფაქტიზი ნიუანსი“, რომელიც ბატონი ბელზებელისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო, თავს უფლებას მიეცემ, განვაცხადო, რომ რქები, რომლებსაც ჩემი პირველი სერიის ბოლოს წინა თავში ვახსენებ, შესაძლოა, ჩლიქებზე ამოსვლოდა.

მესამე: ჩემი ჯანმრთელობა ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ, როგორც ხედავთ, არა მარტო ცოცხალი ვარ და ასეთ ულტრაფანტასტიკურ წიგნს ვწერ, არამედ ვაპირებ ჩემს ძველ, ახლანდელ და მომავალ მტრებზე მეტ ხანსაც ვიცოცხლო.

ABSOLUTE	●	30
ALL WORLDS	●	30
ALL SPACES	●	30
SUN	●	30
ALL PLANETS	●	30
EARTH	●	30
MOON	●	30
ABSOLUTE	▼	30

პროლოგი  
სამომავლოდ  
სხვადასხვა



ვეარაუდობ, რომ შეიძლება წლის წინ ჩემ წინაშე დასახული სამივე მიზანი უკვე განვახორციელებ ვასულ წელს, მაგრამ ვადასტურებ, რომ 7-წლიანი პერიოდის ამოწურვამდე სხვადასხვა ნებულობითი ამოცანის შესრულების გაგრძელება ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი სამი მიზნის გამო:

პირველი: ვასულ წელს ბოლომდე კმაყოფილი არ ვიყავი ჩემი მესამე ფუნდამენტური მიზნის მიღწევის დონით; სახელობრ, ამინდის ცვლილებისას ჯერ კიდევ ვვრძობდი საკმაოდ სერიოზულ ტკივილებს.

მეორე მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ამ წლებში დედაძინის მიმართ „სოლიონენსიუსის“ კოსმიური კანონის პერიოდული მაქსიმალური მოქმედების გამო ჩემი ნაწერების გამოქვეყნება ჯერ უდროოდ მივიჩნიე.

ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა თავად ამ კანონის სახელს პირველად წავაწყდი ერთ ძალიან ძველ სომხურ პაპირუსში, უკვე ძრავალი წლის შემდეგ კი ამ კანონის შესახებ დეტალები, ვერცთ წოდებული, „ქვიშამდელი ეკვიპტის რუკის“ შესწავლისას გავარკვიე, რომელიც აგრეთვე შემთხვევით ჩამივარდა ხელში.

რამდენიმე ნაწყვეტი მთელი იმ ინფორმაციიდან, რაც „სოლიონენსიუსის“ კანონის შესახებ გავარკვიე, მოყვანილი მაქვს ჩემი ნაწერების მგონი პირველი სერიის მეორე წიგნის ერთ-ერთ თავში, რომლის სათაურია „რუსეთი“.

რაც შეეხება მესამე მიზეზს, მის ვასამუქებლად მოგახსენებთ:

ეს წიგნი, რომელსაც ახლა ვწერ [როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული], ჩემი ნაწერების მესამე სერიის უკანასკნელი წიგნია, რომელიც გამოქვეყნდება; პირველი დიდ ხნის წინ დავიწყე და დავამთავრე სწორედ იმ ფორმით, რომელიც სრულიად კმაყოფილებს.

ამ წიგნზე მუშაობას ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის მესამე წლის ბოლოს შეუდექი, მასზე მხოლოდ ინტერვალებში ვუშაობდი და სამ წელიწადში დავასრულე.

მუხედავად იმ ფაქტისა, რომ, ასე ვთქვათ, „შემაჯამებელ-დასკვნით“

წიგნის წერაში უნდა ჩამეღო დიდი შრომა, არასასიამოვნო განცდები, ფული და ა. შ., ბოლოს და ბოლოს, როცა დავამთავრე, იძულებული ვიყავი, თითქმის იმავე დღეს მთლიანად გამენადგურებინა ჩემი ეს ძრავალწლიანი მომქანცველი შრომის ნაყოფი.



ძელებული ვიყავი, გამენადგურებინა არა მხოლოდ ეს წიგნი, არამედ მისი არსის გამაძლიერებელი ყველა სამზადისი.

სწორედ ამ პერიოდში, როცა ამ „დასკვნითი“ წიგნის წერას ვამთავრებდი, ჩემი ორივე, ანუ აქტიური და პასიური, აზროვნების ფუნქციონირება ძალიან დაძაბულად და უჩვეულო სიძლიერით მიმდინარეობდა.

ჩემი აქტიური აზროვნება მიმართული იყო ამ წიგნის შინაარსისკენ, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩემი ნაწერების ერთიანობისთვის, „საბოლოო გარანდვისთვის“, პასიური კი დაკავებული იყო სწორედ იმ მასალის ტრანსფორმაციით, რომელიც სხვა ფაქტორებზე მეტად მეხმარებოდა მოცემული მომენტისთვის იდეალური ჯანმრთელობის მიღწევაში.

და აი, სწორედ იმ დროს, სხვადასხვა ნებელობითი ამოცანის შესრულებისას აზროვნების უწყვეტი დაძაბულობით ჩემს შინაგან სამყაროში, აგრეთვე, სხვა ადამიანებთან შევამჩნიე მრავალი თავისებურება, რაც მანამდე უცნობი იყო ჩემთვის.

საკუთარი თავის დასარწმუნებლად ამ უცერად შემჩნეული თავისებურებების სტატისტიკური შემოწმება და მათი რეალურად არსებობის ფაქტის დადგენა რომ დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი, რასაც ამ უკანასკნელ წიგნში ვწერდი, აბსოლუტურად უსარგებლო იყო ჩემ მიერ თავდაპირველად დასახული მიზნისთვის.

ამგვარად, მესამე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო იყო იმ ადრე განსაზღვრული მიზნისთვის თავიდან დამეწერა მთლიანად ახალი შინაარსის სრულიად ახალი წიგნი.

რადგან ამ წიგნის პუბლიკაციის თაობაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა - არ მინდა, უნდა მოვეყე ერთი ხერხის შესახებ, რომელიც დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობებთან მიმართებაში გამოვიყენე და მისი ნათლად გაგებისთვის საჭიროა შემდეგი რამის თქმა:

მასში უნდა ამეხსნა ყველა სიტყვა იმ თავისებურებებისა და კანონებისთვის, რომლებიც ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი ადამიანებისთვის, ე. წ. „რადიოგრაფიის“, „ტელეპათიის“ საშუალებით; სრულად უნდა აღმეწერა თეორი და შავი მაგიის მთელი მეცნიერება.







ვინაიდან ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, ამიტომ მხოლოდ ამის თქმით შემოვიფარგლები:

სამი წლის წინ, როცა ერთდროულად სამი ძალიან სერიოზული ფაქტი წარმოიშვა, რომელიც ძალიან მიმლიდა ხელს მუშაობაში და რომლის ჩვეულებრივი ხერხებით დაძლევა შეუძლებელი იყო სხვა ხერხების გამოყენებასთან ერთად, რომლებიც უჩვეულოა ადამიანების ცხოვრებაში, ამ „დაუპატივებელი სტუმრების“ დასაძლეველად ერთი პატარა ბროშურაც დავწერე სათაურით: „მომავალი სიკეთის მაცნე“.

ეს სპეციალურად მათთვის დავწერე, ვინც უკვე დიდი ხანია, ჩემი იდეების მიმდევრებად ითვლებოდნენ და ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტის არსებობის დროს მისი ამა თუ იმ განშტოების მოწაფეები იყვნენ.

ბროშურა ცხრა ენაზე დაიბეჭდა, თითოეულზე – ათას ვგზემპლარად.

თუმცა ყველა ზომა გატარდა იმისათვის, რომ ბროშურები იმ ადამიანების ხელში არ მოხვედრილიყო, რომლებიც მანამდე არ მიცნობდნენ, ამის ბოლომდე თავიდან აცილება მაინც არ მოხერხდა და ახლა ასობით ვგზემპლარი, სამწუხაროდ, როგორც იტყვიან ხოლმე, „ხელიდან ხელში გადადის“.

და ამიტომ მახსოვს რა ეს, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემი შესაძლებელი ფუნდამენტური მიზნის ასევე სრულად დაკმაყოფილების მიღწევის შესაძლებლობებისთვის შემდეგი რჩევა მოგცეთ:

თუ გერ კიდევ არ წავიკითხავთ წიგნი სათაურით: „მომავალი სიკეთის მაცნე“, გარეშობებს უმადლოდეთ და ნურც წაიკითხავთ მას.

აქ ზედმეტი არ იქნება იმის თქმა, რომ ჩემი შესაძლებელი ფუნდამენტური მიზნის ასევე სრულად დაკმაყოფილების მიღწევის შესაძლებლობისათვის მთელი გასული წლის განმავლობაში წერაც კი შევწყვიტე.

განზრახ შევწყვიტე არა მხოლოდ წერა, არამედ მთელი გასული წლის განმავლობაში სულ ვცდილობდი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი შინაგანი ბრძოლით ჩემში არ დამეშვა რაიმე სახის აქტიური აზროვნების გამოვლენა.

ჭეშმარიტად „ბარბაროსულ“ ზომას მივმართე იმისათვის, რომ ჩემში ავტომატურად განცდილი ტანჯვა, რომლის მეშვეობითაც მივალწიე ჩემს მიზანს, უფრო პროდუქტიულად განხორციელებულიყო.



ამერიკაში ჩემი უკანასკნელი მოგზაურობაც კი უმთავრესად ასეთი პროდუქტიულობის მიღწევის მიზნით განვახორციელე.

ეს იყო იმ ფაქტის გამო, რომ საშინელი ავტოკატასტროფის შემდეგ, რომელიც შემემთხვა, მხოლოდ ამერიკელებთან მჭონდა ურთიერთობა და ამიტომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი იქ იმყოფებოდა და ამის გამო, რაიმე სპეციალური ზომების გარეშე, ძალიან ადვილად შემიძლო ჩემი ყოფიერებისთვის ხელსაყრელი ფაქტორების აღმოსაყენებლად ყველა ტიპისა და ხარისხის ლეთიური მარცვლისთვის ნაყოფიერი ნიადაგი მჭონოდა ხელთ.

მართალია, ყველა ის უცნაური და ორიგინალური პრინციპი, რომელიც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გამოვიყენე ცხოვრების მიმართ, როგორც უკვე ვითხარით, განხილულია ამ წიგნის შემდგომ ტექსტში, თუმცა აღფრთოვანებისა და მადლიერების გრძობა, რომლითაც ვარ აღვსილი, მაიძულებს აქვე, პროლოგში, გავაკეთო ჩემი ცხოვრების იმ პრინციპის კომენტირება, რომელიც ჩემთვის მოულოდნელად, ასე ვთქვათ, „უშრეტ წყაროდ“ იქცა.

მხედველობაში მაქვს პრინციპი, რომლის შესახებაც ვთქვი: გადავწყვიტე, „ყველაზე მგრძობიარე წერტილზე დავაჭირო ყველას, ვისაც შევხვდები-მეთქი“.

ამ პრინციპის წყალობით, რომელიც ჩემთვის ჭეშმარიტად სასწაულომოქმედი აღმოჩნდა, მე, გარდა იმისა, რომ ყოველთვის და ყველგან უზუად მჭონდა მასალა ჩემი ძირითადი მიზნისთვის, ანუ ჩემი ხელახლა დაბადებისთვის, აგრეთვე, მხოლოდ ამის წყალობით, ისეთ ზემოქმედებას ვახდენდი თითოეულზე, ვინც მხვდებოდა, რომ ის თავად, ჩემი მხრიდან რაიმე ძალისხმევის გარეშე, მე ვიტყვოდი, პირიქით, თითქოს დიდი საიმოვნებითა და სრული მზადყოფნით, იხსნიდა ნიღაბს, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით აჩუქეს დედ-მამამ და ამის წყალობით, მებოლოდა უპრეცედენტოდ ადვილი შესაძლებლობა, საკუთარი თვალთა აუქარებელი და მშვიდი ტკობისა იმით, თუ რისგან შედგება შინაგანი სამყარო, თანაც არა მხოლოდ იმ შემთხვევითი მოცემულობით, რომელიც აუცილებელია თითოეული ადამიანის გადარჩენისთვის, აგრეთვე მთელი გულისამრევი საზიზღრობით, რომელიც დაგროვილია მასში აბსოლუტურად არანორმალური, ე. წ. „განათლების“ შედეგად.





ამ და მხოლოდ ამ, ჩემთვის ღვთაებრივმა, პრინციპმა მომცა საშუალება, დამენახა და, ბოლოს და ბოლოს, გამეცო ადამიანის სულის ის ღრმად დაფარული ნიუანსები, რომლებიც მთელი ცხოვრება მაინტრიგებდა.

მას და მხოლოდ მას, ერთადერთს უნდა ვუმაღლოდუ ვველაფერი იმას, რაც გამაჩნია.

არა და, მე გამაჩნია ისეთი „შინაგანი სიმდიდრე“, რომელიც, ობიექტური ვაგებით, გაცილებით უფრო მეტი ღირს, ვიდრე მთელი ის ფული, რისი წარმოდგენაც ადამიანის გონებას შეუძლია: როგორცაა, მაგალითად: ერთად აღებული „New York five-and-ten“-ის\* შემკვიდრის მთელი ქონება, ამას პლუს ფრანგი გლეხების მეორ გადანახული ნაღდი ფული.

თუმცა ჩემ მიერ შექმნილი შინაგანი სიმდიდრის ფასსა და მნიშვნელობას ამ უკანასკნელი წიგნის ბოლოს დაწერილებით განვმარტავ.

მანამდე კი, რათა სათანადო პატივი მივაგო ამ პრინციპს, ვიტყვი, რომ მის ხარჯზე იქიდან, რასაც ადამიანები სიმდიდრეს უწოდებენ, უნაშთოდ დავკარგე ვველაფერი.

მის გამო დავკარგე არა მარტო სიმდიდრე, რომელსაც ვეულობდი, ასევე ვველა, ე.წ. „მეგობარი“ და, ასე ვთქვათ, „შურის საგნად ყოფნის პრივილეგიაც“ კი; ერთი სიტყვით, ვველაფერი, რის გამოც რამდენიმე წლის წინ, ბევრი ადამიანის აზრით, ვიყავი არა ვიღაც „მანანალა“, არამედ თანამედროვე ცხოვრების პირველი კლასის ერთ-ერთი მესაჭე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დღეს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ და ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების გარემო პირობები, რომლებიც კანონზომიერად სულ უფრო უარესდება ჩემ მიერ დასახული მიზნების და აგრეთვე, ამ პრინციპის განუხრელად განხორციელების წყალობით, უკვე იმდენად სიღრმისეული გახდა, რომ წარმოდგენაც არა მაქვს, ამას როგორ დავაღწევ თავს, მაინც მთელი ჩემი არსებით ვლოცავ ამ პრინციპს.

ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებს, რომლებიც ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო შემექმნა, ასევე აუცილებლად მიმოვიხილავე ამ წიგნის ბოლოს,

\*New York five-and-ten – მალაზიების ქსელი, რომელშიც ნებისმიერი საქონლის ფასი ხუთი ან ათი ცენტია



თუ, რა თქმა უნდა, კიდევ ერთ თვეს მაინც გაუძლები. და უკვე მაშინ ავხსნი იმას, თუ რატომ გამოვიყენე გამოთქმა: „კანონზომიერად სულ უფრო უარესდება“.

აუცილებლად ავხსნი ამას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამაში ბევრია დიდაქტიკური ხასიათის სიბრძნე, არამედ ეს იმდენად კომიკურია, რომ მთელი მსოფლიოს ენამოსწრებული ადამიანები ერთად რომ შეგვეკრიბა, ამის შეათედის მოფიქრებასაც ვერ შეძლებდნენ.

სულიერი სიმდიდრის შეძენის გამო ამ პრინციპისადმი მადლიერების გრძნობის გამოხატვის შემდეგ აბსოლუტურად მიუკერძოებელი უნდა ვიყო და პირდაპირ დავესვა კითხვა... ასეა კი ეს სინამდვილეში?

შეეძლო კი ჩემ მიერ გამოგონილ პრინციპს ჩვეულებრივი ცხოვრების ფელანაირ გარემო პირობებში ასეთივე გამომაცოცხლებელი ფაქტორი ყოფილიყო?

გულწრფელად რომ ვითხრათ, ჩემი ქვეცნობიერი მკარნახობს, რომ... არა.

ეს შეიძლებოდა მხოლოდ ზოგადი მატერიალური კრიზისის მიზეზით მომხდარიყო.

ამიტომ, წესით, ჩემი მადლიერება უნდა გამოეხატო ასეთი ზოგადსაკაცობრიო უბედურების მიმართ.

მაგრამ იმის გამო, რომ ეს არც ისე ლამაზი იქნება, ისევ ჩემს უწინდელ აზრზე დავრჩები.

ახლა, კუხდი რა მადლობას ნახევრად დაცინვით ამ არასაიმედო ფაქტორს შინაგანი სიმდიდრის გამო, რომელიც გამაჩნია, მახსენდება ძრავალი ადამიანი, რომელიც ჩემ გვერდით ცხოვრობდა და რომელსაც ჩემი ზემოთ ხსენებული ფეისტური იდეების გამო ბევრი იმედგაცრუება უნდა ჰქონოდა.

ასეთ ადამიანებს შორის, რომლებსაც ნებისთი თუ უნებლიედ არც თუ ისე „ტკბილი“ ცხოვრება ჰქონდათ, იყო ჩემთვის სისხლით თუ სულიერად, მართლაც, ძალიან ახლობელი ადამიანი.

ჩემი ნაწერების შესამე სერიის ამ თავის ბოლოს ჩემი ფეისტური მიზნების დაგვიძლილი განხორციელების თითქმის წინა დღეს მიემართავ რა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემ გვერდით არის, ვილაპარაკებ მხოლოდ ორ „არსებით ფაქტორზე“, რომელიც ჩემს შინაგან სამყაროში ჩამოყალიბდა.

პირველი, რომელიც ვერ კიდევ ბავშვობაში ჩამოყალიბდა ჩემს ჯოფაში და რომელიც უზენაესია ჩემს რწმენათა შორის, შეიძლება





შემდეგნაირად იქნეს ფორმულირებული: „ადამიანს შეუძლია იყოს კარგი ალტრუისტი ახლობლების მიმართ მხოლოდ მაშინ, თუ დრო და დრო შეუძლია იყოს სრული ეგოისტი“.

მეორე ფაქტორი კი 7-წლიანი ამოცანის ამ სამი მიზნის განხორციელების დაწყებიდან ორი წლის შემდეგ ჩამოყალიბდა ჩემში.

პუბლიკაციისთვის განკუთვნილ წიგნებზე მუშაობის დროს კანონზომიერად აღმოცენებული უბედურებების პირობებში – შევნიშნე რა, რომ ჩემ გვერდით მყოფი ადამიანები სულ უფრო უარესები ხდებოდნენ იმის გამო, რომ ჩემს ეგოისტურ იდეებს მივდედი, ერთხელ, იმ ტექნიკის საშუალებით, რომელსაც მამაჩემი იყენებდა, საკუთარი თავი ჩავაყენე გონების განსაკუთრებულ მდგომარეობაში და ჩემს ყოფაში თვითშთაგონებით მოვახდინე ამ ფაქტორის კრისტალიზება შემდეგი ჰიპოთეზის სახით:

თუ შევძლებ ჩემ წინაშე დასახული მიზნების განხორციელებას და, ამასთან, ცოცხალი დავრჩები, მაშინ, დაახლოებით ამგვარი განსაზღვრული პროგრამით უნდა ვიცხოვრო:

ჩემი ფიზიკურად ყოფნის მდგომარეობის ერთ შესამედს დავუთმობ ჩემი სხეულის სიამოვნებებს, მეორე შესამედს – მხოლოდ და მხოლოდ სისხლით თუ სულიერად ახლობელ ადამიანებს, რომლებიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ჩემ გვერდით იქნებიან და შესამეს – მეცნიერებას, ანუ, მთელს კაცობრიობას.

და ახლა, ამ შესავალ სტატიაში მოცემული განმარტებების შემდეგ, ჩემს ყველა მკითხველს, როგორც მათ, ვინც მიცნობს, ასევე მათ, ვინც არ მიცნობს, ასევე ჩემს ძვირფას მეგობრებს და არანაკლებ ძვირფას მტრებს ვურჩევ, თან ძალიან გულწრფელად შეეცადოს, სწორად გაიგოს ამ ჩემი ბოლო წიგნის ტექსტის და, განსაკუთრებით, მისი უკანასკნელი თავის არსი.

გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი უკანასკნელი წიგნის ბოლო თავს „ადამიანის შინაგანი და გარეგანი სამყარო“ დავარქვა და მასში ერთი საკითხი ავხსნა, რომელიც უჩვეულოა ადამიანის აზროვნებისთვის, მაგრამ, მოუხდავად ამისა, ყველაზე არსებითაა ყველა საკითხთა შორის და რომლის მთლიანობიდანაც გამომდინარეობს ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების თითქმის ყველა გაუგებრობა.

გულწრფელად გთხოვთ, ეს გაიგოთ, რადგან ამის შესწავლით თითოეული თავის ჩვეული





ყოფისთვის უსათუოდ შეიძენს სხვას თუ ვერაფერს, ერთ, შესაძლოა მის ცხოვრებაში აღმოცენებული უმიზნო მღელვარებისა და მორალური ტანჯვის უდიდესი ნაწილისთვის „სიმშვიდისმყოფელ“ ფაქტორს, რომელიც შესაძლოა, ქვეყნობიერადაც კი მოქმედებდეს.

სიტყვა „მტრები“ ზემოთ ტყუილად არ ვახსენებ, იმიტომ რომ, პირველი – რაც არ უნდა უცნაურად გეჩვენოთ, ჩემი მრავალრიცხოვანი შეურიგებელი მტრების რიგებიდან, რომლებიც ახლა მთელს მსოფლიოში არიან გაფანტულნი, ზოგიერთი ჩემი რეალური მეს, ანუ, ჩემი შინაგანი სამყაროს ყველაზე საუკეთესო მეგობარი აღმოჩნდა; აგრეთვე, იმიტომ რომ ამან, როგორც კარგმა მაგალითმა, შეიძლება იდეალური სამსახური გაძიწიოს წინამდებარე წიგნის უკანასკნელ თავში, ასე რომ, ამ სიტყვას კვლავ გამოვიყენებ.

ვისხსენებ რა ასოციაციურად ზოგიერთს ამ მტერთაგან, რომელიც ძალიან ძვირფასია ჩემი შინაგანი სამყაროსთვის, გულწრფელად გულაჩუყებულს მინდა უკვე აქვე, ჩემი ბოლო წიგნის ამ შესავალ თავში, მათი კმაყოფილებისა ან უკმაყოფილებისთვის მოვანდინო ციტირება ჩემთვის ცნობილი რამდენიმე გამონათქვამისა, რომელმაც უსსოვარი დროიდან მოაღწია ჩვენამდე „ლეგომინიზმების“ მეშვეობით.

ზემოთ ვთქვა, მათი კმაყოფილებისა ან უკმაყოფილებისთვის-მეთქი, იმიტომ რომ მე არ ვიცი, ცხოვრების მდინარის რომელ დინებას მიჰყვებიან ახლა ისინი.

მას მერე დიდმა დრომ გაიარა. დარჩნენ კი ისინი ცხოვრების მდინარის იმ დინებაში, რომელშიც მე, საკუთარი თავისადმი უმოწყალომ, მოვაქციე, ანუ, სწორედ იმ დინებაში, რომელიც ადრე თუ გვიან გამოიყვანს მათ უკიდვარო ოკეანესთან? არ ვიცი; ან შესაძლოა, ცხოვრების ცდუნებამ ასევე კანონზომიერად უბიძგა იმ დინებისკენ, რომელიც ადრე თუ გვიან შემდგომი ევოლუციისთვის უფსკრულში წაიყოლებს მათ.

აი, იმ ხალხური სიბრძნის პირველი გამონათქვამი ამგვარად ჟღერს:

*„ადამიანი ღირს არ არის, სიკეთე რომ დაივიწყოს; ის არც კატაა, რომ ბოროტება ახსოვდეს“.*

*„პირველივე უარი ადამიანისთვის, რომელსაც არ გააჩნია სინდისი ან მადლიერების გრძნობა, გაანადგურებს იმ ათასობით კეთილი საქმის შედეგსაც კი, რომელიც მანამდე გავიკეთებდათ მისთვის“.*



„მხოლოდ ის ადამიანია ღირსი, რომელიმე რელიგიურს მემდევარი იყოს, რომელსაც თუქცა ახსოვს ბოროტება, რომელსაც უკანმუს ვაკეთებია მისთვის, მაგრამ თავად იმ ადამიანის მიმართ არანაირ ბოროტებას არ ჩადენს“.

„კონიერი მხოლოდ მაშინ იქნები, როცა შენი მომავლის სიკეთისა და ბოროტების შენი აწმუოს სიკეთისა და ბოროტებისგან გარჩევას იხსნაელი“.

„ადამიანის ბუნება იმგვარია, რომ პირველი საჩუქრისთვის პირველ ემზობა შენ წინაშე;

მეორისთვის – ხელზე გკოცნის;

მესამისთვის – გეპირფერება;

მეოთხისთვის – მხოლოდ ერთხელ დავიკრავს თავს მდლოურების ნიშად;

მეხუთისთვის – ზედმეტად ფაშილარული ხდება;

მეექვსისთვის – შურაცხყოფას ვაყენებს;

მეშვიდისთვის კი – ვგდავება, რომ საკმარისად არ დაიხარვე მისთვის“.



## შესავალი

1934 წლის 6 ნოემბერი  
რესტორანი „ჩაიღღისი“  
კოლუმბს სარკლი,  
ნიუ-იორკი

იმ დროს, როცა, შეიძლება ითქვას, „კვანდის“ და „კონსერვატი“ ჩემი ნაწერების მეორე სერიის შესამე წიგნის ბოლო თავში, ჩემი „ქვეყნობიერი აზროვნების“ პროცესში, ჩემი ავტომატურად მიმდინარე აზრებში თავისთავად მოხდა ინტერესის სიმძიმის ცენტრის კონცენტრირება კითხვაზე: როგორ უნდა დავიწყო შესამე სერიის წიგნები, რომელთა დაწერაც დაგეგმილი მქონდა, კერძოდ, იმ სერიის წიგნებისა, რომელთა დანიშნულებაც, ჩემი აზრით, იმაში იყო, რომ ძალიან მოკლე დროში გამხდარიყო, ასე ვთქვათ, „დამრიგებლურ-ინსტრუქციული“ ჩვენი საერთო მამის მიერ შექმნილი ჩემივე მსგავსი ველა არსებისთვის; მაგრამ აქ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ავირჩიე რა მწერლის პროფესია, რადგან ის მეტად შეესატყვისებოდა ჩემს მოულოდნელად აღმოცენებულ ფიზიკურ მდგომარეობას და როცა ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად ნათლად მივხვდი, რომ ჩემი პირადი წერილობითი ახსნა-განმარტებები უზარმაზარ სარგებლობას მოუტანს თანამედროვე ადამიანთა უპრაველესობას ისევე, როგორც მომავალ თაობას, გადავწყვიტე თავად ამ სერიის წიგნებით შეგნებულად გადამეხადა საზღაური დედა ბუნებისთვის ჩემი ამქვეყნად გაჩენისა და არსებობისთვის, ამაში უმთავრესად ვგულისხმობ არსებობას როგორც არა უბრალოდ „ჩვეულებრივ ცხოვრებას“, ასრულებ რა ავტომატურად რაღაც დანიშნულებას, რომელიც აუცილებელია დედა ბუნების საერთო საჭიროებისთვის, უფრო მეტად განსაკუთრებული და შეგნებული არსებობისთვის, როცა მიუკერძოებლად აფასებ საკუთარ თავს, დაჯილდოვებული ხარ ყოველმხრივი სრულყოფისა და დამოუკიდებელი მთლიანობის ნიჭით.

ცოტა ხნის წინ ფიქრის დროს გაკეთებულმა დასკვნამ დღეს ამ ბოლო წიგნის დამთავრებასთან დაკავშირებით შეგნებულ ფიქრთან ერთად მიმიყვანა კატეგორიულ გადაწყვეტილებამდე, წიგნების ეს „დამრიგებლურ-ინსტრუქციული“ სერია დამეწყო იმ მოვლენათა





აღწერით, რომლებიც სამხრეთ ამერიკაში ჩემს *კოლონიალურ* მოგზაურობას ეხებოდა და შემჭიდროებული სახიზმის მსგავსი სახურები, რომლებიც ჩავატარე ჩემი იდეების მიმდევართა ერთ-ერთ ჯგუფთან, რომელიც ნიუ-იორკში ჩემს პირველ ვიზიტამდე ათი წლით ადრე იყო ორგანიზებული.

უმთავრესად იმიტომ მინდოდა ამის აღწერით დამეწყო, რომ ამ სახურების საფუძველზე, როგორც გონებაში ფიქრისას ვგეგმავდი ამას, შესაძლოა აშენდეს აუცილებელი ფუნდამენტი იმისთვის, ადამიანთა შეგნებულ ცხოვრებაში რისი დამკვიდრებაც მინდა ჩემი ნაწერების ამ შესამე და ბოლო სერიის საშუალებით; და, გარდა ამისა, იმიტომაც, რომ ამ ლექციების გამოქვეყნება მოვლენათა და მიზეზთა აღწერასთან ერთად, რომლებიც ამას იწყვედა და რომლებზეც განსაზღვრული ფორმითა და მიმდევრობით სწორედ ამ სახურებით ვრეაგირებდი, ერთობლიობაში ჩამოაყალიბებს, დიას, ამაში ეჭვი არ შეპარება, რაღაც, ასე ვთქვათ, „ავტომატურად მოქმედ ფაქტორს“ ევროპის, აზიისა და ამერიკის ორივე სქესის ათასობით ადამიანის სრული დაღუპვისგან შესაძლო გადარჩენისთვის.

მესამე სერიის ამ შესავალ წიგნში გადმოგვცემთ „კონტინენტის“ ხუთი საუბრისას, რომელთაგან ოთხი 1930 წლის ბოლოსა და 1931 წლის დასაწყისში, ზოლო ერთი 1931 წლისა ბოლოსა და 1932 წლის დასაწყისში ჩავატარე.

ჩემი ნაწერების მესამე სერიის მკითხველებისთვის, იმისდა მიუხედავად, ცნობიერების რომელ საფეხურს მიაკუთვნებენ ისინი საკუთარ თავს, ჩემი აზრით, ყველაფერთან ერთად ზედმეტი არ იქნება იმის გაგება, თუ ჩემი რომელი წარმოდგენებისა და ინსტინქტური ვარაუდებისგან წარმოიშვა ფრაზა, რომელიც ზემოთ გამოვიყენე: „შეგნებულად გადაძვინდა საზღაური დედა ბუნებისთვის“.

ეს ფრაზა თითქმის უნებლიედ წამომცდა და მან მიიღო ფორმა, რომელიც ჩემი ინსტინქტური და შეგნებული შეხედულებების ერთობლიობიდან გამომდინარეობდა, რომ ჩემი ნაწერების მესამე სერიის წიგნების გამოქვეყნების აქტით შემქმნელი იმის შესრულების იმედი მქონოდა, რაც, ჩემი აზრით, არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა ადამიანისა, რომელმაც საპასუხისმგებლო ასაკს მიაღწია და შთამომავლობისთვის მზადების პროცესშია, საკუთარი ინდივიდუალურობისა და ზოგიერთი





სასარგებლო ინსტრუქციის შესაბამისად; უფრო მეტიც, მე შემძლო ამ აქტით, თუნდაც სრულიად ხუბიექტურად მნიშვნელობა

მიმინიჭებინა ყველა ჩემი უწინდელი წინასწარგანზრახული შრომისა და შეგნებული უარისთვის ყველა იმ სახის კეთილდღეობაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, კრისტალიზებულია თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში და რომელიც ჩემთვის მუდამ ადვილად მისაღწევი იყო; დაბოლოს, იმედი მაქვს ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვის მომენტში, ყოველგვარი გონებრივი, ემოციური ან ინსტინქტური ეჭვების გარეშე განვიცადო ის ადამიანისთვის წმინდა იმპულსი, რომელსაც ძველი ესეები ასე უწოდებდნენ: „მოუკერძოებელი კმაყოფილება საკუთარი თავით“.

იმ მიზნით, რომ ამ წიგნის მკითხველის აზროვნებაში გაჩნდეს „რალაც“, უფრო უკეთესი ორიენტაციისა და უფრო იოლი ლოგიკური შედარებისთვის იმასთან, რაც ამას მოჰყვება, ანუ, რალაც, რაც აღმოსავლეთში ცივილიზაციამდე არსებობდა ცოდნის სფეროში, რომელსაც „თეომატოსი“ ერქვა და „ობიექტური ვარაუდისთვის გამომაცოცხლებელი ფაქტორის“ სახელით იყო ცნობილი – მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, იმ მკითხველთა აზროვნება, რომლებიც გაეცნობიან თუ არა ჩემს ნაწერებს, ჩემი რჩევებით იხელმძღვანელებენ და ზედმიწევნით შეეცდებიან მათ დაცვას, – მინდა, უპირველეს ყოვლისა, შევეცადო, მათი შინაგანი მზერისთვის, სიტყვიერი აღწერილობით გადაეცე მრავალგვარი ინფორმაცია, რომლის ერთობლიობასაც შეუძლია დაეხმაროს მათ ნამდვილი სახით დაინახონ და ნათლად წარმოიდგინონ ორი სიტუაცია, რომელიც ჩემი მწერლური მოღვაწეობის დროს შეიქმნა ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრების პროცესში.

პირველი სიტუაცია ჩემი მწერლური მოღვაწეობის დაწყებისთანავე აღმოცენდა, საავტომობილო ავარიის, იმ უზარმაზარი უბედურების შემდეგ, რომელიც მაშინ მეწვია, როცა ჩემს გარშემომყოფთა კეთილდღეობისთვის ლიკვიდირება გავუკეთე ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო ჩემი შეგნებული მოღვაწეობის უწინდელ ფორმებთან და წერა დავიწყე. იმ მომენტიდან ყველანაირად გავურბოდი შეზღვევებსა და საუბრებს ადამიანებთან, რომლებიც რალაც სახით მინც იცნობდნენ ჩემს იდეებს და, ბუნებრივია, ჩემთან საუბარი სურდათ, რათა უფრო ახლოს გაეცნობოდნენ ამ იდეებს.



ეს ზომა ჩემი მწერლური მოღვაწეობის დაწყებისთანავე უძველეს იმ მიზნით, რომ არ მიმელო — ან, უკიდურეს შემთხვევაში მცირე ხარისხით მიმელო — შოკი, რომელიც რამე სახით მაინც შეეხებოდა ჩემი აზროვნების ასოციაციებს, იმ „დახვეწილი“ აბსტრაქტული შეკითხვებისგან, რომლებთან დაკავშირებითაც ბოლო წლებში ვაღდებული ვიყავი სხვადასხვანაირ ადამიანებთან საუბრებისას შეწყობილი მათი გაგების სხვადასხვა დონეს და ამგვარად ვერცვლი ამ შეკითხვებზე თითქმის ავტომატური პასუხების გაცემას. მინდოდა საერთოდ არ შემესრუტა ჩვეულებრივი ცხოვრების შთაბეჭდილებები, რომლებიც აუცილებელი არ იყო ჩემთვის და შეეძლოთ ხელი შევეშალათ ჩემი აზროვნების დადგენილი ტემპისთვის ამ ამოცანასთან დაკავშირებით, რომელიც საკუთარი ნებით მივეცი ჩემს თავს.

იმისათვის, რომ დავახასიათო ჩემი შგნებული „შინაგანი იზოლაცია“ გარეგანი შთაბეჭდილებებისგან, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩემს მწერლურ მოღვაწეობას, საკმარისი იქნება იმის თქმა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში არც ერთხელ არც ერთი გაზეთი არ წამიკითხავს, უფრო მეტიც, ხელშიც კი არ მჭერია ის. თითქმის იგივე შემთხვევა ვთქვა წერილებსა და ტელეგრამებთან დაკავშირებით. თითქმის-მთქმი, - ვთქვი, იმიტომ რომ ამ ხნის განმავლობაში მაინც წავიკითხე ცამეტი თუ თხუთმეტი და დავწერე ექვსი თუ შვიდი წერილი, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით პირველ წელს დღეში ასობით მომდიოდა ისინი.

რადგან ვიამბეთ რა ჩემი ასეთი თავისუფალი დამოკიდებულება კორესპონდენციისადმი, რაღაც თვალსაზრისით გავეცი ჩემი ერთ-ერთი საიდუმლო, რაც ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე მოხდა, მოთხოვნა გამიჩნდა კიდევ ერთ რამეში გამოვიტყდეთ კორესპონდენციასთან დაკავშირებით, რომელიც იმ დროს მოდიოდა ჩემს სახელზე. ეს სრულიად პარმონიულად შეეწყობა ჩემს ფუნდამენტურ პრინციპს, რომელსაც მუდამ ვიყენებ ჩემს ჩვეულებრივ ცხოვრებაში და რომელიც ამგვარად ფლერს: „თუ ხარჯია, ხარჯი იყოს, ბოლომდე დაიხარჯე“ (იხილეთ: „ბელზებელის საუბრები შვილიშვილთან“, თავი: „აზრის გამოღვიძება“).

ჩემი საავტომობილო ავარიის შემდეგ, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, დავუშვი რა გამონაკლისი მხოლოდ საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ჩემი სახლის კარი ჩაკვეტე



ველასთვის – როგორც მათთვის, ვინც უკვე მიცნობდა, ისევე მათთვის, ვისაც გაგონილი კჰონდათ ჩემ შესახებ და ჩემი ნახვით ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება



თარგმანი  
საქართველოში

უნდა – ალბათ, იმ მიზნით, როგორც მათი უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ თავისთვის გაერკვია, თუ რას წარმოვადგენდი და როგორი იყო ჩემი იდეები. როცა მეორე წელს განსაკუთრებული „დაბობმა“ დაიწყო წარმოუდგენელი რაოდენობის წერილებით, ჩემს ერთ-ერთ ახლობელს დავავალე, გაეხსნა ეს წერილები და არ გადმოეცა ჩემთვის ისინი, რომლებშიც არ იქნებოდა ან ეგრეთ წოდებული „ჩეკის დანართები“, ან მითითება, რომ სასწრაფოდ მოითხოვენ წერილზე პასუხს და ისე გაენადგურებინა, რომ მათი „ასტრალური სუნიც“ კი არ დარჩენილიყო ჩემს სახლში, მაგრამ თუ კი კონკრეტში „ჩეკის დანართები“ იყო, ჩვეულებრივ როგორც ვამბობდი ხოლმე, ინგლისური ან, უარეს შემთხვევაში, ამერიკული ნულების რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას ამშვენებდა, ჩემი ნდობით აღჭურვილი პირი შემდგენაირად მოქცეულიყო:

თუ დანართს ერთი ნული ამშვენებდა, მაშინ წერილი მთლიანად უნდა განადგურებულიყო, ხოლო დანართი სათამაშოების შესაძენად უნდა გადასცემოდათ ბავშვებს, რომლებიც ჩემს სახლში ცხოვრობდნენ; თუ დანართი ორი ნულით იყო, წერილი უნდა გადასცემოდა ჩემს მდივანს, დანართი – სამზარეულოს მმართველს, რომელიც „La Priere“-ში მორიგეობდა; და მხოლოდ ის წერილები უნდა გადმოეცათ პირადად ჩემთვის, რომლებსაც სამი ან უფრო მეტი ზემოთ ხსენებული ნული ამშვენებდა.

ჩემ მიერ შემოღებული ეს წესი, სხვათა შორის, დღემდე მოქმედებს, მაგრამ უახლოეს მომავალში, ანუ, იმ მომენტისთვის, როცა ჩემი ნაწერების შესამე სერიის ამ პირველ წიგნს დავასრულებ, ამ წესის შეცვლას ვაპირებ იმგვარად, რომ უკლებლივ ყველა წერილი და ტელეგრამა განადგურდეს, დანართები, რომლებზეც არანაკლებ ოთხნულიანი ციფრები იქნება, მე გადმომეცეს, სამიანი – ჩემს მდივანს, ორიანი – ბავშვებს, რომლებიც ჩემს სახლში ცხოვრობენ, ერთნულიანები კი ფონტანბლოსა და ავონში მცხოვრებ ღარიბ ბავშვებთან გაიგზავნოს.

ახლა, როცა საჯაროდ ვაღიარებ ასეთი უცერემონიო დამოკიდებულება არა მხოლოდ ჩემი კორესპონდენციისადმი, არამედ აღმამანებისადმიც, რომელთაგან ზოგი ბევრ ევროპულ ქვეყანაში იმ დროისთვის და, შესაძლოა, დღემდე ასეა, გავლენიან და



„სახელგანთქმულ“ პირადაც კი ითვლებოდა, სწორი იქნება ეტყობა, რომ თუ ჩემმა ცნობიერებამ ჩემს განსაკუთრებულ ნატურას უფლებამოსცა, ამგვარი „თავხედობა“ გამოვიჩინა და ეს წერილობითი სახითაც კი გადმოვცა, რითიც ეს ხელმისაწვდომი გახდა ყველა ორფეზა სულიერი არსების აღქმისთვის, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გეომეტრიულ ფიგურას წარმოადგენს ის, თავის აღქმის საზღვრების თვალსაზრისით – „კუბს“, „კვადრატს“ თუ „ზიგზაგს“, რადგან მე უკვე მივადწიე წარმატებას იმ ამოცანის დიდი ნაწილის შესრულებაში, რომელიც საკუთარ თავს დავუსახე მიზნად, მიუხედავად ათასგვარი შემაფერხებელი ფაქტორისა, როგორც კანონზომიერად აღმოცენებული, ასევე ჩვენ შორის მცხოვრებ იმ ტიპების მიერ გამოწვეული, რომლებიც, სამუხაზროდ, აგრეთვე „ადამიანებად“ იწოდებიან და რომლებიც, როგორც ერთი ძველი ლეგენდა გვეუბნება, ჩნდებიან რა ამქვეყნად და არსებობენ ჩვენ შორის, ჩვეულებრივ ადამიანებს შორის, ბუნების მიერ იმგვარად იქმნებიან, რომ ორი შედეგი მივიღოთ: პირველი, კოსმოსურმა ნივთიერებებმა, რომლებიც ტრანსფორმირდება მათ მიერ მათსავე ზრდის პროცესში და არა, როგორც თავად მიიჩნევენ, მთელი ცხოვრების განმავლობაში, უნდა შეასრულონ „კათოდური ელემენტების“ როლი დედამიწაზე „ობიექტური სიკეთის“ შესანარჩუნებლად მთელი კაცობრიობის ცხოვრებისთვის და რათა, მეორე, მათი საერთო ყოფიერების შემადგენელი ელემენტები მათი სიკვდილის შემდეგ ტრანსფორმირდეს იმ პროდუქტების მარაგის შესავსებად, რომლებიც ჯოჯობთვის საჭიროებებისთვის გამოიყენება.

მოკლედ, ჩემი ასეთი დამოკიდებულება შეხვედრებისა და საუბრების მიმართ ათასგვარ ხალხთან მყარად დაკანონდა მწერლური მოღვაწეობის პირველსავე წელს ჩემი გარეგანი ავტომატური ცხოვრების მსვლელობისას და ვცდილობდი, არ შემეცვალა ის იმ დრომდე, ვიდრე არ დავიწე ჩემი ამერიკაში ბოლო მოგზაურობისთვის მზადება: უფრო ზუსტად, როცა მთელი მასალის, რომლის დაწერასც ვაპირებდი, პირველი მონახაზი გავაკეთე – ეს იყო პირველი სერია დასრულებული ფორმით, მეორე – მისი პირველი ვერსიით, მასამე კი – ნაწილობრივ.



მეორე ზემოხსენებულ ფაქტორთაგან იყო ის, რომ როცა მწერლური მოღვაწეობის პროცესში ჩემი მეხსიერება წერის საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებული ხარისხით გამახვილდა, ისე რომ, მაგალითად, შეძებლო და ახლაც კი შემიძლია



გავიხსენო, სად, ათასობით ხელნაწერ რომელ რეველში სხვა აზრებთან რა მიმართებაშია გამოთქმული ესა თუ ის აზრი და სად უნდა გამოვრდეს სხვა ფორმით და სად უნდა გამოვრდეს კონკრეტულად, შემეძლო და ახლაც კი შემიძლია გავიხსენო, ჩემი ნაწერებით გავსებული ამ რეველების უკვე ათათასობით სტრიქონიდან რომელ წინადადებაში და რომელ სიტყვაში იყო ასოები, რომლებიც ავტომატურად როგორღაც არასწორად დავწერე, თუმცა ამავე დროს, იმ პერიოდში, როცა აუცილებლად უნდა ახალ ხალხს – არ მახსენდება ერთი შეხვედრა ან საუბარიც კი, რომელიც ადრე აუცილებლად მოახდენდა ჩემზე შთაბეჭდილებას, რომელსაც უმნიშვნელო შთაბეჭდილება მაინც დაეტოვებინა ჩემს ხსოვნაში; მომდევნო დღესაც კი, როცა უბრალოდ აუცილებელი იყო ჩემთვის მისი გახსენება, ჩემი დიდი სურვილისა და დაძაბვის მიუხედავად, რაზე მაინც გამეხსენებინა წინა დღის შეხვედრიდან და საუბრიდან, არაფერი გამომდიოდა.

მაგრამ, როცა წერის საკითხებით ჩემი შინაგანი მოუცლელობა შემცირდა, წერთი საქმიანობის დასასრულის მოახლოების გამო ჩემმა ბუნებამ შეიძინა უნარი, რომელიც, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, განსაკუთრებული სახით ყალიბდება, ცოდნისა, არ განეცადა „სინდისის ქენჯნის“ მსგავსი გრძნობა, დაინტერესებულიყო სხვა ცხოვრებისეული საკითხებით, რომლებიც არაფრით არ იყო დაკავშირებული ამოცანასთან, რომელიც საკუთარ თავს დავესახე მოცემულ პერიოდში და თან სპეციალური ფიციც კი დავდე განსაზღვრულ მდგომარეობაში მყოფმა, რომელიც ბავშუობაშივე მჩვენა და აღზარდა კიდევ ჩემში მამაჩემმა. ამ „ფსიქიკურ მდგომარეობაში“ მეორე სერიის საბოლოო შესწორებები დავასრულე, ვაგრძელებდი რა მუშაობას, რა თქმა უნდა, ძველებურად, არუ, უმეტესწილად ემოგზაურობდი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად საფრანგეთში, კვლავაც ვაგრძელებდი წერას მხოლოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ისეთ ადგილებში, როგორებიცაა: რესტორნები, კაფეები, „საცეკვაო დარბაზები“ და სხვა მსგავსი სულისკვეთების თანამედროვე მორალის „ტაძრებში“.

როდესაც ამ დროიდან ჩემი სრულიად განსხვავებული ტიპის აღმამანებთან ურთიერთობების აღდგენის პროცესი წავიდა, მე კვლავ დავიწყე მათზე დაკვირვება, ჩემი სანახევროდ გათავისუფლებული



ყურადღების წყალობით, ჩემს ადრეული ახალგაზრდობის დროს შეგნებულად განვითარებული უნარით, ეს არის „უნარმა ახლ განამკაცა“ თავი სხვების გარეგნულ გამოვლინებებთან“ და მალე შევნიშნე, შეხვედრების გამეორების კვალდაკვალ კი მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ყველა მათგანის ფსიქიკაში, როგორც კაცების, ასევე ქალების, რომლებსაც რაღაც ცოდნა და ინტერესი ჰქონდათ ჩემი იდეებისა, განსაკუთრებით კი მათ ფსიქიკაში, რომლებმაც უკვე ცადეს საკუთარ თავზე პრაქტიკაში განეხორციელებინათ ზოგიერთი ექსპერიმენტი, რომელიც ვითომდა ჩემს იდეებს შეესატყვისებოდა, „სხვა რაღაც“ ხდებოდა, ამგვარად „სულ სხვა რაღაც“ ხდებოდა, რაც შესაძინევი იყო, რა თქმა უნდა, დაკვირვების გარკვეული უნარის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანისთვისაც კი.

ამ განმეორებადმა კონსტატაციებმა არა მხოლოდ შემამფოთეს, ჩემს ფსიქიკაში თანდათან აღმრეს „დაუოკებელი წყურვილი ცოდნისა“, ამ ფაქტის მიზეზების გაგების მიზნით.

ამის შედეგი იყო ის, რომ ასეთ ადამიანებთან შეხვედრებისას გამოკვლევის მიზნით განსაკუთრებული ყურადღებით დავიწყე მათზე დაკვირვება და მიზანმიმართული კითხვების საშუალებით მათგან ამომეღო, რაც შეიძლება მეტი მასალა, რაც საშუალებას მომცემდა ვამერკვია ამ უცნაური და პირადად ჩემთვის სამწუხარო ფაქტის წარმომავლობა.

ასეთ ადამიანებთან ყოველი ახალი შეხვედრა და ამ ჯერ კიდევ აუხსნელი ფაქტის გახსენებით გამოწვეული ასოციაციებიც კი, ერთი მხრივ, იმ ზომამდე აღიერებდა ჩემს ინტერესსა და ცოდნის წყურვილს, რომ ეს თითქმის idee fixe-ად გადამექცა, მეორე მხრივ კი, ამის შესახებ ავტომატური ფიქრები უკვე სერიოზულად მიშლიდა ხელს ჩვეულ შინაგან ბრძოლაში ჩემი ნატურის კანონიერ უართან, დამორჩილებოდა ჩემს ცნობიერს და, ამგვარად, მართმეფდნენ სრული კონცენტრაციის საშუალებას, რათა გამეგრძელებინა ჩემი საბუშაო, რომელიც უდიდეს ყურადღებას მოითხოვდა.



მაგრამ როცა, როგორც იქნა, 1930 წლის ბოლოს ნიუ-იორკში ჩავედი და პირველსავე დღეს ჩემი იდეების მიმდევარ დიდი რაოდენობით ამერიკელს შორის აღმოაჩინდი და როცა იგივე მოვლენა იქაც დავინახე, ამან ისეთი სიღრმისეული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და რეაქცია ისეთი ძლიერი იყო, რომ ციება დამეწყო, აი, იმის მსგავსი, ე-



წ. „კუსაკის ყვითელი მალარიით“ დაავადებულ ადამიანებს რომ ემართებათ ხოლმე.

მაშინ მათთვის „თვალეხში ნაცრის შესაყრელად“ ჩემი ჩვეულებრივი ხუმრობით საუბრის მანერა ვაგაძლიერე კიდევ, რათა შინაგანი მდგომარეობა დამეფარა.

საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, როცა ცოტათი დავეწმარდი, დაფიქრდი და მივხვდი, რომ ამერიკაში ჩემი იმჟამინდელი მოგზაურობის მიზნის განხორციელება, რომელიც, სხვა დანარჩენთან ერთად, ფინანსურ საკითხებთანაც იყო დაკავშირებული, ადამიანთა ამ გამოყენების ვარაუდზე შესაძლებელი იყო ჩემთვის, გადაეწყვიტე, ვიდრე იქ ვიქნებოდი, ამ ჯგუფში მყოფ ადამიანებთან პირადი კონტაქტით ჩემთვისვე გამერკვია მათ ინდივიდუალურობაში ამ ორიგინალური ფსიქიური თავისებურებების თანდათანობითი ფორმირების ყველა დეტალი და პირობა და რაც შეეძლო, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა, თუ ყველაში არა, უძრავლესობაში მაინც ამოვიძირკვა ეს ბოროტება, რომელიც გამოწვეული იყო ჩემი იდეების არასწორად გაგებითა და აგრეთვე სხვა მიზეზებითაც, რომელთა ბუნებაც ნაწილობრივ უკვე ცნობილი იყო ჩემთვის.

გულახდილად უნდა ვითხრათ, რომ თუკი ასეთი მძაფრი რეაქცია მქონდა, რომლის გავლენითაც მაშინვე გადავეწყვიტე, რადაც არ უნდა დამეცდომოდა, გამერკვია და ყოველმხრივ გამეშუქებინა ამ ფსიქიკური თავისებურებების მიზეზები და შეძლებისდაგვარად მიძელო შესაბამისი ზომები, ეს ძირითადად იმიტომ მოხდა, რომ იმ ადამიანებისადმი, რომლებიც სწორედ ამ ჯგუფში იყვნენ, დიდი ხნით ადრე, ჩემ მიმართ კეთილი დამოკიდებულების მიმართ იმ რთულ პერიოდში, რომელიც უბედური შემთხვევის შემდეგ მქონდა, დიდი ხნის განმავლობაში ჩემში თანდათან ჩამოყალიბდა „რალაც“, რაც მაძულებდა მეფიქრა, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ვალში ვიყავი მათთან, ყველასთან ერთად.

და მაშინ, ვინაიდან იმ მოვლენათა აღწერით, რომლებიც ამ ჩემს გადაწყვეტილებას მოჰყვა, ყველა მკითხველისთვის, რომელიც ჩემი იდეების მიმდევარი გახდა, შესაძლოა აიხსნას, ობიექტური თვალსაზრისით დანაშაულებრივი, პირადად ჩემთვის კი მტანჯველი და მწარე ფაქტის აღმოცენების მიზეზები და იმ მიზნით, რომ იქნებ ზოგიერთებმა მაინც, რომლებმაც მცდარად გაიგეს ჩემი იდეების არსი და რომლებიც კვლავაც განაგრძობენ საკუთარი თავისთვის, ასე ვთქვათ, საკუთარი „კეთილდღეობისთვის“ ამის გამოყენებას, მხედველობაში





მეავს ისინი, ვისაც ბოლომდე არა აქვთ ატროფირებული საღად აზროვნების უნარი — უნარი, რომელიც ადამიანში მოსამზადებელ ასაკში ფორმირდება — შეძლონ, ჯერ კიდევ მთავრობის და შეწყვეტონ, ასე ვთქვათ, „თვითგანადგურება“; გარდა ამისა, ვინაიდან ზემოთ ხსენებული ხუთი საუბრის შინაარსის გაცნობა, საუბრებისა, რომლებიც ნიუ-იორკში ორი მოგზაურობის დროს სწორედ იმ ადამიანებთან ჩავატარე, რომლებიც ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ — ეს, სხვათა შორის, ჩემი იდეების არასწორად გაგების გამო აღმოცენებული დამღუპველი შედეგის გამოსასწორებლად მიღებული ერთ-ერთი ზომათაგანი იყო — ჩემი აზრით, შეიძლება ნებისმიერი მკითხველისთვის „ქუშმარიტების პირველ გამობრწყინებად“ იქცეს, უფრო მეტად მისაღებად მიმანხნია, ჩემი ნაწერების „გამოუცემელი სერიის“ ამ პირველი წიგნის მთელი თემის საფუძვლად ამ მოვლენების აღწერა ავიღო.

ნიუ-იორკში ჩასვლის პირველსავე საღამოს, 1930 წლის 13 ნოემბერს, ამ ჯგუფის ზოგიერთი წევრის, დროის ეკონომიკის საშუალებების პოვნის უნარით თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ, „წმინდა სისხლის“ ამერიკელების მიერ, იმისათვის, რომ ვვლას მისცემოდა ჩემი ნახვისა და მისალმების საშუალება, სერთო შეხვედრა გაიმართა ცნობილი თეატრის „კარნეგი პოლის“ ერთ-ერთ სტუდიაში, სადაც მისტერ ს.-სთან ერთად მიმიწვიეს ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე, ჯერ კიდევ გემზე ყოფნისას.

მისტერ ს. იყო მოადგილე მისტერ ორიჯისა, რომელიც, როგორც ჩვეულებრივ ხდება ზოლმე ცხოვრებაში, ზოგიერთი გარემოებების გამო, რომლებიც ძირითადად ჩემს თავს მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ გამოიწვია, ამერიკაში ჩემი იდეების პირველი და მთავარი წარმომადგენელი, აგრეთვე ამერიკელების ამ ჯგუფის ძირითადი ხელმძღვანელი გახდა და რომელიც დროებით ინგლისში ბრძანდებოდა.

იმ საღამოს იქ შეკრებილთა უმრავლესობას, როგორც აღმოჩნდა, პირადად ვიცნობდი, ანუ, უკვე შევხვედროდი ან ამერიკაში წინა ჩამოსვლების დროს, ანდა როდესაც თვითონ ჩამოდიოდნენ საფრანგეთში და მოდიოდნენ Chateau de Priere-ში, რომელიც ბოლო წლებში ჩემი მუდმივი რეზიდენცია იყო.

სპეციალურად ჩემთვის მოწვეულ საერთო კრებაზე რამდენიმე „თარჯიმანთან“ ერთად წავიდი, რომლებიც ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ ამერიკაში. პირველი მისალმებისა და, ეგრეთ წოდებული,





„ხელის ჩამორთმევის“ ცნობილი მნიშვნელობის შემდეგ, მათ სახეებსა და თვალბრუნებებში შევიხილოთ ის „რადიო“, რაც მანამდე უკვე მქონდა შენიშნული

კერძოში, ინგლისში, თურქეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში იმ ადამიანებთან, რომლებიც ამა თუ იმ სახით ჩემი იდეების მიმდევრები გახდნენ. მაშინ ჩემში ამოტივტივდა ზევით უკვე ნახსენები მონაცემები, რომლებიც მანამდე ჩამომიყალიბდა ამ ამერიკელებთან დაკავშირებით და რომლებმაც განსაზღვრული დროის შემდეგ, თუკი ეს უკვე დაგვიანებული არ იყო, შინაგანად კატეგორიულ გადაწყვეტილებამდე მიმიყვანეს, ყველა აუცილებელი ზომა მიმეღო მათი კეთილდღეობისთვის.

„ხელის ჩამორთმევის“ ცერემონიისა და განსაკუთრებით ამერიკელებს შორის მიღებული, „თავაზიანობის“ სახელით ცნობილი ჩვეულებრივი უაზრო სიტყვების გაცვლა-გამოცვლის დასრულების შემდეგ ჩემს მდივანს ვთხოვე, ხმამაღლა წაეკითხა ჩემი თხზულებების პირველი სერიის ბოლო თავი, რომელიც ცოტა ხნის წინ დაეასრულე და მას თან მქონდა, რადგან ჩემ მიერ დადგენილი წესის მიხედვით, პორტფელით თან უნდა ეტარებინა ყველაფერი, რაზეც ამა თუ იმ მოცემულ დროს ვმუშაობდი. ეს ძირითადად იმის გამო გავაკეთე, რომ ამგვარად შექმენა აუცილებელი პირობები, წინააღმდეგობის გარეშე შემძლებოდა დამსწრეთათვის თვალყურის დევნება.

თავად, ვიჯექი რა ყველასგან განცალკევებით კუთხეში, ყურადღებით ვაკვირდებოდი თითოეულ დამსწრეს და ამავე დროს გონებაში მომავალ სამოქმედო გეგმას ვაწყობდი ყველასთან ერთად და ამავე დროს - თითოეულთან მიმართებაში.

ამ პირველ საღამოს, ვინაიდან უკვე გვიანი იყო, იმ თავის კითხვა შუაში გავაწყვეტინე და მიემართე რა მთელ დამსწრე საზოგადოებას, პირველ რიგში, შეგპირდი, რომ უახლოეს დღეებში მოვაწყობდი საჯარო კითხვას, რათა ეს თავი დაგვესრულებინა, შემდეგ კი შევთავაზე დამსწრეთაგან სამი-ოთხი ადამიანი ამოერჩიათ და მათ ვთხოვე, მისტერ ს.-სთან ერთად მოსულიყვნენ ჩემთან, რათა ერთად გადაგვეწყვიტა ყველა საკითხი, რომელიც ჩემს ნიუ-იორკში ყოფნას ეხებოდა.

მართალი რომ ვითხრათ, ეს წინადადება წინასწარმოუთქმელებული მიზნით შევთავაზე მათ - მინდოდა, ოთხ-ხუთ კაცთან ინტიმურ საუბარში გამეცვია, რა თქმა უნდა, არა პირდაპირ, ცალკეული დეტალები,



რომლებიც ბოლომდე ნათლად არ მქონდა წარმოდგენილი იმ ექვეთიან დაკავშირებით, რომელიც იმ საღამოს კითხვის დროს გახდინდა, ცხველები მოცემულ შემთხვევაში ჩემი იდეების ამ ამერიკულ „კაი-მიმდევრებს“ ეხებოდა.

მოველოდი რა უეჭველი დარწმუნებით, რომ ჩემი ნაწერების ეს სერიები, როგორც უკვე აღვნიშნე, იქნებოდა, მართლაც, „დამრიგებლურ-ინსტრუქციული“, ანუ, ხელს შეუწყობდა ჩვენი ზეციური მამის მიერ შექმნილ ყველა ჩემს მსგავს არსებაში ყველა სახის მონაცემის თუნდაც მხოლოდ ავტომატურ ფორმირებაში, რომელიც, ჩემი გაგების თანახმად, ყველა რეალურ ადამიანში უნდა იყოს და არა მხოლოდ იმ მონაცემების, რომლებიც ადამიანების, განსაკუთრებით თანამედროვე ადამიანების ჩვეულებრივ ყოფაში ფორმირდება ხოლმე და მათ უნებისყოფო არსებებად აქცევს, რომლებიც უბრალოდ ცხოველებით ავლენენ თავს მხოლოდ და მხოლოდ მათი ორგანიზმის ფუნქციონირების რეფლექსებით, მინდა, ამ სერიის დასაწყისშივე ვისაუბრო ისეთ შინაგან ფაქტებზეც, რომელთა აღწერაც დამწყები მკითხველისთვის შეიძლება ერთი შეხედვით უაზრობა, უბრალოდ რაღაც სიტყვების ერთობლიობა იყოს; მაშინ როცა ადამიანისთვის, რომელიც ფიქრსა და ვგრეთ წოდებულ „აღვგორიულ აღწერაში“ აზრის ძიებასაა მიჩვეული, ფიქრისას სულ ოდნავი ძალისხმევის გამოჩენის შემთხვევაშიც კი, საკვებ იქნება შინაარსით, სულ ოდნავ მეტ ძალისხმევას თუ გამოიჩენს იმაში, რომ „არ იყოს თავისი ავტომატური ფიქრების მარიონეტი“, მაშინ ძალიან ბევრ რამეს დაინახავს და გაიგებს.

ერთმანეთის მსგავსი, ერთი შეხედვით უაზრო გარეგანი ფაქტორების შინაგანი აზრის ძებნისა და გაგებისთვის შეიძლება შესანიშნავ „თვალსაჩინოებად“ გამოდგეს ის, რაც სტუდიიდან გამოსვლისას ეთქვი იმ შეხვედრის დასასრულს, რომელიც იქ შეკრებილმა ამერიკელებმა მომიწყვეს, რათა პირადად მომსალმებოდნენ და ეთქვათ: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!“

გარეთ რომ გავდიოდი, ზღურბლზე ვაგწერდი, მივტრიალდი და ზოგჯერ ჩემთვის ჩვეული ნახევრადხუმრობის-ნახევრადსერიოზული ტონით მივმართე მათ:

„სამი მეოთხედით ძლევაშისილო ბატონებო და სრულიად ძლევაშისილო ქალბატონებო, ამ „დოღარების





მოსავლის კონტინენტთან“. . ძალიან, ძალიან მისარია, რომ გნახეთ, თუმცა ამ საღამოს საკმაოდ დიდ ხანს ვიჯექი თქვენი „განკონსერვირებული“ გამოსხივების ნეტარ ატმოსფეროში, მაინც საკმარისი ენერგია მივიღე – შესაძლოა უფრო მეტიც, ვიდრე საჭირო იყო – ჩემი მიზნის განსახორციელებლად, რომლის გამოც ნამოკვდი აქ. ამავე დროს, სამწუხაროდ – თუმცა არ ვიცი, ჩემდა თუ თქვენდა სამწუხაროდ – ჩემში კვლავ გაიღვიძა იმ იმპულსმა, რომელიც მუდამ

ქმონდა, მაგრამ რომელსაც არც ერთხელ არ შეუხსენებია თავი ჩემი მწერლური მოღვაწეობის პერიოდში. სახელდობრ, სიბრაღელის იმპულსმა ზოგიერთებისადმი, რომელთა რაოდენობამაც უზარმაზარ ციფრს მიაღწია, რომელთა პატივმოყვარე მშობლებმა ან მასწავლებლებმა ისარგებლეს რა იმით, რომ ამ მომავალ „განდგომილებს“ საკუთარი სიბრძნე არ გააჩნდათ, დაარწმუნეს ისინი, რა თქმა უნდა, ესმარებოდნენ რა ფულით, რომელიც კარგადაა ცნობილი იტალიურ „ბულალტერიაში“, საპასუხისმგებლო ასაკში „ექიმი-ფსიქიატრები“ გამხდარიყვნენ, მოცემულ შემთხვევაში კი ლაპარაკია საკმაოდ ზრდასრულ უბედურ ადამიანებზე, რომლებიც ამერიკული მასშტაბის კარგად ორგანიზებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ცხოვრობენ.

გულახდილად რომ ვითხრათ, ჯერ ზუსტად არ ვიცი ჩემში მანამდე არსებული არასასურველი იმპულსის გამოვლიძების მიზეზი: მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ამ მონაცემებზე რეაქციამ ნელ-ნელა დაიწყო ჩემში გამომჟღავნება იმ ფაქტის გამო, რომ ჩემი ნაწერების პირველი სერიის ბოლო თავის კითხვის დროს, ვიჯექი რა კუთხეში და მოწყვნილი ვაკვირდებოდი თქვენი სახის გამომეტყველებას, ნათლად დაეინახე, ხან ერთს და ხან მეორეს როგორ გეწერებოდათ სახეზე: „სავიკეთის კანდიდატი“.

„მოწყვნილი - მუთქი“, - ვთქვი, რადგან ამ თავის შინაარსი, რომლის თითოეულ წინადადებაზე სამი თვის განმავლობაში დღე და ღამე გაძუდებით ვფიქრობდი, არა ნაკლებ მაქვს მობეზრებული, ვიდრე თქვენი თვეში „მაკრული“, რომელსაც აქ ჩემი ვიზიტის დროს მთელი ექვსი თვის განმავლობაში დილა-საღამოს ვკვამდი იძულების წესით, რადგან ეს ერთადერთი ახალი პროდუქტი იყო, რომლის შოვნაც ამ ქალაქში შეიძლებოდა“.



ამის შემდეგ, მოვეცი რა ჩემს ხმას ტონი, რომელსაც მსასწრებში ასწავლიან და „მორიდებული თავმდაბლობის“ ტონი ჰქვია, დაკამატე.

„მე ჯერ არა ვარ დარწმუნებული, ეს მართლა ასეა, თუ მეჩვენება, რაც საკმაოდ ხშირად ხდება ადამიანის ფსიქიკაში, რომელმაც ბევრი „უსიამოვნება გადაიტანა“. უკიდუგანო ოკეანის ტალღებზე ეჭვსდღიანი განუწყვეტელი რყევის, აგრეთვე, კეთილშობილი ფრანგული „არმანიაკის“ ხშირი წრუპვისა და მისი ვიბრაციების მუდმივად დასარეგულირებლად არანაკლებ კეთილშობილი „hors d'oeuvres“\*-ის მიღების გამო, დღეს რაღაც, როგორც იტყვიან, „fishy“\*\* მღვომარეობაში ვარ.

ჩემ მიერ აღწერილი მნიშვნელოვანი ამერიკელი შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ, რომელსაც ადვილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა ნაირად დაახასიათებდნენ – ისინი, ვისაც ჯიბეები დოლარებით ჰქონდათ გამოტენილი, იმისდა მიუხედავად, თუ რა გზით იყო ნაშოვნნი ის ფული, იტყოდნენ, რომ დღეებმა „არამონოტონურად“ ჩაიარა მაშინ, როცა ისინი, ვინც ქრონიკულად განიცდიდნენ ფულის ნაკლებობას, იტყოდნენ, კიდევ ერთი ნაბიჯით მიუეახლოვდით ჩვენს

აღსასრულსო, – ჩემთან მოვიდა ზემოთ ხსენებული ამერიკელების ხუთკაციანი ჯგუფი მისტერ ს.-ს მეთაურობით.

ვილაპარაკე რა მათთან ბუნებრივად მიმდინარე ასოციაციებზე და თან ჩემთვის საინტერესო ყველა დეტალი გავარკვიე, რაც ჩემი ჩამოსვლის პირველ საღამოს ხმამაღლა კითხვის დროს გაჩენილ ეჭვებთან დაკავშირებით მაინტერესებდა, მათ წინაშე დავიწყე ჩემი იდეების მიმდევართა ფსიქიკაში გაჩენილი ამ უცნაური თვისებების, აგრეთვე, იქიდან გამომდინარე პერსპექტივების ჩემ მიერ უკვე აღწერილი კონსტატაციების საკმაოდ რელიეფური ხატვა, მერე მოკლედ გავაცანი ჩემი ამერიკაში ჩასვლის მიზეზები და რადგან არ მქონდა იმის საშუალება, რომ ძალიან დიდი დრო დამეთმო მათი



ჯგუფის წევრებისთვის, ვთხოვე, აღარ გამეორებულყო ის, რაც იმ დღეებში ხდებოდა, როცა ჯგუფის ამა თუ იმ წევრის ვიზიტებისა და ზოგჯერ სრულად იდიოტური

\* საუზმე – ფრ.  
\*\* საექვო, სუსტი – ინგლ.



შეკითხვების გამო, რომლებსაც ისინი მისვამდნენ, საშუალება არ მომეცა, თუნდაც ერთი სიტყვა დამეწერა.

ამიტომ შევთავაზე მათ, შეექმნათ კომიტეტის მსგავსი რაღაც, თავის თავზე აეღოთ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება საკუთარი ჯგუფის წევრებისთვის კვირაში ორჯერ საერთო შეხვედრების მოსაწყობად, სადაც აუცილებლად შევეცდებოდი დასწრებას; აგრეთვე თვალი მოუღვრებინათ იმისთვის, რომ სხვა დღეებში არავის შევეწუხებინე პირადი ვიზიტებით, წერილებითა და ტელეფონითაც კი.

ამის შემდეგ ყველამ ერთად გადავწყვიტეთ, ჩემი დროის დაზოგვისა და აგრეთვე ბევრი სხვა მოსაზრების გამო ეს საერთო შეხვედრები ჩემს ბინაში ჩავკეტარებინა. დარბაზისმაგვარი ყველაზე დიდი ოთახის შეზღუდული ზომის გამო ამ შეხვედრებზე 50 კაცზე მეტი არ დაიშვებოდა. ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის კი „კარნევი პოლის“ სტუდიაში ან სხვა კერძო ბინებში ვაიმართებოდა შეხვედრები, რომელზეც აუცილებელი არ იქნებოდა ჩემი მონაწილეობა, ჩემი ერთ-ერთი თარჯიმან-მდივანი ჩემთვის დასმული ყველა შეკითხვისა და ამ შეკითხვებზე ჩემი პასუხების სტენოგრაფიულ ჩანაწერს წაიკითხავდა ხოლმე.

დასასრულისთვის, დაფინებით ვთხოვე, ჯერჯერობით არავისთვის, ჯგუფის არც ერთი წევრისთვის არ ეთქვათ ჩვენი საუბრის შესახებ და ბოლოს დავაძაბე:

„ჩემ მიერ ამ დღეებში ჩატარებული დაკვირვებისა და კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნების თანახმად, ჩემდა სამწუხაროდ, ნიუ-იორკში ყოფნის დროს იძულებული ვიქნები, თქვენი ამხანაგების მიმართ სხვადასხვა სახის ზომები მივიღო იმ მიზნით, რომ ან სრულიად იმედგაცრუებულნი დარჩნენ ჩემი იდეების მიმართ, ან მთლიანად დაკარგონ ბოლო წლების განმავლობაში მათ ინდივიდუალურობაში კრისტალიზებული რწმენა მისტერ ორიჯისა და მისი ავტორიტეტისადმი“.

### პირველი საუბარი,

*ჩემ მიერ ჩატარებული 1930 წლის 28 ნოემბერს თავისუფალი დასწრების უფლებით ჩემი იდეების უკლებლოვ ყველა მამლევრისთვის, რომელიც ზემოთ ხსენებულ ჯგუფს მიეკუთვნებოდა*

ასე დაიწყო:

დღეს და გუშინ სერიოზულად ვფიქრობდი იმაზე, როგორ მოვებნო ისეთი საშუალება ჩემი ახსნა-განმარტებებისთვის, დღეს და შემდგომ, ორ ან სამ შეხვედრაზე მთლიანობაში როგორ მოვახერხო თქვენს ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული განსაზღვრული ინფორმაციის თქვენამდე მოტანა და ჩემს თხრობას როგორ მიუცე ისეთი ფორმა და თანმიმდევრულობა, რომ მათ შეძლონ თქვენ მიერ, ჩრდილოამერიკელების მიერ შექმნილ პირობებში - ვგულისხმობ სხვა ადამიანების აზროვნების მექანიზმთან შედარებით გაცილებით უფრო დიდ არანორმალურობას - თქვენი დახმარება, ნორმალურად და მოუკერძოებლად, გაიგოთ მთელი ეს ინფორმაცია.

დიდხანს დამჭირდა ამაზე ფიქრი უმთავრესად ჩემი გულწრფელი სურვილის გამო, ახლა, როცა საშუალება მაქვს, ჩემი ახსნა-განმარტებებით რაღაც სახის დახმარება მიანც გაგიწიოთ თქვენ, ამერიკელებს, რომლებიც ჩემი მიმდევრების სწორედ ამ ჯგუფს წარმოადგენთ, წარმოადგენთ ადამიანებს, რომელთა მიმართაც ჩემი თქვენთან ურთიერთობის დროს როგორც ჩემდამი, ისე ჩემი საბუშაოსადმი იმ რთულ წლებში, რომელიც იმ უბედური შემთხვევის შემდეგ მქონდა, თქვენი კეთილგანწყობილი ურთიერთობის შედეგად ჩამომიყალიბდა და დღემდე მუდმივად მოქმედებს, ასე ვთქვათ, „მასტიმულირებელი მონაცემები“ კეთილგანწყობისთვის; გარდა ამისა, ამავე პერიოდში ჩამომიყალიბდა მყარი რწმენა იმისა, რომ თქვენ,

ყველას, ამკარად პრესის არანორმალური დოზით კითხვის გამო სხვა ადამიანებზე მეტად განგვივითარდათ ის არანორმალური ფსიქიკური ფაქტორი, რომელიც საუკუნის განმავლობაში თანამედროვე ადამიანების განუყოფელ თვისებად იქცა და რომელიც სრულიად ამკარად, რამდენადაც ძალიან ადვილია ამის





ექსპერიმენტულად დადგენა, ადამიანების საერთო ფსიქიკაზე იმგვარად მოქმედებს, რომ მათი ყოფიერება კმაყოფილებოდეს ყველა სახის შთაბეჭდილებების, როგორც წაკითხულის, ასევე მოსმენილის ზედაპირული აღქმით, ისე რომ მათში არ აღძრავდეს არანაირ წინათვრძნობას მისგან გამოწვეულ რაიმე სახის შესაძლო მანევრე შედეგების თაობაზე.

ამ ფიქრის შედეგად, ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს შევძელი, გონებაში ჩამოშვებულიყავი თხრობის ფორმა, რომელიც დაახლოებით მაინც მიესადაგებოდა ჩემს მიზანს.

ამ, ასე ვთქვათ, „თხრობის სქემის“ თანახმად, თქვენში, პირველ რიგში, აღვირავ და შერე კი განვიმარტავთ რამდენიმე ისეთ საკითხს, რომლებიც, როგორც ვვარაუდობ, ერთი შეხედვით, მოგწვევებიათ, რომ სრულიად არ შეესატყვისება იმას, ჩემგან რის ვაგონებასაც ელოდებოდით იმ თვალსაზრისით, რომ მე შეგპირდით, ეს ყველაფერი თქვენს საკეთილდღეოდ ხდება - მეთქი მაშინ, როცა, ჩემი აზრით, სინამდვილეში შეპირებული ახსნა-განმარტებების მხოლოდ ასეთი თანმიმდევრული განვითარების სქემას შეუძლია თქვენს არანორმალურად მოწყობილ „აზროვნების აპარატში“ იმ წარმოდგენების კრიტიკალიზება, რომელთა წვდომაც არა მხოლოდ სასარგებლოდ, არამედ აბსოლუტურად აუცილებლადაც კი მიძინია თქვენთვის.

უპირველეს ყოვლისა, მინდა გაგაცნოთ ორი ძირითადი პუნქტი ჩემ მიერ შედგენილი იმ დეტალური პროგრამისა, რომელიც, როგორც განსაზღვრული იყო, თანმიმდევრულად უნდა განხორციელებულიყო ადამიანთა ცხოვრებაში ჩემ მიერ დაარსებული ადამიანის პარამონიული განვითარების ინსტიტუტის საშუალებით.

ეს ინსტიტუტი, სხვათა შორის, ვგრეთ წოდებული, მსოფლიო ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე დაეაარსე რუსეთში, მაგრამ მაინც მოვასწარი ჩემი „პირმშოს“, როგორც იტყვიან, „ფეხზე დაყენება“. მიუხედავად მრავალჯერადი მცდელობისა სხვა ქვეყნებშიც გამეხსნა ის, ამ ომის გამო ყველა მცდელობა „კრახით“ მთავრდებოდა, რასაც ჩემთვის მოკვებოდა დიდი მატერიალური ზარალი და ძალისხმევის ფუჭად ხარჯვა, რაც ჩემი მხრიდან ფიზიკური და მორალური ძალების ზეადამიანურ დაძაბვას მოითხოვდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, როგორც უკვე მოვახსენეთ, რვა წლის წინ არ შევძელი მისი გახსნა კეთილშობილ საფრანგეთში.


ABSOLUTE	1	99
ALL WORLDS	2	98
ALL SUNS	3	97
SUN	12	86
ALL PLANETS	24	74
EARTH	48	48
MOON	96	24
ABSOLUTE	▼	00





ამ საფუძვლიანი პროგრამის ერთი პარაგრაფი ჩემთვის განხორციელების დეტალურ აღწერას შეიცავდა, სახელწოდებით კი ინსტიტუტის მთავარ განყოფილებაში, აგრეთვე სხვა სექციებშიც, რომლებიც იმ დროისთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო, მეტ-ნაკლებად დარეგულირებული იქნება ეკონომიკური საკითხი და აგრეთვე მეტ-ნაკლებად მოვარებული იქნება ვერც წოდებული „გაგების“ შექმნის პროცესი ადამიანთა ბუნებაში, რომლებიც საკუთარ თავზე მუშაობდნენ და ამ სექციებში ცხოვრობდნენ იმ ადამიანთა დახმარებით, რომლებმაც ამ სექციებში უკვე მიაღწიეს „ყოფნისა და გაგების“ გარკვეულ საფეხურს, როგორც ამას უწოდებდნენ აქამდე არსებულ ყველა ეზოთერულ სკოლაში, აზიის, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში, სადაც ზდება მოცემული განსაკუთრებული ტიპის ადამიანთა ძალიან დიდი დაჯგუფებების ინტერესთა კონცენტრირება, დავიწყებ ახალი ტიპის საჯარო დაწესებულებების გახსნას, რომლებიც იმ „კლუბების“ მსგავსი იქნება, რომლებიც თითქმის ყველგან ადამიანთა ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილია და ამ ახალი ტიპის საჯარო დაწესებულებების შიგნით იმის ნაცვლად, რაც ასეთ ადგილებში ჩვეულებრივ დადგენილია ადამიანთა რომელიმე განსაზღვრული ჯგუფისთვის, ანუ მათი საკუთარი წესების, პრინციპების, რელიგიური და ეკონომიკური შეხედულებების და ა. შ. გათვალისწინებით და დროის ტარების ჩვეულებრივ მიღებული წესების ნაცვლად, ანუ, ჟურნალ-გაზეთების კითხვის, ბანქოს თამაშის, მეჯლისების, მასკარადებისა და კონცერტების მოწყობის ნაცვლად, რომლებიც ხშირად, განსაკუთრებით ჩვენს დროში, რომლებიც ტარდება იმ ადამიანთა „ზერელე მონაწილეობით“, რომლებიც, თანამედროვე ადამიანების უმრავლესობის აზრით, „ცნობილები“ და „გამოჩენილები“ არიან, ჩემი აზრით კი, ძირითადად იმ ადამიანების მონაწილეობით, რომლებიც როგორც თავიანთი წინაპრების, ისევე საკუთარი არანორმალური ცხოვრების გამო სხვა არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ტიპებს, რომლებიც ბაბილონური ცივილიზაციის პერიოდში „მეფე გამოსხივების მატარებელ“ ტიპებად ითვლებოდნენ – და

აი, ყოველივე იმის ნაცვლად, რაც ჩვეულებრივ ზდება ხოლმე ასეთ კლუბებში, და რაც აბსოლუტურად არაფრის მიმცემი არ არის მისი წევრებისთვისა და მათი ინდივიდუალურობის რეალური განვითარებისთვის, კოლექტიური კითხვის,



ლექციებისა და ახსნა-განმარტებების საშუალებით თანდათანობითი და მკაცრი თანმიმდევრულობით გაცნობის ჩვეულება დამენერგა და ამას განახორციელებდნენ ის ადამიანები, რომლებიც სპეციალურად იყვნენ მომზადებული და ვაგზანილი ზემოხსენებული სექციებიდან და რომლებიც აღჭურვილი იყვნენ თეორიული ინფორმაციის ერთობლიობის სხვადასხვა ფრაგმენტით, რომლის პრინციპებსაც ვფუძნება ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტი. კერძოდ კი, იმ ინფორმაციის ერთობლიობას, რომლის გაგების უნარიც გააჩნია ყველა თანამედროვე ადამიანს და რომლის შესწავლის შემდეგაც თითოეულმა უნდა აღიაროს, რომ ეს ჯერ თუნდაც რომ არ იყოს ცნობილი ადამიანთა ცხოვრებაში, მიუხედავად ამისა, თავისი ჭეშმარიტებით ეს ისევე აქსიომა, როგორც, მაგალითად, ის, რომ, „როცა წვიმს, ტროტუარები სველია“, ეს იმ ყველაფრიდან, რისი წვლიმაც ვვალება ადამიანს, რათა ის ცხოვრობდეს არა ველური ცხოველივით, არამედ ეწეოდეს ღირსეულ ცხოვრებას, როგორც ადამიანს ეკადრება, იქცეს ჭეშმარიტად ყველაზე მნიშვნელოვანი გახდეს, უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე ჰკერი, რომელსაც ესუნთქავთ, მერე კი, იმ შეხედულებების საფუძველზე და მათ შესაბამისად, რასაც საკუთარი კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობებისა და საშუალებების თაობაზე საჭირო მონაცემებს მიიღებენ ამ თეორიული ინფორმაციის წყალობით, ყველაფერს გააკეთებენ ამის პრაქტიკაში განსახორციელებლად.

მეორე იმ პუნქტებიდან, რომლის გაგებაც, ჩემი აზრით, აბსოლუტურად აუცილებელია თქვენთვის, შეიცავდა ჩემი განზრახვის შინაარსისა და ფორმის დეტალურ აღწერას, ინსტიტუტის მთავარი სექციის ცხოვრების მეტ-ნაკლებად დაბალანსებული „ტემპის“ დადგენის პარალელურად უნდა მომხდარიყო სტუდენტთა დაყოფა სამ დამოუკიდებელ ჯგუფად იმ შედეგების შესაბამისად, რომელსაც საკუთარ თავზე შინაგანი მუშაობის შედეგად მიაღწიეს: პირველი ჯგუფი იყო ეგზოთერული, ანუ გარეგანი ჯგუფი; მეორე – მეზოთერული, ანუ შუალედური ჯგუფი; და მესამე – ეზოთერული, ანუ შინაგანი ჯგუფი.

პირველ, ეგზოთერულ ჯგუფში გაერთიანდებოდა ყველა ახალშემომატებული სტუდენტი, აგრეთვე ისინი, ვინც თავიანთი სუბიექტური თვისებებით ჯერ ვერ მოიპოვეს მისი უფლება, რომ მეორე, ანუ მეზოთერული, ჯგუფის წევრები გამხდარიყვნენ.



მეორე, მეზოთერული ჯგუფის სტრუქტურებს, ძირითადად მხარეთმცოდნეობის თანახმად, ყველა საკითხთან დაკავშირებით მიეწოდებოდა მხარეთმცოდნეოლოგიური ცოდნა, რომელიც მიუწვდომელია საშუალო ადამიანისთვის, ცოდნა, რომელიც ჩემი ნახევარსაუკუნოვანი სპეციალური კვლევების საფუძველზე დავადგინე და რომელსაც ვწუვდი როგორც მარტო, ისე უმაღლესი თანამედროვე კულტურის შემსწავლელ სპეციალურ ჯგუფთან ერთად, რომელმაც ობიექტური ჭეშმარიტების ძიებას უძღვნა თავი.

მესამე, ეზოთერული ჯგუფის წევრები, იმავე დანერგვითი პროგრამის თანახმად, ამ საკითხებს ნახიარები უნდა ყოფილიყვნენ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც და უნდა გაცნობოდნენ თვითსრულყოფის რეალური საშუალების ყველა ხერხს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხდებოდა მათი ექსპერიმენტული გამოცდა და შემოწმება სრულიად უჩვეულო, ხელოვნურად შექმნილ გარემოებებში.

აღბათ, დროული იქნება იმის თქმა, რომ ამ მესამე ჯგუფთან მუშაობისას ვაპირებდი, საკუთარი თავი მიმეძღვნა იმ საშუალებების გამოცდისთვის, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისთვის, ვაპირებდი გამომეყენებინა ყველაფერი, რისი მიგნებაც და ზედმიწევნით შემოწმებაც მოხერხდებოდა ამ გზით მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ახლა მინდა კიდევ, უმთავრესად თქვენს, როგორც უკვე ვთქვი, „არასოდეს აქამდე დედაძინის არსებობის მთელი ხანგრძლივობის დროს ასე სრულიად არამეცნიერებულ აზროვნებაში“ შედარებითობის, როგორც ამას ძველი სწავლული ფსიქოლოგები უწოდებდნენ, „დამაკავშირებელ საფუძველს ლოგიკური შეპირისპირებისთვის“, ჩემი შემდგომი განმარტებებისთვის, აგრეთვე იმისთვის, რომ შეძლოთ, მიახლოებით მაინც, როგორც იტყვიან, „გამოიცნოთ“, რატომ ვახსენე მაინცდამაინც ეს ორი პუნქტი და დამოკიდებულება შეიძლება პქონდით მათ ჩემ მიერ ჩაფიქრებულ შემდგომ ახსნა-განმარტებებთან თქვენს საკეთილდღეოდ, მე აგრეთვე აუცილებლადაც კი მიმაჩნია, განმარტებების იმავე თანმიმდევრობის სქემის შესაბამისად, რომელიც ადრე მქონდა



გონებაში შედგენილი, ვიდრე დავიწყებ იმაზე საუბარს, რასაც უშუალო მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, ვიამბოთ ან, უფრო სწორად, გამოვიტყდეთ, რომ რამდენიმე ძალიან განსაზღვრულ, ვერცხვად წოდებულ, „მოტივების ფაქტორს“ შორის, რომლის კრისტალიზებაც მოხდა ჩემს „სუბიექტივიზმში“ ინტენსიური, ძალიან



არასასიამოვნო განცდების შედეგად და რაც ბევრჯერ გამეორდა ზემოთ ხსენებული პროგრამების დამუშავებისა და ცხოვრებაში გამოყენების პერიოდში, არის ორი ფაქტორი, რომლებიც ყოველთვის მოქმედებენ როგორც კანონზომიერი მიზეზების შედეგები და აზროვნებისა და ემოციურ ასოციაციებში თითქმის ყოველთვის იწვევენ გრძნობას, რომელთან შეგუებაც ძალიან მიჭირს, ეს არის „სიმწარე“.

პირველი ამ „მოტივირებულ ფსიქიკურ ფაქტორთაგან“, რომელიც დღემდე მირყევს ძალებს, ჩამოყალიბდა ამ პროგრამის შემუშავების დროს, რაც ჩემს ცნობიერებასა და ბუნებას შორის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგი იყო.

უნდა ვითხრათ, რომ მრავალი წლის წინ, ეს იყო ინსტიტუტის შექმნამდე, როცა დეტალებში ვვემავდი და ვაშუშავებდი ამ პროგრამას, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით რჩევებისა და მიმართულების მისაცემად მიმემართა ძალიან პატივცემული და მიუკერძოებელი ადამიანებისთვის, რომლებთან შეხვედრის ბუნებრივად მჭონდა ჩემი ცხოვრების მანძილზე და რომლებმაც, სხვათა შორის, ადამიანის სიცოცხლის განსაზღვრული ხანგრძლივობის არსებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ უკვე გადააბიჯეს თავიანთი არსებობის ორსაუკუნოვან მიჯნას, მათგან ზოგი კი ისეთ სითამამესაც კი იჩენდა, რომ სამსაუკუნოვანი მიჯნის გადალახვის იმედიც მჭონდა, ზოგიერთ სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციებისთვის ხშირად მიემართავდი სრულიად არაცნობილ ადამიანებსაც, რომლებიც, თუმცა ავტორიტეტულ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ თანამედროვე ცხოვრების გარკვეულ სფეროებში, ამ საკითხებში, როგორც ამ ტიპის თანამედროვე ადამიანებს სწვევივით ხოლმე, მაინც ძალიან „საკესენი“ იყვნენ ისეთი ტიპის „შესანიშნავე თვისებებით“, როგორებიცაა: „პატივმოყვარობა“, „საკუთარ თავზე დიდი წარმოუდგენა“, „მბიცია“, „თვითმაცდუნებლობა“ და ასე შემდეგ.

ამ ფაქტმა, რაც ჩემში დიდი შინაგანი ძალისხმევის, როგორც იტყვიან, „განცდების“ და გარეგანი დამოკიდებულებების გათვალისწინების ფასად მიჯდებოდა, ჩაუყარა საფუძველი ჩემში პირველი ზემოთ ხსენებული „მოტივირების ფაქტორების“ საწყის მონაცემებს.



ზემოთ ხსენებული „ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან“ შერჩეული ჩამოყალიბდა უკვე ევროპაში ჩემი საფრანგეთში დაფუძნებული ორი წლის თავზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემთვის ასე თუ ისე ხელსაყრელ პირობებში, სადაც დავიწყე კიდევ ადრე შემუშავებული პროგრამის შესაბამისად; ამ ფაქტორის ფორმირება იყო შედეგი რამდენიმე ადამიანის „თვითკმაყოფილებისა“, რომლებსაც იმ დროს, ზემოაღნიშნული პირობებში კონტაქტი ჰქონდათ ჩემთან.

მოუხედავად ევროპაში ჩემი ჩასვლის პირველივე დღიდან არსებული სასიცოცხლო აუცილებლობისა, ჩემი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების ნახევარზე ნაკლები არ დამეთმო უდიდესი ფინანსური კრიზისის მოგვარებისთვის, რომელიც რუსეთის ხელისუფლების „სამარცხვინო სიჩლუნგის“ მიზეზით შემექმნა და მოუხედავად იმისა, რომ დროის მეორე ნახევარი უნდა დამეთმო 70 მოწაფის თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის, რომლებიც სპეციალურად მომზადდნენ, ასე ვთქვათ, საილუსტრაციო მასალის დემონსტრირებისთვის, რომლის ჩვენებაც მომდევნო წელს ნავარაუდევო იყო მოელს ევროპასა და ამერიკაში ჩემი ახალი იდეების ცხოვრებაში გამოყენების შედეგების ჩვენების მიზნით, მაინც მოვახერხე, ისე წარმემართა ჩემი მუშაობა, რომ საფრანგეთში ინსტიტუტის გახსნიდან მეორე წელს ჩემში, ისევე როგორც ბევრ სხვა ადამიანში, რომლებსაც იმ დროს კონტაქტი ჰქონდათ ჩემთან და მეტ-ნაკლებად იცნობდნენ ჩემს ინსტრუქციებს, უკვე გაჩნდა მონაცემები ძლიერი რწენისა, რომ ძალიან მალე უკვე შესაძლებელი იქნებოდა ჩემ მიერ ზემოთ განმარტებული დაწვრილებითი პროგრამის ორი პუნქტის პრაქტიკული განხორციელებაც, ანუ: ინსტიტუტში მცხოვრები მოწაფეების სამ ჯგუფად კლასიფიცირება და თითოეულ ჯგუფთან წინასწარ გათვალისწინებული „თეორიული“ და „პრაქტიკული“ მეცადინეობების დაწყება; ამავე დროს, იმ ადგილებზე, სადაც ადამიანთა დიდი ჯგუფების ინტერესები იყო კონცენტრირებული, უკვე ხსენებული ახალი ტიპის „კლუბების“ გახსნა.

სამწუხაროდ, ადამიანების კეთილდღეობისთვის არანაირი

კონკრეტული შედეგების განხორციელება, რომელსაც ამ პროგრამიდან ველოდი, პროგრამიდან, რომელიც უმცირეს დეტალურად იყო დამუშავებული, არ მოხერხდა იმ ყველასთვის ცნობილი





შემთხვევის გამო, რომელიც ექვსი წლის წინ მოხდა ჩემს ცხოვრებაში და რომელიც როგორც ყველა მეცნიერმა, ასევე ჩვეულებრივმა ადამიანებმა და აგრეთვე მათ, ვინც მე მიცნობდა ან ამ შემთხვევის შესახებ უბრალოდ გაგონილი ჰქონდათ, თავიანთი ზერულე შეხედულებების გამო ეს უბრალო „საგზაო შემთხვევა“ განიზილეს, თუმცა რეალურად, როგორც თავიდანვე ვივარაუდე, როგორც კი გონს მოვედი და რაშიც ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ – ეს იყო ჩემთან მიმართებაში ბოლო აკორდის გამოვლინება იმ „რადაციისა“, რაც ჩვეულებრივ გროვდება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში და რასაც ზემოთ უკვე ვუწოდე „მომავალი სიკეთის მაცნე“ და რაც პირველად იუდეველთა დიდმა, ნამდვილად დიდმა მეფე სოლომონმა და უწოდა მას „ცვარნოხარნო“.

ვებრუნდები რა იმ პერიოდის ფაქტების უფრო დეტალურ აღწერას, რაც აუცილებელია ჩემი ამჟამინდელი განმარტებების გასაგებად, უნდა ითქვას, რომ სულ თავიდან, როცა უკვე ასე თუ ისე ყველაფერი მოგვარებული იყო ადამიანთა დიდი ჯგუფის საცხოვრებლად იმ ორ სახლში, რომლებიც საფრანგეთში შევიძინე და რომლებსაც ვუწოდე Château du Prière de Le Paradou, აგრეთვე ნაჩქარევად დასრულდა ნაგებობა, რომელსაც შემდგომში „მეცადინეობების სახლი“ დავრქვა, თითქმის ყოველდღიური ლექციების სერია დაიწყო ინსტიტუტის როგორც ახლად მიღებული ევროპელი სტუდენტებისთვის, ასევე მათთვის, ვინც რუსეთიდან ჩამოვიდა ჩემთან ერთად ან გზაში შემოძიერთდა ჩემი კაკასიიდან ევროპაში მოგზაურობის დროს, როცა სხვადასხვა პოლიტიკური სირთულის გამო არანაირი საშუალება არ არსებობდა ხსენებული პროგრამის თუნდაც ერთი პარაგრაფის განსახორციელებლად, არც სადმე დიდხანს გასაჩერებლად, რათა ადრეული ზედაპირული მონახაზის პარალელურად განმეხილა დეტალები, რომლებიც ერთიანობაში ჩემი იდეის არსის ილუსტრირებას ახდენდნენ და საერთო მასალის 24 ქვეთავიდან უფრო სიღრმისეულად ამეხსნა ის ნაწილი, რომლის გაგებაც აუცილებელია თითოეულისთვის, რათა საკუთარ თავზე პროდუქტიული მუშაობა დაიწყო.

იმისათვის, რომ თქვენთვის უფრო ადვილად გასაგები იყოს შემდგომი განმარტებები, რომლებიც მაშინ მივეცი მათ, აუცილებლად მიმაჩნია, ზოგიერთი მათგანი აქაც გავიშვარო.

ყველაფერთან ერთად მაშინ ისიც ვთქვი, რომ უმნიშვნელოვანესი



სამუშაო ადამიანისთვის, რომელიც გონებით უკვე ჩაქრულია, რეალურ მნიშვნელობას, ანუ, რომელიც უკვე მიხვდა, რატომაც რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ის აზვიადებდა საკუთარ ინდივიდუალურობის მნიშვნელობას, რომელიც სინამდვილეში მშვიდ მდგომარეობაში მიუკერძოებელი შეფასებისას თითქმის სრულ „არარაობას“ წარმოადგენს – საჭიროა შეიძინოს უნარი, გარკვეული დროის განმავლობაში მთელი თავისი შესაძლებლობები და ძალა მიმართოს იმაზე, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოახდინოს კონსტატირება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური არანორმალური ფაქტებისა, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციაში ვლინდება, ანუ შეეცადოს პრაქტიკულად განახორციელოს ის, რასაც „თვითდაკვირვებას“ ვუწოდებთ.

ამის გაკეთება საჭირო და აუცილებელია უმთავრესად იმიტომ, რომ ისეთმა არასასურველმა ფაქტებმა, რომლებსაც მხოლოდ გონებით ამწნევს ადამიანი და ჯერ მისი ყოფიერებისთვის კვლავინდებურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვთ, თანდათანობით გროვდებოდნენ რა მის ნატურაში, დაიწყეს კრისტალიზება მყარი რწმენისა ამ გზით შეძენილი ცოდნისადმი და ამის ხარჯზე, ეს კანონზომიერად ასე უნდა მოხდეს, იმისათვის, რომ საკუთარ თავზე მუშაობის საშუალება მიეცეს, მის ზოგად ყოფიერებაში უნდა წარმოიშვას უდიდესი ძალის ენერჯია, მხოლოდ ამ ენერჯიის საშუალებითაა შესაძლებელი საკუთარ თავზე მუშაობის გაგრძელება და რომელიც ვლინდება, სხვათა შორის, „ძალის“ შეძენისკენ მუდმივი სწრაფვისას დღისით, ასე ვთქვათ, „ფიზიკურად ყოფნის მდგომარეობაში“, განსაზღვრული დროით „ახსოვდეს საკუთარი თავი“.

ეს, თავის მხრივ, აუცილებელია იმისათვის, რომ ასეთმა ადამიანმა, რომელიც მხოლოდ გონებით მიხვდა საკუთარი ინდივიდუალურობის არარაობას და რომელმაც გადაწყვიტა, შეგნებულად ებრძოლოს კონსტატირებულ არანორმალურობებს, რომლის კრისტალიზებაც მოხდა მის ინდივიდუალურობაში მისი მოსაშზადებელი ასაკის არახელსაყრელი გარემო პირობების შედეგად და რომლებიც ვლინდება



ყველა შესაძლებელ სისუსტეში, რომლებიც თავის ერთობლიობაში წარმოშობს უნებისყოფობას, უპრინციპობას, ინერტულობასა და ასე შემდეგ, შეძლოს არ გააიგივოს საკუთარი თავი გარემო პირობებთან და, განარჯდობს რა ერთდროულად სხვადასხვა გრძნობებით გატაცების



მოდრეკილებისადმი თავის შინაგან და გარეგან გამოვლინებებზე დაკვირვებას, რომლებიც უკვე მის განუყოფელ ნაწილად იქცნენ, ამგვარად კიდევ უფრო სიღრმისეული კონსტატირება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორებისა, რომლებიც მისი საკუთარი ცნობიერებისთვისაც კი არანორმალურია და მრავლად არსებობს მის ფიზიკურ სხეულში – და ეს ყველაფერი იმისთვის არის საჭირო, რომ ის მთელი თავისი არსებით დარწმუნდეს თავის უარყოფით თვისებებში, რომლებიც პირადად მისი შეფასებითაც კი შეუფერებელია ადამიანისთვის, მთელი არსებით და არა მხოლოდ, ამ შემთხვევაში არაფრისმაქნისი „ტყინით“; ისე რომ ამგვარად მან კვლავ შეძლოს იქცეს ადამიანად, რომელსაც სურს კვლავ იმუშაოს საკუთარ თავზე მთელი არსებით და არა მხოლოდ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვა, არაფრისმაქნისი ცნობიერებით.

ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობის გამო ვიძეორებ და ხაზს ვუსვამ, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანში, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობს, აღმოცენდეს და დაგროვდეს, როგორც ეს კანონზომიერად ხდება სურვილის ძალისა და მოქმედების ნებელობის შესაბამისად, აუცილებელი ენერგია, რომელიც საკუთარ თავზე მუშაობის ვაგრძელების საშუალებას იძლევა, რადგან ეს ერთადერთია, რაც ადამიანს ამ „არარაობის“ „რამედ“, ტრანსფორმაციის განხორციელების საშუალებას აძლევს, ანუ, იმად, რაც ის უნდა ყოფილიყო საკუთარი „სალი აზრის“ თანახმადაც კი, ანუ, ყოფილიყო ისეთი, როგორიც უნდა იყოს ადამიანი, ასე ვთქვათ, „ქმნილებათა გვირგვინი“ და არა ისეთი, როგორ არსებადაც იქცა რეალურად, განსაკუთრებით ბოლო დროს, სახელდობრ, როგორც საკუთარ თავთან გულახდილობის მომენტებში თავადაც იცის საკუთარ თავზე – არსებად, რომელიც ავტომატურად აღიქვამს ყველაფერს და ყველაფერში მწაურ ცხოველად ამტკაუნებს თავს.

ახლა მიმოხილვითი ფორმით გვიამბობთ მოვლენებზე, რომლებიც ამერიკაში ჩემი პირველი მოგზაურობის მიზეზი გახდა.

როდესაც ზემოთ უკვე აღწერილი მოღვაწეობის შუაში უსიამოვნებებმა დიდი მასშტაბებით ზრდა და გამრავლება დაიწყო იმ „სხვადასხვაგვარი სკანდალის აღმოცენებისთვის ნაყოფიერ ნადაგზე“, რომელსაც რუსეთი ეწოდებოდა, უსიამოვნებები, რომლებიც ჩემთან მხოლოდ იმიტომ იყვნენ დაკავშირებულნი, რომ ჩემთან ერთად ცხოვრობდა ბევრი უბედური ორფეხა არსება, რომლებთან





მიმართებაშიც განგების ნებით ჩემში ჩამოყალიბდა უარყოფითი მუდმივად მახსენებდა და მავალდებულებდა, ჰქედო მემქნეო უცილობელი კოსმიური წარმონაქმნების სუნთქვის რამე ფორმით გაგრძელებისთვის, რომლებსაც დიადი ბუნება, ითვალისწინებს რა აპარატის სირთულეს ორგანიზმისთვის ჰაერის ადვილად შეთვისებისთვის, და, აშკარაა, რომ დროის უკმარისობის გამო ამ აპარატს რაღაც დააკლო, რის გამოც ჩემი საწყალი „ფინანსთა მინისტრი“ ყოველ ჯერზე ხმამაღლა ყვიროდა „მიშველეთ! მიშველეთო!“, იძულებული ვიყავი მიმეღო გადაწყვეტილება ისე, რომ არ დავლოდებოდი მასალის სრულ მზადყოფნას, რომლის დასრულებასაც ვევემავდი, დაუფონებლივ წამოვსულიყავი თქვენთან, ამერიკელებთან – ადამიანებთან, რომლებიც იმ დროს დაცული იყავით ვერუთ წოდებული „დოლარის დეპოზიტით“\* – და მხოლოდ იმ მასალით წამოვსულიყავი, რომელიც მეტ-ნაკლებად მზად იყო.

ამერიკაში ჩემი პირველი მოგზაურობის დროს, როცა ექვსი თვე დავეყავი აქ, თქვენ შორის, მე არა მხოლოდ საკმაოდ წარმატებულად მოვახერხე ინსტიტუტის „მატერიალური საკითხის“ დარეგულირება, აგრეთვე მოვაშადაე აუცილებელი ნიადაგი აქ, ამერიკაში, რამდენიმე მუდმივი სექციის გასახსნელად.

სრულიად დავრწმუნდი რა მაშინ მომავალში ჩრდილოეთ ამერიკაში ფართო მასშტაბიანი გვემების განხორციელების შესაძლებლობაში, რომლებიც ჩემს იდეებთან იყო დაკავშირებული, მაშინვე ისე, რომ დრო არ დამიკარგავს, გავხსენი, სხვათა შორის, აქ, ნიუ-იორკში, რიტმული მოძრაობისა და მუსიკის შემსწავლელი დროებითი კლასები იმ განზრახვით, რომ ჩემი შემდგომი ვიზიტის დროს, რომელიც ექვსი თვის შემდეგ უნდა შემდგარიყო, ეს კლასები ამერიკაში ინსტიტუტის პირველ ძირითად შტოდ შექცია.

სწორედ ჩემი მოღვაწეობის ამ სტადიაზე, რომელიც გულისხმობდა მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისთვის იმ პროგრამის ცხოვრებაში დანერგვას, რომელიც უმცირეს დეტალებში იყო დამუშავებული, თითქმის ჩემი ევროპაში დაბრუნებისთანავე მოხდა ის „მარცხი“, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ხელი შემიშალა ბევრ რამეში აქ დავეგმილი მოგზაურობის ჩათვლით, იქცა, ასე ვთქვათ, ყველა შემდგომი გაუგებრობისა როგორც ჩემს იდეებთან, ასევე პირადად ჩემთან მიმართებაში.



\* კანონი, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ ბანკის გაკოტრების შემთხვევაში სახელმწიფო აანაზღაურებს საბანკო ანაბრებს

ამ გაუგებრობების – როგორც უკვე არსებული ჩანასახებისა, რომლებიც ისედაც ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში და ჩემი მიზნების ორგვლივ, აგრეთვე ახლად აღმოცენებულისა – გამრავლებისა და გაფურჩქვნის დაწყება ძირითადად დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ იმ „მარცხის“ შემდეგ რამდენიმე თვით სრულიად დაკარგე მეხსიერება, მერე კი კიდევ რამდენიმე თვე ნახევრად უგონო მდგომარეობაში ვიწექი.

ნიადაგი ჩემს იდეებთან მიმართებაში ყოველგვარი შესაძლო გაუგებრობის შესანიშნავად გაფურჩქვნისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერად გადაიქცა იმის გამო, რომ ხსენებული მარცხის შემდეგ, როცა თანდათანობით დავიწყე საკუთარი სხეულისა და მეხსიერების ფლობის ჩვეული უნარის აღდგენა და იმ მიზეზთა შედეგად, რომლებიც უკვე აღვწერე ჩემი ნაწერების პირველი სერიის ბოლო თავში, დავიწყე ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტის, რომელიც რეორგანიზებული იყო ინსტიტუტის სტატუსის შესატყვისი ახალი პრინციპების შესაბამისად, ძირითადი სექციის, აგრეთვე, სხვა სექციების ლიკვიდაცია, „ყოფიერებისა და ცნობიერების“ სხვადასხვა დონეზე მყოფ იქ მცხოვრებ ადამიანებს, რომელთა უმრავლესობაც სხვადასხვა დამოუკიდებელი ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ყოფილი რუსეთის იმპერიის მოსახლეობას შეადგენდნენ, არ ჰქონდათ რა სამშობლოში დაბრუნების საშუალება, რადგან მთელ იმ ტერიტორიაზე კვლავ ვრძელდებოდა მასობრივი ფსიქოზი, რომელიც რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, იძულებულები იყვნენ, მოულოდნელი გარემოებების მიზეზით ვაფანტულიყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ინგლისსა და ამერიკაშიც კი, იმისაღა მიხედვით, სად ჰყავდათ მეგობრები ან ნათესავები და ჩემი ინსტიტუტის ყოფილი მოწაფეების უმრავლესობას, მიმოიფანტა რა მთელს მსოფლიოში და საკმაოდ რთულ პირობებში აღმოჩნდა, რაც ჩვეულებრივ მოვლენად რჩება დღემდე წარსულში საკმაოდ მდიდარი რუსეთიდან გამოქცეული თითქმის ყველა „ელტრადვილისთვის“, რომლებსაც არ გააჩნიათ მონაცემები, რაც აუცილებელია ადგილობრივ პირობებში ნორმალური შემოსავლის მოპოვებისათვის, უცებ, როგორც ჩანს, გაახსენდათ რაღაც ნამცეცეები ინფორმაციის საერთო მასიდან, რომელიც ინსტიტუტში ჰქონდათ მოსმენილი და ისარგებლეს რა შეგნებულად ან შეუგნებლად – ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს – გონების საერთო გაუწონასწორებლობით, რაც აღმოცენდა



როგორც მსოფლიო ომის კანონზომიერი შედეგი ღრწმფთუწმში იდეების „ქადაგება“ გადაწვევითეს. ზიზლიწმწმწმ

უნაიდან ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტის თითოეული მოწაფე, თავისი „სუბიექტური ყოფიერებიდან“ გამომდინარე, მიეკუთვნებოდა მხოლოდ კონკრეტულ ეზოთერიულ ჯგუფს, ანუ, ჯერ კიდევ ჩვეულებრივი საშუალო ადამიანის ყოფიერებით ცხოვრობდა და, შესაბამისად, სრულიად ფლობდა თანამედროვე ადამიანისთვის დამახასიათებელ ყველა იმ თვისებას, რომელთა შორისაც აუცილებლად და გარდაუვლად არის ის, რომ მას შეუძლია ყოველი ახალი ინფორმაციის მოწოდებისას დაინტერესდეს და შეითვისოს მხოლოდ ის, რაც შეესატყვისება მის უკვე დადგენილ სუბიექტურობას და სწორედ ეს აქციოს მისი აზროვნების სიმძიმის ცენტრად, მათ, აიღეს რა ეს საფუძვლად, დაიწყეს შემოხსენებული „გაუწონასწორებელი გონებით“ ადამიან-მსხვერპლთათვის სიტყვიერად, აგრეთვე ლიტერატურის გამოყენებით იმ ინფორმაციის ცალმხრივად სწავლება, რომელიც აქა-იქ ჰქონდათ ყურმოკრული ან პირადად ჩემგან ან ჩემი ძველი მოწაფეებისგან, რომლებიც მომავალში ჩემი იდეების ფართო მასშტაბიანი გავრცელებისთვის მოვამზადე.

აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის მე თითქმის არანაირად აღარ „ვიქცევი“ იმ ადამიანების ყურადღებას, რომლებიც მეტ-ნაკლებად იცნობდნენ ჩემს ინსტრუქციებს.

ბევრი სრულიად განსაზღვრული ფაქტიდან, რომელიც ზოგიერთი სპეციფიკური თვისების გაჩენის მიზეზებთან დაკავშირებით ჩემ მიერ სპეციალური დაკვირვების დროს გამოვლინდა იმ ადამიანთა ფსიქიკაში, რომლებიც ჩემი იდეების მიმდევრები იყვნენ, ვფიქრობ, ახლა საკმარისი იქნება მხოლოდ იმის აღნიშვნა, სხვათა შორის, რომ აღნიშნულ მომენტში, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც ამა თუ იმ გზით ვახდენ ჩემი იდეების მიმდევრები, მათი ფსიქიკური ფუნქციონირებისთვის მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანებში სხვადასხვა მექანიკური გარემო ზემოქმედების შედეგად კრისტალიზდება, შემდგომში ავტომატური სტიმულირების ფაქტორი ხდება მათი სუბიექტურობის გამოვლენისთვის, რის შედეგადაც ეს ადამიანები ავტომატურად მიმდინარე ასოციაციების პროცესში, ისევე როგორც ურთიერთშორის ნახევრად გაცნობიერებული





აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, რაც ერთუზიანობითა და დაქინებული კამათის აუცილებლობით იმართება, რაც ამგვარად ქმნის რეალურად აღქმად და ძალიან მძლავრად გამოვლინებად idee fix-ის მხოლოდ ზოგიერთ, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო ინფორმაციასთან მიმართებაში, რომელიც მხოლოდ ერთ კერძო საკითხს ხსნის საკითხთა აურაცხელი რაოდენობიდან, რომლებიც მხოლოდ ერთობლიობაში წარმოადგენენ და ხსნიან ჩემი იდეების არსს.

მაგალითად, რუსეთის ერთ ნაწილში მცხოვრები ადამიანების ვერც ერთ წოდებულ „ცნობიერებაში“ მიწოდებული ინფორმაციის საერთო მასიდან, რომელიც, რა თქმა უნდა, ზერულედ „ალაგ-ალაგ“ ქონდათ ათვისებული, მყარი კრისტალიზება განიცადა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელიც სხვა დანარჩენი საკითხებიდან ანალოგიებისა და მაგალითების საშუალებით თეორიულად ხსნის იმ ფაქტს, რომ ადამიანის საზოგადო ეოფიერება შედგება სამი დამოუკიდებლად ფორმირებული და აღზრდილი ნაწილისგან და ამაზე დაფუძნეს ჩემი იდეების საგარეულო კვლევები; ადამიანთა სხვა ჯგუფში, რომელიც რუსეთის სხვა ნაწილში ცხოვრობს, განმარტებული და დადასტურებული ინფორმაციის რაღაც ფრაგმენტების შედეგად კრისტალიზება განიცადა ერთმა იდეამ იმის შესახებ, რომ ადამიანს, რომელსაც განზრახ არასოდეს უმუშავია საკუთარი თავის სრულყოფაზე, არ გააჩნია არა მხოლოდ სულიერება, არამედ მას არა აქვს არც სული.

გერმანელებმა, განსაკუთრებით მათ, ვინც ბავარიიდან არის, ათვისებული ინფორმაციის შედეგად, რომელიც არა მხოლოდ ჩვეულებრივი საკვებით, არამედ, ვთქვათ, პაერიტ ეფექტური კვების შესაძლებლობას ეხება, განსაკუთრებით შეიფარეს საკუთარი სისხლის შემადგენლობისთვის ფიზიკური სხეულის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარის მიცემის და, იმავედროულად, ასტრალური სხეულის კრისტალიზებისა და სრულყოფისთვის ხელშეწყობის იდეა.

ინგლისის დელაქალაქის მცხოვრებლები „გაგიფდნენ“ ან აჯობებდა მეთქვა: „მათი ინგლისური სულისთვის უფრო მოსაწონი აღმოჩნდა“ და მათი ფსიქიკის idee fix-ად იქცა მთელი ჩემი თეორიული ინფორმაციის ერთობლიობიდან გაკეთებული განზოგადებული დასკვნა, რომელიც შეიძლება მოკლედ ამგვარად გადმოვიცხ: „გახსოვდეს



საკუთარი თავი“ და რომელსაც როგორც აუცილებლობას უნდა განიხილავენ.

ადამიანებმა, რომლებიც თანამედროვე ჩრდილოეთ საბერძნეთში ცხოვრობდნენ, უპირატესობა მიანიჭეს და ჩემი იდეებისადმი საკუთარი ინტერესების სიმძიმის ცენტრად ვერუთ წოდებული „ოჯახის კანონი“ და ყველა მოვლენის „სამი ასპექტი“ აქციეს და ასე შემდეგ.

რაც შეეხებათ თქვენ, ამერიკელებს, რომლებიც ამ ჯგუფში ხართ გაერთიანებული, თქვენი idee fixe დაფუძნებულია ცალკეულ ფრაგმენტებზე, რომლებიც ნაწილ-ნაწილ გაქვთ ამოკრებილი იმ ერთიანი თეორიიდან, რომელიც 24 ნაწილისგან შედგება, რომელიც ჩემი იდეების თეორიულ ახსნას, ინფორმაციის ერთობლიობას და წარმოადგენს, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, რომ ეს ნაწილი შეეხება „თვითდაკვირვების“ საკითხს და ხაზგასმით ვითხარით, რომ ეს ინფორმაცია წარმოადგენს არსებით აუცილებლობას საკუთარ თავზე მუშაობის დაწყებისას.



## მეორე საუბარი,

*რომელიც იმავე ადგილას ჩავატარე და რომელსაც საგრძნობლად მეტი მსმენელი დაესწრო.*

წინა შეხვედრაზე ჩემი საუბრის მეორე ნაწილში მე ვლაპარაკობდი ვარაუდზე, რომელიც, ჩემი იდეების არასწორად ახსნის შედეგად, ერთმანეთთან არანაირი კავშირის მქონე სხვადასხვა ჯგუფში მყოფ ადამიანთა საერთო ფსიქიკაში სრულიად არასასურველი თავისებურების მქონე შესაძლო მიზეზების აღმოცენებასთან დაკავშირებით ჩამომიყალიბდა; დღეს საუბარს დაეიწყებ იმავე თემაზე ახსნა-განმარტებით, მხოლოდ ხაზგასმით თქვენთან, ამერიკელებთან, დაკავშირებით, რომლებიც ადრეც და დღესაც მიეკუთვნებით ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც ჩემი იდეების მიმდევარი გახდა.

მაშ ასე, ამასთან დაკავშირებით მინდა წარმოგიდგინოთ, ბოლო დღეების სპეციალური დაკვირვებისა და კვლევის შემდეგ უკვე განსაზღვრული აზრი იმასთან დაკავშირებით, როგორ და რა მიმდევრობით მოხდა აქ, თქვენ შორისაც, თქვენს ფსიქიკაში იმ დამღუპველი ფაქტორის კრისტალიზების პირობების ფორმირება, რომლის შედეგადაც ახლა თქვენს უმრავლესობას, ჩემდა სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ სხვა ადამიანებთან შედარებით გჭონდეთ „უმაღლესი დონის“ მონაცემები – რომლებიც აუცილებლად უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ დროის განმავლობაში თქვენში, როგორც ადამიანებში, რომლებსაც უკვე დიდი ხანია შეხება გაქვთ ჭეშმარიტებასთან, რომელსაც ჩემი ნახევარსაუკუნოვანი კეთილსინდისიერი შრომის შედეგად ვუზიარე, რომელიც თითქმის მიუწვდომელია თანამედროვე ადამიანებისთვის და რომელიც თითოეულ ადამიანს აძლევს გზას და საშუალებას, მაღაწიოს რეალური ადამიანის ყოფიერებას – ჩამოყალიბდა, როგორც ახლა უკვე მიუკერძოებლად განვაცხადო, სრულიად საწინააღმდეგო რაღაც.

გულახდილად რომ ვითხრათ, თითქმის ყველა თქვენგანი ტოვებს შთაბეჭდილებას, და სინამდვილეში ასეც არის, ადამიანისა, რომელსაც გააჩნია ყველა მონაცემი იმისათვის, რომ ნებისმიერ მომენტში გახდეს



პაციენტი ნიუ-იორკში გახსნილი ამერიკული ქაისტიანობის ორგანიზებული სახლებისა, რომლებსაც „საგიფეთს“ (Gethsemane) და რომლებიც აქ ინგლისელი სუფრაჟისტი ქალების მიმდევრების მეურვეობის ქვეშაა.

თქვენთვის, ამერიკელებისთვის, ამ ბოროტების აღმოცენება, რომელიც ჩემს იდეებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა, დაიწყო და თანდათან განსაზღვრული ფორმა მიიღო შემდეგი მოვლენების მიზეზით:

როცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, საფრანგეთში ინსტიტუტის არსებობის მეორე წლის დასაწყისში, იძულებული გავეხდი მიმელო გადაწყვეტილება, დემონსტრირებისთვის მასალის საბოლოოდ მომზადებას არ დავლოდებოდი და დაუფონებლივ წამოვსულიყავი თქვენთან, ამერიკელებთან, იმ მიზნით, რომ აქ, თქვენ გვერდით, ჩემთვის ვერ კიდევ უცნობ ტიპებთან, იძულებული არ გაემზადარიყავი მეცხოვრა „ხელმოცარულს და ნემსებზე მჯდარს“ ასეთი აურაცხელი რაოდენობის ხალხთან ერთად, რომლებიც შეუცვლელნი არიან იმ მიზნების განსახორციელებლად, რომელიც მხედველობაში მქონდა, რომელთაგან თითოეული, ჩემდა საუბედუროდ, ისევე როგორც შემდგომში, ბევრი თქვენი თანამემამულის საუბედუროდაც, რომლებიც მათ გამო ჩემი მუღბივი და ძირითადი სპეციალობის ობიექტებად იქცნენ, რაც მდგომარეობს თითოეულის „ნახევრად გაპარსვაში“, ვინც კი მომახლოვდება – იმ დროისთვის მოშლილი გახლდათ, რაც პაციენტის ფსიქიკაში სხვა დანარჩენთან ერთად ამკვიდრებს ჩვევას, ჯიბეცარიელი თუ ჯიბეგამოხეული დადიოდეს, მაშინ ჩავთვალე, რომ აუცილებელი წინასწარი ზომები უნდა მიმელო იმ მიზნით, რომ აქ, ნიუ-იორკში რალაც მაინც მომზადებულიყო ამდენი ხალხის ჩამოსვლისთვის და გემით, რომელიც ზუსტად ჩვენი გემის წინ გამოდიოდა, ჩემებიდან ვინმე საიმედო და გამოცდილი ადამიანი გამოძეგზავნა.

იმ ფაქტის შედეგად, რომ ზუსტად ამ ამბამდე სულ ცოტა ხნით ადრე უმრავლესობა ჩემი „პირველი ხარისხის მოწაფეებისა“, როგორც თავად უწოდებდნენ საკუთარ თავს, რომლებიც ამისთვის გამოდგებოდნენ,

საერთო ინტერესებიდან გამოძინარე, ჩემ მიერ ევროპისა და აზიის ქვეყნებში იქნენ გაგზავნილნი სპეციალური მისიით, ჩემი არჩევანი მათგან, ვინც ჩემ გვერდით დარჩა, შედარებით შესაფერის ადამიანად ამ წინასწარი მისიისთვის შევაჩერე ჩემი იდეების ერთ ძველ მიმდევარზე, ექიმ სტერნვალზე, რომელიც მაშინ





ინსტიტუტის მთავარი ექიმი იყო, მაგრამ ვინაიდან მან სრულიად არ იცოდა ინგლისური, გადაუწყვიტე, მასთან ერთად ასისტენტად და თარჯიმნად გამეგ ზაენა ერთ-ერთი ახლად მიღებული ინგლისელი სტუდენტი.

ბევრი ანალიზისა და იმის ვათვალისწინებით, თუ თითოეულისთვის როგორი სასარგებლო იქნებოდა ასეთი მოგზაურობა, გადაწყვიტე ინსტიტუტში მიღებული ახალი მოწაფეების დიდი ნაკადიდან სწორედ ეს ინგლისელი სტუდენტი გამეშვა, რომელიც, ეგრეთ წოდებული „ინდივიდუალური სარვეისტრაციო მონაცემების“ თანახმად, რომელსაც, ჩვეულებრივ, ინსტიტუტის ყველა სტუდენტი ავსებდა, ადრე ინგლისელი ჟურნალისტი იყო და, როგორც ვიფიქრე, როგორც ჟურნალისტს, ალბათ, ძალიან კარგად უნდა სცოდნოდა ინგლისური ენა.

ეს ყოფილი ინგლისელი ჟურნალისტი, რომელიც თავიდან ჩემი პირველი კაცის, ექიმ სტერნვალის, ასისტენტად და თარჯიმნად დაინიშნა, რომელიც ამერიკაში, ასე ვთქვათ, „ჩემი ახალი იდეების მაცნედ“ გაიგზავნა, შემდგომში კი – ჩემი პირადი თარჯიმნის, ბატონ ფერაპონტოვის, თანაშემწეედ, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის მოწაფე იყო, მონაწილეობს იღებდა „რიტმული მოძრაობების“ ჩვენებაში, ჩემი აქ ყოფნის ბოლოს უკვე გახდა, როგორც მაშინ უწოდებდნენ „მენეჯერი“, ანუ ორგანიზატორი, დემონსტრაციების, ლექციების და საქმიანი ინტერვიუებისა სხვადასხვა ადამიანთან, რომლებსაც უნდა შეეხვედროდი და ეს გახლდათ კაცი, რომელიც შემთხვევითი გარემოების წყალობით, რომლებიც ნაწილობრივ იმ კატასტროფის გამო შეიქმნა, რომელიც მე შეშემთხვა, ნაწილობრივ კი ოჯახური ცხოვრების საფუძველში არსებული არანორმალურობის გამო, რომელიც თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში ჩამოყალიბდა, რომელიც მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ სახლში წამყვანი როლი ქალს ენიჭება, შემდგომში მთავარ ლიდერად იქცა; მე ვლაპარაკობ, როგორც, ალბათ, უკვე თავადაც მიხვდით, მისტერ ორიჯზე.

შემდგომი მოვლენები, რამაც ცნობილ შედეგებამდე მიგვიყვანა და რაც დღევანდელი ჩვენი საუბრის თემას წარმოადგენს, ასეთი მიმდევრობით აღმოცენდა.

როდესაც, ამერიკაში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, ჩემი ყველა გვემის საკმაოდ წარმატებულად განხორციელების შემდეგ მზად ვიყავი ევროპაში დასაბრუნებლად იმ განზრახვით, რომ, როგორც მაშინ ვთქვი, ექვს თვეში უკან დავბრუნებულიყავი თქვენს რამდენიმე ყველაზე





დიდ ქალაქში ინსტიტუტის ძირითადი განმტკიცების მუდმივი ცენტრების გასახსნელად და ჩემს გამგზავრებად რამდენიმე დღით ადრე დასრულდა ვმსჯელობდი იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ, თუ ვინ უნდა დაამტკიცებინა აქ დაწყებული საქმიანობის გასაგრძელებლად, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის ჩემი შემდგომი სავარაუდო ვიზიტისთვის, მისტერ ორიჯმა, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა ამ შეკრებას, მოულოდნელად თავისი სამსახური შემოგვთავაზა და თან დიდი მონდომებით დაიწყო იმის მტკიცება, თუ როგორ ბრწყინვალედ შეეძლო ამ საქმისთვის თავის გართმევა.

ვინაიდან საკმაოდ ვარგისად ჩავთვალე ამ მოსამზადებელი საქმიანობისთვის, ძირითადად მისი ინგლისური ენის უკვე შემოწმებული ცოდნის, რომელიც ჩემი აქ, ნიუ-იორკში, ყოფნის დროს დავრწმუნდი, აგრეთვე მისი ელვანტური გარეგნობის გამო, რომელსაც, ადვილი გასაგებია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიან ურთიერთობებში, განსაკუთრებით თქვენთან, ამერიკელებთან, მისი წინადადება მივიღე და მაშინვე დაუწყე საჭირო სამზადისისთვის რამდენიმე დეტალის ახსნა.

როგორც შემდგომში შევიტყვე, მისი წინადადების და ერთუზიანობის ნამდვილი მიზეზი იყო ის, რომ ჩვენი ნიუ-იორკში ყოფნის დროს მან გააბა რომანი, რომელმაც იმ მომენტისთვის თავის აპოგეას მიაღწია, წიგნების მაღაზიის გამყიდველთან, რომელსაც ძალიან ორიგინალური სახელწოდება ჰქონდა: „საათის ისრის მიმართულებით“ და სადაც დავიწყე ნიუ-იორკში მცხოვრებ მცირერიცხოვან ჩვენს თანამემამულეთათვის, როგორც ამას ჩვეულებრივ ვაკეთებ ხოლმე, ლექციებისა და საუბრების ფორმით შეხვედრების მოწყობა, რომლის დროსაც სხვა დანარჩენთან ერთად სხვადასხვა ტიპის კითხვებზეც ვპასუხობდი ხოლმე, რომლებსაც ჩემს იდეებთან დაკავშირებით მისვამდნენ.

და აი, როგორც უკვე მოგახსენეთ, თქვენთან ვიზიტის შემდეგ ვერაპაში დაბრუნებიდან ერთ კვირაში, შემემთხვა ის ავტოკატასტროფა, რომლის შედეგადაც სამ თვეზე მეტხანს სრულიად დაკარგული მქონდა მეხსიერება და მოძრაობის უნარი, მერე კი, ექვს თვეზე მეტხანს სანახევროდ უგონო მდგომარეობაში ვიწექი, რომლის დროსაც მხოლოდ სანახევროდ ვაკონტროლებდი ამ ორ ძირითად



უნარს, რომელზეც დაფუძნებულია და რომლებსაც ჩვეულებრივ ეკისრებათ ხოლმე ადამიანის ინდივიდუალურობაზე პასუხისმგებლობა, და როცა, როგორც ამ ყველაფრის შედეგი, ჩემს საქმიანობაში დაიწყო დიდი კრიზისი, რომელიც თანდათანობით იძენდა პროპორციებს, რომელიც სრული კატასტროფის მსუქნებელი იყო, როცა მე ჩემი ფიზიკური მდგომარეობის სწორედ ამ ზემოთ ხსენებული მეორე პერიოდის შემდეგ, როცა სრულიად უშწევო მდგომარეობაში ლოგინს ვიყავი მიჯაჭვული და ჩემს ცნობიერებაში წამიერი გამონათების მომენტებში კარგად შესმოდა შექმნილი ვითარება, დაიწყო, ერთი მხრივ, განკარგულებების გაცემა და ყველანაირი შესაძლო ზომების მიღება იმ ყველაფრის სასწრაფო ლიკვიდაციისა, რაც ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული, რადგან ის მუდმივ უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა შემოსავლების სრული არარსებობის დროს, აგრეთვე, ჩემ გვერდით მყოფ ადამიანთა შორის არ იყო არც ერთი „ბიზნესმენი“, და, მეორე მხრივ, მიწვევდა მომეფიქრებინა ათასგვარი კომბინაცია იმ აურაცხელი რაოდენობის გაუგებრობის დასარეგულირებლად, რაც ამ ხსენებულ ლიკვიდაციას მოჰყვა თან, აგრეთვე, ვიღაც ტიპების ზიანის მომტანი გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად, რასაც ჩვეულებრივ აქვს ხოლმე ადგილი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენი კლასის გადაგვარებულ ადამიანთა შორის.

მერე, სხვათა შორის, ერთხელ, სწორედ ამ პერიოდში, როცა ჩემი საკუთარი სხეულის ფლობის ჩვეულებრივი უნარის ფუნქციონირებამ ნელ-ნელა დაიწყო აღდგენა და უკვე შემბძლო ნათლად გამეაზრებინა, რა მოხდა და გონებაში შექმნილი სიტუაციიდან სხვადასხვაგვარი შესაძლო გამოსავალი წარმომედგინა, ჩემ გვერდით მყოფმა ერთ-ერთმა იმ ადამიანთაგანმა, რომელიც იმ დროს ფინანსთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, მომართა რაღაც ფინანსური სირთულის თაობაზე, რომლის გადაჭრაც მის შესაძლებლობებს აღემატებოდა, მითხრა, რომ სწორედ იმ დღეს ამერიკიდან მისტერ ორიჯისგან 1000 დოლარი მიიღო, იქვე დაამატა, რომ უკვე შესამედ იღებს ასეთ თანხას და რომ ის თანხა სწორედ ყველაზე საჭირო მომენტში მოდის.

შემდგომი თვეების განმავლობაში, კინაიდან ჩემი მდგომარეობა თითქმის უცვლელი იყო, ზემოხსენებული გამონათების პერიოდებში კი გაჭირვებით ვახერხებდი იმ საქმეებზე საუბარსაც კი, რომელიც დაკავშირებული იყო ლიკვიდაციასთან ან ახალი კომბინაციების





გამოვონებასთან შექმნილი უიმედო მდგომარეობიდან გაქცევის მიზნად, სრულიად დამავიწყდა მისტერ ორიჯის არსებობა. ცხელი კეთილსინდისიერი მზრუნველობაც ჩემთან და ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით.

ფულთან დაკავშირებით, რომელსაც მისტერ ორიჯი გზავნიდა ამერიკიდან, საუბრიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, როცა მეტ-ნაკლებად შექმნილი მოსალოდნელი კატასტროფის ფულა შესაძლო საფრთხის ლიკვიდაცია და ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუმჯობესდა, აღმოვაჩინე, რომ მისტერ ორიჯისგან, თუმცა უკვე ნაკლები ოდენობით, კვლავ მოდიოდა „გზავნილები“ და ამაში თქვენი ზოგიერთი თანამემამულეც იღებდა მონაწილეობას. სწორედ მაშინ დაუყონებლივ შეცვალე ჩემი პირვანდელი გადაწყვეტილება ჩემი კარი ფულასთვის დამკვეთა და მხოლოდ თქვენითვის, ამერიკელებისთვის, რომლებიც სწორედ ამ ვჯგუფში ხართ, აგრეთვე, იმათთვის, ვინც ინტერესს იჩენდა ჩემი იდეებისადმი, გავაკეთე გამოწვევისი და იმ დროიდან მოყოლებული ყოველთვის იყო ღია არა მხოლოდ ჩემი სახლის კარი, ზოგიერთ თქვენგანთან, რომელთა ჩემი იდეებისადმი რეალური ინტერესის შესახებ წინასწარ ვიყავი ინფორმირებული და რომლებმაც უკვე დამიშტაცეს თავიანთი ერთგულება ჩემი იდეებისადმი რეალური ინტერესის თვალსაზრისით, იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევდა ის, რომ მწერლობასთან დაკავშირებული სერიოზული საკითხებით, მართლაც, ძალიან ვიყავი დაკავებული, ყოველთვის საამოვნებით მქონდა ურთიერთობა.

რაც შეეხება თქვენს აზროვნებაში ხსენებული idee fixe-ის ფორმირების უშუალო მიზეზს, რომელიც, თავის მხრივ, თქვენს ფსიქიკაში ხსენებული სპეციფიკური თავისებურებების თანდათანობითი კრისტალიზაციის ფაქტორად იქცა, ეს ყოველივე, როგორც ახლა მაქვს წარმოდგენილი, დეტალური შედარებისა და, ასე ვთქვათ, „სტატისტიკური ანალიზის“ შემდეგ, რაც როგორც ამ ვჯგუფის, აგრეთვე სხვა, მასთან ახლოს მდგომი ვჯგუფების რამდენიმე წევრის პირადი შესწავლის საფუძველზე გაკეთდა, ამჟამად, რომ შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

მისტერ ორიჯმა, რომელიც ამერიკაში დავტოვე და რომელიც თავიდან მხოლოდ ჩემს დავალებებს ასრულებდა მეორე ვიზიტთან დაკავშირებით, კატასტროფის შემდეგ, რომელიც შემემთხვა, ძალიან იყო რა ვატაცებული ჩემი იდეებით, მაგრამ ვერ



ბოლომდე არ იყო თავისი „მარცხენა მხარზე მჯდომი ანგელოზის“ გავლენის ქვეშ, გაიგო თუ არა, რაც შემეშხვა, მაშინვე დაიწყო იმ ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ მოქმედება, რომელიც თქვენს თანამემამულეებზე მოეხდინე და რომელიც ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ინერციით და რამდენიმე თვის განმავლობაში აგროვებდა ფულს და თანხის ნაწილს Château du Prière-ში მიგზავნიდა.



სწორედ ამ დროს, როგორც ჩანს ამ თანხის შეგროვების გარეგნულად გამართლების მიზნით, ჩემი ნებართვის კარგეშე დაიწყო ჩემ მიერ აქ, ნიუ-იორკში, გახსნილი „რიტმული მოძრაობის“ ვაკეითილების ჩატარება; ვარდა ამისა, გაიაზრა რა აუცილებლობა და ამავე დროს სახსრების მოპოვების მთელი სირთულე, ერთი მხრივ, ჩემთან გამოგზავნისა და, მეორე მხრივ, თავისი ახალი ოჯახური ცხოვრებისთვის საჭირო დიდძალი ხარჯების დასაფარავად – ვინაიდან იმ დროისთვის ქორწინებით დამთავრდა მისი რომანი წიგნების მალაზიის „ბრუნი საათის ისრის მიმართულებით“ ვაჟიყველთან, ახალგაზრდა ამერიკელ ქალთან, რომელიც მისი მდგომარეობისთვის ზედმეტად განებივრებული იყო – მან, თავისი რესურსების გაზრდის მიზნით დაიწყო, როგორც ჩვეულებრივ ხდება ზოლმე ინსტიტუტის ცხოვრებაში, საუბრები თემებზე, რომლებსაც ინსტიტუტში ყოფნის დროს სწავლობდა.

როდესაც მთელი ეს მასალა ამოწურა, რადგან ის ჩემგან არ იღებდა არანაირ ახალ მასალას ან კონკრეტულ მითითებებს იმასთან დაკავშირებით, ამის შემდეგ რა უნდა გაეკეთებინა ან როგორ გაეგრძელებინა მუშაობა, ის, უნდოდა ეს თუ არა, წინ უნდა წაწველიყო მის ხელთ არსებული მასალით, რომელიც ინსტიტუტში ყოფნის დროს აითვისა, სადაც ის მხოლოდ ჩვეულებრივი მოწაფის რანგში სწავლობდა და, ასე ვთქვათ, ძალიან შეზღუდული ცოდნის „მანიპულირებით“.

როგორც სულ ცოტა ხნის წინ, ჩემი ამ ვიზიტის დროს გავარკვიე ზოგიერთ თქვენს ამხანაგთან, რომლებიც იმ ჯგუფის წევრები იყვნენ, რომელსაც მისტერ ორიჯი ხელმძღვანელობდა, საუბრებში, ის კარგი „ეონგლიორივით“, მანიპულირებდა მხოლოდ საწყისი ინფორმაციით იმ ერთიანი ინფორმაციიდან, რომელიც ნათელს ჰქონდა ჩემს იდეებს, რომელიც ეხებოდა იმ საკითხს, რომელზეც ბოლო ლექციაზე ვისაუბრე, ანუ, ეგრეთ წოდებული „თვითდაცირების“



საკითხს, კერძოდ, იმ ინფორმაციის განზოგადებული ასწიფი, რომელიც ცოდნაც სინამდვილეში სრულიად შეუცვლელია ეფდატწყყყყყყყ თითოეულისთვის, რომელიც ჭეშმარიტების შეცნობისკენ მიისწრაფვის, მაგრამ რომელიც, თუ კი ის ადამიანთა აზროვნების სიმძიმის ცენტრად იქცევა, როგორც დიდი ხნის წინ იყო ჩემ მიერ დადგენილი და შემოწმებული, აუცილებლად მივეცივანს სწორედ იმ შედეგამდე, რომელსაც, ჩემდა სამწუხაროდ, ახლა ვხედავ თითოეულ თქვენგანში.

ეს სიტუაცია, რომელიც ჩემი შწერლური საქმიანობის დასაწყისში შეიქმნა იმ კატასტროფის გამო, რომელიც მე შემემთხვა, ამ დრომდე გრძელდებოდა.

ახლა, ხსენებული დეტალური პროგრამის ცხოვრებაში თანმიმდევრულ სტადიებად გამოყენებაში შვადწლიანი შესვენების შემდეგ, პროგრამისა, რომელიც ჩემი ცხოვრების მიზნად და აზრად იქცა, შევძელი რა ბოლოს და ბოლოს ამ მთავარი და ყველაზე რთული ამოცანის დასრულება, რომელიც მუდმივად მოითხოვდა მთელ ჩემს ყურადღებას და ჩემ მიერვე დადგენილ ძალისხმევას ამ წლების განმავლობაში, მინდა შედარებით მსუბუქი ამოცანის შესრულებასთან ერთად კვლავ დაეიწყო ამ მიზნის განხორციელება, მაგრამ ამჯერად იმ შედეგების დახმარებით, რომლებიც ამ განვლილ წლებში მუდმივი დაძაბული შრომის შედეგად მივიღე და რომელიც რეალიზებულია დიდ ათტომეულში; უფრო ზუსტად კი, ვაპირებ განვაგრძო ჩემი ნაწერების საბოლოო დახვეწა, რათა ისინი ყველა საშუალო აზროვნების ადამიანისთვის გასაგები გახდეს და, მიწვევს რა კვლავაც იმავე პირობებში მუშაობა, როგორშიც ადრე, ანუ კაფეებში, რესტორნებსა და სხვა საჯარო ადგილებში, მუდმივად მოგზაურობაში, იმაჯროულად, წინასწარ დავეცემო ან შემთხვევით გაეჩერდე თანამედროვე ცივილიზაციის ამა თუ იმ ცენტრებში, რომლებიც აკმაყოფილებენ საჭირო მოთხოვნებს კლუბების ორგანიზებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად, რომელიც უკვე ვახსენე წინა ჯერზე.



ვინაიდან ჩემი ამჟამინდელი ვიზიტი ემთხვევა პირობების შექმნის მომენტს, რომელიც ჩემი გვეგების განხორციელების საშუალებას მომცემს, ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი აქ, თქვენთან, ყოფნის პერიოდში მთელი დრო, რომელიც მთავარი ამოცანის შესრულების შემდეგ დამრჩება, დაუეთმო აქ ამ

ტიპის პირველი კლუბის ორგანიზებისა და გახსნის საქმეს.

აქ, ნიუ-იორკში, ამ ჯგუფში შემაჯავალი ადამიანების მონაწილეობით არა მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში, არამედ მთელს დედამიწაზე მთავარი კლუბის, საფრანგეთში მდებარე Château du Prière-ის, პირველი ფილიალის გახსნა, ჩემი აზრით, ყველა თვალსაზრისით სწორი და ობიექტურად სამართლიანი იქნება.



ეროვნული  
იზლიორთეკა

ეს იქნება სწორი და სამართლიანი, რადგან ამერიკელები, ძირითადად თქვენ, ამ ჯგუფის წევრები, გარდა იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდით კონტაქტს ჩემს იდეებთან, იყავით ერთადერთნი, ვინც ჩემდამი თქვენი მადლიერება გამოხატეთ კრიზისის რთულ წლებში, და თქვენ აგრეთვე იყავით ერთადერთნი, ვისთანაც პირად ურთიერთობას ვინარჩუნებდი იმ წარუმატებლობის შემდეგ, როცა მთლიანად მიუძღვენი საკუთარი თავი მწერლის ახალ პროფესიას და გავწყვიტე ყველა ურთიერთობა, რომელიც ადრე მქონდა ვეროპის სხვადასხვა ქვეყნის ყველა კატეგორიისა და კლასის ადამიანთან, რა თქმა უნდა, კაფუებისა და რესტორნების პერსონალის გამოკლებით.

და აი, ღმერთისგან ნაბოძებო ჩემო ძვირფასო მეგობრებო! მიუხედავად ჩემი სრულიად ბუნებრივი გულწრფელი სურვილისა, რომელიც კარგად უნდა იცოდეთ იმისათვის, ჩემს იდეებთან დაკავშირებული ამ პირველი ორგანიზაციის „ძირითადი ღერძის“ პირველი განმტკობა სწორედ აქ, თქვენთან, დაარსდეს, მე მიუცერძობლად გავანალიზე რა მთელი შეგნებით ყველა განვლილი ფაქტი და შევავჯერე ზოგიერთ ამჟამინდელ თვალნათელ ფაქტთან, თავს უფლებას ვერ მივცემ ავისრულო ეს სურვილი, რომელიც ასეთი ძვირფასია ჩემთვის.

ჩემს საერთო შინაგან მდგომარეობაში ასეთი წინააღმდეგობრიობის მიზეზი გახლავთ ის, რომ ნათლად მესმის, რომ ზოგიერთი თქვენგანი, შესაძლოა, იმის გამო, რომ ყოველთვის ასეთი იყო ან რაღაც სხვა გაუგებრობების გამო, რომელსაც გასულ წლებში ადგილი მქონდა თქვენი ჯგუფის შინაგან ცხოვრებაში, სრულიად ვერ პასუხობს მოთხოვნებს, რომლებსაც ეუფლებით ამ პირველი ორგანიზაციის წევრებს, რომლის დაარსებასაც აქ ვვარაუდობთ, სახელდობრ კი, ისეთი ორგანიზაციისა, რომელსაც, ჩემი აზრით, მომავალში ძალიან დიდი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა უნდა მქონდეს.



ჩემი აქ, თქვენ გვერდით, ყოფნის დროს, არაერთხელ სერიოზულად დაფიქრდი შექმნილ სიტუაციაზე, მაგრამ ამ დრომდე ვერ გამოვიძლი იქიდან კონკრეტულ გამოსავალს და მხოლოდ დღეს, როცა ნათელი გახდა, რომ კვლავ უნდა ჩამოვიდე აქ რაღაც საქმეებთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენთან არანაირი კავშირი არა აქვს და მივხვდი, გარდა ამისა, რომ სულ მცირე ერთი წელი ან შეიძლება მეტხანსაც მომიწევს ჩემს მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა, კატეგორიული გადაწყვეტილება მივიღე: მომავალ წლამდე გადავდო ამ კლუბების ორგანიზების საქმე და მთელი ის დრო, რომელიც ახლანდელი ვიზიტის ბოლომდე მრჩება, თქვენი ჯგუფის სრულ რეორგანიზაციას მიუძღვნა იმ თვალსაზრისით, რომ მის შინაგან ცხოვრებაში დავნერგო პრინციპები, რომლებიც ჩემს იდეებს მიესადაგება, რომელთა რეალიზებაც აუცილებლად უნდა მოხდეს და რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ზოგიერთი თქვენგანის ზოგად ფსიქიკაში შესაბამისი მონაცემების კრისტალიზების პროცესის დაჩქარებას, რათა მომავალ წელს ჩემი აქ ჩამოსვლისთვის შესაძლებელი გახდეს ღირსეულად იწოდებოდეთ ამ პირველი ორგანიზაციის „პირთვის“ სრულყოფილებიან წევრებად; აგრეთვე, ის პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დანარჩენების ზოგად ფსიქიკაში მონაცემების გამოვლენას ამ პირველი მოდელის ორგანიზაციის წევრებად თავიანთი გამოუსადეგარობის გულწრფელი აღიარებისთვის, იმ რეზულტატით, რომ, როგორც კი ამას მიხვდებიან, თვითონვე დატოვებენ ჯგუფს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი ჩემი თავისუფალი დრო მიუძღვნა, პირველი, აუცილებელ ტემპში სწორი მუშაობის დადგენას იმ ადამიანთან, რომლის გამოგზავნასაც ვაპირებ თქვენთან იმისათვის, რომ უხელმძღვანელოს ყველაფერს, რაც საჭიროა ჩემს იდეებთან მკაცრ შესაბამისობით ჩემი მიზნების მიღწევისთვის;

ABSOLUTE	①	∞
ALL WORLDS	②	∞
ALL SUNS	③	∞
SUN	④	∞
ALL PLANETS	⑤	∞
EARTH	⑥	∞
MOON	⑦	∞
ABSOLUTE	▼	∞

და მეორე თქვენი ჯგუფის გაწმენდას იმ ელემენტებისგან, რომლებსაც არსებულ პირობებში არა მხოლოდ არანაირი სარგებლობის მიღება არ შეუძლიათ, არამედ საერთო მიზნების ფორმირებისა და რეალიზებისთვის ამ ახლად შექმნილ ჯგუფს შესაძლოა, დიდი ზიანიც მოუტანონ.

ჩემ მიერ ჩაფიქრებული გეგმის მეორე ნაწილი, ანუ, თქვენი ჯგუფის არასასურველი ელემენტებისგან გაწმენდა, ამ ახალი ჯგუფის ფორმირების დაწყებისთანავე გამოვლინდება, რადგან მის წევრებს

სხვა დანარჩენთან ერთად წაყვებული ექნებათ, რამდენიმე პირობა, რომლებიც არანაირ კომპრომისს არ ითვალისწინებს და რომლებსაც, ალბათ, ყველა თქვენგანი არ გაიზიარებს და ამრიგად, ძველი ჯგუფის წევრების ნაწილი ბუნებრივად გამოვკეთიშება.

ჩემ მიერ დადგენილი იქნება 13 აუცილებელი პირობა ამ ახალი ჯგუფის წევრად ყოფნისა მისი შექმნის პირველ თვეებში; მათგან შეიღს „ობიექტური ხასიათი“ ექნება, ანუ, ყველა თქვენგანს შეეხება და უკლებლივ ყველამ უნდა შეასრულოს, დანარჩენი ექვსი კი „სუბიექტური ხასიათისა“ იქნება, ანუ, პირადად შეეხებათ ძველი ჯგუფის ყოფილ წევრებს, რომლებსაც პერსონალურად დავადგენ თითოეულისთვის.

ამ სუბიექტურ პირობებთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას ის, რომ მათი ხასიათი იმ ახსნა-განმარტებებიდან გამომდინარე იქნება, რომლებიც ან უკვე მოგვცით, ან ვაპირებ რომ ან პირადად, ან მათი დახმარებით გადმოგვცეთ, ვისაც დავნიშნავ, თითოეული თქვენგანის სპეციფიკურ სუბიექტურობასთან დაკავშირებით, რომელიც ჩამოვიყალიბდით განსაზღვრული სახის როგორც შემკვიდრებითი, ასევე წინა ჯგუფში თანაბარუფლებიანი წევრობის პერიოდში შექმნილი ფსიქიკური მონაცემების ზემოქმედების შედეგად აღმოცენდა თქვენში.

ცამეტვე პირობის მნიშვნელობის დაწვრილებითი ახსნა, აგრეთვე ახსნა იმ მოტივებისა, რომლებიც ლოგიკურად ამართლებს ამ პირობების აუცილებლობას, წინასწარ მოგვემათ ძველი ჯგუფის მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც თანახმა იქნებით და ფიცსაც დადებენ, რომლის ფორმასაც ნაწილობრივ ახლავე გაგაცნობთ, ნაწილს კი შემდგომში, ზედმიწევნით შეასრულოთ ზემოთ უკვე ნახსენები შვიდი ობიექტური პირობა.

დაეასრულე რა ამის თქმა, ჩემს მღივანს დაუეძახე და შემდეგი ტექსტი ეუკარნახე:

„მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ყოველივეს საფუძვლიანად და ღრმად გააზრების შემდეგ, ვარ რა თავისუფალი ყველანაირი ზეგავლენისგან, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნებით, ფიცს ვდებ, მისტერ გურჯიევს ან მისი ოფიციალური წარმომადგენლის ზეპირი ან წერილობითი ინსტრუქციის გარეშე, არანაირი კავშირი არ ვიქონიო ძველი, დღემდე „მისტერ ორიჯის ჯგუფის“ სახელით ცნობილი მისტერ გურჯიევს იდეების მიმდევართა ჯგუფის არც ერთ წევრთან, აგრეთვე, მისტერ







გურჯიანის ან მისი მოადგილის სპეციალური ნებართვით ვერღულად არანაირი კავშირი არ ვიქონიო თავად მისტერ ორიჭენბერგსთან.

მე ძველი ჯგუფის მხოლოდ იმ წევრებთან შემიძლია მქონდეს კავშირი, რომელთა სიაც გადმომეცემა ახლად შექმნილი ვვზოთერული ჯგუფის საერთო კრებაზე“.

ხმამაღლა წავიკითხე ეს მოვალეობა და დაეძინე:

„დღეს ამით ვამთავრებთ ჩვენს შეხვედრას, უბრალოდ მხოლოდ ამასდა დავამატებ:

ის, ვინც, როგორც ჩემ მიერ წაკითხული დოკუმენტის ტექსტშია ნათქვამი, „საფუძვლიანად და ღრმად გააზრების შემდეგ“ თანახმაა, ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტს, ეს უნდა გააკეთოს არა უგვიანეს ზევ, დღის 12 საათისა, ჩემი მდივან-თარჯიმნის თანდასწრებით.

იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და სად გაიმართება ამ ახლად შექმნილი ვვზოთერული ჯგუფის შეხვედრა, ყველა ის, ვინც დადგენილ ვადაში მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს, დროულად იქნება ინფორმირებული“.



## მესამე საუბარი,

*ჩატარებული ჩემ მიერ,  
რომელსაც მსმენელთა საკრძნობლად  
ნაკლები რაოდენობა დაესწრო.*

ასე დავიწყე:

იმ მიზნით, რომ ჩემი ყველა ახსნა-განმარტება ისევე, როგორც ლექციები და სხვადასხვა ინსტრუქტორთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებიც სპეციალურად არიან მომზადებულები ჩემი იდეების ცხოვრებაში პრაქტიკულად განსახორციელებლად და უკვე ამ წლიდან რომელთა მომადგურებასაც ვაპირებ დროდადრო თქვენს ჯგუფზე, პროდუქტული იყოს და რეალურ შედეგებს იძლეოდეს თქვენი მომავალი სერთო შეკრებებისა და ჩვენი კერძო შეხვედრებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, იმ მიზნით, რომ თქვენმა ყველა იმ საუბარმა, რომელსაც რაიმე კავშირი ექნება ჩემს იდეებთან, არ მიიღოს ისეთივე ხასიათი, როგორსაც დღემდე იღებდა, სახელდობრ, როგორც ცოტა ხნის წინ უწოდებ ამას, არ იქცეს „ერთმანეთის მაამებელ შეხვედრებად“, მინდა დღეს, უკვე ამ, როგორც შეგვიძლია უწოდოთ, „ახალ პრინციპებზე დაფუძნებულ პირველ შეხვედრაზე“, მოგვთ, ასე ვთქვათ, დარიგება, ერთი რჩევა, რომელიც გეხებათ მხოლოდ თქვენ, ამერიკელებს, ზოგადად და განსაკუთრებით კი მათ, ვინც ამ ჯგუფის წევრები ხართ, რომლის უცელობელ შესრულებასაც, ჩემი აზრით, თავისთავად შეუძლია ამ ახლად შექმნილ პირობებში მიზეზთა დამლუპველი შედეგების შეჩერება, რომლებიც წარსულში დაშვებული შეცდომებით არის გამოწვეული.

ეს ჩემი კეთილი რჩევა თქვენთვის, ამერიკელებისთვის, რომლებიც ამ შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრები ხართ და რომლებიც, შემთხვევით შექმნილი ცხოვრებისეული გარემოებების წყალობით, ჩემს უახლოეს და ნამდვილ მეგობრებად იქცეით, მდგომარეობს კატეგორიული აუცილებლობის მითითებაში, რომ თითოეულმა თქვენგანმა სრულიად შეწყვიტოს, უკიდურეს შემთხვევაში სამი თვით მაინც, ვაზეთებისა და ჭურნალების კითხვა და ამ დროის განმავლობაში რაც შეიძლება უკეთ გაეცნოს ჩემი ნაწერების პირველი სერიის სამივე წიგნის



შინაარსს, რომელთა საერთო სათაურია: „ადამიანის ცხოვრების ობიექტური და მიუკერძოებელი კრიტიკა“.

ამ წიგნების შინაარსის გაცნობა სრულიად აუცილებელია თითოეული თქვენგანისთვის უმთავრესად იმის გამო, რომ პირდაპირ ან ირიბად მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც ყოველმხრივ აშუქებს ზოგიერთ ცნებასა და წარმოდგენას, რომელზეც დაფუძნებული და რომლიდანაც ლოგიკურად გამოდინარე იქნება ყველა პრობლემა, რომლის გადაჭრაც აუცილებელი იქნება პრაქტიკაში. სწორედ ამ მიზნისთვის შეიქმნა თავის დროზე თქვენი ჯგუფი, ახლაც სწორედ იმის გამო მოხდა მისი რეორგანიზება, რათა ის შედეგობოდეს სწორედ იმ ხალხისგან, ვინც მეტ-ნაკლებად მაინც ზღვება ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრების აბსურდულობას და რომლებსაც, მართალია, თქვენ ჯერ არ გიგრძენიათ ეს საკუთარი ყოფიერებით, სერიოზულად სურთ აითვისონ ის, რაც უკვე ვაიგეს, განავრძობენ ობიექტური ტექსტების შეძლებისდაგვარად მეტი ასპექტის გაგებას, რათა ამასთან შესაბამისად განსაზღვრონ საკუთარი რეალური ინდივიდუალურობა იმისათვის, რომ შემდგომში საკუთარი თავი გამოავლინონ ღვთის მსგავსი არსებისთვის დამახასიათებელი სახით.

აუცილებელია ითქვას, რომ ყველაფერი, რაც ჩემი პირველი სერიის სამ წიგნშია გადმოცემული, თავის ერთობლიობაში მოიცავს თითქმის ყველა საკითხს, რომელიც მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევების შედეგად ჩამომიყალიბდა და რომლებიც, ჩემი აზრით, შეიძლება თანამედროვე ცხოვრების პირობებში ადამიანის ჩვეულებრივ აზროვნებაში განჩნდეს და ყველა ამ საკითხის ახსნა ისეთი ლოგიკური თანმიმდევრობითა და ისეთი შეპირისპირებითი ფორმით არის მოცემული, რომ მკითხველი შეაჩვიოს ავტომატურად აქტიურ აზროვნებას და, იმავედროულად, თეორიულად ათვისებას თავად საკითხების არსისა, რომლებზეც არის საუბარი, მიეცეს საშუალება, ვაიგოს, უპირველეს ყოვლისა, არა მხოლოდ თავისი ავტომატური აზროვნებით, რომელიც ამ შემთხვევაში არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს, არამედ მთელი თავისი ყოფიერებით, რომელიც უფრო მეტად მნიშვნელოვანი და არსებითად აუცილებელია შემდგომში საკუთარ თავზე მუშაობისათვის, თავისი უწინდელი აზრებისა და შეხედულებების ეფემერული ბუნება.

ამ სამი წიგნის ყოველმხრივ გაცნობა აუცილებელია აგრეთვე იმისათვის, რომ, როცა პირადად მე ან ზემოთ ხსენებული ინსტრუქტორები საერთო





შეკრებებზე ამა თუ იმ საკითხზე ვისაუბრებთ, რომელიც მოცემულ მომენტში თქვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი იქნება და ვისაუბრებთ მასთან დაკავშირებულ დეტალებზე, შეგვეძლება დროის ეკონომიის მიზნით უბრალოდ მივითითოთ იმ პირველი სერიის ამა თუ იმ წიგნის ესა თუ ის თავი და თქვენ, გეკნებათ რა უკვე წინასწარი ინფორმაცია ამ საკითხზე, ადვილად გაიგებდით იმას, რასაც თანმიმდევრულად განვავითარებთ დეტალებში.

მაგალითად, თუკი ვაპირებ დღევანდელ შეხვედრაზე, ვისაუბრო საკითხზე, რომელიც დაფუძნებულია მონაცემებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად უკვე ავხსენი მესამე წიგნის ბოლო თავში, კერძოდ კი, თავში რომლის სათაურია: „ავტორისგან“, მოცემულ საკითხზე მსჯელობა იმ თავის გაგრძელება უნდა იყოს.

მამინ, თუკი ყველანი კარგად იქნებოდით ინფორმირებულნი მისი შინაარსის თაობაზე, შემძლო დროის ეკონომიის მიზნით მიმუდართა საჭირო პასაჟებისთვის, ახლა კი იძულებული ვარ, დრო დავხარჯო თქვენთვის განსაზღვრული ამონარიდების წაკითხვაში.

ამ შემთხვევაში, უმთავრესად, გეჭირდება ბოლო თავის, რომლის სათაურია: „დამატება“, იმ ნაწილის ცოდნა, რომელიც მას შემდეგ დაწერე, რაც ძალიან ნათლად ვაჩვენე ამ თავში თანამედროვე ადამიანის სრული ავტომატიზმი და მისი სრული არარაობა „მისი ინდივიდუალობის დამოუკიდებელ გამოვლინებასთან“ მიმართებაში.

ამის შემდეგ ჩემს მდივანს ვთხოვე წაეკითხა ის ნაწევრები, რომლებსაც ზემოთ საუბრისას ვკულისხმობდი.

ამ ნაწევრების სიტყვასიტყვითი შინაარსი ამგვარია:

„ასეთია ჩვეულებრივი საშუალო ადამიანი – სამყაროს მიზნებისთვის მსახურების შეუგნებლად თანამონაწილე მონა, მიზნებისთვის, რომლებიც უცხაა მისი პირადი ინდივიდუალობისთვის.

მას შეუძლია ისე იცხოვროს სიცოცხლის ბოლომდე, როგორც გაიზარდა და ჩამოყალიბდა ათასგვარი ზემოქმედების შედეგად, რაც, საერთო ჯამში, მის გარშემო ცხოვრების პირობების ფორმირებას ახდენს და სიკვდილის შემდეგ ასევე განადგურდეს საბოლოოდ.

და თუმცა ეს ყოველი ცხოვრების ხვედრია, მაგრამ ამავე დროს დიადმა ბუნებამ ზოგიერთ ცხოვრებას, ამ შემთხვევაში, ადამიანისას, მისცა შესაბამისი საშუალებები, ყოფილიყო არა მხოლოდ ბრმა იარაღი



სამყაროს მიზნების მსახურებისთვის, არამედ, იტყვევრუულიდ, შეძლებოდა ბუნების სამსახურში ყოფილიყო დბ მ შუგნულში მტად განხორციელებინა ის, რაც მას ჰქონდა დაკისრებული, გადაჭარბებით გამოეუმადებინა მასალა და ეს ჭარბი მასალა გამოეყენებინა საკუთარი „ეგვიზმისთვის“, ანუ მისი საკუთარი ინდივიდუალურობის განსაზღვრისა და გამოვლენისთვის.

ეს საშუალებაც საერთო მიზნების მსახურებისთვის გვეძლევა, რადგან ობიექტური კანონების წონასწორობისთვის ასეთი შედარებით თავისუფალი, თვითნაშენები, დამოუკიდებელი ცხოვრება, ასევე აუცილებელია.

ვსაუბრობ რა ამ თემაზე ამგვარად, ჩემს მორალურ მოვალეობად მიმაჩნია, აქვე დავძინო და განსაკუთრებით გაუუსვა ხაზი იმას, რომ, თუმცა ასეთი გათავისუფლება ადამიანისთვის შესაძლებელია, ყველა ადამიანს არა აქვს ამის მიღწევის შანსი. არსებობს უამრავი მიზეზი, რომელთა გამოც ეს არ მოხდება და რომელნიც უშეტეს შემთხვევაში არც ჩვენზეა დამოკიდებული, არც დიად კოსმიურ კანონებზე, არამედ მხოლოდ ჩვენი აღმოცენებისა და ფორმირების სხვადასხვაგვარ შემთხვევით პირობაზე, რომელთა შორისაც მთავარი, რა თქმა უნდა მემკვიდრეობითობა და ის პირობებია, რომელშიც მიედინება ჩვენი „მოსამზადებელი ასაკის“ პროცესი. სწორედ ესენია ის არაკონტროლირებადი პირობები, რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალონ ამ გათავისუფლებას. . .“

აქ გაეაჩრე ის, კინც ტექსტს კითხულობდა და აუდიტორიას აუხსენი, რომ შემდეგი რამდენიმე გვერდიდან, რომელსაც დროის ეკონომიის მიზნით გამოვტოვებდით, ამ საღამოს თემისთვის აუცილებელია მხოლოდ იმ შედარების ცოდნა, რომელიც გაეაკეთე ადამიანის ცხოვრებასა და დიდი მდინარის დინებას შორის, რომელიც იყოფა განსაზღვრულ ადგილას, რომელიც, ჩემი განსაზღვრით, შეესატყვისება ადამიანის მიერ საპასუხისმგებლო ასაკის მიღწევის დროს, ანუ იმ ასაკისა, როდესაც ადამიანში ნათლად იკვეთება, მიახერხა თუ არა მან იმ დროისთვის მისი საკუთარი „მეს“ ფლობისთვის აუცილებელი მონაცემების შექმნა ორ ნაკადად, რომელთაგანაც ერთი



ჩაედინება უკიდევანო ოკეანეში შემდგომი დინებისთვის, რომელიც თვითვეოლუციას ახდენს, მეორე კი – ქვედა არეებში შემდგომი, მაგრამ ინვოლუციური მოძრაობისთვის, ამ

შემთხვევაში მხოლოდ ბუნების საჭიროებისთვის. შემდეგ მივუთითე ადგილი, საიდანაც ამ შემთხვევაში უნდა გაგვეგრძელებინა კითხვა.

„ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის, — განაგრძო კითხვა ჩემმა მდივანმა, — მთავარი ბოროტება იმაში მდგომარეობს, რომ საპასუხისმგებლო ასაკის მიღწევისას ვიძინებ — ჩვენი ჩვეულებრივი არსებობის სხვადასხვა პირობების შედეგად, რომელსაც ჩვენ თვითონვე ვიქმნით უმთავრესად არანორმალური, ეგრეთ წოდებული, „განათლების“ გამო — ზოგად ყოფიერებას, რომელიც შეესაბამება ცხოვრების მდინარის მხოლოდ იმ ნაკადის დინებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს „ქვედა არეებში“ ჩაედინება და ვხვდებით რა იქ, ვრჩებით პასიურები და ისე, რომ არ ვფიქრობთ ამ მდგომარეობის შედეგებზე, დინებას ვემორჩილებით და სულ უფრო შორს მივყვებით მას.

ვიდრე ასეთ პასიურ მდგომარეობაში დავრჩებით, მოგვიწევს ჩვენი შემდგომი არსებობის მანძილზე მონურად დავემორჩილოთ ყოველგვარ ბრმა შემთხვევას და ამის შედეგად გარდუვალად ვიყოთ მხოლოდ საშუალება ბუნების „ინვოლუციური და ევოლუციური წყობისათვის“.

ვინაიდან უმრავლესმა თქვენგანმა, ვინც აქ ხართ და ამ ასხნა-განმარტებებს იხმენთ, უკვე დიდი ხანია გადააბიჯეთ საპასუხისმგებლო ასაკს და ჩემი ასხნა-განმარტებების შემდეგ გულწრფელად მიხვდით, რომ ჯერ არ გაგაჩნიათ ჭეშმარიტი „მე“ და ამავე დროს იმ არსებითთან დაკავშირებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, თქვენს წარმოდგენაში ვერანაირი სასიამოვნო პერსპექტივების მონახაზი ვერ გააკეთეთ, მაშინ იმ მიზნით, რომ თქვენ — სწორედ თქვენ, ვინც ამას მიხვდით — ასე ვთქვათ, ძალიან არ დაიბნეთ და არ გადაეარდეთ, ეგრეთ წოდებულ, „პესიმიზმში“, რომელიც ყველგან ჭარბობს თანამედროვე ადამიანების არანორმალურ ცხოვრებაში, ამას სრულიად გულწრფელად გეუბნებით, ყოველგვარი „ფარული აზრის“ გარეშე, რომ, ჩემი შეხედულებების თანახმად, რომლებიც ჩამომიფალიბდა მრავალწლიანი კვლევების შედეგად, რომლებიც გამყარებული იყო განსაკუთრებული ექსპერიმენტების ჩატარებით, რომლის შედეგებზეც იყო დაფუძნებული ჩემ მიერ დაარსებული ადამიანის პარმონიული განვითარების ინსტიტუტი — თქვენთვისაც კი ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული.





ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემმა სპეციალურმა განმარტებებმა და ექსპერიმენტულ-სტატისტიკურმა მონაცემებმა ნათლად დაადასტურა გარკვევით მანვე, რომ დიდმა მზრუნველმა დედა-ბუნებამ იმის შესაძლებლობაც გაითვალისწინა, რომ არსებებს თავიანთი არსის მარცვლის, ასე ვთქვათ, თავიანთი საკუთარი „მეს“ შექმნა საპასუხისმგებლო ასაკში შესვლის შემდეგაც შესძლებოდათ.

სამართლიანი ბუნების წინდახედულობა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ ეს შესაძლებლობა საპასუხისმგებლო ცხოვრებაში სრული ფორმირების შემდეგაც გვეძლევა ჩვენი პირადი სურვილის მიხედვით რომელიც განსაზღვრული შინაგანი განცდებისა და განსაზღვრული გარემო პირობების შედეგად ჩნდება და ჩვენს ზოგად ცხოვრებაში აყალიბებს მონაცემებს ასეთი ბირთვის შექმნისათვის – რა თქმა უნდა, ეს ამ დროს უფრო რთულად ხდება, ვიდრე მოსამზადებელ ასაკში.

ადამიანის ყოფიერებაში ეს შეგნებული ფორმირების პროცესი ცხოვრების მდინარის ერთი ნაკადიდან მეორეში გადასვლის ხორთულებითაა განპირობებული.

საინტერესოა აქვე აღინიშნოს, რომ გამოთქმა, რომელსაც ხშირად იყენებენ თანამედროვე ადამიანები, რა თქმა უნდა, ხშირად, სრულიად ავტომატურად, ისე, რომ სრულიად არ ესმით მისი ფარული აზრი – „ადამიანის პირველი გათავისუფლება“ – თავის თავში ატარებს, ერთ-ერთი სკოლის, რომელიც ახლაც არსებობს ცენტრალურ აზიაში, ხელდასხმულთა განმარტებით, სწორედ ეს მეტაფორული აზრი, რომლის გაგებაც ჩემს ნაწერებში ჩამოვყალიბებ როგორც პირველადი საერთო მდინარის წყლის თითოეული წვეთისთვის იმ ნაკადიდან, რომელიც „ქვედა არეებში“ გაქრობისთვისაა განკუთვნილი, იმ ნაკადში, რომელიც უკიდევანო ოკეანეში ჩაედინება, გადასვლის შესაძლებლობა.

რაც შეეხება ამ გადასვლის შესაძლებლობას ადამიანისთვის, რომელმაც თავის საპასუხისმგებლო ასაკში უკვე შეაბიჯა „ქვედა არეების“ ნაკადში, თუმცა ის დიდი ბუნების მიერაა შექმნილი, უნდა გაგაფრთხილოთ, რათა თქვენში არ აღებრა, ასე ვთქვათ, „ქარაფშუტული ილუზიები“ ერთი ნაკადიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რომ ეს არც ისე ადვილია – უბრალოდ მოინდომო და გადახვადე.

ამისათვის აუცილებელია მუდმივად აქტიური ცნობიერებით, პირველ რიგში, ძალისხმევის უდიდესი დამაბებით შეიძინოთ საკუთარ თავში





განზრახვისტალიზებული მონაცემები, რომლებიც ადამიანის ყოფიერებაში წარმოშობს ასეთი გადასვლის სურვილის დაუსრუტელი წყურვილის იმპულსს და მაშინ ამას მოჰყვება ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლა, რომელიც მთელი შინაგანი ძალების უდიდეს დაძაბვას მოითხოვს, იმ აშკარა არანორმალურობებით, რომლებიც კრისტალიზებულია მის ინდივიდუალურობაში და მისი საკუთარი ტვინისთვისაც კი აშკარაა, ანუ, ბრძოლას კრისტალიზებულ ჩვევებთან, რომლებიც შეუფერებელია ადამიანისთვის მისი საკუთარი გაგების თვალსაზრისითაც კი იმ მშვიდ მომენტებში, ბრძოლა, რომელიც ხელს შეუწყობს, პირველი, თქვენში ჩვენი შინაგანი „სიკეთე-ბოროტების“ აღმოცენებას და, მეორე, ყოველთვის და ყველაფერში მისი სიმძლავრისა და ძალის შენარჩუნებასა და გაძლიერებას, სახელდობრ, იმ „სიკეთე-ბოროტებისა“, რომლის არსებობაც შექმნის იდეალურ პირობებს, განსაკუთრებით თანამედროვე ადამიანებში, „უცვლელი სიმშვიდის“ მდგომარეობით ტკობისთვის – მოკლედ, ამისათვის დაგჭირდებათ ყველა სახის შესაბამისი ძალიან რთული და ძნელი მომზადება. . .“

ამ ადგილას მღიანს კვლავ შევაწყვეტინე კითხვა და ასე განვაგრძე საუბარი:

ამ ნაწყვეტის შინაარსიდან, რომელიც ახლა მოისმინეთ, ყოველმა თქვენგანმა ის მაინც უნდა გაიგოს, რომ აუცილებელ პირობას, რომელიც მოითხოვება ადამიანს მის ახალ გზაზე, სახელდობრ, „ეკოლუციური მოძრაობის“ გზაზე ჯერ კიდევ შესაძლო დადგომისთვის წარმოადგენს ის, რომ საკუთარი „მეს“ შესაძენად ზოგიერთი მონაცემი მაინც უნდა გააჩნდეს მას.

ადამიანის შემთხვევაში, რომელშიც მისი მოსამზადებელი ასაკის გამო დრო, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული ბუნების მიერ მის ზოგად ყოფიერებაში საპასუხისმგებლო ასაკში საკუთარი „მეს“ ფლობის მონაცემების ბუნებრივი კრისტალიზებისთვის, არ იქნა გამოყენებული სასარგებლოდ, მაშინ, თუ საპასუხისმგებლო ასაკში, რაც ზოგჯერ საღად აზროვნების პირობებში შეიძლება კანონზომიერად მოხდეს ადამიანში, ის შემთხვევით ამჩნევს ამ ფაქტს და იღებს გადაწყვეტილებას, მიაღწიოს იმის შესაძლებლობას, იყოს ისეთი, როგორიც უნდა იყოს რეალურად, კერძოდ კი, იქონიოს საკუთარი ინდივიდუალურობა, რომელიც განპირობებულია საკუთარი „მეს“





უეჭველი ფლობით, მან ამ მიზნისთვის უპირველესად ყოველგვარ აუცილებლად და გააზრებულად უნდა დაიწყოს საქმის წარმოება. შეიძლება მონაცემების კრისტალიზება – როგორც დადგენილი იყო ყველა ძველი ეპოქის ჭეშმარიტად ბრძენი ადამიანების მიერ – რომლებიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, მონაცემებისა, რომელთა გამოვლინების ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა ერთმანეთთან ურთიერთქმედება სამყაროს ფუნდამენტურ კანონთან, წმინდა ჰექსაგონარაპარმინთან, სრულ შესაბამისობაში.

დღეს ვისაუბრებ შეიდიდან მხოლოდ სამ ფსიქიკურ ფაქტორზე, რომლებიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

ადამიანის ზოგად ფსიქიკურ ფუნქციონირებაში ზოგიერთ ავტომატურად ფორმირებულ ან განზრახ შექმნილ პირობებში, რომლებიც დამოკიდებულია გონებრივ ასოციაციებსა და ემოციურ განცდებზე, ეს სამი ფაქტორი ადამიანის ზოგად ყოფიერებაში წარმოშობს სამ განსაზღვრულ იმპულსს.

ვიდრე განვაგრძობ იმის ახსნას, თუ რა არის აუცილებელი და როგორ უნდა მოხდეს შეგნებულად, როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად, საკუთარი თავის გამოვლენა საკუთარ თავში ასეთი, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი მონაცემების შექმნის მიზნით, რომლებიც აგრეთვე რეალური ადამიანის კანონიერი ინდივიდუალური ასპექტები უნდა იყოს, იძულებული ვიქნები, ინგლისურ ენაში ამ სამი იმპულსის გამოშნატველი ზუსტი ლექსიკური ერთეულის არარსებობის გამო და აქედან გამომდინარე, მათი თუნდაც მიახლოებითი გაგების არარსებობის გამო დრო დაგეგარგო, რათა თუნდაც დაახლოებით მაინც გაგავებინოთ და შევარჩიო მეტ-ნაკლებად შესატყვისი პირობითი ტერმინები, რომლებსაც ჩვენს შემდგომ საუბრებში გამოვიყენებთ.

ადამიანის ამ სამი იმპულსიდან პირველის დაახლოებითი განსაზღვრისთვის, რომლებიც უნდა აღმოცენდეს და გამოძვლავდეს ადამიანში, შეიძლება გამოვიყენოთ ინგლისური სიტყვა „can“, მხოლოდ არა იმ მნიშვნელობით, რომლითაც თანამედროვე ინგლისურ ენაში გამოიყენება ის, არამედ იმ მნიშვნელობით, რომლითაც ევრეთ წოდებული „შექსპირის ეპოქამდე“ იყენებდნენ მას.

თუმცა ადამიანის ამ იმპულსებიდან მეორის ზუსტი განსაზღვრისთვის თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებობს მხოლოდ ერთი სიტყვა, კერძოდ, „wish“, მას იყენებთ როგორც თქვენ, ამერიკელები,





ასევე თავად ინგლისელები მხოლოდ იმისათვის, რომ განასხვაოთ, რა თქმა უნდა, გაუაზრებლად, ასე ეთქვათ, „მონური იმპულსის“ გამოთქმის ხარისხი, რომლისთვისაც არსებობს, განსაკუთრებით ამ ენაში, ბევრი სხვა სიტყვა, როგორებიცაა, მაგალითად: „like“, „want“, „need“, „desire“ და ასე შემდეგ.

რაც შეეხება მესამე განსაზღვრული ზემოხსენებული ადამიანური იმპულსის გამოხატავად და გასაგებად საჭირო სიტყვას, ინგლისური ენის მთელ ლექსიკურ მარაგში არ მოიძებნება თუნდაც მიახლოებით შესატყვისი არც ერთი სიტყვა.

ეს იმპულსი, რომელიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ინგლისურ ენაზე შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ აღწერითად, ანუ ბევრი სიტყვის დახმარებით. ახლა მას ასე განვსაზღვრავდი: „საკუთარი თავის მთლიანობის სრული შეგრძნება“.

ეს მესამე იმპულსი, რომელიც ზოგჯერ ადამიანის სიფხიზლის მდგომარეობაში უნდა გამოვლინდეს, ის ერთ-ერთი ბუნებრივად არსებული გამოვლინებაა ყოველი ნორმალური ადამიანის ზოგად ყოფიერებაში, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი იმ შეიდი იმპულსიდან ის ყველაზე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მისი შერწყმა პირველ ორთან, სახელდობრ, მათთან, რომლებიც, როგორც უკვე გითხარით, ინგლისურ ენაზე დაახლოებით ამ სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს „can“ და „wish“, თითქმის ქმნის და წარმოადგენს საპასუხისმგებლო ასაკს მიღწეული ადამიანის „მეს“.

მხოლოდ ასეთი „მეს“ მქონე ადამიანში იძენს ეს სამი იმპულსი, რომელთაგან ორი დაახლოებით ასე განისაზღვრება ინგლისური სიტყვებით „I can“ (მე შემიძლია) და „I wish“ (მე მინდა), იმ მნიშვნელობას, რომელსაც მე ვგულისხმობ; იმ მნიშვნელობას და მათი გამოვლენისას შესაბამის მოქმედების ძალას, რომლის შექმნაც მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, რომელიც თავისი შეგნებული ძალისხმევით აღწევს იმას, რომ მასში გაჩნდეს მონაცემები ამ იმპულსების გაგრძელებისთვის, რომლებიც წმიდათაწმიდა ადამიანისთვის.

მხოლოდ ასეთი ადამიანი, როცა შეგნებულად ამბობს „მე ვარ“ – ის მართლა არის, „მე შემიძლია“ – მას მართლა შეუძლია, „მე მინდა“ – მას მართლა უნდა.



როცა „მე მინდა“, მთელი არსებით ვგრძნობ, რომ მინდა... და შემიძლია მინდოდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე უბრალოდ ვინდა, რომ მე მჭირდება, რომ მე მომწონს, ან ბოლოს და ბოლოს, მსურს. არა, „მე მინდა“. მე არასოდეს არაფერი არ მინდა უბრალოდ, არაფერი არ მომწონს, არაფერი არ მსურს და არაფერი არ მჭირდება – ეს ყველაფერი მონობას ნიშნავს; თუკი „მე მინდა“ რაღაც, მე უნდა მომწონდეს ის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ მომწონს. მე შემიძლია მინდოდეს, რომ მომწონდეს ის, იმიტომ რომ „მე შემიძლია“ ეს.

მე მინდა – მთელი არსებით ვგრძნობ, რომ მინდა. მე შწაღია, იმიტომ რომ შემიძლია მინდოდეს. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აბსოლუტურად აუცილებლად მიმაჩნია აღენიშნო, რომ ამ ყველაფრის ნათლად გაგების სირთულე ხანგრძლივი და ღრმა გააზრების გარეშე და, საერთოდაც, სწორ გზაზე დადგომის პროცესის სირთულე საკუთარ ყოფიერებაში შევიდინა მხოლოდ ამ სამი იმპულსის წარმოშობის საჭირო ფაქტორების შესაძენად მომდინარეობს, პირველივე მცდელობებისთანავე იმ ფაქტიდან, რომ, ერთი მხრივ, ამ იმპულსებს შუედლიათ არსებობა თითქმის გამონაკლისის გარეშე მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ფლობს თავის საკუთარ ნამდვილ „მეს“, მეორე მხრივ კი, ეს „მე“ ადამიანში თითქმის გამონაკლისის გარეშე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა ის თავის თავში ატარებს ამ სამ იმპულსს.

საკუთარ თავში იმ იმპულსების შეგნებულად განვითარებისთვის, რომლებიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, ვაპირებ, ვირჩიოთ რამდენიმე მარტივი ვარჯიში, რომლებიც ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტის პროგრამაში იყო ჩართული და უნდა განემარტათ მოწაფეებისთვის, რომლებიც მეზოთერულ ჯგუფში გადავიდოდნენ.

„მარტივი - მეთქი“, - ვთქვი, იმიტომ რომ ზოგიერთ სერიოზულ სკოლებში, რომლებიც ჩვენს დროშიც არსებობენ ადამიანთა თვითსრულყოფილებისთვის, იმავე მიზნისთვის არსებობს ძალიან რთული ვარჯიშები.

მათ ზოგად ყოფიერებაზე რეალური გავლენისთვის, ვინც ამ სპეციალურ ვარჯიშებს აკეთებს და იძის უფრო მარტივად შესასრულებლად, რაც საჭიროა და აუცილებელია, პირველ ყოვლისა უნდა იცოდეთ, რომ სხვადასხვა ფუნქციის





შედგების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებს ადამიანების ფსიქიკურ ცხოვრებაში, რომელსაც ჰქვია „ყურადღება“, შემთხვევითი გარემო პირობებისა და ასევე

მიზანმიმართული ძალისხმევის ხარჯზე ავტომატურად იხლიჩება რამდენიმე ცალკეულ ნაწილად და ყოველი ნაწილი შეიძლება, რა თქმა უნდა, როგორც თავისთავად, ასევე განზრახ, გარკვეული ინტენსივობით მიმართულ იქნეს სხვა და სხვა ცალკეულ რამეზე.

მოცემულ შემთხვევაში სრულიად აუცილებელია პირველ ყოვლისა ისწავლოთ მთელი თქვენი ყურადღების სამ დაახლოებით თანაბარ ნაწილად გაყოფა და ერთდროულად, განსაზღვრული დროის განმავლობაში, მოახდინოთ თითოეული ნაწილის კონცენტრირება სამ სხვადასხვა შინაგან ან გარეგან „ობიექტზე“.

ამ მიზნის პრაქტიკულად მიღწევის შესაძლებლობისთვის ზემოთ უკვე ნახსენებ დეტალურ პროგრამაში მითითებული იყო რიგი ვარჯიშისა სახელწოდებით: „ნიადაგის მოშადება“.

თუმცა ამ დეტალურ პროგრამაში მითითებული ვარჯიშები განზრახ იყო შედგენილი განსაზღვრული თანმიმდევრობით და საჭირო იყო პირველი ნომრით დაწყება, თქვენთვის, ამერიკელებისთვის, წარსულში რამდენიმე გაუკებრობის შედეგად, უფრო სასარგებლოდ მიმანია მუოთხე ნომრიდან დაწყება.

ეს ვარჯიში ნომრი ოთხი, სერიიდან ნიადაგის მოშადება, სრულდება ასე: პირველი, მთელი თქვენი ყურადღება უნდა გაანაწილოთ დაახლოებით სამ თანაბარ ნაწილად; თითოეული ამ ნაწილის კონცენტრირება უნდა მოახდინოთ მარცხენა ან მარჯვენა ხელის სამი თითიდან ერთ-ერთზე, მაგალითად, საჩვენებელზე, შუაზე და არათითზე, დაადასტურო ერთ თითში მასში მიმდინარე ორგანული პროცესის შედეგი, რომელსაც ეწოდება „შეგრძნება“, მეორეში – პროცესის რეზულტატი, რომელსაც ეწოდება „ვრძნობა“, მესამეში – აკეთებთ რა რომელიმე ტიპის რიტმულ მოძრაობას და, იმავდროულად, ავტომატურად ითვლით მას ახოცაიციური აზრების დინებასთან ერთად თანმიმდევრული ან სხვა ნებისმიერი დათვლის ხერხით.

აქ კვლავ ჩნდება ინგლისური ენის სიღარიბის საკითხი, ამჯერად იმ თვალსაზრისით, რომ თანამედროვე ადამიანები, რომლებიც ინგლისურ რასას მიეკუთვნებიან და ასევე თქვენც, ამერიკელებიც, რომელთაც მათგან ვაქვთ ნასესხები ეს ენა და იყენებთ მას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოკლებულნი ხართ და არანაირად არ გეხმობთ განსხვავება



ჩვეულებრივი ადამიანის ორ სრულიად სხვადასხვა იმპულსს, სახელდობრ: „კრძობისა“ და „შეგრძნების“ იმპულსს (შორისი) ვინაიდან ამ ორ იმპულსს შორის განსხვავების გაგება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი შემდგომი მითითებებისთვის ყველა ვარჯიშთან მიმართებაში, რომლებიც თქვენთვისაა საჭირო, ისევე როგორც ადამიანის ფსიქიკის ჭეშმარიტ ბუნებასთან მიმართებაში, შე იძულებული ვიქნები კიდევ ერთხელ შევწყვიტო თემის გაშუქების ლოგიკური თანმიმდევრობა, რომელიც დავიწყე და კვლავ დავხარჯო დრო და განვიმარტოთ, ამჯერად მხოლოდ მიახლოებით მაინც, ამ მოულოდნელად წამოჭრილი ფილოლოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხი.

იმისთვის, რომ ავიხსნათ ეს ძალიან რთული საკითხი, „კრძობასა“ და „შეგრძნებას“ შორის განსხვავება, მოგცემთ შესაბამის განსაზღვრებებს.

ადამიანი „კრძობს“, როცა ის, რასაც ეწოდება „მოტივირებული ფაქტორები“, მისი ზოგადი ყოფიერების ერთ-ერთი გაფანტული ლოკალიზაციიდან გამომდინარეობს, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება უწოდებს „სიმპატიკურ ნერვულ კვანძებს“, რომელთა მთავარი დაჯგუფებაც ცნობილია „შზის წნულის“ სახელით და რომლის ფუნქციონირების ერთობლიობაც, ჩემი ტერმინოლოგიით, ჩემ მიერ დიდი ხნის წინ დადგენილით, იწოდება „ემოციურ ცენტრად“ და ის „შეიგრძობს“, როდესაც მისი „მამოტივირებული ფაქტორების“ საფუძველი წარმოადგენს ერთობლიობას იმისა, რასაც ჰქვია ზურვისა და ნაწილობრივ თავის ტვინის „მოტორული ნერვული კვანძები“, რომელსაც ჩემს ტერმინოლოგიაში „მამომძრავებელი ცენტრი“ ჰქვია.

სწორედ ეს განსხვავება ამ ორი თქვენთვის უცნობი დამოუკიდებელი წყაროს ბუნებაში წარმოადგენს სხვაობას ფუნქციებში, რომლებსაც თქვენ ვერ ასხვავებთ ერთმანეთისგან.

ამ მეოთხე მოსამზადებელი სავარჯიშოსთვის, რომელიც დღეს ავიხსენით, პიველ ყოვლისა, საჭიროა ისწავლოთ იმის საშუალებით, რაც თქვენში არსებობს, როგორც შემცველი ან, ასე ვთქვათ, „მოვალეობის შემსრულებელი“ იმისა, რაც რეალურ ადამიანში უნდა იყოს „თავისი ნებით მიმართული ყურადღება“, თქვენში კი უბრალოდ „თვითდაძაბვას“ წარმოადგენს, ერთდროულად დააკვირდეთ თქვენში მიმდინარე სამ სხვადასხვაგვარ შედეგს, რომელთაგან თითოეული გამომდინარეობს მთელი თქვენი



არსების ზოგადი ფუნქციონირების სხვადასხვა წყაროდან: კერძოდ, თქვენი ყურადღების ერთი ნაწილი დაკავებული უნდა იყოს ერთ თითში მიმდინარე „შეგრძნების“ პროცესის დადასტურებით, მეორე – მეორე თითში მიმდინარე „გრძნობის“ პროცესის დადასტურებით და მესამე ნაწილი უნდა მიჰყვეს მესამე თითის ავტომატური მოძრაობების თვლას.



თუმცა ეს მეოთხე ვარჯიში ყველაზე რთულია იმ ვარჯიშების საერთო რიცხვიდან, რომელიც ამ სერიას შეადგენს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე ვითხარით, სხვადასხვა გაუგებრობის შევებად, თქვენ, ჩემი აზრით, მხოლოდ ეს ვარჯიში დაგეხმარებათ, ერთი მხრივ, გამოასწოროთ წარსულის შეცდომები, მეორე მხრივ, მოამზადოთ ყოველივე აუცილებელი მომავლისთვის.

და თქვენთვის მისი მნიშვნელობისა და შეუცვლელია, ასევე მისი რეალური სირთულეების გასაგებად, აუცილებელია ის ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გააკეთოთ. თავიდან სულ უნდა ეცადოთ ამ ვარჯიშის მხოლოდ აზრი და მნიშვნელობა გაიგოთ და ამ დროს არანაირ კონკრეტულ შედეგებს არ უნდა ელოდეთ.

ვინაიდან ამ მეოთხე, თქვენთვის კი პირველი, ვარჯიშის აზრისა და მნიშვნელობის ყოველმხრივი გაგება, ისევე როგორც მისი შესრულების უნარი, თავისთავად გაგიადვილებთ აზრისა და მნიშვნელობის გაგებას ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ვარჯიშების შესრულება, რომელიც საჭიროა თქვენი საკუთარი ინდივიდუალურობის შესაძენად და ამიტომ გირჩევთ, ასე ვთქვათ, „მობიჯიზება“ გაუკეთეთ მთელს თქვენს ძალებს და შესაძლებლობებს იმისთვის, რომ „**უწარი გქონდეთ**“, განსაზღვრული დროის განმავლობაში არ იყოთ ზარმაცები და ამავე დროს საკუთარ თავთან, ანუ საკუთარ სისუსტესთან, მიმართებაში იყოთ სრულიად დაუნდობელნი, რადგან ამ პირველ ვარჯიშზეა დამოკიდებული მთელი თქვენი შემდგომი ნორმალური ცხოვრება და ყველა თქვენი შემდგომი შესაძლებლობა, რომლებიც მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, კანონის თანახმად.

მაშ ასე, თუ ნამდვილად გსურთ გქონდეთ საკუთარ თავში ის, რაც განასხვავებს ადამიანს ჩვეულებრივი ცხოველისგან, ანუ, თუ გინდათ, სინამდვილეში იყოთ ის, ვისაც დიდმა ბუნებამ მისცა შესაძლებლობა სურვილთან ერთად, ანუ სურვილთან, რომელიც გამომდინარეობს სამივე ცალკეული გასულიერებული ნაწილიდან



და შევნებული სწრაფვით საკუთარი თავის ტრანსფორმირებისა, ასე ეთქვათ, „დაძუმაკებულ ნიადაგში“ იმის აღმოცენებისა და ზრდისა, რაშიც მდგომარეობს **ყოველივე არსებულის შემოქმედის** იმედები და მოლოდინები, მაშინ თქვენ უნდა მიაღწიოთ, ყოველთვის და ყველაფერში სისუსტეებთან ბრძოლისას, რომლებიც კანონზომიერად არსებობს თქვენში, ნებისმიერ ფასად პირველ ყოვლისა ყოველმხრივ გაგებას, შემდეგ კი საკუთარ არსებაში პრაქტიკულ განხორციელებას ამ სავარჯიშოსი, რომელიც სწორედ ახლა განვიმარტეთ, რათა იქონიოთ შანსი საკუთარ თავში იმ მონაცემთა შევნებული კრისტალიზებისა, რომლებიც მუდმივად ბადებენ იმ სამ ზემოხსენებულ იმპულსს, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდნენ ყოველი ადამიანის ზოგად ყოფიერებაში, რომელსაც უფლება აქვს, საკუთარ თავს **ღვთის მსგავსი ქმნილება** უწოდოს.



## მეოთხე საუბარი,

*რომელიც 1930 წლის 12 დეკემბერს ჩავატარე ახლადშექმნილ ჯგუფთან ერთად, რომელზეც კვლავ იყვნენ დაშვებულნი ვვრთ წოდებული მისტერ ორიჯის ჯგუფის წევრები. დარბაზი სავსე იყო.*

მინდა მანამ, სანამ მეოთხე საუბრის არსზე დავიწყებ საუბარს, ავიწეროთ და შეძლებისდაგვარად განვასახიერო კიდევ რამდენიმე მოვლენა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მისტერ ორიჯის ჯგუფის წევრებს შორის მას შემდეგ, როცა იმ „აუცილებელი ხელწერილის“ დადება შევთავაზე მათ, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ წინა თავში.

მინდა ავიწეროთ ეს მოვლენები და მათგან გამომდინარე სხვადასხვაგვარი შედეგები, რომლებმაც მოულოდნელად წარმოშვეს თავად ჩემთვისაც კი მეტად ხელსაყრელი ვარემოებები, უმთავრესად იმიტომ, რომ ნამდვილად და არა რეკლამისტოვის, როგორც ეს თქვენთან, ამერიკაშია, მიღებული, გაშუქებისას მათი წყალობით შესაძლებელი იყო თითოეული მკითხველის შინაგანი მშერისთვის ძალიან კარგი სურათის მიცემა იმის გასაგებად, როგორ ძლიერად არის განვითარებული ამ ამერიკელებში, რომლებიც თანამედროვე ადამიანებში ყველაზე კულტურულებად ითვლებიან მთელს დედამიწაზე, გრძნობა, რომელიც „ჯოგურ ინსტინქტად“ იწოდება, რომელიც ზოგადად თანამედროვე ადამიანების განუყოფელ თვისებად იქცა და იმ ფაქტში ვლინდება, რომ ადამიანი თავის ქცევაში საკუთარი გონებით არ ხელმძღვანელობს, არამედ ბრმად მიჰყვება სხვების მაგალითს და რომ მისი აზროვნების განვითარების დონე – ლოგიკური შედარების გაკეთების უნარის თვალსაზრისით – ძალიან დაბალია. მე, აგრეთვე, მინდა გაჩვენოთ, რომ ამ აღწერის საშუალებით, გაშუქდება და თვალნათელი გახდება ამ აღწერის თითოეული მკითხველისთვის ბოლოს და ბოლოს ერთი მხარე მაინც იმ ჩვეულებისა, რომელიც ჩვენი ზოგადი ცხოვრების პროცესში არსებობს, რომელიც გაერცვლებულია ყველგან, განსაკუთრებით ამერიკელებში, და მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები, ერთი და იმავე მიზნისკენ





მისწრაფებისას იყოფიან სხვადასხვა ევრეთ წოდებულ „კაპარტაფ“, რომლებმაც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით ამ ბოლო ქველებში მყოფებს ყველაზე დიდი, ასე ვთქვათ, „ჭირის“ ხასიათი ჩვენს თანამედროვე ზოგად ცხოვრებაში.

ეს მოვლენები, რომლებიც თავიანთი შინაარსითაც შეიძლება ემსახურებოდნენ ამ სერიის თხრობისას დასახულ მიზანსაც, ანუ, შეიძლება ინსტრუქციული ხასიათიც აქონდეთ – ასეთი თანმიმდევრობით ხდებოდა:

მას შემდეგ, რაც საერთო შეხვედრაზე გამოვაცხადე, რომ ზემოხსენებულ ხელწერილზე უნდა მოეწერათ ხელი და განსაზღვრული ვადა დავადგინე, რომელშიც უნდა მოეწერათ ხელი, ისინი თითქმის იმავე საღამოს, როგორც შემდგომში გავიგე, ცალკეულ ჯგუფებად დაიყვნენ, ჯერ ქუჩებში დადიოდნენ, მერე გაეშურნენ სხვადასხვა ლამის „ჩაილდსში“, როგორც თავად უწოდებენ ამას ან მათ ბინებში, რომელთა ევრეთ წოდებული „სახლის ტირანები“, რომლებიც ჩვეულებრივ ყველა თანამედროვე სახლში არსებობენ, იმ დღეს სახლში არ ბრძანდებოდნენ და გამთენიამდე ალგზნებულები მსჯელობდნენ და კამათობდნენ იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

მეორე დღეს, დილიდანვე, იმ მეგობრებთან შეხვედრების ან ტელეფონზე ლაპარაკის დროს, რომლებიც იმ საერთო შეხვედრას არ ესწრებოდნენ, კვლავ განაგრძობდნენ თავიანთი აზრებისა და თვალსაზრისების გაცვლა-გამოცვლას და ყველა ამ დისკუსიის და მსჯელობის შედეგად იმავე საღამოს მათგან ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი პარტია განსხვავებული დამოკიდებულებებით იმისადმი, რაც ხდებოდა.

პირველი პარტია შედგებოდა მათგან, ვინც გადაწყვიტა არა მხოლოდ ხელი მოეწერა იმ მოთხოვნებზე, არამედ მომავალშიც უსიტყვოდ შეესრულებინათ ყველა ტიპის განკარგულება და მითითება, რომელიც პირადად ჩემ მიერ იქნებოდა გაცემული.

მეორე შედგებოდა მათგან, რომელთა ფსიქიკაშიც გაუყვებარი, ყოველ შემთხვევაში ჩემი ტვინისთვის, მიზეზების გამო ამ ხანმოკლე დროში ჩამოყალიბდა უცნაური ფაქტორი, რომელიც მთელ მათ ინდივიდუალურობას აიძულებდა, არ ეცნო აბსოლუტურად არაფერი, რაც ჩემგან იქნებოდა წამოსული, მაგრამ დარჩენილიყო იმის ერთგული, ვინც რამდენიმე წლის განმავლობაში მათთვის იყო, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა თვითონ თქვა, „არა მხოლოდ



მასწავლებელი და აღმზრდელი“, არამედ „მოსიყვარულე მამაც“, ანუ, დარჩენილიყვანენ მისტერ ორიჯის ერთგულები.



მესამე ნაწილი შედგებოდა მათგან, რომელმაც დროებით გადადო ამ გადაწყვეტილებას მიღება და ელოდებოდა პასუხს ტელეგრამაზე, რომელიც მისტერ ორიჯს გაუგზავნეს შვეიციაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

ვინც პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ, უკლებლივ ყველამ დათქმულ ვადაძვე მოაწერა ხელი იმ ვალდებულებების წერილს.

მათ ფსიქიკაში, ვინც მეორე პარტიას შეადგენდნენ, როგორც შემდგომში გაირკვა, ეს ხსენებული უცნაური ფაქტორი ხელწერილზე ხელის მოწერისთვის დათქმული ვადის ამოწურვის პროპორციულად პროგრესით ძლიერდებოდა და ისეთ ხარისხს მიაღწია, რომ თითოეული თავისებურად, ასე ვთქვათ, „საბრძოლო აღმადრებით“ და ჩემ წინააღმდეგ ვალაშტრების ფინით შეპყრობილი, უტოლდებოდა თორმეტ ძველ ბალშაკარელს, რომლებიც თავის კერპს, ტანტსატრატას იცავდნენ ჯოჯოხეთიდან საცეცალურად გამოგზავნილი ეშმაკებისგან.

რაც შეეხება ჩემი იდეების მიმდევარ იმ ჩემს ბრწყინვალე „დელიკატურ“ ამერიკელებს, რომლებმაც მესამე ჯგუფი შეადგინეს, სწორედ მათ, მთელმა ჯგუფმა ერთად, აჩვენეს და დაადასტურეს ლოგიკური აზროვნების თანამედროვე დონე, რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე ცივილიზებულიად ითვლება მთელს დედამიწაზე.

ამ „ლოგიკური აზროვნების“ რთული, დახვეწილი და გონივრული შედეგების სხვადასხვა ნიუანსი თვალნათელი გახდა გარშემომყოფთათვის და განსაკუთრებით ჩემთვის, იმ ფაქტიდან, რომ, მიიღეს თუ არა ცნობა იმის შესახებ, რომ სულ მალე მოქმედების ადგილას თავად მისტერ ორიჯი ჩამოდიოდა, რადგან ის უკვე გზაში იყო, დაიწვეს ათასგვარი „ჯერაგული“ გარემოების გამოგონება, რომლებიც თითქოს მათზე არ იყო დამოკიდებული და დაიწვეს ზომების მიღება იმისათვის, რომ ეს „იდეალურად კარგად მოფიქრებული“ გარემოებები ჩემი საბრალო მდივნის ყურაძვე მისულიყო და ამას უმეტესად ან თავადვე აკეთებდნენ, ან სხვებს არგვინებდნენ ტელეფონზე.

ამ ყველაფერს იმის გამო აკეთებდნენ, რომ თავიანთი საბოლოო გადაწყვეტილების მიღება როგორმე გადაევალებინათ მისტერ ორიჯის



ჩამოსვლამდე და ამგვარად ცდილობდნენ ყოველი შემთხვევაშივე ნიადაგის მომზადებას საპატო მიზეზისთვის დათქმულ ნაკვეთებზე ხელწერილზე ხელის მოწერლობის გამო.

ჩემ მიერ ახალი პრინციპების შესაბამისად რეორგანიზებული ამ ჯგუფის მეოთხე საერთო შეხვედრამდე ორი დღით ადრე როგორც იქნა ნიუ-იორკში ჩამოვიდა თავად მისტერ ორიჯიცი, რომელიც უკვე ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რაც მის იქ არყოფნაში ხდებოდა.

ჩამოსვლის დღეს ჩემი მდივნის საშუალებით მიხოვა, პირადად შეხვედროდი მას.

გამოგიტყდებით, ამას არ ვულოდი, იმიტომ რომ, როგორც ვიცოდი, ჯგუფის ბევრი წევრი წერდა მას აქ მომხდარი ამბების შესახებ და, კერძოდ, რა თქმა უნდა, იმის შესახებ, რომ არც თუ ისე კარგი აზრის ვიყავი მასზე, რაც არაერთხელ გავიმეორე წინა შეხვედრებზე.

თავიდან მის ამ თხოვნაზე მინდოდა მეპასუხა, რომ შემძლო საიმპონებით შეხვედროდი მას როგორც ძველ მეგობარს, მხოლოდ ერთი პირობით, ამ შეხვედრაზე არ იქნებოდა საუბარი არანაირ გაუგებრობაზე, არც ჩემს ამა თუ იმ განცხადებაზე, რომლებსაც ვაკეთებდი მის აქარყოფნაში მისი ჯგუფის ყოფილი წევრების თანდასწრებით, მაგრამ ამასთან, მახსოვდა რა საგანგაშო ახალი ამბავი, რომელიც ერთი საათის წინ გავიგე ჩემი მატერიალური საქმეების ცუდ ბრუნვასთან დაკავშირებით, ეს ეხებოდა საქონლის გასაღებას, რომელიც ჩემმა კომპანიონებმა ჩამოიტანეს აქ, გადავწყვიტე, პასუხი დამეყოვნებინა, რათა კარგად მომეფიქრებინა ის, რადგან სწორედ იმ დროს გამიჩნდა ასეთი აზრი: ხომ არ შეიძლება ეს თხოვნა საკუთარი მიზნებისთვის გამომეყენებინა იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი პირვანდელი გადაწყვეტილება არ გამომეყენებინა ამ ჯგუფის წევრები ჩემი ამ ვიზიტის მიზნების განსახორციელებლად ამ დროისთვის უკვე შეიცვალა ზოგიერთი მათგანის საქციელის გამო, საქციელისა, რომელიც დაუშვებელია და უკადრისია ადამიანებისთვის, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია კონტაქტში იყვნენ ჩემს იდეებთან, და განსაკუთრებით იმის გამო, რომ, როგორც მეგონა, ისინი ბევრს ფიქრობდნენ და კარგადაც გაითავისეს ეს ყველაფერი.



ფიქრობდი და ვადარებდი რა ერთმანეთს შესაძლო შედეგებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სხვადასხვა შემთხვევას, გადავწყვიტე ჩემი მდივნის საშუალებით ასეთი პასუხი მიმეცა მისთვის:

„ვეელაზე მშვიდო, გაწონასწორებულო, ვველაზე იმედისმომცემო და ჩემთვის ვველაზე ძვირფასო მისტერ ორიჯ!“

მას შემდეგ, აქ რაც მოხდა, რადგან კარგად მიცნობთ, მიხვდებით, რომ უფლება აღარ მაქვს უწინდელი პირობებით შეგხვდეთ, თუნდაც როგორც ძველ მეგობარს.



ახლა, როცა არ ვარღვევ ჩემს პრინციპებს, რომელთაგან უმრავლესობა ცნობილია თქვენთვის, შემიძლია შეგხვდეთ და უწინდელივით „დროის ფუჭად ხარჯვის“ პროცესიც გაავარძელო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენც, მისტერ ორიჯ, მთაწერთ ხელს იმ მოვალეობებს, რომლებიც შევთავაზებ ვგუფის ვველა წევრს, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით“.

მიიღო რა ეს პასუხი, მისტერ ორიჯი, ჩემი ახლობლების გასაოცრად, რომლებიც ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ აქ, დაუფრთხილავ მოვიდა იმ ბინაში, სადაც ზოგიერთი მათგანი ცხოვრობდა, მათ შორის, ჩემი ძლივანიც და, პირველ რიგში, უსიტყვოდ მოაწერა ხელი ამ ვალდებულებებს; მერე აშკარად ჩემი მიბადებით, როგორც მერე მიყვებოდნენ, დაჯდა ჩემთვის ჩვეულ პოზაში და ძალიან მშვიდად დაიწყო საუბარი:

„კარგად ვიცი რა, მისტერ გურჯიევის წყალობით, განსხვავება ადამიანის გამოვლინებებს შორის, რომლებიც წარმოიშობა მისი რეალური ბუნებიდან, რაც პირწმინდად მისი შემკვიდრეობითობის შედეგაა, და რომლებიც მისი „აგტომატური აზროვნებიდან“ წარმოიშობა, რომელიც როგორც თავად განსაზღვრავს ამას, წარმოადგენს ათასგვარი შემთხვევითი შთაბეჭდილების შედეგს, რომელსაც ყოველგვარი წესრიგის გარეშე ითვისებს და ამავე დროს ვარ რა კარგად ინფორმირებული წერილების საშუალებით, რომლებსაც აქაური ვგუფის სხვადასხვა წევრისგან ვიღებდი, იმის თაობაზე, აქ რაც ხდებოდა ჩემს აქ არყოფნაში, მაშინვე მივხვდი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, რა იმალება ამ წინადადების უკან, რომელიც მისტერ გურჯიევისგან მივიღე და რომელიც ერთი შეხედვით სრულიად აბსურდული ჩანდა, – ისევე, როგორც სხვებს, მეც მომეწერა ხელი ამ მოვალეობებისთვის, რომლის მიხედვითაც უფლება არ მეძლეოდა, რამე ურთიერთობა მქონოდა არა მხოლოდ იმ ვგუფის წევრებთან, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი, არამედ, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, საკუთარ თავთანაც.“



ამას მაშინვე მივხვდი, როგორც ჩანს, იმიტომ, *ჭრტი უმუხლო* დღეებში ძალიან ბევრს ვფიქრობდი იმ შეუსაბამობაზე, რასაც რწმენასა და იმას შორის, რასაც მისტერ გურჯიევი უწოდებს „აქ ჩემი როლის შესრულებას“ და მძიმე, არასასიამოვნო გრძნობა, რომელიც გამოწვეული იყო ამ შეუსაბამობის გულწრფელად გააზრებით, სულ უფრო მეტად მიძლიერდებოდა.

ჩემი მშვიდად ყოფნის მომენტებში, განსაკუთრებით გასული წლის განმავლობაში, შინაგანად ხშირად გულწრფელად ვაღიარებდი ამ წინააღმდეგობრიობას ჩემს გარეგან გამოვლინებებსა და მისტერ გურჯიევის იდეებს შორის და, შესაბამისად, ადამიანებზე, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობდი, ასე ვთქვათ, მისი იდეების თანახმად, ჩემი სიტყვიერი გავლენის მავნებლობას.

გულახდილად რომ ვითხრათ, თითქმის ყველა შთაბეჭდილება, რომელსაც ვიღებდი იქიდან, რასაც მისტერ გურჯიევი ამბობდა აქ საერთო შეხვედრებზე და ჩემი ჯგუფის ცალკეულ წევრებთან ჩემზე და ჩემს საქმიანობაზე, ზუსტად შეესატყვისება ჩემს შინაგან რწმენას.

ბევრჯერ ვაპირებდი, ბოლო მომელო ამ ორმაგი გამოვლინებისთვის, მაგრამ ცხოვრების გარემოებები ხელს მიშლიდა საჭირო შემართებით დამეწყო ამის გაკეთება.

ახლა, მივიღე რა მისგან, — განაგრძობდა ის, — ერთი შეხედვით, აბსურდული წინადადება, მაგრამ ამავე დროს ვიცოდი ჩემი მასწავლებლის ჩვევა: „მას ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, უაზრო გარეგნული გამოვლინებების უკან მუდამ კქონოდა ღრმა ნააზრევი“, ნათლად მივხვდი, რომ ახლა თუ არ გამოვიყენებ ამ საშუალებას, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდე ჩემი ასეთი, პირდაპირ ვიტყვი, „ორსახოვნებისგან“, ვერასდროს შევძლებ ამის გაკეთებას.

გადავწყვიტე ეს იმ ვალდებულებებზე ხელის მოწერით დამეწყო, რომელსაც მისტერ გურჯიევი ითხოვდა და ამავე დროს აქ მყოფთა წინაშე პირობას ვდებ, რომ ამ მომენტიდან არანაირი კავშირი არ მექნება უწინდელი ჯგუფის არც ერთ წევრთან, უწინდელ საკუთარ თავთანაც კი, ძველი ურთიერთობებისა და გავლენების საფუძველზე.

მე ძალიან მინდა, რასაკვირველია, თუკი მისტერ გურჯიევი ამის ნებას მომცემს, დღეიდან ამ ახალი რეორგანიზებული ჯგუფის ჩვეულებრივი წევრი ვაეხდე“.





გარბიძე

მისტერ ორიჯის ამ ფილოსოფოსობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ისეთი უცნაური რეაქცია გამოიწვია ჩემს ფსიქიკაში, რომ ახლა, ძალიან დიდი სურვილის მიუხედავად, თავს ვერ ვიკავებ, რომ არ ვიამბოთ ეს და თან არ ავიწეროთ ჩემი ყოფილი მასწავლებლის, ახლა თითქმის უკვე წმინდანის, მოლა ნასრედინის, სტილში, გარემო პირობები, რომელშიც ხდებოდა ჩემს ყოფიერებაში მიმდინარე, ჩემი ძვირფასი „ანგლო-ამერიკელი *delicatessen*“-ის, მისტერ ორიჯის, ზემოხსენებული ფილოსოფოსობის, ასე ვთქვათ, „ციმესის“ ათვისება, მისტერ ორიჯისა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თითქმის მთავარი წარმომადგენელი და ჩემი იდეების მთავარი განმმარტებელი იყო ამერიკაში.

როდესაც მაიმბეს მისი იქ მისვლისა და ფილოსოფოსობის შესახებ იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩემგან მიიღო, და მისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ აუცილებლად მოეწერა ხელი ამ მოვალეობებზე, სამზარეულოში ვიყავი და, ასე ვთქვათ, ვამზადდები „სიმძიმის ცენტრის კერძს“, როგორც ჩემი „მუქთახორები“ უწოდებენ, რომელსაც ვამზადდები ყოველ დღე ჩემი ნიუ-იორკში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში იმ მიზნით, უმთავრესად, რომ რაღაც ტიპის ფიზიკური ვარჯიში შეკეთებინა, ამასთან, თითო დღეს ყველა კონტინენტის ხალხების რომელიმე ახალი ნაციონალური კერძის მომზადებას ვუძღვნიდი.

იმ დღეს ვამზადდები იმ ხალხის საგვარეულო კერძს, რომელიც ჩინეთისა და რუსეთის თურქისტანს შორის ტერიტორიაზე ცხოვრობს.

იმ მომენტში, როდესაც მისტერ ორიჯის მოსვლისა და მისი ფილოსოფიური მსჯელობის ამბავს მიყვებოდნენ, კვერცხის გულსა და დარჩინის ვოჭეფდი.

და როდესაც მათ მიერ წარმოთქმულ წინადადებათაგან ზოგიერთის გარეგანი ელერალობა ჩემ მიერ აღქმული იქნა – არაეინ არ იცის, რატომ – სწორედ ჩემი ტვინის ორ ნახევარსფეროს შორის არსებული ცენტრით, ჩემი ორგანიზმის ფუნქციონირების იმ ერთიანობაში, რომელიც საერთოდ ბადებს ადამიანში „გრძნობას“, თანდათან დაიწყო პროცესი, რომელიც ძალიან ჰგავს იმ გრძნობის განცდას, რომელსაც „ემოციური გულანუყება“ ჰქვია და უცებ, სრულად დაუფიქრებლად



ერთი მწიკვი ჯანჯაფილის ნაცვლად ქვაბში მოვაპირქვავე რუმე. ეს სახლში დაფქული მწარე წინაქა იყო, ეს იყო მოქმედება. როგორც სრულიად არ იყო ჩემთვის ჩვეული, ისეთი წმინდა რიტუალის შესრულების დროს, როგორცაა, კომპოზიციის მომზადება აუცილებელი პარმონიული გემოს მისაღებად რომელიმე კერძისთვის, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებობს დედამიწაზე; და, დაეიწვე რა რიტმულად და მთელი ძალით მარჯვენა ხელის ქნევა, „ზურგში დარტყმა მივაყენე“ ჩემს საბრალო მდივანს მუხიკის საკითხებში, რომელიც იმ დროს სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა, მერე კი გავვარდი ჩემს ოთახში, დივანზე დავემხე, თავი ჩავრგე ბალიშებში, რომლებიც, სხვათა შორის, ნახევრად ჩრჩილისგან იყო შეჭმული და ცხარე ცრემლით ავტირდი.

განვაგრძობდი ტირილს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი გონივრული საფუძვლის გარეშე, მაგრამ რომელმაც მთლიანად მომიცვა და ინერციით გრძელდებოდა ზემოხსენებული ემოციის განცდით, ვიდრე ჩემი მეგობარი ექიმი, რომელიც ამერიკაში მახლდა, შემთხვევით შენიშნა რა ფსიქიკური მდგომარეობის დაწყება, რომელიც მანამდე უცნობი იყო მისთვის, ოთახში შემოვიდა ვისკის დიდი ბოთლით, რომელიც სპეციალურად ამერიკელებისთვის ჰქონდა მომზადებული. მას შემდეგ, რაც მოველოე ეს სამედიცინო საშუალება, თუმცა ფიზიკურად ცოტა დავეწყნარდი, მაგრამ კრუნჩხვა, რომელიც სხულის მარცხენა ნაწილში დამეწყო, ვახშამდე გაგრძელდა, კერძოდ კი, იმ მომენტამდე, როცა მეც და ჩემ გვერდით მყოფი ადამიანებიც იძულებული ვიყავით, სხვა საკვების არარსებობის გამო გვეჭამა კერძი, რომელიც ასე უზომოდ მწარე გამოვიდა.

როგორი განცდები დაიწყო ჩემში და როგორი შედეგები ჩამოყალიბდა ჩემს ცნობიერებაში იმ ასოციაციებისგან, რომლებიც ჩემს აზროვნებაში ხდებოდა ამ კერძის გამო, რომელიც ასე უზომოდ მწარე გამოვიდა, ახლა ამ წიგნში ამის აღწერას არ შევეუდგები, ვინაიდან სწორედ ახლა მომივიდა იდეა, ეს ინფორმაცია საწყის ბაზად ვაქციო ზოგიერთი მაღალი ხარისხის დამრიგებლობით-ინსტრუქციული საკითხისთვის, თანამედროვე ადამიანის ფსიქიკასთან დაკავშირებით, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ევროპის კონტინენტზე და რომლის გაშუქებასაც ვაპირებ ჩემი თხზულებების შესამე სერიის შემდგომ წიგნში.

ABSOLUTE	1	do
ALL WORLDS	2	si
ALL SUNS	6	se
SUN	12	sol
ALL PLANETS	24	fa
EARTH	48	ni
MOON	96	re
ABSOLUTE	▼	do

ის, თუ როგორ ვიყენებდი ჩემი, ობიექტური თვალსაზრისით, სამართლიანი მიზნებისთვის ამ შემთხვევაში უმაღლეს დონემდე განვითარებული თანამედროვე ცივილიზაციის ამ, ასე ვთქვათ, ამერიკელების წარმომადგენლების აზროვნების გამოვლინებას, აქედან შეიტყობთ:



როცა მისტერ ორიჯის ვიზიტის მეორე დღეს, დილიდანვე ატყდა რა მისი ადეპტების ზარები, რომლებიც მთხოვდნენ, თითქმის მეხვეწებოდნენ, შემეყვანა ისინი ამ ახალი ჯგუფის წევრების სიაში, განკარგულება გავეცი, ასეთი პასუხი გაეცათ ყველასთვის:

„ახლადშექმნილი ჯგუფის მორიგ საერთო შეხვედრაზე დაიშვება მისტერ ორიჯის ჯგუფის ყოფილი წევრებიდან ნებისმიერი მხოლოდ ორი პირობით:

პირველი პირობა – იმისათვის, რომ დათქმულ ვადაში არ მოაწერა ხელი ვალდებულებების ხელწერილს, მან უნდა გადაიხადოს ჯარიმა დოლარებში იმ ოდენობით, რომელიც მოცემული ადამიანის მატერიალურ შესაძლებლობებს შეესაბამება და რომლის ოდენობასაც დაადგენს კომიტეტი, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით შეირჩევა და ძველი ჯგუფის რამდენიმე წევრისგან იქნება შემდგარი.

მეორე პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველანი, ვინც დროულად შეასრულებენ პირველ პირობას, ანუ, დაუყოვნებლივ გადაიხდიან დაკისრებულ ჯარიმას, რომელიც არანაირ ვითარებაში უკან აღარ დაუბრუნდებათ, დროებით ჩაიწერებიან მხოლოდ კანდიდატებად ახალ ჯგუფში და მხოლოდ განსაზღვრული დადგენილი ვადის შემდეგ გადაწყდება, შემდგომი პირობების შესრულების ან არშესრულების მიხედვით, ვინ არის იმის ღირსი, რომ ჯგუფში სრულყოფილებიან წევრად დარჩეს და ვინ უნდა დატოვოს ჯგუფი უსათუოდ“.

იმავე დღეს ჩამოყალიბდა ოთხკაციანი კომიტეტი ძველი ჯგუფიდან, რომლებიც თავადვე შევარჩიე და მათთან ერთად დავადგინე ჯარიმის შეიდი საფეხური.

პირველი და ყველაზე დიდი ჯარიმა იყო 3 648 დოლარის ოდენობის, მეორე – 1 824, მესამე – 912, მეოთხე – 456, მეხუთე – 228, მეექვსე – 114 და ბოლო, მეშვიდე და ყველაზე დაბალი – 57.

ყველა ჯარიმის საერთო თანხას დაემატა საფასური, რომელიც დავაწესე იმ საუბრების სტენოგრაფიების ასლებისთვის, რომლებიც ახალი ეგზოთერული ჯგუფის პირველ სამ შეხვედრაზე ჩავატარე





და რომლებიც აუცილებელი იყო მათთვის, ვინც ამ შესწავლებას ჩრქვენი ეხსრებოდნენ, რათა ჩემი შემდგომი საუბრების გაგებას შემსრულებელმა პირველი ჯგუფისთვის, ვინც მაშინვე მოაწერა ხელი მოვალეობებს – 10 დოლარი; მათთვის, ვინც მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ანუ, ვინც არაფერს არ სცნობდა, რაც ჩემგან მოდიოდა – 40 დოლარი; მათთვის, კი, ვინც მესამე ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ანუ გადაწვევითა, რომ მისტერ ორიჯის ჩამოსვლას დალოდებოდა – 20 დოლარი.


ამ ყველაფერმა ერთად 113 000 დოლარი შეადგინა, რომელიც ორ თანაბარ ნაწილად გავყავი, საიდანაც ერთი ნაწილი მე ავიღე, მეორეთი კი ურთიერთდახმარების ფონდის ჩამოყალიბება დავიწყე ჩემ მიერ ორგანიზებული ამ პირველი ევზოთერული ჯგუფის მატერიალურად გაჭირვებული წევრებისთვის, ჯგუფისა, რომელიც კოლექტიური თვითსრულყოფის იმ პროგრამით იმუშავებდა, რომელიც უკვე ზუსტად ჩემი იდეების შესაბამისად იყო აგებული.

და აი, ეს ხსენებული მუთხე საუბარი, რომლის შინაარსიც ახლა მინდა გადმოგცეთ, ჩატარდა ამჯერად უკვე მისტერ ორიჯისა და რამდენიმე მისი ყოფილი, ასე ვთქვათ, „პირველხარისხოვანი“ დამცველების თანდასწრებით, რომლებიც ახლა, რა თქმა უნდა, ნირწამხდარნი და მინც უცვლელად „დათაფლული“ გამოძეტველებით იხსენენ.

იმ საღამოს, მუსიკის დემონსტრირებისას, რომელიც, ჩვეულებრივ, წინა დღეს იწერებოდა ზოლმე და ჩემი ორი ძველი მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შემდეგ, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ასრულებდა ჩემი მდივანი მუსიკის საკითხებში, იქ დამსწრე საზოგადოების არჩევითა და სურვილით, ასე დავიწყე საუბარი:

„ყველა ისტორიული მონაცემისა და საღი ლოგიკური აზროვნების თანახმად, ადამიანი, სიცოცხლის სხვა გარეგნულ ფორმებთან შედარებით, რომლებიც ვლინდებიან და არსებობენ დედამიწაზე როგორც სხეულის ორგანიზებით, ასევე მისი ფსიქიკის ფუნქციონირების ფორმის სირთულის დონით ყველა სახის აღქმასა

და გამოვლინებაში, უნდა იყოს, სიცოცხლის სხვა გარეგნულ ფორმებს შორის, მართლაც, აღმატებული და, ასე ვთქვათ, „წამყვანი“ ჩვეულებრივი ცხოვრების სისწორის რეკულირებაში, აგრეთვე, აზრის ღირსეულ გამართლების ნიშნების გამოვლინებასა და საკუთარი არსებობის აზრის განხორციელების პროცესში, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული ჩვენი ხაერთო მამის მიერ.



გარკვეული  
ზმზღნიშნის



დედამიწაზე მრავალფეროვანი ცხოვრების ზოგად პროცესში, როგორც ისტორიული მონაცემები გვიჩვენებს, ეს სწორედ ასე იყო დასაწყისში და მხოლოდ შემდგომში, როდესაც ადამიანების ფსიქიკაში წარმოიშვა უმთავრესად მათი იმ ნაკლის გამო, რომელსაც სიზარმაცე ეწოდება – და ყოველ მომდევნო თაობაში ზრდიდა თავის მოქმედების ძალას მათ ზოგად ყოფიერებაზე, ის „რალაც“, რომელიც ავტომატურად აიძულებს ამ ყოფიერებას, მუდმივად ჰქონდეთ იმის სურვილი და ისწრაფოდნენ სიმშვიდისკენ და იმ დროიდან ადამიანებში ამ ფუნდამენტური ბოროტების გაძლიერებასთან ერთად იმავე ზრდადი პროპორციით დაიწყო მათი ჩამოშორება საერთო ცხოვრებიდან, რომელიც მიდის დედამიწაზე.

ისევე, როგორც ჩვენი შედარებით დამოუკიდებელი ორგანოების ფუნქციონირების სისწორე არის დამოკიდებული მთელი ორგანიზმის ფუნქციონირების რიტმის სისწორეზე, ასევე ჩვენი ცხოვრების სისწორე დამოკიდებულია ცხოვრების ყველა გარეგნული ფორმის ავტომატური ცხოვრების სისწორეზე.

ვინაიდან დედამიწაზე ცხოვრების საერთო რიტმი, წარმოშობილი კოსმური კანონებით, შედგება როგორც ადამიანის ცხოვრების, აგრეთვე ცხოვრების სხვა გარეგნული ფორმების ყველა რიტმის ერთობლიობისგან, მაშინ ცხოვრების ერთი ნებისმიერი ფორმის რიტმის არანორმალურობა ან თუნდაც მხოლოდ დისჰარმონია, აუცილებლად უნდა იწვევდეს არანორმალურობასა და დისჰარმონიას ცხოვრების სხვა ფორმებში.

მე დავიწყე ლაპარაკი ასეთ აბსტრაქტულ თემაზე, რომელიც ერთი შეხედვით, შორს არის იმისგან, რაც დასაწყისში განვსაზღვრე თქვენი უშუალო ინტერესისთვის, უმთავრესად იმიტომ, რომ მსურდა რა დღეს ამეხსნა თქვენთვის, ასე ეთქვათ, შესრულების მეთოდი „კარდინალური“ ვარჯიშისა, რომელიც თქვენში შეიდი ფსიქიკური მონაცემიდან პირველის შეგნებული კრისტალიზაციისთვის, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, მინდა მოგცეთ ინფორმაცია ობიექტური ჭეშმარიტების ამ ასპექტზე, რომლის ზუსტი და ფართო ვაკუებისთვის აუცილებელია ასეთი ზოგადი გადახვევის ვაკეობა.

მე მიმაჩნია მნიშვნელოვნად და თქვენთვის ძალიან სასარგებლოდ, აღვნიშნო, რომ ობიექტური ჭეშმარიტების ეს ასპექტი ადამიანის ცხოვრების პროცესში ყოველთვის არსებობდა უძველესი დროიდან,



ეს იყო ყველა ეპოქისა და რანგის ხელდასხმულთა ერთობლივი ძირითადი საიდუმლოება და ამის ცოდნას, როგორც უძველესი ხანისათვის, ისე თანამედროვეს შუამდგომლობა რეზულტატების ათვისების ძალისა, რომლებიც წარმოიშობა როგორც ამ პირველიდან, ასევე სხვა ვარჯიშებიდან.

მინდა ზოგიერთი რამ განვიმარტოთ მხოლოდ იმ კოსმიური ნივთიერებების და თვისებების ერთობლიობაზე, რომელიც ამ ერთობლიობას ახლავს, რომელიც არა მხოლოდ ადამიანების ცხოვრებაში, არამედ სხვა ცხოვრების სხვა გარეგნულ ფორმებშიც წარმოადგენს მთავარ მარეალიზირებელ ფაქტორს და რომელიც წარმოადგენს „მეორე ძირითად საკვებს“, არის სხვა არაფერი, თუ არა ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ.

ჰაერი, რომლისგანაც შედგება ელემენტები, რომლებიც აუცილებელია ჩვენი სიცოცხლისთვის, რათა შემდგომში გარდაიქმნენ ჩვენს ორგანიზმში სხვა კოსმიურ სუბსტანციებად სამყაროს რეალიზაციის ზოგადი საჭიროებებისთვის, როგორც ყოველი განსაზღვრული კოსმიური კონცენტრაცია, შედგება აქტიური ელემენტების ორი სახეობისგან თავისი თვისებებით, რომლებიც თავიან ერთობლიობაში სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან.

აქტიური ელემენტის ერთ სახეობას აქვს ევოლუციური, მეორეს კი ინვოლუციური სწრაფვის სუბიექტური პროცესი.

ჰაერი, როგორც ყოველი კოსმიური კონცენტრაცია, რომელიც წარმოქმნილია ყველა სახის ზოგადკოსმიური და სხვადასხვა, მათგან გამომდინარე მეორადი კანონების წყალობით, რომლებიც დამოკიდებულია, ამ შემთხვევაში, ჩვენი პლანეტის სხვა მსხვილი კოსმიური კონცენტრაციების ნივთიერებათა ერთობლიობასთან მდგომარეობასა და ურთიერთქმედებაზე, იძენს და გააჩნია ბევრი სპეციფიკური თვისება.

ამ მრავალ თვისებათაგან თქვენ ამ შემთხვევაში უნდა იცოდეთ იმ თვისების შესახებ, რომელიც უძველესი დროიდან იყო ადამიანის ცხოვრების პროცესში ყველა ეპოქის ყველა რანგის ხელდასხმულთა ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო.

ეს თვისება არის ის, რომ. . .“



## მეხუთე საუბარი,

19:30 წლის 19 დეკემბრის იმავე გვერდში

შემდგენიარად დაიწყო:

სანამ, ჩვეულებისამებრ, გამოგკითხავთ, რათა უკეთ ჩამოვყალიბდე, თუ რა მიმართულებით მოგცეთ შემდგომი მითითებები – მაგალითად, ახლა გვეკითხებით, თუ გასული კვირის განმავლობაში „თავისუფალ დროს“ თქვენი განსჯის საფუძველზე როგორ გაააზრეთ და გაითავისეთ ჩემი მითითებები პირველ სავარჯიშოსთან დაკავშირებით, რომელიც მესამე შეხვედრის დროს მოგაწოდეთ, რათა თქვენს ყოფაში მოშადდეს „ნაყოფიერი ნიადაგი“ ადამიანის უწმინდესი იმპულსების მონაცემთა განზრახ შესაქმნელად – მე აუცილებლად მივიჩნევ მიგითითოთ სხვა ორი დამოუკიდებელი სავარჯიშო, რომლებიც შედიოდა ჩემ მიერ დაარსებული ინსტიტუტის საერთო პროგრამაში, მაგრამ განეკუთვნებოდა სრულიად განსხვავებულ სავარჯიშოთა რიგს, რომელიც მოსწავლეთა განსაზღვრული კატეგორიისათვის საკუთარი რეალური „მეს“ მოსაპოვებლად ერთ-ერთ ე. წ. „დამხმარე საშუალებას“ წარმოადგენს.

გარდა ამ სავარჯიშოებისა, რომელთა შესახებაც ახლა ესაუბრობ და ასევე მათ შესახებ ინფორმაციისა, რომელიც მინდა გავიზიაროთ, ისინი, წარმოადგენენ რა თქვენთვის ჭეშმარიტად კარგ საშუალებას ამ მიზნისათვის, ჯერ ერთი, დაგეხმარებიან, ჩაწვდეთ ჩემ მიერ აღნიშნული შეიდი, როგორც უწოდებენ, „კარდინალური“ სავარჯიშოდან პირველი სავარჯიშოს მრავალი დეტალის აზრსა და მნიშვნელობას, და მეორე, სხვათა შორის, თქვენ ამ ინფორმაციის წყალობით შეიტყობთ ორი განსაზღვრული ცნების შესახებ, რომლებიც ადრეულ საუკუნეებში დედამიწაზე ხელდასხმულ ადამიანთა ყველა კატეგორიისათვის ითვლებოდნენ და დღესაც ითვლებიან „საიდუმლოებად“ და ხელდასხმულთა აზრით, მათთან შეხება ჩვეულებრივი ადამიანისათვის შეიძლება დამლუჯველი აღმოჩნდეს.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ დედამიწაზე თითქმის ყველა ეპოქაში ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტად ხელდასხმულები იყვნენ, იყოფოდნენ სამ კატეგორიად.



ხელდასხმულთა პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ის, ვინც თავისი განზრახ გვერდისა და შრომის წყალობით მიიღწა მღვდელთა მღვდელთა ხარისხს, რასაც „ყოფიერება“ ეწოდება და ამისათვის დაიმსახურა „წმინდანის“ სახელი. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდა ის, ვინც ყველა სფეროში, იმავე ფაქტორების წყალობით, მოიპოვა უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია და მის სახელს დაემატა „სწავლულის“ ტიტული; ხოლო მესამე კატეგორიას მიეკუთვნებოდა ის, ვინც ამავე ფაქტორების წყალობით მიადწია ყოფიერებას და ასევე დიდი რაოდენობით ეზიარა ობიექტურ ჭეშმარიტებას და მის სახელს დაემატა „ბრძენის“ წოდება.

ზემოაღნიშნულ საიდუმლოებათაგან პირველი იმაში მდგომარეობს, რომ თვითსრულყოფის საშუალებად ადამიანს შეუძლია გამოიყენოს განსაზღვრული მახასიათებელი, რომელიც არსებობს მის ფსიქიკაში და რომელიც შეიძლება ნეგატიური ხასიათისაც კი იყოს. ამ მახასიათებელს შეუძლია, ბიძგი მისცეს თვითსრულყოფას და არსებობს ადამიანებში, განსაკუთრებით თანამედროვე ადამიანებში და განსაკუთრებით თქვენში და წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არა იმას, რაც მრავალგზის განვიხილეთ და რის გამოხატვასაც თავად ადამიანები ზრდასრული ადამიანისათვის უკადრისად მიიჩნევენ – რა თქმა უნდა, მათ არასოდეს ჰყავთ მხედველობაში საკუთარი თავი – და ამას „თვითმოტყუება“ ჰქვია.

ასეთი, ერთი შეხედვით, ალოგიკურობა და ადამიანის საღი გონებისათვის მიუღებელი მტკიცება, კერძოდ, ის, რომ ზრდასრული ადამიანის ფსიქიკისათვის ასეთი შეუფერებელი მახასიათებელი შეიძლება გაცნობიერებულად იქნეს გამოყენებული ამ განუზომლად დიდი მიზნისთვის, მიიღება იმ ფაქტის შედეგად, რომ თვითსრულყოფის შესაძლებლობების ჭეშმარიტად წვდომა და საკუთარ თავში იმის რეალურად ფორმირება, რაც ამისათვის საჭიროა,

უნდა ხორციელდებოდეს არა ადამიანის ჩვეულებრივ ცნობიერებაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში თითქმის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, არამედ იმაში, რასაც ჭეშმარიტად ეწოდება და ვინაიდან ჩვენი ყოველდღიური ყოფის სხვადასხვა არანორმალურობებიდან გამომდინარე, შემთხვევითობის ყველა სახეობის წყალობით ადამიანისთვის, განსაკუთრებით თანამედროვე ადამიანისთვის, შეუძლებელი გახდა საერთოდ რაიმე



აღიქვას და ეს უშუალოდ თავის არაცნობიერში, ასე ვთქვათ, „გადაამუშაოს“, ამიტომ, როგორც საუკუნეების განმავლობაში ექსპერიმენტულად დაამტკიცეს წმინდა გონების ადამიანებმა, საკუთარ არაცნობიერში ზოგიერთი გონივრული მითითებების დასაწერგად მისთვის აუცილებელია გამოიყენოს სპეციალური საშუალებები, რომლებიც შემთხვევით აღიქმება მისი ჩვეული ცნობიერის მიერ და არ ეწინააღმდეგება მის ინსტინქტს და ეს შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მასში არსებული თვითმოტყუებადი წარმოსახვის მახასიათებლის მეშვეობით.

თუ ნამდვილად ვაიგუთ, რა და როგორ უნდა გააკეთოთ და მტკიცედ გადაწყვიტეთ, რომ ოდესმე ამას რეალურად განახორციელებთ, დასაწყისისათვის ეს ხშირად უნდა წარმოიდგინოთ, ოღონდ უნდა წარმოიდგინოთ ისე, რომ თითქოს ეს უკვე თქვენშია.

ეს ძირითადად აუცილებელია იმისათვის, რომ ცნობიერება, რომელიც ადამიანში აქტიურ მდგომარეობაში ფორმირდება, ასევე გაგრძელდეს პასიურ მდგომარეობაშიც.

ამ პირველი დამხმარე საეარჯიშოს მნიშვნელობის სწორედ გაგებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმის ცოდნა, რომ როცა ნორმალური ადამიანი, ანუ ადამიანი, რომელსაც უკვე გააჩნია თავისი რეალური „მე“, საკუთარი ნებისყოფა, რეალური ადამიანის სხვა მახასიათებლები, ხმაამღლა ან გულში წარმოთქვამს სიტყვებს, „მე ვარ“, მასში, მისი „შხის წნულში“, როგორც უწოდებენ, ყოველთვის მიმდინარეობს, ასე ვთქვათ, „რევერბერაცია“, ანუ, რაღაც ვიბრაციის, გრძნობის მსგავსი რამ.

ასეთი რევერბერაცია შეიძლება მიმდინარეობდეს მისი სხეულის სხვა ნაწილშიც, მაგრამ ერთი პირობის დაცვით, ამ სიტყვების წარმოთქმისას მისი ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს სხეულის შესაბამის ნაწილზე.

თუ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც ჯერ არ გააჩნია ბუნებრივი რევერბერაციის მონაცემები, მაგრამ იცის ამ ფაქტის არსებობის შესახებ, გაუჩნდება საკუთარ თავში ამ მონაცემთა შეგნებული ფორმირების სურვილი, რომლებიც უნდა არსებობდნენ რეალური ადამიანის ყოფაში, დაიწყებს ამისთვის ჯერ კიდევ ცარიელი სიტყვების ხშირად და სწორედ წარმოთქმას და წარმოიდგენს, რომ ეს რევერბერაცია მასში მიმდინარეობს; ბოლოს და ბოლოს, ხშირი გამეორების ზარჯზე, ის საკუთარ თავში მოიპოვებს, ასე ვთქვათ,





თეორიულ „საწყისს“ ამ მონაცემთა რეალურად კონკრეტულ ფორმირებისათვის.

გიორგი გურჯიანი

მან, ვინც ამაში ვარჯიშობს, დასაწყისში, წარმოთქვამს რა სიტყვებს: „მე ვარ“, უნდა წარმოიდგინოს, რომ ეს რევერბერაცია უკვე მიმდინარეობს მის შხის წნულში.

აქ, სხვათა შორის, საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ ადამიანს საკუთარი სხეულის ნებისმიერ ნაწილზე რევერბერაციის განზრახ კონცენტრაციით შეუძლია სხეულის ამ ნაწილში წარმოქმნილი ნებისმიერი დისპარმონიის შეჩერება, ანუ, მას შეუძლია მოიჩინოს თავის ტკივილი, მოახდენს რა რევერბერაციის კონცენტრირებას თავის იმ ნაწილზე, სადაც შეიგრძნობს ტკივილს.

დასაწყისში აუცილებელია, ძალიან ხშირად წარმოთქვათ სიტყვები: „მე ვარ“ და ეცადოთ არასოდეს დაგაუიწყდეთ, რომ ეს რევერბერაცია თქვენს შხის წნულში უნდა მიიღოთ.

ამ წარმოსახვით განცდადი რევერბერაციის გარეშე, სიტყვების: „მე ვარ“ ხმაძალა ან გულში წარმოთქმას არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

მათ წარმოთქმას ამ რევერბერაციის გარეშე ისეთივე შედეგი ექნება, როგორც ადამიანის ავტომატურ ასოციაციურ აზროვნებას, კერძოდ, ჩვენი პლანეტის ატმოსფეროში იმ სუბსტანციის გაზრდას, რომლის აღქმითაც და ჩვენს მეორე საზრდოსთან შერწყმითაც ჩვენში წარმოიქმნება დაუძლეველი სწრაფვა, დავანგრიოთ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა რიტმი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს მეორე სავარჯიშო, მხოლოდ მოსაშზადებელია და როდესაც თქვენ უკვე შეიძენთ, ასე ვთქვათ, უნარს, განიცადოთ ეს წარმოსახვითი პროცესი საკუთარ თავში, მხოლოდ მაშინ მოგაწყდით შემდგომ კონკრეტულ რეალურ მითითებებს თქვენში რეალური შედეგების განხორციელებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღების დიდი ნაწილის კონცენტრირება მოახდინეთ სიტყვებზე: „მე ვარ“, ხოლო მცირე ნაწილის – შხის წნულზე და რევერბერაცია თავისთავად განხორციელდება.

დასაწყისისათვის აუცილებელია შეიგრძნოთ მხოლოდ ამ იმპულსების, ასე ვთქვათ, „გემო“, რომლებიც თქვენში ჯერ არ არის და რომელთა





აღნიშვნა ამ ეტაპზე შევიძლიათ მხოლოდ სიტყვებით: „მე ვარ“, „მე შემიძლია“, „მე მინდა“.

მე ვარ, მე შემიძლია, მე ვარ თავად შეძლება.

მე ვარ, მე მინდა, მე ვარ თავად ნდობა.

ამ დამხმარე სავარჯიშოს განმარტებების დასასრულს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რაც უკვე ვთქვი, ოღონდ სხვა ფორმულირებით.

თუ „მე ვარ“, მხოლოდ მაშინ „შემიძლია“;

თუ „მე შემიძლია“, მხოლოდ მაშინ ვიმსახურებ და გამაჩნია ობიექტური უფლება, რომ მინდოდეს.

„შეძლების“ უნარის გარეშე არ არსებობს რაიმეს ქონების შესაძლებლობა და ასევე მასზე უფლება.

ჩვენ ჯერ უნდა ავითვისოთ ეს გამოთქმები, როგორც ამ იმპულსების შინაგანი აღნიშვნები იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს შევძლოთ მათი შექმნა.

თუ რამდენჯერმე მაინც გამოცდით იმის შეგრძნებას, რასაც ადამიანისთვის წმინდა იმპულსების „გემო“ ვუწოდებ, შევიძლიათ ჩათვალოთ, რომ ძალიან გავიმართლათ, რადგან ამ დროს იგრძნობთ რეალურ შესაძლებლობას, რომ ოდესმე თქვენს ყოფიერებაში მოიპოვებთ მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ტექსტარტად ღვთაებრივი იმპულსებისათვის საჭირო მონაცემებს.

ამ ღვთაებრივ მონაცემებზე დაფუძნებული კაცობრიობისთვის სამყაროში ყოველივე არსებულის მთელი არსი, ატომიდან დაწყებული და ყოველივე არსებულთა დამთავრებული, მათ შორის, თქვენი დოლარებითაც.

ამ ორივე „დამხმარე“ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სამუშაო“ სავარჯიშოს ყოველმხრივ ასათვისებლად, რათა დაეუფლოთ მთავარ სავარჯიშოს, ახლა, ამ ახალი ჯგუფის ფორმირების დასაწყისშივე, ჯგუფისა, რომელიც ერთი მიზნით გაერთიანებული სხვადასხვა ტიპის ადამიანებისგან შედგება, აუცილებლად მივიჩნევ გავაფრთხილოთ უსათუო პირობის შესახებ ამ საერთო მიზნის წარმატებულად განხორციელებისთვის, ის კი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ თქვენს ურთიერთობებში გულწრფელები უნდა იყოთ.

ასეთი გულწრფელობის უსათუო მოთხოვნა არსებობდა მრავალნაირ პირობებში, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი სხვადასხვა სარწმუნო წყაროდან, ყველა დროის და ყველა დონის ინტელექტის





მქონე ადამიანთა შორის, სადაც არ უნდა შეკრებილიყვნენ ისინი რომელიმე საერთო მიზნის კოლექტიურად მისაღწევად.

ჩემი აზრით, მოცემული სავარაუდო კოლექტიური მუშაობის მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემთხვევაშია შესაძლებელი რეალური შედეგის მიღება ამ მიზნის მისაღწევად, რომელიც თავად დაისახა ადამიანმა და რომელიც თანამედროვე ადამიანებისთვის თითქმის მიუღწევადი ვახდა.

თითოეულმა თქვენგანმა, გახდებით რა თანაბარუფლებიანი მონაწილე ამ ჯგუფისა, რომელიც ჩამოყალიბდა, ასე ვთქვათ, იმავე „იდეალის“ მისაღწევად, ყოველთვის უნდა იბრძოდოს ისეთი იმპულსების წინააღმდეგ, რომლებიც უსათუოდ ჩნდება თითოეულ თქვენგანში და შეუფერებელია ადამიანისთვის. ეს იმპულსებია: „საკუთარი თავის სიყვარული“, „სიამაყე“, „ამპარტავნობა“ და ა. შ. ამასთან, არ უნდა შერცხვეს გულწრფელობის ჩემ მიერ რეკომენდირებულ სავარჯიშოებთან დაკავშირებით წარმოებულ დაკვირვებებსა და კონსტრატციებზე არსებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის.

ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც თითოეული თქვენგანიდან მომდინარეობს და რომელსაც რამე კავშირი აქვს ამ პირველი სავარჯიშოს ნებისმიერი დეტალის ახსნასთან, რომელიც ახლა ყველა თქვენგანისთვის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს, შესაძლოა, კოლექტიური მუშაობის დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს ერთმანეთის დახმარების საქმეში.

მოცემულ შემთხვევაში არ უნდა გეშინოდეთ იმის, რომ ერთმანეთთან გულახდილი იყოთ.

ამ საკითხების გადაწყვეტაზე მუშაობის დროს, რომელიც საერთო დიდ მიზანს ეხება, თითოეულ თქვენგანს მუდამ უნდა ესმოდეს და ინსტინქტურად გრძნობდეს, რომ თითოეული თქვენგანი გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსნი ხართ და რომ ერთის წარმატება ყველას წარმატებაზეა დამოკიდებული.

თავისთავად არც ერთ თქვენგანს არ შესწევს რამე რეალურის გაკეთების უნარი; ამიტომ თუნდაც ეგოისტური მიზნით დაეხმარეთ ერთმანეთს ამ ახლად ფორმირებულ ჯგუფში, რომელსაც სხვაგვარად შეგვიძლია, საძმოდ ვუწოდოთ. რაც უფრო გულწრფელები იქნებით ერთმანეთთან, მით უფრო სასარგებლოც იქნებით ერთმანეთისთვის.





რასაკვირველია, გულწრფელობა საჭიროა მხოლოდ აქ, ამ ვჯუფში და საერთო მიზანთან დაკავშირებულ საკითხებში.

ყველასთან გულწრფელობა სისუსტეა, მონობაა და ისტერიის ნიშანიც კია.

თუმცა ნორმალურ ადამიანს უნდა შეეძლოს, იყოს გულწრფელი, თუმცა მან ისიც უნდა იცოდეს, რომ როდის, სად და რა მიზნითაა აუცილებელი გულწრფელობა.

ამ მოცემულ შემთხვევაში გულწრფელობა ძალიან სასურველია. ამიტომ მორიდების გარეშე ისაუბრეთ ყველა რეზულტატზე, რომელსაც ამ სავარჯიშოს შესრულებისას მიიღებთ.

ვიდრე ზოგიერთ დეტალს ავიხსნიდეთ, აუცილებლად მივიჩნევ, კიდევ ერთხელ ვითხრათ ცოტა რამ ადამიანის ფსიქიკაში შედეგების სპეციფიკური ერთობლიობის საერთო ფუნქციონირების შესახებ, რასაც „ყურადღება“ ჰქვია.

თუმცა ნორმალურ ადამიანში პასიურ მდგომარეობაში ეს ყურადღება არის „რალაც“, რაც შედეგაა მისი ინდივიდუალობის ყველა იმ დამოუკიდებელი ავტომატიზებული ნაწილის კოორდინირებული მოქმედების განსაზღვრულ პროპორციებში შერეული შედეგებისგან და ყოველთვის ერთ მთლიანობას წარმოადგენს, თუმცა აქტიურ მდგომარეობაში ასეთ ადამიანს შეუძლია, მთელი თავისი ყურადღების შეგნებულად კონცენტრირება მოახდინოს მხოლოდ ერთ რამეზე – თავის არსების ერთ რომელიმე ნაწილზე ან ერთ გარეგან რამეზე – ისეთი, ასე ვთქვათ, „მობილიზებით“, რომ მასში ავტომატურად მიმდინარე ყველა ასოციაცია, რომელიც მის ორგანიზმის საერთო ფუნქციონირების კანონზომიერი შედეგია, მუდამ უნდა ხდებოდეს, ვიდრე ის სუნთქვას არ შეწყვეტს, სრულიად აღარ შეუშლის მას ხელს.

აქვე შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ, სარწმუნო ინფორმაციის თანახმად, რომელმაც უძველესი წარსულიდან მოაღწია ჩვენამდე, სწავილული ადამიანების მიერ მაშინ მკაფიოდ დადგინდა და ძალიან განსაზღვრულად დადასტურდა, რომ ეს ავტომატურად მიმდინარე ასოციაციები არასოდეს წყდება, სანამ ადამიანი ცოცხალია, ზოგიერთ ადამიანში კი ინერცია სიკვდილის შემდეგაც გრძელდება რამდენიმე დღე.

ამ ასოციაციებზე საუბრისას, რომლებიც ავტომატურად მიედინება ადამიანებში, სხვათა შორის, შემიძლია, ასე ვთქვათ, „ვასაგებად



აგისნათ“ ერთი შეხედვით, კიდევ ერთი ასპექტი უმნიშვნელო ტესტები ადამიანების ფუნქციონალური სინჯისა, რომლებსაც სხვაგვარად რაღაც მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ ბრიყვულ „სიზმრებს“.

ადამიანს როცა მართლა ნორმალურად სძინავს, მის ყურადღებასაც – რომლის ხარისხითაცაა განპირობებული სწორედ ეს, ასე ვთქვათ, სიფხიზლესა და ძილს შორის განსხვავების „ვრადაცია“ – სძინავს, ანუ, მისი ყურადღება, მისი ორგანიზმის ბუნებრივი თვისებების შესაბამისად გროვდება შესაბამისი კონცენტრაციის მარაგში შემდგომი აუცილებელი ინტენსიური გამოვლინებისთვის.

მაგრამ როცა ადამიანის ორგანიზმის საერთო ფუნქციონირებაში რაღაც დისპარმონიის გამო – მისი ფხიზელი მდგომარეობის საერთო ფსიქიკის ამ ნაწილს ძილის დროს ნორმალურად აღდგენის უნარი არ შესწევს, მაშინ მასში მიმდინარე ასოციაციებში, რომლის ფრაგმენტულ კონსტატაციასაც ახდენს მისი ყურადღება, ასე ვთქვათ, „ნაწილი აქ, ნაწილი იქ“, შედეგად ვიღებთ ამ ცნობილ „სიზმრებს“, ანუ ადამიანის სიბრიყვეს.

მერე, როგორც უკვე გითხარით, ნორმალურ ადამიანს შეუძლია, შეგნებულად გაყოს მთელი თავისი ყურადღება ორ ან სამ ცალკეულ ნაწილად და მოახდინოს თითოეულის კონცენტრირება თავის შიგნით ან გარშემო სხვადასხვა დამოუკიდებელ ობიექტზე.

ძალიან სასარგებლო იქნება, ჩემი აზრით, ამ ახლად ფორმირებულ ჯგუფში შემდგომი მუშაობის პროდუქტიულობისთვის, თუკი ახლა, სწორედ ამ მეორე დამხმარე სავარჯიშოს ახსნამდე, იმასაც გეტყვით, რომ როცა დეტალურ გვემას ვაღვენდი ჩემი ინსტიტუტისთვის, რომელიც უკვე მრავალჯერ ვახსენე ზემოთ, უკვე მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვადასხვა ფაქტიზი ნიუანსის გამო თვითსრულყოფის მიზნით წინასწარგანზრახული ცდებისა და ვარჯიშების შესრულების ზუსტი ახსნა და სიტყვებით სრულად ფორმულირება შეუძლებელი იყო და, ამასთან, ვიცოდი რა, რომ ჩვენს ძველ წინაპრებს ჰქონდათ საცეცხლე მეთოდი, რომელსაც მაშინ ეწოდებოდა „ილუსტრაციული შთაგონების პრინციპი“ ახალი ინფორმაციის უკეთ აღქმის მიზნით, ამიტომაც ეს მეთოდიც შევიტანე საერთო პროგრამაში და ხშირად ვიყენებთ მას ზოგიერთ ვითარებაში;



და ახლა ამ ფაქტის გამო რომ ვაპირებ, როცა ჩემი იდეების მიმდევრების ახლად ფორმირებულ ჯგუფში დაიწყება მუშაობა, ასევე გამოვიყენო

ეს მეთოდი, ამიტომაც გონივრულად და მართებულად მიმაჩნია, ამ მეორე დამხმარე ვარჯიშის შესრულების ხერხების ასახსნელად ნაწილობრივ მივლიო ამას, ჩემი აზრით, ასეთი შემთხვევებისთვის ერთადერთ ვეულაზე სწორ და სასარგებლო მეთოდს.

და აი, როგორც ხედავთ, ახლა თქვენ გვერდით ვზივარ და თუმცა ვუყურებ მისტერ ლ.-ს, ამავე დროს მთელი ჩემი ყურადღება, რომლის დანახვის უნარიც თქვენ არ გაქვთ, შეგნებულად მაქვს მიმართული ჩემი ტერფისკენ და ამრიგად მისტერ ლ.-ის ნებისმიერ გამოვლინებას, რომელიც ჩემი მხედველობის არეშია, ვხედავ მხოლოდ ავტომატურად — მთელი ჩემი ყურადღება, რომელიც ერთ მთლიანობას წარმოადგენს, სხვა ადვილას იმყოფება.

ახლა მთელ ჩემს ყურადღებას განხრახულად ვყოფ ორ თანაპარ ნაწილად. პირველ ნაწილს შეგნებულად მივმართავ ჩემში მიმდინარე სუნთქვის პროცესის შეგრძნების უწყვეტ კონსტატაციაზე.

ჩემი ამ ყურადღების ნაწილის საშუალებით განსაზღვრულად ვგრძნობ, რომ ჩემში რაღაც ემართება პაერს, რომელსაც შევისუნთქავ.

პირველ ყოვლისა, ნათლად ვგრძნობ, რომ, როცა პაერს შევისუნთქავ, მისი დიდი ნაწილი, რომელიც ჩემი ფილტვების გავლით ისევ გარეთ გამოდის, მცირე ნაწილი კი რჩება და ასე ვთქვათ, ის იღვქება და მერე ვგრძნობ, რომ ეს დაღვქეილი ნაწილი თანდათან აღწევს შიგნით და თითქოს ვრცელდება მთელ ჩემს ორგანიზმში.

იმ ფაქტის შედეგად, რომ ჩემი ყურადღების მხოლოდ ნაწილი არის დაკავებული სუნთქვის პროცესზე დაკვირვებით, რომელიც ჩემში ხდება, მთელი აზრობრივი, ემოციური და რეფლექტორული ასოციაციები, ავტომატურად მიმდინარე ჩემს არსებაში, კვლავ ჩემი ყურადღების თავისუფალი ნაწილის დაკვირვების ქვეშ არიან და ცდილობენ გაფანტონ ჩემი ყურადღების პირველი ნაწილი, რომელიც განხრახ არის მიმართული გარკვეულ ობიექტზე, თუმცა უკვე ნაკლებად.

ახლა ჩემი ყურადღების მეორე ნაწილს მივმართავ ჩემი თავის ტვინისკენ დაკვირვების მიზნით და მასში მიმდინარე რომელიმე პროცესის შესაძლო კონსტატაციისთვის.

და მე უკვე ვგრძნობ მასში, ავტომატურად მიმდინარე ასოციაციების ერთობლიობიდან რაღაც ძალიან ფაქიზის აღმოცენებას, რომელიც ჩემთვის თითქმის შეუმჩნეველია.



ზუსტად არ ვიცი, ეს რა არის და არც მინდა ვიცოდეს, მაგრამ განსაზღვრულად ვადასტურებ, ვგრძნობ და შევიგრძნობ, რომ ეს არის რომელიღაც განსაზღვრული „რაღაც“, რომელიც წარმოიქმნება ჩემი თავის ტვინში ავტომატურად მიმდინარე პროცესიდან ადრე შეგნებულად აღქმული შთაბეჭდილებების გამო.

იმ დროს, როცა ჩემი ყურადღების მეორე ნაწილი დაკავებულია ზემოაღწერილი პროცესით, პირველი ნაწილი უწყვეტად განაგრძობს, ასე ეთქვათ, „დაძაბული ინტერესით“ ჩემში მიმდინარე სუნთქვის პროცესების შედეგებზე დაკვირვებას.

ახლა შეგნებულად ვცვლი ჩემი ყურადღების ამ მეორე ნაწილის მიმართულებას და უწყვეტლივ „მახსოვს რა საკუთარი თავის მთლიანობა“, ვეზმარები ამ „რაღაცას“, რომელიც აღმოცენდება ჩემი თავის ტვინში, მიედინებოდეს პირდაპირ ჩემს მზის წნულში. ახლა ვგრძნობ, რომ ის მიედინება და ჩემში ვეღარ ვაშინევ ვერანაირი ავტომატური ასოციაციების მიმდინარეობას.

დავასრულე რა ჩემი, ვგრეთ წოდებული „მონოლოგი“, განვავრძე მათთან საუბარი და უკვე ჩვეულებრივი მანერით ვუთხარი შემდეგი რამ:

მოუხედავად იმ ფაქტისა, რომ ახლა აქ თქვენ წინაშე შევასრულე ეს ვარჯიში თქვენთვის მისი დეტალების ილუსტრაციული ახსნისთვის და, შესაბამისად, შევასრულე რა ის პირობებში, რომელიც სრულად არ შეესატყვისება ჩემს არსებაში ამ ვარჯიშის ყველა სასიკეთო შედეგის დაგროვების შესაძლებლობებს, მოუხედავად ამისა, უკვე ახლა, ამ მომენტში შეუღარებლად უკეთესად ვგრძნობ თავს ვიდრე ვარჯიშის დემონსტრირებამდე.

იმის წყალობით, რომ ჩემი მზის წნული განზრახ და უშუალოდ იღებს პერის გადამუშავების ბუნებრივ პროდუქტებს, რომლითაც მე ვსუნთქავდი და პროდუქტებს, რომლებიც აღმოცენებულია ჩემი თავის ტვინში გააზრებულად აღქმული შთაბეჭდილებებიდან, ახლა

გაცილებით სრულად ვგრძნობ, რომ „მე ვარ“, „მე მინდა“ და „მე შემიძლია მინდოდეს“.

მაგრამ თქვენ, თუ შეიძლება, ძალიან დიდი ერთუზიანობით ნუ განიმსჭვალებით და ძალიან ნუ აღფრთოვანდებით, ჩემი ამ მდგომარეობით, რომელსაც ახლა ცხადად გრძნობთ და რომლის მიღწევაც თავადაც გსურთ.



ის ჯერ ვერ აღმოცენდება თითოეულ თქვენგანში. ამ ჩემი ვარჯიშით, რომლის გაკეთებაც მომიხდა აქ თქვენი თანდასწრებით ახნა-განმარტების მიზნით ჩემს არსებაში შეიქმნა შედეგი, რომელსაც ყველანი რეალურად შეიგრძნობთ, იმიტომ რომ მე უკვე სრულად გამაჩნია განსაზღვრული სუბიექტური მე და ყოველივე მისი შემადგენელი მეტ-ნაკლებად უკვე შეეგუა შესაბამისი შთაბეჭდილებების პროდუქტებს და ორგანიზმის ბუნებრივ რეგულირებას.



და ამიტომ ჩემი „მე“ შთანთქავს ამ ბუნებრივ საკვებს, რომელიც უფრო ინტენსიურად შეესაბამება მას.

თქვენ კი განსაზღვრულ დრომდე ამ ვარჯიშის გამიზნულად გამოიჩინებით არ უნდა ელოდეთ ასეთ აშკარად გამოხატულ შედეგებს.

განსაზღვრულ დრომდე ნუ გააკეთებთ ამ ვარჯიშს იმ მიზნით, რომ უფრო ძლიერი იყოთ; ეს თქვენთვის მხოლოდ მზადებაა საიმისოდ, რომ ოდესმე იქონიოთ თქვენი საკუთარი „მე“ და გარდა ამისა, უეჭველი რწმენით კონსტატაციისთვის იმ ორი რეალური წყაროსი, საიდანაც შესაძლებელია ამ „მეს“ აღმოცენება.

ასევე ფილოსოფოსობისა და თქვენთვის დამლუპველი დისკუსიების გარეშე სცადეთ, პირველ ყოვლისა, გაიგოთ ამ ყველაფრის მთლიანობა, რაც დღეს გითხარით და შემდგომ გააკეთეთ ეს ვარჯიში, მაგრამ ნუ გეჭნებათ ნურც იმედი და ნურც მოლოდინი იმისა, რომ განსაზღვრულ შედეგებს მიიღებთ.



იმისთვის, რომ ვისაუბროთ გურჯიევის გავლენაზე მეოცე საუკუნის მსოფლიო კულტურაზე, ალბათ, რამდენიმე ავტორიტეტის მოშველიებაც იქნებოდა საკმარისი, ისეთი ხელოვანების, როგორებიც არიან: პიტერ ბრუკი, ეფი გროტოვსკი, კეი ჯარეტი და სემ შეპარდი. არაფერს აღარ ვამბობ ამერიკელ პამელა ტრავერსზე (მერაი პოპინსის ავტორი), რომელიც მისი უშუალო მოხსენებელი იყო, მისი თანამოაზრე ტომას პარტმანზე (ცნობილი კომპოზიტორი) და ალექსანდრე ზალცმანზე (ცნობილი მხატვარი, თბილისის ოპერის თეატრის მთავარი მხატვარი მენშევიკური მთავრობის დროს).

მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, მათ მიღმა კიდევ მრავალი ხელოვანი იყო და არის მისი შემეცნებითი და პრაქტიკული მსოფხედველობის თუ მისტიკური წარმოსახვითი სამყაროს გავლენის ქვეშ.

პირველ რიგში, თქვენს ყურადღებას შევაჩერებდი ყოფილ საბჭოთა სივრცეზე მეიერჰოლდის, ბულგაკოვის, ვახვახიშვილისა და ახმეტელის შემოქმედებაზე. ამ ექვებს საფუძვლად უდევს მათი შემოქმედებითი გზის განმავლობაში ის თავისებურებანი, რომელსაც გურჯიევი ასე თამამად ამკვიდრებდა მსოფლიო კულტურაში.

რამდენიმე წლის წინ ცნობილ პოლანდიელ რეჟისორთან და მსახიობთან (იან ლანგელიკთან) გურჯიევზე საუბრის დროს მან საკმაოდ საინტერესო რამ მითხრა - ჩვენთვის სამოციან წლებში მისი ნაშრომი: "შეხვედრები განსაკუთრებულ ადამიანებთან" მთელი ევროპული თაობისათვის სამავილო წიგნი იყო (სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს ეტაპი ისევე, როგორც სამოციანი წლების მიწურულს სტუდენტური მოძრაობები და მღელვარებანი ევროპაში ჩვენი ცნობიერების მიღმა დარჩა - მას ძალიან მკრთალად თუ ეხმაურებოდა ქართული კინემატოგრაფი, კერძოდ კი იოსელიანი, ისიც „ჩემთვის ყოველთვის უცნაური და კითხვის ნიშნის ქვეშ იყო - ვინ იყო გურჯიევი უდიდესი მოაზროვნე, ფილოსოფოსი თუ ავანტიურისტი, ბიზნესმენი“. მსგავსი შეფასებაც იმდენად ლოგიკურია ბურჟუაზიული -

140

\* ეს წერილი პირველად დაიბეჭდა 2002 წელს, ამჯერად ვთავაზობთ მის გადამუშავებულ და ჩასწორებულ ვარიანტს.



კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლისათვის, რაც ჩვენთვის უკრუკურობით ახალი ხილია, ჩვენ კაპიტალისტურ კანონებს უმეტესად ახლა ვხვებით და ჩვენი ცნობიერება, რომელიც ფსევდო სოციალისტური ქვეყნის პირობებში ყალიბდებოდა, ძნელი იქნებოდა ასე სწრაფად არსებობის ერთი წესი მეორეთი შეცვკვალთ. ჩვენი ცნობიერება უკრ კიდევ გაორებულ და გარდამავალ მდგომარეობაშია.

ევროპელისთვის თუ კაპიტალისიური სამყაროს სხვა წარმომადგენლისათვის ვინმეს შეფასება კაპიტალისტად არ გახლავთ შეურაცხმყოფელი. ევროპული საზოგადოება და თავად კათოლიკური ეკლესია ამკვიდრებდა კერძო საკუთრების პატივისცემის ინტერესს საუკუნეების განმავლობაში და მრავალ საუკუნოვანი გამოცდილების შედეგად ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ თავად სახელმწიფო მანქანა გადაქცეულიყო გარანტად თავისუფლების, თვითგამონატვის და მრავალი სხვა უფლების დასაცავად. პრაქტიკულად განვითარებული ბურჟუაზიული საზოგადოება ცდილობს, რომ მის ყოველ მოქალაქეს გარანტირებული კანონით დაცული პირობები შეუქმნას. ამიტომაც მითოლოგიური ბურჟუა დღეს საზოგადოების ის ნაწილია, რომლის გადასახადებითაც სარგებლობს ყველა მოქალაქე ისევე, როგორც ყოველი მოქალაქე გრძნობს საკუთარ თავს ქვეყნის - სახელმწიფოს დამფინანსებლად.

საუბარი, თითქოსდა, გამიგრძელდა და მთავარ თემას გადავუხვიე, მაგრამ ის გარკვეულწილად მაინც დაკავშირებული იყო პოლანდიელის მიერ გაკეთებულ გურჯიევის შეფასებასთან.

გურჯიევის აღნიშნულ ნაწარმოებში მრავლადაა მოთხრობილი ეპიზოდები კომერციული საქმიანობის შესახებ, რომელიც ყოველთვის ემსახურებოდა თვითგადარჩენას და ცოდნის, ჭეშმარიტების ძიების უზრუნველყოფას. შეიძლება არცთუ ისე მართებული შედარება იყოს, მაგრამ ფაუსტი სულსაც კი მიჰყიდის ეშმაკს იმისათვის, რომ ცოდნა გაიღრმავოს, ჭეშმარიტებას მიუახლოვდეს. ფულის კეთება წიგნში საკრალურ ცოდნის მისაღებ ძიებებს, ექსპედიციების დაფინანსებებს ხმარდება, ამდენად მისი კაპიტალისტობა - ე. წ. ბიზნესმენობა ევროპელისათვის განსაკუთრებულ ნიჭიერებასთანაა დაკავშირებული, რადგანაც ტრადიციულად ევროპული მეცნიერება საუკუნეების განმავლობაში მეცენატების, მოგვიანებით სახელმწიფოს





მხარდაჭერით ვითარდებოდა და ძალიან მცირე შემთხვევებით, როცა ცნობილი მოღვაწენი აწარმოებდნენ რაიმე კომერციულ საქმიანობას, რათა საკუთარი სურვილები და ინტერესები დაეკმაყოფილებინათ, თუმცა ამის მაგალითებიც არის - შლიძანი, იგივე სტანისლავსკი, მაგრამ განსხვავება გურჯიევთან მაინც გვაქვს. არცერთ მათგანს და არც შეიძლება სხვა მრავალს ასე გულახდილად არ უამბია საკუთარი ფინანსური ოპერაციების შესახებ მკითხველისათვის, თუ მაყურებლისათვის.

გურჯიევი, თითქოსდა, დეტალურად აღწერს თავის საქმიანობას, ძიებებს, შეხვედრებს, პიროვნებებს ვინც დიდი გავლენა მოახდინა მის ჩამოყალიბებაზე, იგი თითქმის ყოველთვის გვერდს უვლის ვნებებს და გრძნობებს იმას, რაც სხვა ავტორებისათვის ხშირად მთავარი ხდება ამის მსგავსი ავტობიოგრაფიული აღწერების დროს და ამაშიც გურჯიევი უნიკალურ მაგალითს იძლევა ამისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნში იკვეთება კავკასიური და აღმოსავლურ აზიური ცნობიერების ტრადიციები - კერძოდ კი, მეგობრების, ადამიანების, წინაპრებისა და "მასწავლებლების" პატივისცემა. გურჯიევი უძველეს ტრადიციებზე აგებულ ცნობიერებას ვერძნობა, მასში თანაბრად არის შეგობრულ - რაინდული ურთიერთობები, რომელიც ინსტიტუციონალურ რანგშია აყვანილი და ხაზგასმა იმისა, რომ ადამიანი განათლებას იღებს და პიროვნებად ყალიბდება არა სწავლისაგან რაიმე სასწავლებლებში და უმაღლესებში, არამედ ადამიანებისაგან, პიროვნული შეხვედრებისაგან და ცოდნა-გამოცდილების, მაგალითების ჩვენების უანგარო გაცემისაგან. ამიტომაც გურჯიევის წიგნი ოდაა ბრწყინვალე ადამიანების პიროვნება-მასწავლებლობის შესახებ, არა მხოლოდ იმათზე, ვისაც იგი შეხვედრია, არამედ თავად ამ ცნობიერებაზე, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ამ სამყაროში.

ევროპული განვითარების გზამ პედაგოგი ჩაანაცვლა მასწავლებელს, პედაგოგობა ჩვეულებრივ პროფესიად იქცა, როცა მანამდე ეს ვახლდათ მოწოდება და ცხოვრების არჩევანი, ცხოვრების წესი - სწორედ ეს ვახლავთ შემორჩენილი ამ კვკასიურ აღმოსავლურ-აზიურ ცნობიერებაში. კავკასიის მთებში დღემდე ასაკოვანი ადამიანი ბრძენ მასწავლებლად ყალიბდება - ტრადიციების ცოდნის საფუძველზე და



არა ემპირიული განათლების შედეგად. ეს წიგნი სწორედ ამით გახლავთ გამორჩეული, როცა საკუთარ ბიოგრაფიას ყველა სხვა ადამიანებთან შეხვედრების საფუძველზე, ანუ, გურჯიევი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ცხოვრება განსაკუთრებულ ადამიანებთან შეხვედრების ეპიზოდებისაგან შედგება. ეს არის ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანი, რაც გვაქვს.

ეს წიგნი ეკრანიზებულია პიტერ ბრუკის მიერაც (1979 წელს). როგორც ყოველთვის ეკრანიზაცია ყველაზე ნაკლებად გამოხატავს ნაწარმოებს. თავად ეს გახლავთ სრულმასშტაბიანი პატივისცემის გამოხატვა თავად პიტერ ბრუკისა გიორგი გურჯიევის მიმართ, თავისებური ხარკი XX საუკუნის უდიდესი მოაზროვნისადმი. თუმცაღა აქვეა აღსანიშნავი, რომ ამ ფილმის აქტიური კონსულტანტი გახლდათ ფანა ზალცმანი და ეს ფილმი პირველად აძლევდა შესაძლებლობას მაყურებელთა ფართო ჯგუფს, ენახათ გურჯიევის საკრალური ცვაკები.

გურჯიევის ბიოგრაფიული ცნობების სიმწირის გამო დღესაც მრავალი კამათია: მას თანაბრად მიიწერს რუსეთი, სომხეთი, საბერძნეთი, საქართველო, თუმცა მე სრულად ვეთანხმები ბატონ მიხეილ კვესელავს მიერ სამოციან წლებში გამოქვეყნებულ სტატიაში ჩამოყალიბებულ არგუმენტებს, სადაც იგი თამამად და დასაბუთებულად ამტკიცებს მის ქართულ წარმომავლობას. საბედნიეროდ, სამოციან წლებში გამოქვეყნებული ეს სტატია რამდენიმეჯერ დაიბეჭდა უახლეს რუსულ გამოცემებშიც, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებენ ენციკლოპედიური ტიპის გამოცემებში.

ჩვენთვის, თითქოსდა, უცხო არ უნდა გახლდეთ, რომ ბოლო სამასი წლის განმავლობაში აღმოსავლური გავლენით მრავალ ქართველს გურჯად მოიხსენიებდნენ, თუნდაც ამისი ნათელი მაგალითი გახლავთ ცნობილი მხატვარი შაჰაბასის პერიოდში სიაუშ გურჯი. მაგრამ თავად გურჯიევი ყოველთვის ერიდებოდა თავისი წარმომავლობის შესახებ საუბარს. იგი, როგორც პროფესიონალი მისტიკოსი (როგორც იგი არის აღიარებული მრავალ ამერიკულ და ევროპულ გამოცემებში), XX საუკუნის მნიშვნელოვან მისტიკოსად და ნეოსუფიზმის ფუძემდებლად, არ უხვევდა არჩეულ თამამის წესს. განსაკუთრებით კი მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ბელ ზებელის საუბრები



შვილიშვილთან“ იგი ოსტატურად აბნევს მკითხველს დასაწყისში საკუთარი მშობლიური ენის შესახებ და წარმომავლობის შესახებ მისთვის, თითქოსდა, დამახასიათებელი იყო მითთხზვა, ამიტომაც დღემდე მრავალი მითია შემორჩენილი მის შესახებ.

ძნელი მოსაძებნია XX საუკუნეში ადამიანი, რომელსაც სრულად ჰქონოდა პიროვნული შეხება XX საუკუნის მსოფლიო მოვლენებთან, თუნდაც ჩამონათვალის - სტალინი, დალაილაძე, მუსხლიანი, ჰიტლერი, აღარ ვუბრუნდება უკვე აღნიშნულ ხელოვანთ.

„ბელზებელის საუბრები საკუთარ შვილიშვილთან“ - განსაკუთრებული ნაწარმოებია, მე თითქმის არ მვეულება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ანალოგი და მაგალითი ნაწარმოებისა, რომელიც კაცობრიობის ისტორიას მოიცავდეს ერთი პერსონაჟით - თვითმზილველის მიერ მოთხრობილ ისტორიად. ეს ნაწარმოები რთული განსასაზღვრია ფანრობრივად, რომელ ერთს მიეკუთვნება: ისტორიულ რომანს, ფილოსოფიურ ტრაქტატს, ფანტასტიკას, მისტიკას, თეოლოგიას, სათავგადასავლო ნაწარმოებს და რომელ ერთს, თუ ყველაფერს ერთად. ამავე დროს წიგნის შესავალში თავად გურჯიევის მიერ დაწერილ შესავალ წერილში წიგნის გაყიდვის უნიკალური კომერციულად გენიალური ხერხია მოხმობილი, რომლის მაგალითიც მე ვერ არა მსმენია რა სხვა ავტორებისაგან.

წიგნის მოქმედება ხდება ყველა იმ ცივილიზაციების დროს, რომლის შესახებაც ჩვენ არა გვაქვს ემპირიული ცოდნა. ეს ვახლავთ საკრალური ისტორია ჩვენი პლანეტისა და კოსმოსისა, მოქმედება დედამიწაზე და კოსმოსში ერთდროულად ხდება. ბელზებელის პირით ჩვენ ვეცნობით გურჯიევის კოსმოგონიას, რელიგიათა და ქვეყანათა ისტორიას უძველესიდან უახლესამდე, ატლანტიდიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე.

წიგნი დასტურია გურჯიევის, მართლაც, უნიკალური ეზოთერული განათლებისა, მისი ღრმა ცოდნისა საკრალური ისტორიის, თეოლოგიისა და ოკულტიზმისა, მეცნიერებისა. წიგნი, თითქოსდა, მცდელობაა შეაჯამოს კაცობრიობის ისტორია, მიგვიყვანოს ერთიან ღმერთ-აბსოლუტამდე. ვკიჩვენოს ადამიანის უნარი, მისი გონების შესაძლებლობა, შეაღწიოს ზედროულ განზომილებაში და ის, რაც

დღემდე ჩვენთვის ფანტასტიკურის სამყაროში მოიაზრება, აქციის ემპირიულ რეალობად.

გურჯიევის აზროვნების სტილი, თითქოსდა, ქაოტიურია, აქ ვერ ნახავთ რაიმე ერთი სკოლის კონცეფციას ან რაიმე ერთი მიმართულების შემკვიდრებითობას, იგი უნივერსალური სინთეზის მოძიება და ეძებს სამყაროში საერთოს, პარმონიას შეერთებისაკენ და არა განსხვავებებს დანაწევრებისათვის.

თითქოსდა, ანტიკური სამყაროდან მოყოლებული ერთადერთი ფილოსოფოს მისტიკოსია, რომელიც სამყაროს კანონებს სწორედ ხელოვნებაში მუსიკასა და პლასტიკა-მოძრაობებში ეძებს, რომ განვაზოგადოდ მისი დამოკიდებულება, იგი პასუხს ცივილიზაციის ისტორიაში, რიტუალში ეძებს. მისი ჭეშმარიტება არა მხოლოდ რიტუალის ამოხსნაშია, არამედ მის აღდგენაში და შექმნაში. ალბათ, სწორედ ესეც განაპირობებს მის ასეთ სიახლოვეს XX საუკუნის ევროპული ტრადიციული თეატრის ფუნდამენტურ რეფორმატორებთან, როდესაც მათ ტრადიციული არისტოტელესეული თეატრის ძიება წინარე ფორმებისაკენ წაიფვანეს.

XX საუკუნის თეატრი ჩვენთვის ერთ-ერთ პირველ რეფორმატორ არტოსთანაა დაკავშირებული, როდესაც იგი იწყებს სერიოზულ ძიებებს კულტურათა საზღვარზე, კერძოდ ჩინურ, ეგვიპტურ და ამერიკელ ინდიელთა, მისი სერიოზული პუბლიკაციები იწყება რა XX საუკუნის 30-იან წლებში 40-იან წლებში მთავრდება, მაგრამ აქვეა სერიოზულად ხაზგასასმელი ის გარემოება, რომ გურჯიევის ძიებები სწორედ 10-20-იან წლებზე მოდის, II მსოფლიო ომის წინა პერიოდიდან (10-20-იანი წლებიდან) მოყოლებული იგი სერიოზული ავტორიტეტია მსოფლიოს ინტელექტუალურ წრეებში თავისი საჯარო გამოსვლებით, საერთაშორისო ინსტიტუტებით და მრავალრიცხოვანი მიმდევრებით.

გურჯიევი ჯერ კიდევ ათიან წლებში ბევრს მუშაობს სპეციალურ ფიზიკურ სავარჯიშოებზე, რასაც მოგვიანებით თეატრალურ სამყაროში ტრენინგებს დაარქმევენ - მისი საჯარო ჩვენებები თეატრალურ დარბაზებში სწორედ რუსეთში - მოსკოვსა და პეტერბურგში ხორციელდება, რის შესახებაც რუსული პრესა ბევრს წერდა და მას



ზშირად არაერთმნიშვნელოვნად მოიხსენიებდნენ <sup>ერ. ფიზიკური</sup> <sup>1919 წელს</sup> <sup>და აღიარებდნენ</sup> <sup>საქართველოს</sup> <sup>შედეგების მიხედვით</sup> მას სატანასაც

მაშ ასე, გურჯიევი ერთ-ერთი პირველი გახდა, ვინც ფიზიკური მომზადების სისტემას ქმნიდა (თუმცა აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 1910 წლიდან მოყოლებული პელურაუს ექსპერიმენტები – დალკროზ, აპიას, ზალცმანის მიერ). მისი მიზანი გახლდათ სხეულის შესაძლებლობების დაუფლება, ადამიანის რესურსების ბოლომდე გამოყენება. განა შეირპოლდის ბიომექანიკის სისტემა რაიმე სხვას ემსახურებოდა, განა მისი სისტემა არ იქმნება სწორედ გურჯიევის ლექციებისა და სანახაობების ციკლის შემდეგ რუსეთში? სამართლიანობისათვის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ სავარჯიშოების იდეა ძალიან პოპულარული ხდება და მხოლოდ გურჯიევსაც ვერ მივაწერთ, მაგრამ ვერც გამოვირიცხავთ.

1919 წელს გურჯიევი უბრუნდება ტიფლისს და სწორედ ეს მისი "შობლიური" ქალაქი გახდა მისი მრავალწლიანი ოცნების – ადამიანის პარმონიული განვითარების ინსტიტუტის - შექმნის პირველი ადგილი. ინსტიტუტმა რამდენიმე წელი იარსება და გიორგი გურჯიევს მწიფეკური მთავრობის დახმარებით შენობაც გამოეყო, თუმცა ახალმა მთავრობამ ბოლომდე ვერ განახორციელა ყველა დაპირება, მიუხედავად ამისა ინსტიტუტმა ერთ წლამდე იარსება და იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავს განსაკუთრებით თბილისელ მანდილოსნებში სარგებლობდა მისი საჯარო ლექციები დიდი პოპულარობით. 1921 წელს რუსეთის წითელი არმიის შემოსვლამდე გურჯიევი 1920 წლის ბოლოს მრავალ ქართველთან ერთად ბათუმიდან ტოვებს საქართველოს და კონსტანტინოპოლში გარბის, სადაც მცირე დროით დაჰყოფს და ასევე ლეგენდების მიხედვით ამ პერიოდში ახორციელებს იგი დერვიშთა ცეკვის უნიკალურ სანახაობას აიასოფიას ტაძარში დღევანდელ სტამბულში - მაშინდელ ბიზანტიის ყოფილ დედაქალაქში ორთოდოქსალური ქრისტიანობის შექაში - მოგვიანებით გამაჰმადიანებულ კონსტანტინოპოლში მსოფლიო კულტურის უნიკალურ ტაძარ აია სოფიაში.

დამეთანხმებით რომ შემთხვევითი არ უნდა გახლდეთ საქართველოში მისი ყოფნის შემდეგ განხორციელებული სრულყოფილი სპექტაკლი



„მზეთაშზე“, რომელიც შეიძლება პირველ ქართულ მოძრაობის თეატრად მოვანათლოდ, თუმცა დღემდე, როგორც პანტომიმის მნიშვნელობა. 20-იანი წლების ახმეტელის ძიებებიც და მსახურთა მომზადების სისტემა ფიზიკურ სავარჯიშოებზეა აწყობილი ჩვენ მას დღეს რეფლექსების თეორიად მოვიხსენიებთ ხოლმე, ვიცით, რომ ახმეტელი იყენებდა ქართულ ფოლკლორს ამ სავარჯიშოების საფუძვლად - ქართული ფოლკლორი კი თავისთავად ქართული სარიტუალო კოსმოსია, ესე იგი, ახმეტელიც ქართული მითოლოგიიდან და რიტუალებიდან საზრდოობდა. აქაც თვალნათლივ ჩანს გურჯიევის ინსტიტუტის თბილისში ფუნქციონირების გავლენა, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ახმეტელი გურჯიევს ჯერ კიდევ რუსეთიდან იცნობდა.

გურჯიევი თავის წიგნში „ბელზებელის საუბრები შვილიშვილთან“ შესავალში წერდა: საყვარელი ლოცვა შეიძლება შესმენილი და მიღებული იქნას უმაღლესი ძალების მიერ მხოლოდ მაშინ, თუკი იგი წარმოთქმული იქნება სამჯერ: პირველად - მშობლების კეთილდღეობისათვის და მათი სულების სიმშვიდისათვის; მეორედ - მეზობლების კეთილდღეობისათვის; და მხოლოდ მესამედ - საკუთარი კეთილდღეობისათვის.“ წაიკითხეთ ყველა ჩემი წიგნი სამჯერ - გურჯიევი მკითხველსაც კი რიტუალის მონაწილედ ხდის.

მიხეილ ბულგაკოვის, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი „ოსტატი და მარგარიტაც“ ჩემის ღრმა რწმენით, სწორედ გურჯიევის იდეების და შესაძლებელია, ამ წიგნის გავლენითაცაა შექმნილი, რადგანაც იგი არა მხოლოდ საერთო აზროვნებით ჰგავს, არამედ ამ ორი ნაწარმოების ფინალიც ჰგავს საოცრად ერთმანეთს, როცა მოქმედება სწორედ კოსმოსში მიდის და მთავარი პერსონაჟი ვოლანდიც ისევე მოგზაურობს დროში, როგორც ბელზებელი. ისინი ისტორიული მოვლენების თანამონაწილენი არიან და ორივე ავტორი დასმულ შეკითხვებზე პასუხს მხოლოდ კოსმოსში აბსოლუტთან ეძებენ, მათთვის მიწიერი მასშტაბები ძალიან მცირეა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების შესახებ შემეკითხებით: რატომ არავის არა აქვს მოხსენიებული გურჯიევი საკუთარ ნაწარმოებებში, გამოსვლებში ან რაიმე სხვა წყაროებში, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, გარკვეული დროის შემდეგ ასეთი



მასალა შეიძლება გამოიწიოს კიდევაც; ერთი გარემოება აუცილებლად აღსანიშნავია, კერძოდ კი, წერილში აღნიშნული უცხოელი მეტრები განსაკუთრებით კი ბრუკი, ვროტოვსკი, შეპარდი ხშირად იღებდნენ შეკითხვებს გურჯიევის შესახებ, ყოველთვის ცდილობდნენ მათი კომენტარების მოსმენას, მაგრამ ისინი ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებდნენ, რომ ეს დახურული თემა პრესისათვის და ძალიან პირადია ყოველი მათგანგისათვის. ამ მისტიკური გარემოების გათვალისწინების გარდა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა სივრცეში გურჯიევი წლების განმავლობაში აკრძალული ავტორი გახლდათ და დახურულ თემას წარმოადგენდა. მისი არქივები სრულებით გაქრა ოციან წლებში და სუკის საცავეებში განთავსდა. გურჯიევმა საქართველოს დატოვების დროს საკუთარი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი ვერ წაიღო. რუსულ პერიოდიკაში 90-იან წლებში ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი გამოქვეყნდა. ლევენდის სახით ცნობილი იყო, რომ, როდესაც სტალინი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა თბილისში, იგი სწორედ გურჯიევის ოჯახში ცხოვრობდა და მასთან ერთად იზრდებოდა, გამორიცხული არ არის, რომ სტალინის მისწრაფება მისტიციზმისადმი და მისი განსწავლულობა ამ სფეროში სწორედ გურჯიევისაგან მომდინარეობდეს, მაგრამ რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულმა სტატიამ ეს ლევენდა კიდევ უფრო გაამყარა. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, უფრო სავარაუდოა, რომ მათ ერთმანეთი სცოდნოდან, ოჯახში ცხოვრება და ერთად აღზრდა ნაკლებად სარწმუნოა. თუმცა რუსული არქივების ბოლო წყაროების მიხედვით ცალსახაა, რომ გურჯიევი სტალინთან ერთად იყო ჭიათურის ცნობილი თავდასხმის დროს და დაიჭრა კიდევაც. ამჯერად სხვა ახალ ფაქტებზე აღარ ვაკვამახვილებ თქვენს ყურადღებას.

გურჯიევი თავის წიგნში „შეხვედრები განსაკუთრებულ ადამიანებთან“ ერთ-ერთ თავს უძღვნიდა ქართველ თავადს – ეს თავადი გახლდათ ნიფარაძე, რომლის გვარს ამოფარებულიც ემალებოდა იოსებ ჯულაშვილი რუსეთის მეფის მთავრობას - სტალინის უშუალო თხოვნით (როგორც ამას რუსული გამოცემები გადმოგვცემენ), გურჯიევმა ამოიღო ეს თავი, რომელიც არაეის უნახავს მას შემდეგ. არაეის არ აწყობდა სტალინისა და გურჯიევის კავშირის დაფიქსირება, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც გურჯიევს მის მრავალრიცხოვან ტიტულებს მიემატა 30-იან წლებში როზენკრეიციერების უმაღლესი



- კარდის ორდენის მაგისტრობა - როგორც მისი ღვაწლის ოკულტიზმისა და მაგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის (თუმცა ეს ფაქტიც სხვადასხვა წყაროში არ დასტურდება) - ეს გაერთიანება სწორედ პიტლერის ერთ-ერთი დასაყრდენი გახლდათ მის ოკულტურ ძიებებში და ტიბეტთან კავშირში, ამ დროისათვის კი გურჯიევს უკვე ჰქონდა ყველაზე დიდი წოდება - დალაილამას მასწავლებლის წოდება მისი გადარჩენისათვის რევოლუციის დროს ჩინეთში (ეს მითიც ხშირად არ დასტურდება ოფიციალურ წყაროებში, გურჯიევი ერევათ სხვა ცნობილ ბუდისტ „სკედ“-ს აგენტში, რომელიც მართლაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტიბეტთან). პიტლერის გარდა მას ჰქონდა შეხვედრები მუსოლინთანაც, რომაქიძესთანაც (რომაქიძესთან შეხვედრაც ემიგრაციაში მისი აღიარებული ქრონოლოგიიდან არ დასტურდება, თუმცა არის წყარო, რომ მათ თბილისში უნდა ჰქონოდათ შეხვედრა). გურჯიევს შესახებ მრავალ საინტერესო მასალას მიხეილ კვესელავა სწორედ ნიურბერგის პროცესის დროს შეხვდა და არქივის ნაწილიც, როგორც ამბობენ, ვითომდაც დააბრუნა თბილისში, რომლის შესახებ სხვადასხვა ვერბალური წყაროს მიხედვით გამსახურდიების ოჯახმაც ფრიად კარგად იცოდა.

გურჯიევის შესახებ მითოლოგიური სამყარო გადახლართულია მისტიკურ სამყაროსთან: დღევანდელი გადასახედიდან ძნელი გასამიჯნია მითი და სინამდვილე, მისი გავლენა დღევანდელი კულტურის განვითარებაზე მრავალგზის საკვლევეია და მრავალი მკვლევრისათვის კვლავ ზღვა მასალას ტოვებს, ამ წერილში აღნიშნული ყოველივე მხოლოდ მცირე და თანაც ძალიან სუბიექტური მოსაზრებებია, რომელსაც კვლავ მრავალი ფაქტობრივი მტკიცება ესაჭიროება, თუმცა ყოველივე შინაგან ლოგიკას ეყარება.

ამ წერილში არ ყოფილა მცდელობა სამეცნიერო კვლევისა და გურჯიევის სწავლების კონცეპტუალური გადმოცემისა, მსგავსი ამოცანების გადასაჭრელად იმედი მაქვს, სხვა წერილებს და ახალ გამოცემებს შემოგთავაზებთ.

ლევან ხუთაგური



## კომენტარები

## კომენტარები

**არმანიაკი** – ცნობილი ძვირადღირებული ფრანგული კონიაკი, რომელსაც განსაკუთრებით ეტანებოდა გურჯიევი.

**აშხანები** – შესაძლებელია იყოს იშხანი, თევზი სევანის ტბაში, აგრეთვე სომხურ ენაზე ნიშნავს მაღალი საზოგადოების წარმომადგენელს, სომხურად თავადი.

**ბაბილონი** – ქალაქი შუამდინარეთში (დღევანდელი ერაყი, 110 კმ. ბაღდადიდან სამხრეთით), ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქი ძველ მსოფლიოში, ბაბილონი ბაბილონიეთის დედაქალაქი იყო, სამეფო, რომელმაც იარსება ათასწლეულნახევარი, შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნაწილი გახდა.

სიტყვა „ბაბილონი“ წარმოადგება სემიტურიდან «bāb-III» და ნიშნავს „ღმერთის – უფლის კარს – კარიბჭეს“. ბაბილონს შუაზე ყოფს მდინარე ეფრათი, რომელიც თავის სათავეს სომხეთში იღებდა. ქალაქს, როგორც ჯავშანი, ერტყა რამდენიმე კედელი, არქიტექტურულად ქალაქი საკმაოდ დახვეწილი სიმეტრიული და გეომეტრიული პარმონიით იყო ნაგები, როგორც ამას გვამცნობს ბერძნული და სხვა წყაროები და არქეოლოგიური მონაპოვარი.

მისი პირველი მოხსენიება კადინგირ (შუმერულად „ღმერთის კარიბჭენი“) გვხვდება მეფე შარკალიშარის დროს. მეფემ ამ ადგილას ალაშენა ტაძარი. როგორც ჩანს, ქალაქი კადინგირი დაარსებულია XXIII საუკუნეში ძვ. წ.-ით, როგორც კოლონია ერედუელთა მიერ. კადინგირის ღმერთია ამარუტუქ (მარდუქი) ითვლებოდა ენკის, ერედუს მთავარი ღმერთის შვილად, სწორედ ბაბილონი იქცა ერედუელთა მითების გავრცელების ცენტრად. ბერძნულ წყაროებში შუმერ მეფეთა სიების მოხსენიებისას ერედუს პირდაპირ თარგმნიან როგორც „ბაბილონს“.

ბაბილონი, როგორც სამეფო, წარმოადგენდა უძველესი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ცივილიზაციას, რომელმაც უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია და დიდი კულტურა დატოვა.

**ბაბილონური ცივილიზაცია** – როგორც ტერმინი გამოიყენება და ნიშნავს არსებულის დაღუპვას – ტოტემური – სოციოფსიქოლოგიური კოსმოსისა და ახლის ჩასახვა – ზნობრივ



ეთიკური წინარე სახისა ქრისტიანული კოსმოსისათვის — ახალი მანათობელის გარშემო მლაღადებელი ადამიანისა. ეთიკური წინარე შუემრული კულტურის უზარმაზარმა ესთეტიკურმა ფორმებმა არ მისცა თვითგამორკვევის საშუალება ბაბილონის ეპოქას საკუთარ ახალ იდეებში, რაც გვამძლევს საფუძველს შევავასოთ ბაბილონური ცივილიზაცია, როგორც შუემრული კულტურის განანგრძლივებული კრიზისი. მესოპოტამიელები გრძნობდნენ საკუთარი ცივილიზაციის დაღუპვას, მისი მზის ჩასვენებას. სხვადასხვა მაქსიმში ისინი აღნიშნავდნენ ადამიანის ცხოვრების ამაოებას, მის საქმეთა არსის არა მარადიულობას — „როგორც ჩანს, კაცობრიობა და მისი მიღწევები დასასრულს უახლოვდება“ — როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზაციებშიც არსებობდა სამყაროს დასასრულის განწყობილება, რაც, რასაკვირველია, ცნობიერების ნგრევის, მისი შეცვლის წინაპირობაა, გარკვეული დეკადანსი. სწორედ ამიტომაც — ბაბილონის მოხსენიება ხშირად იღებს სიმბოლურ ხასიათს და იგი მრავალ კონტექსტსა და კვებქსტს იძენს. თეოლოგები მას ხშირად ზნეობრიობის დაცემასა და მასთან გამოწვეულ სამყაროს ნგრევასთან აიგივებენ და არასოდეს საუბრობენ ცნობიერების ცვლასა და მის ნგრევაზე.

ბალშაკარიანელები — უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ვმირულად იცავდა თავის კერპ „ტანტსატ-რატას“ ეშმაკებისაგან, რომლებიც სპეციალურად იყვნენ გამოგზავნილი ჯოჯოხეთიდან.

გობის უდაბნო (მონგოლურ ენაზე გოვი) — ვრცელი რეგიონი ცენტრალურ აზიაში (მონგოლეთისა და ჩინეთის ტერიტორიებზე), დამახასიათებელია უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ლანდშაფტით. გობი გადაჭიმულია აღმოსავლეთით ალტაისა და ტიანშანის მთებიდან დასავლეთით ჩრდილოეთ ჩინეთის ჭალამდე; ჩრდილოეთით გობი მონგოლეთის სტეპებში გადადის, სამხრეთით კი იფარგლება ტიანშანისა და ალტინტაგის მთებითა და მდინანე ხუანხეთი. გობი შედგება რამდენიმე გეოგრაფიული რეგიონისაგან: ალტაის იქითა გობისაგან, მონგოლური გობისაგან, ალაშანური გობისაგან, გამუანური გობისაგან და ჯუნგარული გობისაგან. სიტყვა „გობი“ მონგოლოური წარმოშობისაა და ნიშნავს „უწყლო ადგილს“, ამ სიტყვებით ცენტრალურ აზიაში აღნიშნავენ საერთოდ უდაბნოსა და ნახევრად



უდაბნოს ლანდშაფტებს. საერთო მასშტაბების მიხედვით გობის ტერიტორია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს უდაბნოს აზიის გურჯივემა რამდენიმეჯერ მოაწყო სამეცნიერო-არქეოლოგიური ექსპედიციები გობის უდაბნოში დაკარგული ცივილიზაციისა და საიდუმლო საკრალური ეზოთერული ცოდნის ნაკვალევის მოსაძიებლად.

**დოქტრინა** - (ლათ. სწავლება), სამეცნიერო ან ფილოსოფიური თეორია, სისტემა, სახელმძღვანელო თეორიული ანდა პოლიტიკური პრინციპი.

**ეგზოთერული** - (ეგზოთერიზმი, ეგზოთერული სწავლება; ბერძნულიდან exoterikos – გარეგნული) - რელიგიური ან ფილოსოფიური სწავლება, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლოებას და განკუთვნილია გაუნდობელთათვის (პროფანებისათვის). საწინააღმდეგო ეზოთერულია (ეზოთერიზმისა) - საიდუმლო სწავლებისა. ეგზოთერულ სწავლებას არ გააჩნია სიღრმისეული აზროვნება და იგი ყველასათვის გასაგები (საყოველთაოდ ხელმისაწვდომი) უნდა იყოს.

ურთიერთდაპირისპირება ეგზოთერულსა და ეზოთერულს შორის წარმოიქმნა ძველბერძნულ ფილოსოფიაში. კერძოდ კი, ძველი მკვლევარები არისტოტელეს ნაშრომებს ყოფდნენ ეზოთერულად და ეგზოთერულად (არისტოტელეს დიალოგები).

ახალ ევროპულ ფილოსოფიაში ასევე გამოიყენებოდა ეს დაყოფა. ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯონ ტოლანდმა გამოყო თეზისი ორი ფილოსოფიის ეგზოთერულის (გახსნილის, საჯაროს) და ეზოთერული (საიდუმლო, განდობილთათვის) აუცილებლობა. ტერმინ ეგზოთერულით ასევე სარგებლობდა ჰეგელიც.

განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ტერმინები: ეგზოთერიკა, ეგზოთერიზმი, ეგზოთერული ეზოთერულ და ოკულტურ მეცნიერებებში. კერძოდ კი, მას იყენებდნენ ა. ბეზანტი, ე. ბელიი, ჯონ ფორჩუნი, ე. ბლავატსკაია.

**ეზოთერული** - (ბერძ. esoterikos „შინაგანი“) – ის, რაც განკუთვნილია მხოლოდ რომელიღაც ფილოსოფიური სკოლის, თემის, ჯგუფის წევრთათვის (ზიარებულთათვის) შინაგანი გამოყენებისათვის. მისტერიულ რელიგიებში იმ საიდუმლოს გათქმა, რომელიც მხოლოდ



ზიარებულთა თუ ხელდასხმულთათვის ხდებოდა ცნობილი, დანაშაულს წარმოადგენდა. მისტერიებთან (ელევისის, ღრვი კლდე, დიონისიურ და სხვა) ორგანულად იყო დაკავშირებული მითები, რომელთა „შესრულება“, სავარაუდოა, თან ახლდა მისტერიალურ რიტუალთა განხორციელებას.

ექსტრაორდინალური - (ლათ. *extraordinarius*) - საგანგებო, არაჩვეულებრივი, იშვიათი.

ესეები - ელინთა გავლენით მიღებული სიტყვა, წარმოიქმნა ძველებრაული ასა-საგან - „მკურნალი“. ებრაელთა საიდუმლო სექტა, პლინიუსის მიხედვით, ცხოვრობდნენ მკვდარი ზღვის მახლობლად *per millia saeculorum* - ათასობით საუკუნის განმავლობაში. ზოგიერთნი მათ მიიჩნევდნენ უკიდურესად განწყობილ ფარისევლებად, სხვანი კი, (რაც შეიძლება, მეტად შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას) - ბიბლიური ბენიმ-ნაბიმის შთამომავალთ და მიაჩნიათ, რომ ისინი იყვნენ კენიტელები და ნაზარეთელები. მათ ქონდათ მრავალი ბუდისტური იდეა და ხერხი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეფესის უდიდეს დედა ღვთაებას დიანა-ბჰავანსაც, რომელსაც მრავალი ძუძუ ჰქონდა, ასევე ამ სახელით მოიხსენიებდნენ. ვესენიუსი მას შემდეგ კი დე კინსი აცხადებდა, რომ ისინი ადრეული ქრისტიანები იყვნენ, რაც ცხადზე უფრო ნათელია. სიტყვა „ძმარ“, რომელსაც იყენებდა ადრეკრისტიანული ეკლესია ესეებს ეკუთვნოდა. ისინი წარმოადგენდნენ კონიობიონის საძმოს ან თემს, როგორც ადრე მოქცეული ქრისტიანები (კომენტარი ვერდნობა ელენე ბლავატსკაიას თეოსოფიურ ლექსიკონს).

ესეები, ანუ კუმრანიტები - ერთ-ერთი უძველესი იუდეური სექტა, სათავეს იღებს ძვ. წ.-ით II საუკუნის პირველ მეოთხედში. მათ შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით ფილონთან, იოსებ ფლავიუსთან და პლინიუს უფროსთან. დასახელებულ პირველ ორ ისტორიკოსთან ესეების რიცხვი 400 აღწევს. იყვნენ რა გაფანტულნი იუდეაში დასაწყისისთვის ცხოვრობდნენ ქალაქებსა და სოფლებში ასიდევლთა სახელით და როგორც ფიქრობენ უახლესი მეცნიერნი, ისინი წარმოადგენდნენ იმ ეროვნულ პარტიას ებრაელობაში, რომელიც ებრძოდა მეორე, უფრო ძლიერ ელინისტთა პარტიას. ფილონის მიხედვით, გააცნობიერეს რა ქალაქის გაფუჭებული ჩვევები, თანამედროვე მეცნიერების მიხედვით კი, დაკარგეს რა იმედი მეორე



პარტიაზე გამარჯვების და ებრაული ეროვნული წესების შეცვლისა, ესეები ტოვებენ სოფლებსა და ქალაქებს და მკვდარი ზღვის ჩრდილო დასავლეთით საზღვებიან, აფუძნებენ რა იქ განსაკუთრებულ კოლონიებს, თავს არიდებდნენ თავიანთ თანამომხმებთან შეხვედრას იერუსალიმის ტაძარშიც კი, შექმნეს დახურული ორდენი, ცხოვრობდნენ ქორწინების გარეშე, ისინი იღებდნენ სხვათა შვილებს და ზრდიდნენ თავიანთი ცნებებით; თავიანთ რიგებში იღებდნენ უცხოებსაც – სამწლიანი გამოცდის შემდეგ, კუმრანული სამშო თავის ორდენში გაერთიანებისათვის საშინელი ფიცის ქვეშ ადებინებდნენ პირობას: პატივი ეცა ღმერთისათვის; ყოფილიყო სამართლიანი ყველას მიმართ; არავისთვის არ დაეშავებინა; ყოფილიყო სიცრუის მტერი; ყოფილიყო ხელისუფლების ერთგული; ძალაუფლების მიღწევის შემთხვევაში, არ აღზევებულიყო; არ გამოერჩია საკუთარი თავი სხვებისაგან ტანსაცმლითა და სამკაულებით; გამოეაშკარავებინა ტყუილი და ყვარებოდა ჭეშმარიტება; არაფერი დაემალა თანამომხმეთათვის და მათ შესახებ არაფერი ეცნობებინა უცხოთათვის; თავი შეეკავებინა უკანონო შემოსავლებისაგან; არავისთვის გადაეცა ესეების სწავლების დოგმები; არ გამოეყენებინა ფიცი; ერთგულად დაეცვა ესეების დამწერლობანი (უძველესი წიგნები) და ანგელოზთა სახელები (ტოსტისა და გრეცის მიხედვით – ღმერთის საიდუმლო სახელები). შემდეგ, ფილონის თხრობის მიხედვით, ესეები არ სწირავდნენ სისხლიან საკურთხს (ფლავიუსის მიხედვით – ისინი ამ მსხვერპლს ასეთ მსხვერპლს მხოლოდ იერუსალიმის ტაძარში); არ სწირავდნენ თავგამოდებით შრომობდნენ (მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა, ხელოსნობა, ექიმობა (შელოცვითი ფორმულებისა და ლექსების წარმოთქმის საშუალებით); არ ქმნიდნენ იარაღს და უარყოფდნენ ომს; აღიარებდნენ მხოლოდ საერთო საკუთრებას; უპირობოდ უარყოფდნენ მონობას; ყველანაირად ეხმარებოდნენ ერთმანეთს; ასწავლიდნენ, რომ ყველა ისინი ერთმანეთში ძმები იყვნენ;



ველა თავის საჭიროებებს თავად იკმაყოფილებდნენ, არიდებდნენ რა თავს ვაჭრებთან ურთიერთობას. თეოსოფიას ისინი თვლიდნენ უბრალო ლაყბობად, მაგრამ ძალიან დიდ დროს უთმობდნენ შიბლინის ალგორითულ ახსნას და სწავლებას ზნეობრიობაზე. ისინი არ ცხოვრობდნენ განმარტოებულნი, არამედ თემებად, განსაკუთრებულ სახლებში, ჰქონდათ დიდი საერთო მაგიდები; უმცროსები პატივს სცემდნენ უფროსებს ისე როგორც შვილები - მშობლებს, ზრუნავდნენ რა მათზე. ისებ ფლავიუსის თქმით მოსეს ესეები აყენებდნენ ღმერთის შემდეგ პირველკაცად (ამიტომაც დიდ პატივს სცემდნენ შაბათს) და მის მძაგებელს სიკვდილით სჯიდნენ. ისინი საერთოდ ცხოვრობდნენ ქორწინების გარეშე, იმიტომ არა, რომ უარყოფდნენ ქორწინებას, არამედ იმიტომ რომ დაუქორწინებლობას ქორწინებაზე მაღლა აყენებდნენ. სექტის ერთ ნაწილს აძლევენ დაქორწინების უფლებას, მაგრამ როგორც კი ცოლი დაფეხმძიმდებოდა, ქმარი წვევტდა მასთან ურთიერთობებს, უნდოდა რა დაემტკიცებინებინა, რომ მასთან სიამოვნებისთვის კი არ იყო, არამედ შთამომავლობის გასაგრძელებლად. ძულდათ რა სამკაულები ესეები არ იყენებდნენ ზეთებს, ერთი და იმავე ტანსაცმელს ატარებდნენ მის სრულ გაცვეთამდე, მაგრამ სატრაპეზოდ ყოველთვის იცმევდნენ განსაკუთრებული თარგის თეთრ სამოსს. მათ შემოსავლებს განკარგავდნენ მათ მიერ არჩეული განსაკუთრებული მურვეები ან მღვდლები. ეხმარებოდნენ ღარიბებს და ორდენში არ გაერთიანებულ ადამიანებსაც. ფეხზე დგებოდნენ მზის ამოსვლაამდე, არ საუბრობდნენ რა არაფერ ყოფითზე, ესალმებოდნენ მზეს ლოცვით (რაც სრულებით არ ნიშნავდა პერსიზმს, ზოგიერთების აზრის მიუხედავად), მათ ათავისუფლებდნენ ზემდგომნი (რომელთა გარეშეც არაფრის კეთების უფლება არ ჰქონდათ, ვარდა გულმონყაელობისა და მშვიერთა დაპურებისა) საშუალოსაგან, რომლის დამთავრების შემდეგაც ბანაობდნენ ცივ წყალში (რასაც რელიგიური განწმენდის ფუნქცია ჰქონდა) შემდეგ კი სხდებოდნენ იცმევდნენ რა ხუფთა ტანსაცმელს (განსაკუთრებულ სახლში უცხოებს შესვლა სასტიკად კრძალუბოდათ), ტრაპეზის დროს, ღვთისმსახურების, წმინდა ქმედების ფუნქცია ჰქონდა. დიდი დანაშაულების გამო დამნაშავეები ირიცხებოდნენ თემიდან და რჩებოდნენ რა ფიცის ერთგულნი, რომ არ მიიღებდნენ საკვებს საკუთარი თემის გარეშე, იხოცებოდნენ შიმშილისაგან, ისინი კი, ვინც გულწრფელად მოინანიებდნენ კვლავ უკან იღებდნენ. მოსამართლეები ესეებთან (რიცხვი უნდა ყოფილიყო



არა ნაკლებ 100) იყვნენ „მკაცრნი და სამართლიანნი“. საკუთარი ორდენის მითითებების შესრულებაში ესეები იყვნენ ძალიან მკაცრნი. სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდნენ სამარცხვინო სიცოცხლეს. ორდენი იყოფოდა ოთხ ხარისხად (გამოსაცდელთა საფეხურის გაუთვალისწინებლად), მასში შესვლის დროს ერთი ხარისხი-საფეხური-წოდება ემიჯნებოდა მეორეს ისე მკაცრად, რომ უმაღლესნი უმაღალებსებთან შეხების შემთხვევაშიც კი ხდებოდნენ არა სუფთანი. ესეებს, განსაკუთრებით კი წმინდა წიგნის შემსწავლელთ-მცოდნეთ, რომელნიც შზადდებოდნენ განსაკუთრებული ასკეტური განწყობებით, წინასწარმეტყველების უნარს მიაწერდნენ. ესეები ასწავლიდნენ, რომ სული შედგება უსიფრიფანესი ეთერისაგან და მოქცეულია სხეულში, როგორც სატუსალოში (დაცემის შედეგად), რომლისგანაც ადამიანის სიკვდილის შემდეგ მიფრინავს ცაში; უმწიკვლო ცხოვრებისათვის სულის ადგილი მარადიულ არსებობაშია – ნეტარ მინდვრებში ოკეანეს გადაღმა; ბოროტ სულთათვის მარადიული ტანჯვა სიცივეში და უკუნეთში. ესეებს სჯეროდათ წინასწარ განსაზღვრულობის. ნუანდერის აზრით, ესეების სწავლება ნასესხებია ქალდეელებისაგან ბაბილონში ტყვეობის დროს. დელინგერის აზრით კი, ესეების საფუძველში უმეტესად ბერძნული პითაგორისეული იდეები ძვეს, ვიდრე თავად ოუდეველთა. ვეალდი, გრეცი და იოსტი კი მიიჩნევენ ესეების სწავლებას ოუდეური წარმოშობისა, ხსნიან რა განსხვავებულად მის დამოკიდებულებას ფარისეელობასთან და სადუკელობასთან. პოულობენ ასევე ესეების გენეტიკურ კავშირს ეგვიპტელ თერაპევტებთან, თუმცაღა ვერ თანხმდებიან, ამ სწავლებათა შორის თუ რომელია პირველადი. ასევე განსხვავებულია აზრი ესეების კავშირისა ქრისტიანობასთან. ჯერ კიდევ ძველ დროში ფიქრობდნენ, რომ ესეების განშტოება – ეგვიპტელი თერაპევტებისა სხვა არა იყო რა თუ არა პირველი ალექსანდრიელი ქრისტიანები, რომელიც მოაქცია მოციქულმა მარკოზმა. თუმცაღა ამ ვერსიას მრავალი წინააღმდეგობა სდევს თან. მეცნიერები თანხმდებიან, რომ ესეიზმა გარკვეულწილად საფუძველი მოუშადა ქრისტიანობის აღქმას, რომ იესოს პირველ მსმენელთა და მიმდევართა შორის მრავალი ესეი იყო, მაგრამ სწორედ მათთაგან შეიქმნა ის ოუდეურ გნოსტიკოსთა სექტები, რომელთა წინააღმდეგაც გამოდიოდნენ მოციქულნი. ბოლო დროის ყველაზე პოპულარული პიპოტეზების თანახმად სწორედ ესების ქემრანის თემი წარმოადგენდა ევრეთ წოდებული მკვდარი ზღვის, ანუ ქემრანის, ხელნაწერთა მფლობელს (1000 მანუსკრიპტი იქნა





აღმოჩენილი XX საუკუნის მეორე ნახევარში, რამაც უამრავი სამეცნიერო ჰიპოტეზა დააზუსტა, შეცვალა ან წარმოქმნა, რომელიც აღმოჩნდა ქუშანის გამოქვაბულებში და წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილ უძველეს ხელნაწერებს, მათ შორის, ხუთთავის ფრაგმენტებისა, მათ შორის, ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი ნაწევრები მარკოზის სახარებისა. ჰიპოტეზის მიხედვით, ესეები მალაენდენ გრავნილებს უახლოეს გამოქვაბულებში 66 წლის ებრაელთა აჯანყების დროს, მათ ეს მოასწრეს მანამ სანამ ისინი სრულად არ ამოწვევდნენ რომაელმა ჯარისკაცებმა (წყაროები: პროტ. И. А. Лебедева, «Ессен и терапевты» («Дух Христианина», 1862); Lucius, «Der Essenisinus und das Judenthum» (1889); Лурье, «Ессен» («Историческое Обзорение», книга IV, 1892). [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

**ზალცმანი ჟანა (1889-1990)**, ცნობილი შვეიცარიელი არქიტექტორის ჟოულ აღემანის ქალიშვილი, სწავლობდა მუსიკას (ფორტეპიანო, კომპოზიცია და საორკესტრო დირიჟორობა) ჟენევის კონსერვატორიაში. როგორც მოცეკვავე, რიტმული ტანვარჯიშის მასწავლებელი სწავლობდა ემილ დალკროზთან, იგი თავიდანვე მონაწილეობდა დალკროზის მიერ 1912 წელს პელერაუში გახსნილ ავანგარდული ხელოვნების ინსტიტუტის მუშაობაში გერმანიაში. სწორედ იქ შეხვდა და გაიცნო სათეატრო დიზაინერი და მხატვარი ალექსანდრე ზალცმანი, რომელსაც ცოლად გაჰყვა 1917 წელს. ზალცმანი საქართველოში მცხოვრები გერმანული ოჯახიდან იყო, რომელიც განათლების მისაღებად მშობლებმა ევროპაში გამოაგზავნეს. 1917 წლის შემდეგ ცოლ-ქმარი საქართველოში ბრუნდება, მკვიდრებთან თბილისში. ჟანა ზალცმანი ხსნის ცეკვისა და მუსიკის სკოლას, რომელშიაც დალკროზის რიტმულ ტანვარჯიშს ასწავლიდა. ალექსანდრე ზალცმანი კი თბილისის ოპერის თეატრის მხატვარი ხდება.

1919 წელს კომპოზიტორი თომას დე პარტმანი ახალგაზრდა წვეილს წარუდგენს გიორგი გურჯიევს. ეს შეხვედრა უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა მათი შემდგომი ცხოვრებისათვის. დროთა განმავლობაში ჟანა ზალცმანი გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად ნდობით აღჭურვილი თანამემუწე გურჯიევის გარემოცვაში.

სიცოცხლის ბოლოს გურჯიევმა მხოლოდ ჟანა ზალცმანს ანდო გავერძელებინა მის მიერ დაწესებული სამუშაო. ამის გარდა, იგი ხელმძღვანელობდა გურჯიევის ხელნაწერების თარგმანს და შემდგომი გამოცემის საკითხებს.

ორმოც წელზე მეტი უნა ზალცმანი მუხლჩაუხრელად იღვწოდა თავის მოსწავლეებთან ერთად გურჯიევის მიერ ნაანდერძევი სწავლების საკარგიშობებისა და ცეკვების შესანარჩუნებლად.

მის მიერ ჩატარებული საბუშაოს ნათელი მაგალითია დოკუმენტური ფილმების ციკლი საერთო სახელწოდებით: „გურჯიევის წმინდა ცეკვები“.

უნა ზალცმანი წარმოადგენდა პიტერ ბრუკის უშუალო მასწავლებელს გურჯიევის სწავლებაში და მოგვიანებით პიტერ ბრუკის მიერ გადაღებული ფილმის „შეხვედრები განსაკურებულ ადამიანებთან“ (გიორგი გურჯიევის მიხედვით) მთავარ კონსულტანსტ.

ზალცმანი გახლდათ გურჯიევის ფონდის პირველი შემქმნელი და მსოფლიოში ამ ფონდების ქსელის ხელმძღვანელი.

**თეომატოსი** – ძველ ებრაულ ენაზე – ტეზომ – უძირო, გვაგონებს ბაბილონურ ქალღმერთ თეომატოსს, ქაოსის ქალღმერთი, ქალღმერთი ოკეანის მორევისა. ბიბლიის ავტორისათვის თეომატოტოსის ხსენებისას იმ დროინდელი ხალხისათვის გასაგები მინიშნება იყო, რითიც იგი ზაზს უსვამდა, რომ სამყაროს შექმნის პირველი წამებიდან კოსმოსს წინ ელობებოდა უმართავი დამანგრეველი ძალა. გურჯიევთან მოიხსენიება, როგორც შეცნიერება თეომატოსისა (მინაგანი და გარეგანი სამყარო). მისი თეორიისა და პრაქტიკის შესწავლაზე აკებული მისი სწავლება „მეოთხე გზა“. თუ დავესხებით კვლავ ძველი ბაბილონის ცივილიზაციას, იქ არსებობდა ცოდნა-სწავლება „თეომატოსი“, რაც შეიძლება პირდაპირ კავშირში იყოს გურჯიევის მიერ ამ ტერმინის გამოყენებასთან.

**თურქისტანი** – დღევანდელი თურქმენეთი, სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში.

**ინგლის-ტიბეტის ომი** - 1903-1904 წლები. ინგლისის გავლენის გაძლიერებამ ჰიმალაებში XIX საუკუნეში უფრო დაახლოვა იგი ინდოეთსა და ტიბეტს. 1886 წელს ლორდმა დეფერინგმა სავაჭრო ექსპედიცია გააგზავნა ტიბეტში, მაგრამ ჩინეთმა მათ მოსთხოვა უკან ინდოეთში დაბრუნება. ამით გათამამებულმა ტიბეტელებმა დაიკავეს ქალაქი სიქიმა, დაიწყეს ბრიტანულ ტერიტორიაზე თავდასხმები. 1888 წელს ინგლისელების სამხედრო ექსპედიციამ დაამარცხა



ტიბეტელები და უკუავდო ჩემბის ველიდან. 1890 წელს ბრიტანეთმა ჩინეთთან გააფორმა ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ჩინეთი ცნობდა ბრიტანეთის პროტექტორატს სიქიმზე და უფლება ეძლეოდათ ბრიტანეთის ქვეშევრდომებს ტიბეტის ტერიტორიაზე ვაჭრობისა. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ასევე ძლიერდება რუსული ექსპედიციები (პრევეალსკის, კოზლოვის, ციბაკოვის, ნორზუნოვის, გურჯიევის, რერიხის) ტიბეტში და რეგიონში, რაც აღელვებდა ბრიტანელებს, მით უმეტეს, რომ ტიბეტში დიდი გავლენის მქონე ხდება აგვან ჯორჯიევი, რომელიც წარმოშობით რუსეთიდან იყო (კერძოდ კი, მას ჰქონდა კავშირი როგორც რუსეთის საიდუმლო პოლიციასთან, ასევე გურჯიევთან და თბილისურ „მისტიკურ“ დაჯგუფებასთანაც). ტიბეტი დახურულ ქვეყანას წარმოადგენდა რთულად მისადგომობის გამოც, მთავარი იყო ბუდისტური (გავრცელებული იყო ლამაიზმი) ფასეულობანი და რეალური ძალაუფლება სასულიერო ფენას ეკუთვნოდა. ტიბეტი აღმოჩნდა სამი იმპერიის: რუსეთის ჩინეთისა და ბრიტანეთის ინტერესების სფეროში.

1901 წელს ინდოეთის ეიკე მეფემ ლორდ კერზონმა წერილი მისწერა დაღაი ლამას, რაც მას გაუხსნელი დაუბრუნდა უკან. 1903 წელს დიპლომატიური მისია გაიგზავნა, რომელიც ასევე წარუმატებლად დასრულდა, ხოლო 1904 წელს ეს რთული ურთიერთობა საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა, რაც, რასაკვირველია, ტიბეტის დამარცხებით დასრულდა (კარგად აღჭურვილ ინგლისის არმიას ებრძოდნენ შუასაუკუნეების შეიარაღებით აღჭურვილი ტიბეტელები). ბრიტანულმა ჯარმა თითქმის სრულად გაანადგურა ტიბეტური არმია – პრაქტიკულად სასაკლავო მოაწყო. დაღაი ლამა მონგოლეთში გაიქცა, ჯარი კი ლხასაში (ტიბეტის დედაქალაქი) შევიდა. 1904 წლის 25 ივლისს ტიბეტის ხელისუფლებამ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ლხასას ხელშეკრულების მიხედვითაც: ტიბეტელებს უნდა ეღიარებინათ 1890 წლის ჩინურ-ბრიტანული ხელშეკრულება; ტიბეტელებს აუცილებლად უნდა შეესრულებინათ 1893 წლის ჩინურ-ბრიტანული ხელშეკრულებაც, რაც ბრიტანელებისათვის ტიბეტის ტერიტორიაზე თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებდა; ტიბეტს უნდა ეხადა კონტრიბუცია 7.5 მილიონი რუპია 75 წლის განმავლობაში; ამ კონტრიბუციის მიღების გარანტიისათვის ინგლისელები დროებით იკავებდნენ ჩუშბის ველს;



ბრიტანულ-ტიბეტური ომის შედეგად ტიბეტის მდგომარეობა გართულდა. ბრიტანულმა აგრესიამ მძიმე შედეგი იქონია ტიბეტის ცნობიერებაზე, გააქტიურა ჩინეთი, რომელსაც ემინოდა ბრიტანულ და რუსების.

1907 წელს გაფორმდა რუსეთ-ინგლისური ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ისინი ცნობდნენ ჩინეთის სუვერენიტეტს ტიბეტის მიმართ. 1910 წელს მოხდა ტიბეტის ოკუპაცია ჩინეთის ცინთა იმპერიის მიერ, რამაც აღადგინა ჩინეთის ძალაუფლება ტიბეტზე. დალაი ლამა გაიქცა ინდოეთში ინგლისის მფარველობის ქვეშ. 1913 წელს ჩინური ჯარი იძულებული იყო, ჩინეთში რევოლუციის გამო სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერითა და სტალინის პირადი ინტერესების გათვალისწინებით ჩინეთმა თანამიმდევრულად მოახდინა ტიბეტის დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია, რომელიც 1951 წელს დაიწყო სახელწოდებით: „ტიბეტის მშვიდობიანი გათავისუფლება“.

კარნეგი ჰოლი (*Carnegie Hall*) - ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საკონცერტო დარბაზი ნიუ-ორკში, მანჰეტენის მე-7 ავენიუსა და 57-ე ქუჩის კუთხეში. აქ სრულდება როგორც აკადემიური, ასევე პოპულარული მუსიკა. აშენებულია არქიტექტორ უილიამ ტატჰილის პროექტის მიხედვით. გაიხსნა 1891 წელს ნიუ-ორკის სიმფონიური ორკესტრის კონცერტების ციკლით, რომელშიაც როგორც დირიჟორმა მონაწილეობა მიიღო ჩაიკოვსკიმ. 1898 წლამდე ერქვა „მიუზიკ-ჰოლი“ (მუსიკის დარბაზი), ხოლო შემდეგ მიიღო ენდრიუ კარნეგის სახელი, ადამიანისა, ვინც აფინანსებდა ამ შენობის აგებას. კომპლექსი მოიცავს სამ დარბაზს, რომელთა შორის მთავარი 1997 წლიდან ატარებს აიზეკ სტერნის სახელს. საერთო ტევადობაა 2804 ადგილი. 1983 და 2003 წელს შენობა განახლდა. ამ ცნობილი დარბაზის ასწლიან ისტორიაში მრავალი ცნობილი კომპოზიტორის (დვორჟაკი, რიჰარდ შტრაუსი, რახმანინოვი, ბარტოკი, შონბერგი, სტრავენსკი, მესსიანი, ჩარლზ აივზი და სხვა) მსოფლიო პრემიერა შესრულდა.

მეზოთერული - (ბერძ. mesos - საშუალო), ანუ საშუალო სწავლება ჩვეულებრივ სწავლებებს შორის - ეგზოთერიკასა (ბერძ. exoterikos - შინაგანი) და ეზოთერიკას შორის. მეზოთერიკა თეოსოფიის საფუძველში ძვეს. თეოსოფია (ბერძნულიდან „ღმერთი“ და „სიბრძნე“)



- მისტიკური სწავლებაა, რომელიც აღიარებს ყოველისშემძლის ყოფიერებას იმპერსონურ სამყაროსთან პირდაპირი კავშირის საშუალებით, ევრდნობა ბუდიზმს და ბრაჰმანიზმს, ამტკიცებს რა, რომ ადამიანის სული რამდენიმეჯერ იცვლის თავის არსებობას (მოსვლა-შოკლინებას) დედამიწაზე, მანამ არ გამოისყიდის თავის ცოდვებს და არ შეერწყმება ღვთაებრივს. იგი შეიცავს წინასწარმეტყველებას დედამიწის ისტორიაზე, ლეგენდებს მის წარსულზე, დაკავებულია ბნელი ძალების მოძიებით, რომელნიც გარს არტყვია ადამიანებს.

მისტიკოსები თვლიან, რომ თუკი ადამიანები გრძნობენ ჭეშმარიტების მხოლოდ მცირედ ნაწილს, მაშინ ბუნებრივია ისინი ავსებენ საკუთარ წარმოდგენას დარჩენილ ნაწილზე საკუთარი წარმოსახვის საშუალებით. მეზოთერიკის წარმოსადგევი წარმომადგენელნი არიან თეოსოფიის შემქმნელი ელენე ბლავატსკაია და ანთროპოლოგიის ფუძემდებელი რუდოლფ შტიინერი, ცოცხალი ეთიკის (აგნი იოგა) შემქმნელნი ნიკოლაი და ელენე რერიხები, ასევე რელიგიური ფილოსოფოსი დანიილ ანდრეევი. მისტიკოსები ყოველთვის ინახავდნენ თავიანთ ცოდნას საიდუმლოდ იმდენად, რამდენადაც, თუკი მათ არასწორად გაიგებდნენ ანდა არასწორად გამოიყენებდნენ, შესაძლებელია ვენოთ როგორც საკუთარი თავისისთვის, ასევე გარშემო მყოფთათვისაც.

ტრადიციები და მისტიკური სწავლებანი გვთავაზობენ სხვადასხვა გზას, სხვადასხვა პრაქტიკასა და მეთოდს, რომელთა არჩევასაც თვითოეული ადამიანი თავად აკეთებს. მისი თავზე მოხვევა არ შეიძლება. გურჯიევი ახსენებს მეზოთერულ კოდექსს, რომელიც შეიქმნა გალილეის ზღვის მახლობლად X საუკუნეში და მოგვიანებით აღმოჩნდა იერუსალიმში. მეზოთერიიზმი საუბრობს ასტრალურ და მენტალურ სამყაროთა შესახებ, რომელიც მისაღწევია ჩვეულებრივ მედიუმთათვის და კიპნიოტიზიორთათვის.

აღფრედ რიჩარდ ორიჯი (1873-1934) დაიბადა ღარიბ მუშათა ბრიტანულ ოჯახში. მან გამოავლინა თავისი განსაკუთრებული ლიტერატურული, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური მონაცემები, რის გამოც იგი რედაქტორობდა განსაკუთრებულად გავლენიან ჟურნალს „ახალი ასაკი“ 1907-1922 წლებში. იგი 1914 წელს ხვდება ჯერ უსპენსკის ხოლო, 1922 წელს, გურჯიევს და ხდება მისი ერთ-ერთი გავლენიანი მოწაფე. იგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ლონდონის ჯგუფში, ხოლო 1924 წელს გურჯიევის დასახმარებლად გადადის ნიუ-ორკში, სადაც მოგვიანებით ხელმძღვანელობდა კიდევაც



გურჯიევის ჯგუფებს იქ. 1930 წელს იგი ბრუნდება ინგლისში და ინტერესდება პოლიტიკური პრობლემებით. უწევს რა აგიტაცია სოციალიზმს, მან დააარსა ახალი ჟურნალი 1932 წელს. იგი გავერცელებინა გურჯიევის იდეები, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა 1934 წლის 5 ნოემბერს.

წინამდებარე წიგნში თავად გურჯიევი ყვება ამბავს კონფლიქტისა მისტერ ორიჯთან და თავისივე კერსიას მათი განხეთქილებისა და უთანხმოების შესახებ.

**La Priere** - ისტორიული ციხე-კოშკი ეკონზე, ფონტებლოს მახლობლად, საფრანგეთში. იგი გურჯიევმა შეიძინა 1922 წელს და გასსნა თავისი „ადამიანის პარმონიული განვითარების ინსტიტუტი“ თბილისის შემდეგ უკვე ევროპაში. 1922 წლის ოქტომბრიდან პარიზის მახლობლად ფონტებლოს შატო დე პრიერე დე ბას ლოფი გადაიქცა ეზოთურული პრაქტიკის ცენტრად საფრანგეთში.

**სუფრაჟისტი** (ანდა სუფრაჟისტები ინგლ. *suffragettes*, ინგლისური სიტყვიდან *suffrage* - არჩევითი სამართალი) - მოძრაობის მონაწილეები ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მისანიჭებლად. სუფრაჟისტები ასევე გამოდიოდნენ ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საერთოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში. ეს მოძრაობა თავის სათავეს იღებს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ძირითადად დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში. სუფრაჟისტები აქტიურად იყენებდნენ სამოქალაქო წინააღმდეგობის არამძალადობრივ მეთოდებს.

პირველად საარჩევნო უფლება ქალებმა მიიღეს 1893 წელს ახალ ზელანდიაში და ავსტრალიაში 1902. მოგვიანებით მსგავსი უფლებები ქალებმა მიიღეს ევროპაში (ფინეთში - 1906, ნორვეგიაში - 1913, ისლანდიაში - 1915, რუსეთში - 1917, კანადაში - 1918). 1919 წელს საარჩევნო უფლებას მიიღწიეს ქალებმა ავსტრიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, შვედეთში, ლუქსენბურგში, ჩეხოსლოვაკიაში, 1920 წელს - აშშ-ში, 1922 წელს - ირლანდიაში, 1928 წელს - დიდ ბრიტანეთში, 1931 წელს - ესპანეთსა და პორტუგალიაში. სუფრაჟისტებთან გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ჰამელა ტრევერსი ცნობილი საბავშვო ნაწარმოები „მერი პოპინსის“ (1934- ავტორი).



სტერნვალი ეჭიმი - გურჯიევის ერთ-ერთი მოსწავლე რუსეთიდან, რომელიც მასთან ერთად გამოექცა რევოლუციას და გასცა-თურქეთში და ევროპაში.

ტანტსატ-რატა - უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის ბალშაკარიანელების კერა, რომელსაც იცავდნენ ემშაკებისაგან, რომლებიც სპეციალურად იყვნენ გამოგზავნილი ჯოჯოხეთიდან.

ტეკინელები - მხოლოებითში ტეკინელი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი თურქმენებს შორის.

ტიბეტი - რეგიონი ცენტრალურ აზიაში, განლაგებული ტიბეტის მთიანეთში. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ტიბეტი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო ან ტერიტორიად მონგოლეთის იმპერიაში ან ვასალურ მიწად ცინების ჩინეთში. 1951 წელს ოკუპირებულ იქნა ჩინეთის მიერ. ტიბეტის ტრადიციული ტერიტორია იყოფოდა: უცანგის, კჰამის და აძლოს პროვინციებად. ტიბეტის ავტონომიური რაიონი ჩინეთში იკავებს ტრადიციული ისტორიული ტიბეტის ტერიტორიის ნახევარზე ნაკლებს, ხოლო მოსახლეობა ისტორიული რაოდენობის ერთ მესამედს წარმოადგენს. ისტორიულად აძლოსა და კჰამის ადმინისტრაციაში შედიოდა პროვინციები: იუნანი, სინუანი, ცინპაი და პანსიუ. ტიბეტის ისტორიული დედაქალაქია ლხასა. ტიბეტის ყველაზე ძალიანი მთა ჯომოლუნგმაა (ევერესტი). ტიბეტის ტერიტორიაზე იღებს სათავეს რამდენიმე უდიდესი მდინარე: იარლუნგ ცანგპო (ბრაჰმაპუტრა), მა ჩუ (ყვითელი მდინარე), დრუ ჩუ (იანძი), სენგე კჰაბაბი (ინდი), ფუპუნგ ჩუ (არუნი), ვიალმო ნგუ (სალუინი) და ზა ჩუ (მეკონგი). ტიბეტის ნაწილი დჰარამსალა ინდოეთის შემადგენლობაშია, სადაც ტიბეტის ლტოლვილი მთავრობა იმყოფება, რომლის ხელმძღვანელსაც 2002 წლამდე დალაი-ლამა XIV წარმოადგენდა.

ტიბეტის მოსახლეობა დაახლოებით 5.2 მილიონია.

რამდენიმე საკუნის განმავლობაში ტიბეტი დაკეტილი იყო უცხოელებისათვის. პირველ რიგში, ამას განაპირობებდა ტიბეტში შეღწევის პრაქტიკული სირთულე - ძნელად მისაწვდომობა, ასევე ტიბეტელ და ჩინელ მმართველთა პოლიტიკაც. პირველად ტიბეტი გაიხსნა მნახველთათვის 1984 წელს, რაც ასევე განაპირობებდა მრავალ ლევენდას, მოთქმა-მოთქმას, რადგანაც ტიბეტში მოხვედრა ყოველთვის წარმოადგენდა მრავალი ადამიანის ინტერესს, ვინც

დაინტერესებული იყო ლამაიზმითა და სხვადასხვა ეზოთერული ცოდნით.

ეთნიკური ტიბეტელები აღიარებდნენ ტიბეტურ ბუდიზმს და რელიგია ბონს. ტიბეტური ენა მიეკუთვნება ტიბეტურ-ბირმულ ენობრივ ჯგუფსა და სინო-ტიბეტურ ოჯახს. დღეს ტიბეტის ტერიტორიაზე ოფიციალური ენა ჩინური, ხოლო საქმის წარმოება და სასკოლო განათლება დაშვებულია ტიბეტურ ენაზე, რაც მაღალ კლასებში ნელ-ნელა ჩანაცვლებულია ჩინურით.

ტიბეტი დღემდე ინახავს მრავალ საიდუმლოს, რაც მკვლევართა და მოგზაურთა განსაკუთრებული ინტერესის ობიექტად ხდის მას. გურჯიევმა რამდენიმეჯერ იმოგზაური ტიბეტში.

**ყარაყირგიზი** – იგივეა, რაც ყირგიზი.

**ციმესი** – ებრაული ეროვნული სადესერტო კერძი. წარმოადგენს ბოსტნეულის ტკბილ ნაზავს სხვადასხვა ინგრედიენტით, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს ადგილმდებარეობისდა მიხედვით. შესაბამისად გამოარჩევენ სტაფილოს, ლობიოს, ნუვისა და სხვადასხვა სახის ციმესს. ციმესი ისევე, როგორც ბროწეული, ჭარხალი და ფარშირებული თევზი წარმოადგენს ებრაული საახალწლო სუფრის აუცილებელ კომპონენტს. მიუხედავად მარტივი ინგრედიენტებისა ციმესი ითვლება დიდ დელიკატესად და სასუსნავედ, სწორედ ამის გამო მას გადატანითი მნიშვნელობითაც იყენებენ, როგორც „ზუსტად, რაც საჭიროა“, „ცველაზე საუკეთესო“.

**ცვარნოხარნო** – გურჯიევის მოწაფის, ცნობილი მკვლევარის, ჯონ ბენეტის, მიხედვით ტერმინი ცვარნოხარნო უეჭველად ნასესხებია ზენდა ან პალაიუდან, სადაც ხვარენო ნიშნავს „დიდებულებას“ ანდა შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ჩვეულებრივ ადამიანებზე – ანუ ცვარნოხარნოს კანონი – შეიძლება ნიშნავდეს შთაბეჭდილების მოხდენას ჩვეულებრივ ადამიანებზე.

**ხან-ბლუდზონი**, ანუ, როგორც მას უწოდებენ სხვები, ტელეპატიისა და პიპნოზის ძალა, როგორც ამას ხსნის თავად გურჯიევი, რასაც იგი წარმატებულად ფლობდა და იყენებდა კიდევაც.



ყველა და ყველაფერი - გიორგი გურჯიევი .....	5
შესავალი შენიშენა - ვალენტინ ანასტასიევი .....	6
წინასიტყვაობა - ჟანა დე ზალცმანი .....	7
პროლოგი .....	12
შესავალი .....	61
პირველი საუბარი .....	76
მეორე საუბარი .....	91
მესამე საუბარი .....	103
მეოთხე საუბარი .....	117
მეხუთე საუბარი .....	129
გურჯიევი და მსოფლიო კულტურა .....	140
კომენტარები .....	153



ქართული  
ზიგლიოთეკა



დაიბეჭდა შპს „მნივნიობარის“ სტამბაში

0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 40

გიორგი გურჯიევი

XX საუკუნის მისტიკოსი

გიორგი გურჯიევი დაიბადა 1866 ? 13 იანვარს ალექსანდროპოლში (გიუმრი), სომხეთი, კაკეასია.

გარდაიცვალა 1949 წლის 29 ოქტომბერს ამერიკულ პოსპიტალში ვიუელ-სურ-სეინეში, საფრანგეთი.

სკოლა/გრაფიკა მუითხე გზა ან „გურჯიევის სკოლა“.

ძირითადი ინტერესები: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნება, მუსიკა, მოძრაობა (პლასტიკა), უძველესი ცოდნა.

სწავლება: მუითხე გზა.

მისი გადღეწიანი მიმდევრები: ვანა დე შალცმანი, ლორდ პენტლენდი, დოქტორი უსპენსკი, ოლგა პარტმანი, ჯონ ბენეტი, ალფრედ რიჩარდ ორაჯი, შორის ნიკოლი, კოლინ ვილსონი, პამელა ტრავერსი, ფრანკ ლოიდ ვრაითი, პიტერბრუკი, სემ შეპარდი და მრავალი სხვა.

ძირითადი ნაშრომები: ყველა და ყველაფერი; ბელზებელის საუბრები შეილიშეილთან; მეხვედრები განსაკუთრებულ აღამიანებთან; ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“; ხედვა რეალური სწამყაროდან; მომავალი სიკეთის ნიშანი.



გურჯიევი

გურჯიევი არის ჩვენი დროის ყველაზე უმუშალო, ნამდვილი და განსაკუთრებული ფიგურა.

პიტერ ბრუკი

გურჯიევი იყო სრულიად ეტივმატური ფიგურა, ხიდი ძველ გნოსტიკოსებსა და უახლეს დადაისტებს შორის.

პენრი მილერი

გურჯიევის ყველაზე ერთგული მოსწავლეების დონე ძალზე მაღალია. იმისათვის რომ შეისწავლო ეს მიმდინარეობა, არ არის საჭირო ინტელექტუალური ტვინის ტყულება.

ჯ. ბ. პრესლი

